

ავთანდილ სიხარულიძე

# ქართული ენის ტმონიმთა ლექსიკონი

(მორე უმსგავსი ზამოცემა)

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი 2010

ომონიმები ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივის ყოფისა და აზროვნების განმსაზღვრელია.

ომონიმები ენის გნეითარების, ერის ისტორიისა და მსოფლიოს ხალხებთან ურთიერთობის საუკეთესო მაჩვენებელია.

დიდი იაკობ გოგებაშვილი წერდა: „მხოლოდ დედა-ენა ხსნის ყოველ ადამიანში ერთს განსაკუთრებულ ნიჭსა, ეს ნიჭი გახლავთ ალლო ენისა.“

დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ: ომონიმები არის ენის ალლოს ნიჭის საზომი და მისივე ბალავარი.

ამიტომ, ომონიმების ლექსიკონი ყველა კულტურულ ერს უნდა გააჩნდეს.

რედაქტორი: **ზურაბ სარჯველიძე**, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

რეცენზენტები: **გივი ღომიძე**, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**გივი შიქაძე**, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**აკაკი ხინთიბიძე**, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ნებისმიერი ლექსიკონის შედგენა მოითხოვს უმძიმეს შრომას. აკადემიკოს ალ. შჩერბამ თავისი რუსულ-ყრანგული ლექსიკონის შედგენა დაამთავრა ი. სკალიგერის ლექსით, რომლის შინაარსი ასეთია:

„თუ მისჯილი აქვს ვინმეს მტანჯავი შრომა

და ელოდება ბენავს ტანჯვა-წამება,

ნუ დააველებთ მგედლის ურთოი კვერვას,

ნურც მადაროში მადნის ძნელ მოპოვებას...

დუ, შეადგინოს მან ლექსიკონი და ეს შრომა

ყველა სახის ტანჯვა-წამებას გაუტოლდება“.

დიდი შრომის შედეგად შეიქმნა წინამდებარე „ქართული ენის ომონიმთა ლექსიკონი“.

ამ მიძიმე და უმძიმეს შრომაში დიდად დამეხმარნენ:

ძმა, **თამაზ სიხარულიძე**, – დამსახურებული ინჟინერი, ორმოცი გამოგონების ავტორი.

დები: **ტყუა სიხარულიძე**, – ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი.

**ზაირა სიხარულიძე**, – ბიბლიოგრაფი.

ძმისშვილი, **გიორგი სიხარულიძე**, – „კომპიუტერული ქსელების და სისტემების“ ინჟინერი.

დისშვილი, **მირანდა კოტრიკაძე**, – იურისტი.

რისთვისაც მათ უღრმეს მადლობას მოვახსენებ გულწრფელად.

© ავთანდილ სიხარულიძე


© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2010

ISBN 978-9941-10-200-4

უკ (UDC) 81'374.2=353.1'373.423

ს-561

ვუძღვნი მშობლების:  
იულია (ივლიტა) ივანეს ასულ ჯიბუტი-სიხარულიძისა,  
და,  
იუსტინე სილიბისტროს ძე სიხარულიძის  
ნ ა თ ე ლ ხ ს ო ვ ნ ა ს.



## ლექსიკონის აგებულება

ლექსიკონში სიტყვები ძირითადად ახსნილია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით ან, უშუალოდ მასზე დაყრდნობით.

საჭიროება მოითხოვს, აქვე აღვნიშნოთ: „ომონიმთა ლექსიკონი“ არ წარმოადგენს „ენის განმარტებითი“ ტიპის ლექსიკონს. იგი ყველა შესაძლო სახის ლექსიკონებს უნდა მოიცავდეს: როგორც სამეცნიერო დარგებისა, ასევე სალიტერატურო. ენის ისტორიის თვალსაზრისით აქ შესაძლებელია მოტანილი იქნას, როგორც უძველესი, ზოგჯერ მივიწყებულიც — კი, აგრეთვე თანამედროვე ენის სიტყვები. ამდენად, „ომონიმთა ლექსიკონს“ განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება.

ომონიმებისათვის, სალექსიკონო ერთეულად „სახელისათვის“ არჩეულია სახელობითი ბრუნვა (ძალზე იშვიათად სხვა ბრუნვაც). „ზმნა“ წარმოდგენილია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ შედგენის პრინციპით, კერძოდ: „სალექსიკონო ერთეულად შერჩეულია ზმნის ის ფუძე, რისგანაც მასდარი (სახელზმნა) იწარმოება და რამაც ქართული ზმნის ლექსიკურ — სემანტიკური სიმდიდრის გამოვლენა ლექსიკონში შევადგებინა“ (არნ. ჩიქობავა).

ნორვეგიელი მეცნიერი ჰანს ფოგტი წერდა: „სრულყოფილი ლექსიკონი არ არსებობს, მას ავსებენ და ამრიგად აუმჯობესებენ მის ხარისხს,, დიდი სულხან-საბა ორბელიანის თქმით: „სრული გვიან საპოვნელია,, ჭეშმარიტად!

## შესავალი

ომონიმი (Homonymos) – ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს: *homos* – ერთნაირი, მსგავსი და *onyma* – სახელი.

ომონიმების სახელისათვის გვაქვს უძველესი და უმშვენიერესი ქართული ტერმინი: „სახელ-მოდგამი“. „სახელ-მოდგამის მნიშვნელობა განმარტებული აქვს პლატონ იოსელიანს (1809-1875): „არიან სხეანიცა ლექსნი (სიტყვები. ა.სიხ.) წოდებულნი სახელ-მოდგამად ამისათვის რომელ იხმარებიან სხვათა და სხვათა მნიშვნელობათა შინა ვითარცა: სერი (ნადიმი) და სერი (ბორცვი); ქვაბი (კვლისა ნაპრაღი) და ქვაბი (საგბოლ-ველი. „სპილენძის სადუღარი“ (საბა)); ხელი (ნაწილი კაცისა სხეულისა) და ხელი (შემკრებლობითად)“. (პლატონ იოსელიანი, „პირველი დაწვებითი კანონი ქართულისა ღრამატიკისა“, 1863, 25 გვ.).

ამდენად „ომონიმთა ლექსიკონს“ „სახელმოდგამთა ლექსიკონიც“ შეიძლება ვუწოდოთ.

დავით ბაგრატიონი (1767-1819) ნათლად ამბობს: „სახელ-მოდგამის მნიშვნელობა უდრის ომონიმს“.

იყო ცდა ომონიმები განესხვაებინათ დაწერილობის მიხედვით. მაგ. იოანე ქართველი შეილი: „ „ხ“ და „ჭ“ აქეთ განაყოფაი ურთიერთისაგან ... გარნა მრავალნი ჰსწერენ მათ განურჩევლად, თუმცა ჯერ არს შერჩევად. რაითამცა იხმარებოდეს თვითუული საკუთარსა შინა ადგილსა თვისსა, ვინაითგან ოდესმცაა განასხვაებენმცა მნიშვნელობა-სა ლექსისასა მებრ. ოდეს დაიწეროს „ხელი“ მნიშნავს გიჟსა ანუ გონებასა ნაკლუენსა, ხოლო ოდეს დაიწეროს „ჭელი“ მაშინ მნიშნავს ორღანოსა, ასოსა კაცისასა. სხეულისსა „ჭელსა“, გარნა ვერ შესაძლო არს დასხმად კანონნი წერისათვის მათისა არამედ სათანადო არს ჩევეად“.

ნიკო ჩუბინაშვილმა (1788-1845) სამართლიანად გააერთიანა „ხ“ და „ჭ“ და პირველ-მა ამოიღო „ჭ“ ასო ხმარებიდან. „გამოთქმა ასოა „ჭ“ უფრორე ეკუთვნის ენასა ლეკთასა, რომელთაცა საუბარი არის ფრიადითა ძალისა დატანებითა ხორხისათა, ხოლო ქართულ-სა შინა საუბარსა სხვაობა ასოთა „ხ“ და „ჭ“ კინდა არა რაიმე იპოვების“ ... ე.ი. ნიკო ჩუბინაშვილმა ომონიმებს დაუბრუნა ომონიურობა, მისცა მათ თავიანთი ნამდვილი სახე.

ომონიმებს ანუ სახელმოდგამებს უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ იმჟამიდანვე. მაგალითად, ერთ-ერთ უძველეს ქართულ „ასკეტიკონის“ ხელნაწერში ასეთი შენიშვნაა: „შეისწავე, რამეთუ სახელსა ამას“ „მედგარსა“ ორი სახე აქვს: წიგნურად „მიცონარესა“ უხმობს მედგარსა, ხოლო სოფლურად „მსაკუარს“ ჰქვიან „მედგარი“ თვით ქართულსა ენასა ზედა.“

\* \* \*

ომონიმები, ქართველი ენათმეცნიერის, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავასა და მისივე რედაქტორობით გამოცემულ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი,-ს (ქველი)-ს მიხედვით განსაზღვრულია, როგორც: „სიტყვა, რომელიც ბგერითი შემადგენლობით ემთხვევა სხვა სიტყვას, მნიშვნელობითა და წარმოშობით კი განსხვავდება მისგან“. მაგ. ბარი (მთა და ბარი) და ბარი (სასოფლო-სამეურნეო იარაღი).

ჩვენ შეგვიძლია განვაერთოთ მაგალითად მოტანილი „ბარი“ სიტყვის მნიშვნელობები:

ბარი: 1. დაბლობი, ვაკიანი ადგილი.

ბარი: 2. ბრტყელი, წვერმახილიანი რკინის იარაღი, რომელიც მიწის ჩასატრულ-გადასაბრუნებლად, სათხრელად იხმარება.

ბარი: 3. ერთგვარი რესტორანი, სადაც დგომელა შეექცევიან სატმელ-სასმელს.

ბარი: 4. მტაცებელი ფრინველი შავარდნების ჯგუფისა.

ბარი: 5. ატმოსფერული წნევის ერთეული.

ბარი: 6. „ცხელი ქვეყანა“ (საბა).

ბარი: 7. (თუშ.) საქონლის ნაწლავებსა და ფილტვებს დასჭრიან სიგრძეზე და ერთად დაწნავენ, მერე ჩაყრიან ადუღებულ წყალში და მოკანძავენ. ცოტა ხნის შემდეგ ამოიღებენ, დაამარილებენ, გააშრობენ მსუსე და სასამთროდ ინახავენ (ნ. ხუბ.).

ბარი: 8. საბურღი მანქანისა და სამთო კომბაინის მუშა ნაწილი.

ბარი: 9. თავდაპირველად შემოსაღწერული ადგილი (დგამი) სასამართლო დარბაზში, რომლის უკან დგას მოსამართლე.

ბარი: 10. (ფრ.) ზღვის ფსკერზე ნპირთან ახლოს მდებარე კვალი, რომელიც წარმოიქმნება ნარიყისაგან, როგორც წესი, მდინარის კალაპოტთან მცირე მანძილზე.

აღნიშნული ომონიმები აქვთ გამოყენებული აკაკი წერეთელსა და ვახტანგ ჯავახიძეს:

„...ის მიმანია კარგ ქვეყნად;  
სადაც მთაც არის ბარიცა,  
და ქვეყნის მუშად – ვისაც კი,  
ცულიც უჭირავს ბარიცა!“

(აკაკი წერეთელი)

„მაგონდება ბარი,  
არა მთა და ბარი,  
არც თოხი და ბარი,  
მხოლოდ ღამის ბარი“.

(ვახტანგ ჯავახიძე)

ასევე, შეგვიძლია მოვიტანოთ სხვა მაგალითი:

ალა: 1. იგივეა, რაც ალი, – „ცეცხლის ანადენი“ (საბა).

ალა: 2. საფქვილე კასრი; „წისქვილის ალატა“ (საბა); ჩანახი.

ალა: 3. „მთარის პირის ლიბრი“ (საბა); ლაქები მთვარის სედაპირზე.

ალა: 4. „სიგრძეზედ ამართული“ (საბა); ყუნცი, ცუცქილი, ჩაცუცქება; ყალყზე დგომა. (დ. ჩუბინ.).

ალა: 5. ალახი, ღმერთი არაბულად (დ. ჩუბინ.).

ალა: 6. (არქიტ.) დამხმარე სათაესი ძველ რომაულ სახლში.

ალა: 7. თევზის კუდის ფარფლის წაგრძელებული ქერცლი.

ალა: 8. სარკველა ბალახია (ივანე ჯავახიშვილი).

„მოაქვს ცეცხლი მოსადებად,  
მასთან მოაქვს ამას ალა,  
ალმასისა გულსა ფარად

ხამს და უნდა ამას ალა,  
ამისთვის სჯობს ეს მთვარესა,  
არ აჩნია ამას ალა,,

(თეიმურაზ I)

და, ა.შ. მრავალი.

\* \* \*

არნოდდ ჩიქობავას მიერ აღნიშნული განსასწავრება გულისხმობს: ომონიმები უნდა მიეკუთვნებოდეს მეტყველების ერთი და იმავე ნაწილს, იყვეს სხვადასხვა წარმომავლობის და, უნდა ჰქონდეს ერთნაირი პარადიგმები.

ამავე აზრისაა ბიძინა ფონხუა („ქართული ენის ლექსიკოლოგია,“). იგი წერს: „ომონიმების აუცილებელი და საკმარისი პირობაა ჰეტეროგენულობა. (ჰეტეროგენული:

(ბერძნ.) heterogenცა, შემადგენლობით, წარმოშობით, თვისებებით სხვადასხვაგვარი ა.ს.იხ.). ომონიმები სხვადასხვა სიტყვებია იმიტომ, რომ ისინი სხვადასხვა წარმომავლობისანი არიან“.

სამწუხაროდ, დღესაც ასეთივე შეხედულებაა გაბატონებული ქართულ ენათმეცნიერებაში, რაც აუცილებლად მცდარი წარმოდგენაა ომონიმებზე.

ასეთივე განსაზღვრებას ეხედებით „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“. ასეთივე შეხედულებაა გამოხატული საშუალო და უმაღლესი სკოლების სახელმძღვანელოებში. უფრო მეტიც, კურიოსუბთანაც კი გვაქვს საქმე. ერთ-ერთ, სტუდენტებისათვის განკუთვნილ თანამედროვე სახელმძღვანელოში, „ომონიმების“ სათაურის ქვეშ მოცემულ სავარჯიშოში: „შეადგინეთ წინადადებები. გამოიყენეთ მოცემული სიტყვები ორი განსხვავებული მნიშვნელობით“, აქ სხვა სიტყვებთან ერთად მითითებულია:

შეელი: 1. საშუალო ზომის მცოხნელი ცხოველი ირმისებრთა ოჯახისა.

შეელი: 2. დახმარების გაწევა, ხელს უწყობ რამეში, – ეხმარები.

ვარდები: 1. ეკლიანი ბუჩქის სურნელოვანი ყვავილები.

ვარდები: 2. დავარდები (ძირს, წყალში...)

რომლებიც მათ, ალბათ ლექსიკური ომონიმები ჰგონიათ.

სამწუხაროა!

ახლა ხან გამოვიდა „ქართული ენა“ (ენციკლოპედია, „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია“, 2008). საიდანაც ჩანს, რომ: არნოლდ ჩიქობავადან დაწვებული, დღემდე ომონიმების განსაზღვრებაში არავითარი ცვლილება არ არის შეტანილი.

მოვიტნოთ ამონარიდი, აღნიშნული ენციკლოპედიიდან:

„ომონიმები სხვადასხვა წარმოშობის ორი ან მეტი დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულია, რომელთა შორის სრული ბგერობრივი დამთხვევაა“. აქვე, ტრადიციულად, მაგალითისათვის მოტანილია „ბარი“.

„ომონიმია გულისხმობს დამოუკიდებელი ლქსიკური ერთეულების ბგერობრივ დამთხვევას.“ ესეც სამწუხაროა.

მეტს ნულარ გავაგრძელებთ და, გადაეხედოთ თუ რა ხდება ამ მხრივ მსოფლიო ლიტერატურასა და მსოფლიო ენათმეცნიერებაში.

\* \* \*

ჯერ კიდევ, „В эпоху возрождения равноименность была лишь чисто практическим вопросом издания и филологического комментирования памятников древности.“

(*О. М. Ким, Транспозиция на уровне частей речи и явление омонимии в современном русском языке*, 1978)

ომონიმების პრობლემებით არ ინტერესდებოდნენ არც „შედარებითი ენათმეცნიერების“ მოღვაწენი.

მე-19 საუკუნის ბოლოს ა.ა. პოტებნიამ გამოთქვა აზრი:

„На самом деле есть только однозвучность различных слов, т.е. то свойство, что различные слова могут иметь одни и те же звуки... многозначность слов ложное понятие: где два значения, там два слова, а не одно.“

(*Потебня А.А., „Из записок по русской грамматике“, Т. I-II, Харьков, 1888; Т. IV, М.-Л., 1941, стр. 198*)

ანალოგიურ აზრს გამოთქვამს შერბა:

„Неправильно думать, что слова имеют по несколько значений: Это в сущности говоря

формальная и даже типографская точка зрения. На самом деле мы всегда имеем столько слов, сколько данное фонетическое слово имеет значений."

(Шерба А.В., „Опыт общей теории лексикографии“, *Известия Отделения литературы и языка*; 1940, вып. 3)

ე.ი. მან მოლიანად უარყო პოლისემიურობა და ამით გააფართოვა ომონიმების სახედვრები.

მაგრამ, რა არის მიზეზი სიტყვის პოლისემიურობისა? აი, 'სოციური მისაზრება:

„Язык же слышком беден для того, чтобы обозначить отдельно каждый индивид. Поэтому человек должен обозначить одним и тем же словом все подобные друг другу предметы.”

(Каутский К., „Этика и материалистическое понимание истории“. Москва 1922г. стр. 86).

„Конкретность опыта беспредельна, ресурсы же самого богатого языка строго ограничены. Язык оказывается вынужденным разносить бесчисленное множество значений по тем или иным рубрикам основных понятий, используя иные конкретные или полуконкретные идеи в качестве посредствующих функциональных связей.”

(Виноградов В.В., „Грамматическое учение о слове“. 1947г. стр. 15)

„В истории языка происходят постоянные смещения семантических границ слова. Непрерывно протекают процессы превращения форм слова в отдельные слова- омонимы, и, напротив, слияние омонимов в системе форм одного слова.”

(В.В. Виноградов, „О формах слова“, „Известия Академии наук СССР, отд. литературы и языка“. 1944. Т. III, вып. I, стр. 43)

P.S. ე.ი. ომონიმები იბადება და კედება!

მაინც, რა თანაფარდობა არსებობს პოლისემიურ და არაპოლისემიურ სიტყვებს შორის?

სტატია: „Многозначность слова": 1) во многих языках, в том числе в русском, многозначные слова преобладают над однозначными. 2) Различаются первичные и вторичные (производные) значения, которые иногда понимаются как прямые и переносные значения. 3) Соотношение между первичными и вторичными значениями с течением времени может меняться. 4) Особенности объединения значений в пределах одного слова во многом определяют своеобразие словарного состава каждого языка.

ამ საკითხისადმი მიძღვნილი ლიტერატურა:

1) Смирницкий А.И., „К вопросу о слове“, в ин.: „Труды института языкознания“, Т. 4, М. 1954.

2) Ахматова О.С., „Очерки по общей и русской лексикологии“, М. 1957.

3) Шмелев Д.Н., „Проблемы семантического анализа лексики“, М. 1973.

4) Виноградов В.В., „Основные типы лексических значений слова“, „Вопросы языкознания“ 1953, №5.

„ჩვენს საუკუნეში, ლინგვისტიკის არც ერთ დარგს არ განუცდია ისეთი ელვისებური ყურადღება თუ კარიერა, როგორც ომონიმების შესწავლას მიეძღვნა. ომონიმებისადმი მიძღვნილი ლიტერატურა, ისეთი მრავალფეროვანია, მიღებული შედეგი ისეთი მოულოდნელი, კვლევისათვის გამოეყენებულნი მეთოდები ისეთი სპეციფიკური, რომ ამ საკითხების პრობლემების გადაწყვეტისათვის შეიქმნა ენათმეცნიერების განსაკუთრებული განყოფილება, რომელსაც „ომონიმია“ შეიძლება ვუწოდოთ.“

(Ullmann S. *The Principles of Semantics*. Glasgow. 1951. p. 125-126)



„В настоящее время, проблеме омонимии придается очень большое значение в самых разнообразных лингвистических концепциях и в самых различных областях лингвистического исследования.“

(В.В. Виноградов, „Об омонимии и смежных явлениях“. „Вопросы языкознания“, 1960, №5, стр. 3)

## ომონიმებისა და პოლისემიის გამიჯვნის საკითხი

ომონიმების უამრავი განსასლურება არსებობს, რაც იმის დამადასტურებელია, რომ არ არსებობს ომონიმების საყოველთაოდ მიღებული განმარტება.

1957 წლის (13-14) დეკემბერს, ქალაქ ლენინგრადში ჩატარდა კონფერენცია, მიძღვნილი ომონიმების პრობლემებისადმი. კონფერენციის მასალები გამოქვეყნდა კრებულიში: „Лексикографический сборник“, 1960г., вып. IV. კონფერენციის დადგენილებაში პირდაპირ, ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე, ასე ჩაიწერა: „ომონიმების საყოველთაო განმარტება არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს,“-ო.

აღნიშნული კონფერენციის სამეცნიერო საბჭოს მდივანმა ე.ა. აერონინმა, თავისი შესავალი სიტყვა ასე დაიწყო: „Всё шире распространялось убеждение, что омонимия является также продуктом семантического развития слова, разрыва связей между отдельными его значениями. Лексикологи придавали при этом особое значение поискам особых морфологических, словообразовательных и синтаксических признаков омонимов. Составители словарей последовали за этими новыми веяниями“.

კონფერენციის აბსოლუტურმა უმრავლესობამ, მრავალი მაგალითების მოშველიების საფუძველზე, მხარი დაუჭირა პოლისემიიდან განცალკევებულ ომონიმებს. აი, სოფიერთი მათგანის მოსასრება:

1) „Кроме исконных, или гетерогенных омонимов, существуют также омонимы, образовавшиеся в результате разрыва семантических связей из ранее единых слов, т. е. гомогенные омонимы. Другие (их большинство) считают, что омонимы в данной языковой системе могут образоваться также в результате расхождения значений ранее единого слова.“ (В.А. Аврорин, Председатель Учёного Совета)

2) „როდესაც ვლამარაკობთ მნიშვნელობათა ცვლილებებზე, ხშირად გეხდება გათვალისწინება აგრეთვე ახრის იმ ახალი მიმართულებისა, რომელიც ისტორიულად წნდება არა როგორც მნიშვნელობის ცვლილება, არამედ როგორც შედეგი ახალი ცნებების სახელდებისა; მაგ: დღევანდელ რუსულ სიტყვებს შორის – спица (ჩხირი) და спичка (ასანთი) უკვე აღარაა ახრობრივი კავშირი, მაშინ როცა ისტორიულად მეორე სიტყვა ნაწარმოებია პირველიდან; სიტყვა мешок (ტომარა) ახლა არ იწვევს ასოციაციას სიტყვა სთან мех (ტყევი), თუმცა ისტორიულად მისგან მომდინარეობს.“ (ლ. ბულახოვსკი).

შემდეგ ბულახოვსკი განაგრძობს: „იქ, სადაც საქმე გვაქვს დიდი მაწარმოებელი ძალის მქონე აფიქსებთან და ახალ წარმონაქმნებში ადვილად შემაჯავალ ძირეულ ელემენტებთან, – სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე, ფორმის მიხედვით კი თანხვედნილი სიტყვები, ნეველებრივ: სხვადასხვა დროს უნდა მივაკუთვნოთ და განვიხილოთ ისინი, როგორც მოლაპარაკეთა სიტყვა – ნაწარმოებითი მოქმედების დამოუკიდებლად წარმოშობილი პროდუქტები. ასეთია მაგ. заказать (დაკეთა) (ძვ. აკრძალვა). (ლ. ბულახოვსკი).

მაშასადამე, გვაქვს ომონიმები: заказать: 1. დაკეთა. заказать: 2. აკრძალვა.

3) „Проблема омонимии должна ставиться и осмысливаться в двух планах, соответствующих

двум линиям связей между языковыми явлениями и в этом случае нужно признать существование в языке омонимов не только этимологических, но и семантических." (Б.Н. Голован).

4) „Семантической границей слова очень часто является омоним... Со временем Я. Грота (1812-1893) в русской лексикографии утвердилось понимание омонимов как слово разного происхождения... Толковый словарь под ред. Д.Н. Ушакова, Словарь русского языка С.И. Ожегова, Русско-украинский словарь и др. Словарь 50-х гг., русские толковые и русско-иноязычные (Р – англ. словарь, Р – белор. словарь, Р – итал. словарь, Р – молд. словарь, Р – узбек. словарь и некоторые другие), отходят от традиционной точки зрения на омонимию. Помимо омонимов „этимологических”, они выделяют ряды омонимов „исторических”, возникших в результате исторического развития слов из разных значений некогда единого слова... Мысль о возможности возникновения омонимов на базе распада полисемичных слов высказывалась неоднократно. Еще в статье 1927 г. „Из жизни омонимов” Л.А. Булаховский писал о возможности такого явления, когда ветви старых значений слова перестают восприниматься как связанные друг с другом... для лексикографов – составителей словарей современного языка – вступление на путь исторической омонимии, думается мне, вполне закономерно... Термин „Омонимия” употребляется сейчас по отношению к результатам двух совершенно различных языковых явлений: случайного совпадения по звучанию различных слов и возникновения разных слов из единого многозначного слова на базе распада полисемии. Результаты этих различных процессов сходны: наличие в языке одинакого звучащих слов, резко отличающихся по своим значениям”...

5) მრავალმნიშვნელობიან სიტყვათა ცალკეული მნიშვნელობები ა.ი. სმირნიცკიმ განიხილა როგორც ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტები ე.ი. ცალკეული სალექსიკოებო ერთეული ანუ ომონიმები.

6) „Границы омонимии и полисемии, критерии их разграничения, семантические основы их – по всем этим вопросам в литературе имеются самые разноречивые внимания, вплоть до отказа от попытки что – либо разграничить в этой области.

„Часто указывают, что омонимы должны иметь совершенно различные значения. Такое замечание справедливо лишь с оговоркой, а именно: под значением следует понимать не только лексическое, но и грамматическое, словообразовательное и категориальное значения.

Омонимическое совпадения могут быть на любом уровне, иначе говоря, базой омообразования может быть любой из компонентов семантической структуры слова. Так, основой омонимии „брак” (плохая работа и супружество), являются совершенно различные ЛЗ (лексического значения); „вокруг” (Adv и Претр), Совершенно различные КЗ (категорианого значения); „бумажник” (предмет и лицо), совершенно различные СЗ (словообразовательного значения). А, базой омоформии „нас” (родительный, винительный и предложный падежи), являются совершенно различные ГЗ (грамматического значения).

Омонимы на базе ЛЗ и СЗ – это разные лексические слова, т.е. самостоятельные лексические единицы, члены лексической системы языка. Омонимы на базе КЗ и ГЗ – это разные грамматические слова и формы. члены грамматической системы языка, не нарушающие тождества ЛЗ

Сказанное позволяет ставить традиционный вопрос разграничения омонимии и полисемии дифференцированно по отношению к каждому типу омонимии.

В отношении омонимов, разьединенных по признаку КЗ и принадлежащих к разным частям речи, спор о границах полисемии и омонимии может быть снят, как несущественный, если исходить из положения: разные части речи представляют собой разные классы слов ... всегда разные слова ... следовательно, полисемии тут никакой, зато омонимия на уровне КЗ.” (О.М. Ким, „Транспозиция

на уровне частей речи”).

7) პოლისემიისა და ომონიმების განცალკევების საკითხი დგება მეოცე საუკუნის ოცნაზ წლებში. „Работа Л. Булаховского „Из жизни омонимов“ ... предлагается различать омонимы лексические, морфологические, омонимы „натуральные“, производные и омонимы производные; омонимы, принадлежащие к близким семантическим сферам, и семантически далёкие ... Ш. Балли и А. Сеше в своём выступлении на I Международном конгрессе в Гааге в том же 1928 г. впервые обратили внимание на возможность образования новых слов в связи с распадом полисемии. Балли предложил тогда и термин „Семантические омонимы“. (О.М. Клим, „Транспозиция на уровне частей речи“, стр. 80)

8) პრადელმა ლინგვისტმა ვ. ტრანკა-მი, კიდევ უფრო გააფართოვა სასლერები. მან პირველმა წამოჭრა საკითხი გრამატიკული ომონიმებისა და პოლისემიიდან წარმოქმნილ ომონიმების შესახებ.

9) ვ.ე. ვინოგრადოვმა დააყენა საკითხი ისეთი ომონიმების შესახებ, რომლებიც განეკუთვნებიან მეტყველების სხვადასხვა ნაწილებს.

10) „Безусловно омонимами являются слова, принадлежащие к разным частям речи, хотя они развивались первоначально из одной лексемы и по лексическому значению тесно связаны друг с другом.“ (Клим О.М.)

„Закономерным считают процесс возникновения омонимов на основе распада полисемии: А.А. Реформатский, Р.А. Будагов, А.И. Смирницкий, О.С. Ахманова, С.И. Ожегов, Е.М. Галкина – Федорук и др. Положение об омонимии такого рода довольно прочно вошло в вузовские учебники по общему языкознанию. Попытались реализовать эту точку зрения в словарях и лексикографы.“ (Л.Л. Кутина, „К вопросу об омонимии и её отражении в словарях современного русского языка“).

ამ დროიდან მოყოლებული, იწყება ომონიმების მრავალმხრივი შესწავლა: მორფოლოგიური, სინტაქსური და ა.შ. თვალსაზრისით.

## პოლისემიისა და ომონიმების განცალკევების მეთოდები

როგორც ჩანს, მკვლევართა უმრავლესობას დაბეჯითებით მიაჩნია: თუ პოლისემიური სიტყვების მნიშვნელობები დიდად დაშორდნენ ერთმანეთს ისე, რომ მათ შორის სემანტიკური კავშირი გაწყვეტილია, მაშინ გვაქვს საქმე ომონიმებთან. მაგრამ, ქართული ენათმეცნიერები მაინც ეჭვის თვალით უყურებენ ამ თვალსაზრისს. კერძოდ, ბიძინა ფონიხუა წერს: „მსჯელობა ცალკეულ მნიშვნელობათა ერთმანეთისაგან ისეთი დაშორების შესახებ, როცა მათ შორის კავშირი დაკარგულია, – ისე ანეხს კითხვას, – ვინ უნდა დაადგინოს მნიშვნელობათა მეტ-ნაკლები დაშორებულობა?„

იგი წერს, პოლისემიური სიტყვების დაშორებულობის მრავალ მეთოდებს იძლევიანო:

1) „ერთგვარად მბგერ სიტყვებს ჩაუნაცვლოთ სინონიმები, თუ შერჩეული სინონიმები ერთმანეთის მიმართ სინონიმურ ურთიერთობაში არ მოექცევიან, ეს იმას ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს ომონიმურ რიგთან“.

კიდევ კარგი, რომ თვითონვე უარყოფს ამ მეთოდის ვარგისიანობას.

2) „შემოაქვთ „აზრობრივი ღერძის“ ცნება პოლისემიისა და ომონიმების გასარჩევად. „აზრობრივი ღერძის“ ცნებაში ივარაუდება ყოველი ახალი მნიშვნელობის წარმოება უშუალოდ პირველი მნიშვნელობიდან. სანამ ყველა მნიშვნელობა ერთიანდება ერთი

აზრობრივი ღერძით, – საქმე გვაქვს პოლისემიასთან“. აქვე, მაგალითისათვის მოტანილი აქვს სიტყვა: *болтать* (რყევა) და *болтать* (ლაყბობა), რომლებიც ს. ოუგოვს ომონიმებად აქვს მიჩნეული, ალბათ იმიტომ, რომ მათ „საერთო აზრობრივი ღერძი“ არ აქვთ. ეს სიტყვა „შინაგანი ფორმით“, ეტიმოლოგიურად „ენის რყევას“ ნიშნავს. ამრიგად, *болтать* საერთოდ „რყევა“ არისო. შემდეგ დაასკვნის: „ამ მაგალითიდან ჩანს, რამდენად არასაიმედოა „აზრობრივი ღერძის“ ცნება პოლისემიისა და ომონიმის გასარჩევად“.

3) ო.ს. ახმანოვას მეთოდის მიხედვით: „Поскольку слово, – это единство лексического и грамматического, вещественного и формального вполне обоснованным представляется следующий постулат: если несовместимым оказывается значение хотя в одной морфологической части сравниваемых единиц, их следует считать омонимами“. ეს მეთოდიც სრულად ვერ გამოსახავს პოლისემიური სიტყვების დაშორების ხარისხს.

4) ზოგიერთი ფიქრობს: თუ სხვადასხვა მნიშვნელობების ერთნაირად მქდური სიტყვების პარადიგმა ერთნაირია, მაშინ არისო ასეთი სიტყვები ომონიმებიო. გეთავაზობენ კიდევ სხვა მრავალ მეთოდს, მაგრამ ისინი აშკარად უუარგისნი არიან. ჩვენი აზრით, ეს მეთოდი მეტად რბილად, რომ ვთქვათ, – სრულიად გამოუსადეგარია. მაგალითად, წელი (ადამიანის სხეულის ნაწილი) და წელი (წელთაღრიცხვის ერთეული), ეჭვის გარეშე, ლექსიკური ომონიმებია, სხვადასხვა წარმომავლობისნი არიან, ერთნაირად იწერება, ერთნაირად ვდერს, მიეკუთვნება მეტყველების ერთი და იმავე ნაწილებს, მაგრამ მათ ერთნაირი პარადიგმა არ გააჩნია: ერთი სახელი ფუძეუკუმშველია, მეორე ფუძეუკუმშვადი. არნოლდ ჩიქობავასა და მის ჯგუფს იგი ომონიმებად არ მიაჩნიათ.

5) კ.ა. ალლენდორფის (К.А. Аллендорф) მიხედვით, პოლისემიისა და ომონიმების გამიჯვნა შემდეგი მეთოდის მიხედვითაა შესაძლებელი: „Если из значений того же слова не может быть выведено общее инвариантное значение, то, следовательно, это новое слово – омоним“.

ალლენდორფის მიხედვით, ინვარიანტობის დასადგენად საჭიროა ... სიტყვების არსებითი ნიშნების განზოგადება. მას მოტანილი აქვს მაგალითები: „актив (активная часть коллектива и бухгалтерский термин) – инвариантное значение можно вывести: то что действительно“. ამიტომაც არ არისო ომონიმები. მეორე მაგალითში: „башмак (ботинок и тормозное устройство) - инвариантное значение нельзя вывести“. ამიტომაც ისინი ომონიმებიაო.

არიან სიტყვები, რომელთაც მოექმნებათ ინვარიანტული მნიშვნელობა, მაგრამ ომონიმებს წარმოადგენენ. არის პირიქითაც. ამიტომ ეს მეთოდი მიუღებელია.

\* \* \*

ჩვენი აზრით, ჩემი მეთოდის თანახმად: ერთადერთ, სწორ და ყველაზე მისაღებ მეთოდს, პოლისემიისა და ომონიმების გამიჯვნისათვის, წარმოადგენს „ინტუიციის მეთოდი“.

ეხება რა, ბ.ნ. გოლოუინი საერთოდ, ზოგადად და არა კერძოდ ომონიმებისათვის „ინტუიციის მეთოდის“ გამოყენების სარგებლიანობას, წერს: „Если исключить из арсенала средств лексикографов это языковое чутьё, т.е. восприятие сознанием связей и соотношений в области лексических и грамматических значений, то мы и словари не сможем составлять. Исключение так называемого языкового чутья из числа средств лингвиста ставит под сомнение всю лингвистическую работу“.

რა სარგებლობას მოუტანს ენაში მიმდინარე ცვლილებების (რხევების) დაფიქსირება ლექსიკოგრაფიას და, კერძოდ, თვით ლექსიკოლოგიურ მეცნიერებას? „Ети колебания не так уж страшны для широкого круга читателей, а для языковеда – специалиста регистрация их, может быть, даже желательна, потому что наука будущего получит, таким образом, дополнительную

возможность исследования языка по отражению его в лексикографической практике.

И если в одних словарях омонимов будет больше, а в других меньше, то дело развития нашей науки и сам язык от этого не пострадают” (Б. Н. Головина).

„ინტუიციური მეთოდის“ მოძიება სხვა ცნობილი ენათმეცნიერნიც:

1). **А.В. Щерба:** „Этимологическое чутьё говорящих является действительным языковым фактором, обуславливающим узнавание морфем и слов как тождественных“.

2). **Л.Л. Кутина:** „Представление о тождестве слова основано на осознании смыслового единства слова во всех его значениях, которое в свою очередь основывается на ощущении говорящими живой связи между элементами его структуры, его значениями.

Отсюда вытекает, что реально существующими в современном языке могут считаться лишь те смысловые связи, которые воспринимаются этимологическим чутьём людей, говорящих на данном языке ...

Все исследователи, которым приходилось обращаться к оценке современного состояния языка в какой-либо области, к установлению того, что в нём реально в данную эпоху имеется, предполагали возможность субъективизма в своих оценках“.

3) **М.А. Бородина** „французские лексикологи более склонны решать вопрос об исторических омонимах субъективным определением степени разрыва семантических связей, не ища каких-либо более объективных критериев“ („Лексикографический сборник, 1960“, вып. IV. стр.78).

ზუსტად, ასეთივე აზრია გამოთქმული გერმანულ და ინგლისურ ენათა ომონიმების ლექსიკონებშიც.

\* \* \*

პოლისემიისა და ომონიმების განცალკევებისათვის მტკიცება უნდა დაეყრდნოს ინტუიციასა და დროს, – ეი ინტუიცია + დრო! როგორც გამომცდელს, შემოწმებულს. ინტუიციის მეთოდით მეცნიერების მრავალი დარგი ხელმძღვანელობს:

„ინტუიციის მეთოდს“ ყერდნობა, მაგალითად: ჩაის ნაყენის ხარისხის განსაზღვრა ტიტესტერის მიერ; მუსიკაში – ტონების, ნახევარტონების და, საერთოდ, მუსიკალური ბგერების აღქმა და შესრულება; ასევეა ფერწერაშიც; „ინტუიციური მეთოდი“ გამოყენებული მხატვრულ ტანვარჯიშშიც, ბალური სისტემით შეფასების დროს და სხვა.

იგივე „ინტუიციის მეთოდი“ უნდა გამოვიყენოთ პოლისემიური სიტყვების მიმართაც. მაგალითად: გაცურებული: 1. ცურვით გასული; ცურვით გასული გაღმა.

გაცურებული: 2. მოტყუებული.

როდესაც ამ სიტყვას ვხმარობთ მოტყუებულის მნიშვნელობით, არ წარმოგვიდგება გონებაში, წყალში ცურვა. ან, კიდევ:

დაუშვებს: 1. დაბლა დასწევს (ფარდას)

დაუშვებს: 2. წვიმას დაუშვებს.

დაუშვებს: 3. ნებას მისცემს, რომ დაესწროს.

დაუშვებს: 4. შესაძლებლად მიიჩნევს.

როდესაც ამ სიტყვას ერთ-ერთ მნიშვნელობით ვხმარობთ, დანარჩენ მნიშვნელობებს უგულვებელყოფით, ავტომატურად, მკვეთრად გამოიჯნულია სხვათაგან. მაგალითად, როდესაც ვამბობთ: „დეკანი სტუდენტს გამოცდებზე დაუშვებს“, მაშინ ჩვენ არც „წვიმა“ გვახსენდება, არც „ფარდის დაშება“ და არც „შესაძლებლობა“.

„ორ-ცნებიანი კომპოზიტი, მაგ. „ცის სარტყელა“ ერთ დროს ორი ცნების შემცველი, ანუ ორი სიტყვა იყო. დღეს ერთ-ცნებიანია, ერთი სიტყვაა. ამ სიტყვის წარმოქმნისას არც „ცა“ აგონდება კაცს და არც „სარტყელი“. იგივე ითქმის „ქინძისთავზე“, „თავისუფალზე“.

„ქინძისთავს, რომ ეამბობთ, არც „ქინძი“ გვაგონდება და არც „თავე“, არამედ ორივე ეს სიტყვა ერთი საგნის წარმოდგენას გვაძლევს“. (აკაკი შანიძე).

არისტოტელე (ძვ. წ. ა. 384-322) ამბობს: „ორმაგ სახელებში თითოეულ ნაწილს ჩვენ ხომ არ ვაძლევთ თავისთავადს მნიშვნელობას: მაგალითად, „თეოდორე“ სიტყვაში „დორე“-ს აქვს თავისთავადი მნიშვნელობა“.

შენიშვნა: „თეოდორე“, – „ღმერთი“ და „ნაწილარი“. არისტოტელეს აზრით: როცა ექვახით „თეოდორეს“, ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ის „ღვთის ნაწილარია“. (ა. სიხ.)

▪ ინტუიციონიზმი ფილოსოფიური მიმართულებაა, რომლის შემცნების მთავარი საშუალება არის ინტუიცია. იგი ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ჩაისახა და პოზიტივიზმი-საგან აზროვნების განთავისუფლებას მიეძღვნა. ინტუიცია უნდა მივიღოთ როგორც ინტელექტუალური ცოდნა, ანუ გონებით განჭვრეტა და არა როგორც ინსტინქტი. „შემცნების ყოველი ეტაპი ლოგიკურად და ფაქტობრივად ყოველთვის დასაბუთების გზით არ ხორციელდება. ხშირად სუბიექტი იჩენს სიტუაციის აზრობრივი წვდომის უნარს, რაც წინასწარხედვაში ვლინდება“. (ქსე)

▪ ინტუიცია ფართოდ გამოიყენება თვით ისეთ სუსტ მეცნიერებაში, როგორცაა მათემატიკა. მეტიც: არსებობს მათემატიკის დარგი – ინტუიციონიზმი, რომლის თანახმად მათემატიკის კვლევის საგანია ადამიანის აზროვნების კონსტრუქციები, ხოლო მათი სიზუსტის ერთადერთი სასომია ინტუიცია!

▪ ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის ბერძენი ფილოსოფოსი ეპიკურე (ძვ.წ.ა. 341-270) ამბობდა: „ცოდნა შეგრძნებებსა აგებულა. ჭეშმარიტების სასომიც შეგრძნებებია. შეცდომა მსჯელობებში დაიშვება. ცნება ერთეულთათვის საერთო შეგრძნებებით დადგინდება“.

▪ მეცნიერებაში, რომ ინტუიციას გადააწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამას თუნდაც მე-19-ე საუკუნის მეცნიერების დიდი კლასიკოსის ჟან ფრანსუა შამპოლიონის (1790-1832, ფრანგი ისტორიკოსი, ეგვიპტოლოგიის ფუძემდებელი) მაგალითიც კმარა, რომელმაც სწორედ ინტუიციის შედეგად წაიკითხა 6 000 წლის წინათ შექმნილი ეგვიპტური ანბანი. ეს იყო ინტუიციის შედეგად მიღებული გენიალური აღმოჩენა. მანამდე კი ფიქრობდნენ, რომ აღნიშნული დამწერლობის ამოცნობა აღემატებოდა თანამედროვე ადამიანის გონების უნარს.

▪ „ყოველი მეცნიერება უნდა იყოს აგებული მათემატიკურ ყაიდასე. ყოველმა მეცნიერებამ უნდა მიმართოს გონების ორ მოქმედებას: ინტუიციასა და დედუქციას.

ინტუიცია არის გონების მიერ რაიმე ვითარების უშუალო წვდომა, ის გამორიცხავს ყოველგვარ ეჭვს. ინტუიციის საშუალებით მიღებული დებულება ცხადი და გარკვეულია. ეს ორი ნიშანი ჭეშმარიტების კრიტერიუმი. მთავარია ამოსავალი საწყისი დებულება იყოს მოძებნილი აზროვნებით. ამოსავალი დებულება ინტელექტუალური ინტუიციის შედეგი უნდა იყოს. ინტელექტუალური ინტუიცია არის ადამიანის აზროვნების ჩვეულებრივი უნარი“. (რენე დეკარტი, 1596-1650, ფრანგი ფილოსოფოსი და მეცნიერი, ანალიზური გეომეტრიის ფუძემდებელი).

▪ მეცნიერების ნებისმიერ დარგში ემპირიული გამოკვლევები, ადამიანის გამოცდილება, გარეშე სამყაროს აღქმა, გრძობის ორგანოების საშუალებით, უდევს საფუძვლად თეორიული მეცნიერების შემდგომ განვითარებას. ემპირიული გამოკვლევა, ემპირიული ფორმულები თავის მხრივ ემყარება, რაღაც ინტუიციურ წესებს (პოსტულატებს), რომელიც მხოლოდ ავტორისეულია.

▪ პოლისემიური სიტყვების მნიშვნელობებს შორის სემანტიკური კავშირის გაწყვეტის ხარისხის დასადგენად, როგორც აღენიშნეთ, საჭიროა გამოყენებული იქნას ინტუიცი-

ური მეთოდი. მართალია ინტუიციური მეთოდი, ყოველი ინდივიდისადმი ინდივიდუალურია, ინდივიდზე არის დამოკიდებული, მაგრამ ეს არაერთარ საშიშროებას არ წარმოადგენს ჭეშმარიტების დასადგენად. პირიქით, ჭეშმარიტებას ძალზედ უახლოვდება. რაც უფრო მეტნი იქნებიან ასეთი ინდივიდები, მით მეტად დახვეწილ და ჭეშმარიტ ომონიმების ლექსიკონს მივიღებთ საბოლოოდ. ანდა, როგორც მ. ა. ბოროდინა ამბობს: „Французские лексикологи более склонны решать вопрос об исторических омонимах субъективным определением степени разрыва семантических связей, не ища каких-либо более объективных критериев.“

ან, როგორც ბ. ნ. გოლოვინი იტყვია: ინტუიციური მეთოდის გამოყენების შედეგად, „Если в одних словарях омонимов будет больше, а в других меньше, то дело развития нашей науки и сам язык от этого не пострадают“.

აქ, შეგვიძლია წერტილი დაესვათ და დავისვენოთ. აქ, საკმაო საბუთები და მოსასწავლებელია მოტანილი, რომლებიც აბათილებენ აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავასა და მისი ჯგუფის მცდარ წარმოდგენას ომონიმებზე.

P. S. ომონიმები ყველა ენისათვის ბუნებრივი მოვლენაა. ზოგი ამას დადებით მოვლენად აფასებს, ზოგი კი, უარყოფითად. მოგვაქვს რამდენიმე თვალსაზრისი:

1) დიდი ინგლისელი პოეტი და ფილოლოგის რობერტ ბრიჯის თვალსაზრისით, ომონიმები არის: „ბოროტება“, „ბოროტების წყარო“, „დიდი სიბოროტე“, „უბედურება“, „ფათერაკი“, „ენის გამაღარიბებელი“.

2) დღემდე, ომონიმები მიაჩნდათ ენის უარყოფით თვისებად, ენის ნაკლად. ომონიმების დაწერილებითმა შესწავლამ და ანალიზმა ცხადყო: „Омонимия – закономерное явление в языке (В. В. Виноградов), пронизывающее все звенья языковой структуры (Ю. С. Маслов), Лексику (О. С. Ахманова), морфологию (В. В. Виноградов), словообразование (А. Н. Тихонов, П. А. Соболева, Е. Л. Гинзоург), Синтаксис (Н. П. Колесников)“. (О. М. Ким, „Транспозиция на уровне частей речи и явление омонимии в современном русском языке“, 1978).

3) „ომონიმები, როგორც სიტყვათა თავისებური თამაში, ტროპული მოვლენაა, მხატვრული გამომსახველობითი ხერხია“. (ქსე).

## პოლისემიისა და ომონიმების აღრევა ლექსიკონებში

ერთი და იგივე სიტყვები, მკვლევართა ერთ ჯგუფს ომონიმებად მიაჩნიათ, ხოლო მეორეს, კი, პირიქითი პოლისემიურად ესახებათ. ასე, მაგალითად, თანამედროვე რუსული სალიტერატურო ენის ჩეიდმეტრომანი ლექსიკონის შემდგენლები ვარაუდობენ:

- Титан:** 1. (მით.) ტიტანები – ურანოსის (ცის) და გეას (მიწის) შვილები.  
2. დიდი, გოლიათი.  
3. ქიმიური ელემენტი.  
4. პლანეტა სატურნის თანამგზავრი.

და,

- Журавль:** 1. წერო.  
2. ოწინარი ჭისა.

ომონიმებია, ხოლო:

- Тимпан:** 1. (მუს.) ბობლანი, დაფი.  
2. კედელი თაღსა და გადახურვას შორის.

და,

**Стопа :** 1. (ანატ.) ტერფი, – ადამიანის ან ცხოველის ფეხის ძირი. (плоская стопа - ბრტყელი ტერფი).

**Стопа :** 2. (ლიტ.) ხალექსო სტრიქონის მარცვალთა ჯგუფი. (трёхсложная стопа. – სამმარცველიანი ტერფი).

**Стопа :** 3. დასტა, ოსმა (ქაღალდის ზომა). на столе лежали стопы книг, - (მაგიდაზე დასტა-დასტა ელაგა წიგნები).

**Стопа :** 4. სასმისი (серебряная стопа, - ვერცხლის სასმისი).

პოლისემიური სიტყვებია.

რუსული ენის ოთხტომიანი ლექსიკონის შემდგენლები კი პირუქუ ფიქრობენ: *Титан, Журавль* პოლისემიური სიტყვებია, ხოლო *Тимпан, Стопа* კი – ომონიმებია. (იხ. *Н. Н. Колесников, 'Словарь омонимов русского языка', 13 стр.*)

ასევეა სხვა ავტორებთანაც, მაგალითად: ვ. ვ. ენოგრაფოვს და პ. ა. სობოლევს მაინათ, რომ: *шагун* (техническое приспособление и человек); *болтун* (яйцо и болтливый человек); *восстановитель* (вещество и строитель), პოლისემიური სიტყვებია, ხოლო ო.ს. ახმანოვას, ან. ტიხონოვასა და კომს, ეს სიტყვები ომონიმებად წარმოუდგენიათ.

\* \* \*

91

ასეთივე აღრევას აქვს ადგილი ქველ-შიც („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“).

ბიძინა ფონხუას მიხედვით („ქართული ენის ლექსიკოლოგია“), სიტყვა „ბეჭი“ (1. ადამიანის ბრტყელი, სამკუთხიანი ძვალი მხარს ქვევით ზურგზე. 2. საქსოვი იარაღი საეარცხელივით დაკბილული, ქსელზე ზედას ჩასაბეჭდავად), „იმიტომია პოლისემიური, რომ საერთო ენაში ოდინდელ საერთო-ენობრივ მნიშვნელობას გვერდით ამოუდგა ფეიქართა შორის გაერცელებული მნიშვნელობა ამავე სიტყვისა“.

ეს სიტყვები, „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ჩათვლილია ომონიმებად და, სრულიად სამართლიანადაც. ეს სიტყვები მართლაც ომონიმებია, რადგან „ბეჭი“, როგორც საქსოვი იარაღი წარმოდგება „ბეჭედისაგან“, და დაბეჭედისაგან, დამაგრებისა და დატკეპნის მნიშვნელობით. მას არავითარი საერთო არ აქვს სიტყვა „ბეჭთან“, ბეჭის ძვალთან.

ამის დამადასტურებელია სიტყვა „ბეჭვა“, – ყაერის დასახდელი იარაღი, რომელიც როგორც, ცვლის ფორმისაა და, რომლითაც ხდება ყაერის „დაბეჭვა“, – დატვიფერა, ყაერის დახდა (აჭარაში ასე იტყვიან: ყაერი დაებეჭე; ყაერი დაეხადეო). ამ იარაღის ფორმას, მის დანიშნულებასა და მის სემანტიკას არავითარი საერთო არ გააჩნია „ბეჭთან“ (ძვალთან).

ამასვე ადასტურებს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონიც: „ბეჭი (ჩაბეჭა, – ქსელის ჩაკერა)“.

ამასვე ადასტურებს ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონიც: „ბეჭვა (ებეჭაე) ჩაბეჭვა, ქსოვაში ჩაკერა“ და მითითებული აქვს „ეფუხისტიკოსანი“ 789.

ეტიმოლოგიურად, ამასვე შეგვიძლია დაუკავშიროთ სიტყვა „ბეჭედი: მოტრილი ღერბსა ზედა სახელი ვისიმე, რომელსაც დაასმენ სიგელთა ზედა და მოწირობათა, ხოლო მოწერილობათა დასტევიფრვენ მის მიერ გარედამ“ (ნ. ჩუბინაშვილი).

შეუადართ ერთმანეთს ქველი-ს პირველი გამოცემის რვატომეული და „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი,“-ს ერთტომეული.

1) ქველი-ს ერთტომეულში შეტანილი სიტყვები:

ადგება: 1. 'ზე აიმართება და ფეხზე დადგება; ამოვარდება (ქარი)

ადგება: 2. დაადგება, შეადგება (ფეხებით მხრებზე); მიადგება, მოადგება (ნავი ნაპირს).



ომონიმებს წარმოადგენს. ხოლო, იგივე სიტყვები ქველი-ს რეატიომეულში, პოლისემიურ სიტყვებად არის მისწველი.

ასეთივეა: აბურტყავს, ადგება, ათევს და ა.შ. ახამებს, ფშანი, ჩახხმული, ჩინური, წაგება, შექსხმება და ა.შ. მრავალი.

2) ქველი-ს რეატიომეულში შეტანილი სიტყვები:

აბნევა: 1. აბნევა მისი (ან მისთვის).

აბნევა: 2. აეგება, გაეყრება (ძაფი ნემსში).

ომონიმებს წარმოადგენენ. ხოლო,

ქველი-ს ერთომეულში, პოლისემიურ სიტყვებად არის წარმოადგენილი.

ასეთივეა: ახსნის, აჯაერებს, აჯობებს და ა.შ. ყენა, შვენოხა, შევერება, ჭოჭი და ა.შ. მრავალი.

3) ქველი-ს რეატიომეულში შეტანილი სიტყვები: აახამს, აგება, აგზაენის, ადენა, ავანგი, ავარიული, ავალი, აკეხებს, აკელეენებს, ალურსი, ალვა, ამოგებული, ამოუსვამს, ამჩნევს, ანგალა და ა.შ. მრავალი, ომონიმური სიტყვებია. ხოლო, ქველი-ს ერთომეულში ამ ომონიმებს წამოშორებული აქვს მეწვეილე სიტყვები და, ომონიმებსაც ადგილი აღარ აქვს. ომონიმები გაქრა.

როგორც „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი,-ს რეატიომეულში აგრეთვე, ერთომეულში, უამრავი სხვა სახის აღრეუბია დაშეებული.

რეატიომეულში მოტანილი ომონიმების განსასაღვრის თანახმად: ომონიმები უნდა იყეს სხვადასხვა წარმოშობის; უნდა ჰქონდეთ ერთნაირი პარადიგმები; უნდა მიეკუთვნებოდეს მეტყველების ერთსა და იმავე ნაწილს.

1) თუ ეს ასეა, მაშინ რატომღაა შეტანილი რეატიომეულსა და ერთომეულში ომონიმებად:

გაასაღებს: 1. გაყიდის.

გაასაღებს: 2. საღს გახდის, – გააჯანმრთელებს, გააჯანსაღებს.

იმ დროს, როდესაც ისინი ერთსა და იმავე „საღ“ ძირისაგან არიან წარმოქმნილი?

2) მაშ, რატომღაა შეტანილი რეატიომეულსა და ერთომეულში ომონიმებად:

სანდალი: 1. მომცრო ნავი.

სანდალი: 2. მსუბუქი სასაფხულო ფეხსაცმელი.

„სანდალი“, – მსუბუქი ხის ფიშია, რომლისაგანაც ამსაღებენ ნავსაც და სასაფხულო მსუბუქ ფეხსაცმელსაც. ასე, რომ „სანდალი,-ს ამ მნიშვნელობებს საერთო წარმოშობა აქვთ! ნავსაცა და ფეხსაცმელსაც ხის სახელის მიხედვით აქვთ მიკუთვნებული სახელი. და ა.შ. მრავალი სხვა.

3) მაშ, რატომ არის შეტანილი რეატიომეულსა და ერთომეულში ომონიმებად:

გავა: 1. აქედან იქით ან შიგნიდან გარეთ წავა; გაემართება.

გავა: 2. „ცხოველთა წელს უკანანი“ (საბა).

რომლებიც მეტყველების სხვადასხვა ნაწილებს განეკუთვნებიან?

4) მაშ, რატომ არის შეტანილი რეატიომეულსა და ერთომეულში ომონიმებად:

აბნევა: 1. ფანტავს.

აბნევა: 2. უყრის (ძაფს ნემსში).

რომლებიც მეტყველების ერთი და იმავე ნაწილებს მიეკუთვნება, მაგრამ არ აქვთ ერთნაირი პარადიგმა.

5) მაშ, რატომ არის შეტანილი ქველში ომონიმებად სხვადასხვა მნიშვნელობის სმნები:

აკლებინებს: 1. აიძულებს დაუკლოს, დააკლოს, – ამცირებინებს.

**აკლებინებს:** 2. ავალებს აიკლოს, – აწიოკებინებს, აოხრებინებს.

რომლებიც უმნიშვნითაა განპირობებული? და ა.შ.

უამრავი სხვა ტიპის აღრევასაც აქვს ადგილი!

მაგალითად:

ა). ქეგლი-ს როგორც რვატომეულში, ასევე ერთტომეულშიც, ერთნაირად არის განმარტებული:

**კაპუეტი:** 1. მტაცებელი ფრინველი, – მიმინო.

**კაპუეტი:** 2. მტკნარი წყლის თევზი ერთგვარი.

არცერთ გამოცემაში არ არის შეტანილი „კაპუეტის“ გადატანითი მნიშვნელობა: (ავი, ანჩხლი; მიუკარებელი, აყალ-მაყალის ამტეხი).

არა და, კაპუეტის პირველი მნიშვნელობა (მიმინო), არაეის ახსოვს და სწორედ მისი გადატანითი მნიშვნელობა (ავი, ანჩხლი...), არის დამკვიდრებული. ამდენად უნდა გვეკონდეს ომონიშები:

**კაპუეტი:** 1. მტაცებელი ფრინველი, – მიმინო.

**კაპუეტი:** 2. ავი, ანჩხლი; მიუკარებელი, აყალ-მაყალის ამტეხი.

**კაპუეტი:** 3. მტკნარი წყლის თევზი ერთგვარი.

ბ). ქეგლი-ს როგორც რვატომეულში, ასევე ერთტომეულში, ერთნაირად არის განმარტებული:

**მესვეური:** 1. მკაში, თოხნასა და მისთანებში – მეთაური მუშა, რომელსაც მისდევენ დანარჩენები.

2. (წიგნ.) წინამძღოლი, მეთაური.

და, პოლისემიურ სიტყვებად არის მიჩნეული. სინამდვილეში, ამ სიტყვის პირველი მნიშვნელობა, დღეს ადარავის ახსოვს, მივიწყებულია. ხმარობენ მხოლოდ მეორე მნიშვნელობით, ამიტომაც ეს სიტყვები ომონიშებია და, არა პოლისემიური. ამდენად გვაქვს:

**მესვეური:** 1. მკაში, თოხნასა და მისთანებში – მეთაური მუშა, რომელსაც მისდევენ დანარჩენები.

**მესვეური:** 2. წინამძღოლი, მეთაური.

გ). ქეგლი-ს როგორც რვატომეულში, ასევე ერთტომეულში, ერთნაირად არის განმარტებული:

**აღორძინება:** სახელი აღორძინებს, აღორძინდება უმნათა მოქმედებისა, – აყვავება, გაფურჩქნა, განახლება; აღდგენა. რომლებიც სიტყვის ერთ მნიშვნელობადაა მიჩნეული. სინამდვილეში, თავდაპირველად სიტყვა „აღორძინება“ ნიშნავდა მცენარის აღმოცენებას, ზრდა-განვითარებას. სხვა მნიშვნელობა ამ სიტყვას არ გააჩნდა. დროთა განმავლობაში ამ სიტყვამ განიცადა ცვლილება და მივიღეთ-ის მნიშვნელობა, რომელიც ზემოთ არის მოტანილი. ამდენად, ვდებულობთ ომონიშებს:

**აღორძინება:** 1. სახელი აღორძინებს, აღორძინდება უმნათა მოქმედებისა, – აყვავება, გაფურჩქნა, განახლება; აღდგენა.

**აღორძინება:** 2. მცენარის აღმოცენება, ზრდა-განვითარება.

და ა.შ. მრავალი!

\* \* \*

ახლა ხან გამოვიდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი,-ს მეორე, შეესებულ გამოცემის პირველი ტომი, პროფესორ ავთანდილ არაბულის საერთო რედაქტორობით. ახალი გამოცემის პირველი ტომი შეიცავს „ა“ და „ბ“ ასოებს და წყვეტულ სიტყვებს და რაოდენობრივი თვალსაზრისით სამი ათასი ლექსიკური ერთეულით აღემატება

პირველი გამოცემის პირველი ტომის სიტყვათა რაოდენობას.

პოლიგრაფიულად და სასტამბო შრიფტის მიხედვითაც ძალზედ კარგი გამოცემაა.

ამ დროში, როცა ყოველგვარ ქართულს აკნინებენ, სპობენ და ანადგურებენ. როცა, უაღრესად მწიგნობარი ერი უწიგნური უნდათ წარმოაჩინონ. როცა, უპველესი კულტურული ერის კულტურა უნდათ ღაფში ამოსეარონ. როცა, როგორც შინაური, ასევე გარეული მტრები, ქანდარასე შემომჯდარნი, ქართველთა საზიანოდ გაჰკივიან, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი,-ს ახალი გამოცემა, გამირობის ტოლფასია!

„შაბაშ კაცი, შაბაშ სიტყვა, შაბაშ საქმე მისგან ქმნული“.

შაბაშ!

ვაშა! ყოჩაღ! ბარაქაღა!

ნუ ეწყინებათ ჩემს კეთილ მეგობრებს თუ, ომონიმების საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე შენიშვნას გაეაკეთებ.

იცით რატომ?

„ხომ ღამაზია ეს ჩემი ცოლი, მაგრამ მე უფრო ღამაზი მინდა“.

შეუადაროთ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი,-ს პირველი და მეორე გამოცემის ტექსტები ერთმანეთს .

1) ქეგლი-ს პირველი გამოცემის პოლისემიური სიტყვები, მეორე გამოცემაში ომონიმებად არის წარმოდგენილი, მაგალითად:

ქეგლი-ს პირველ გამოცემაში:

ასახსნელი: 1. რაც უნდა აიხსნას ან რაც შეიძლება აიხსნას („სარქველი ადვილი ასახსნელი იყო“.)

2. განსამარტავე („ასახსნელი იყო შემდეგი საკითხები...“)

პოლისემიური სიტყვებია, ხოლო მეორე გამოცემის მიხედვით კი, ომონიმებს წარმოდგენენ. რაც, სწორზე სწორია!

ასეთივე სიტყვებია: ააქნევენებს, აბარებს, აბრალებს, აბუებული, აგონებს, ადგება, ადგენს, აეხსნება, აზაფებს, აზარებს, აზღვევენებს, ათავსებს, ათეთრებს, ათხოვებს, აიკრავს, აიწვეს, აკერა, აიჭრება, აიხსნება, აკვეთინებს, აკერა, აკერევენებს, აკითხვენებს, ალესვენებს, ასახლებს, ასახსნელი, ასვენებს, აუხსნის, ამალღება, ამოგდება, ამოლესავს, ამოწმებს, ამოჭრილი, ამტანი.

2) ქეგლი-ს პირველი გამოცემის ომონიმები, მეორე გამოცემაში პოლისემიურად არის წარმოდგენილი.

ქეგლი-ს პირველ გამოცემაში:

აფრინდება: 1. ფრენით მადლა ავა.

აფრინდება: 2. ფრენით მიაშურებს. ხელს ჩასჭიდებს, ჩააფლებს, ჩაბლუჯებს.

ომონიმური სიტყვებია, ხოლო მეორე გამოცემის მიხედვით კი, პოლისემიურ სიტყვებს წარმოადგენენ. რაც, არ არის სწორი!

ასეთივე სიტყვებია: აფხეკს, აჩაჩა, აცვივდება, ახტება, ბეკნა, და ა.შ.

3) ქეგლი-ს პირველი გამოცემის ცალფა სიტყვებს დამატებული აქვს ერთნაირი მჟღერი სიტყვის სხვა მნიშვნელობები და წარმოდგენილია ომონიმებად. მაგალითად: პირველ გამოცემაში:

აბმა: სახელი ააბამს, აუბამს. ზმნათა მოქმედებისა (თვალის ახვევა, სინამდვილის სწორად დაუნახველობა).

ხოლო ქეგლი-ს მეორე გამოცემაში ეღებულობი:

აბმა: 1. სახელი ააბამს, აუბამს ზმნათა მოქმედებისა.

აბმა: 2. აბმულა, აცმულა (მაგ. ერთი აბმა ჩირი ჩამოჰკიდა).

საკითხისადმი ასეთი მიდგომა სწორია!

ასეთივე სიტყვებია: აჟური. არჯიანი, ასატეხი, ათავსებინებს, ათავსებს, ათაყვანებს, აიგება, აიძულებს, ამოთქმა. ამოეხოცება. ამოკვრა, ამოლესვა, ამოლესვა, ამოლესვა, ამოლესვა. ამოშლის, ამტეხი, ამტყდარი, ანაცერი, და ა.შ.

4) ქეგლი-ს პირველი გამოცემის ომონიმებს ჩამოცილებული აქვს მეწყვილე და, დაკარგულია ომონიმები. მაგალითად:

პირველ გამოცემაში:

აერეზი: 1. უნაყოფო („სულ მატირა ჩემი დღენი, არასოდეს არ მამღერა, ვით ბოლოკი, მქნა აერეზი, ამანოყა, ამალერა,“) (დავით გურამიშვილი).

აერეზი: 2. „ღვინის საწურავი“ (საბა).

ქეგლი-ს მეორე გამოცემაში, ომონიმის პირველი ცალი მხედველობაში არ არის გათვალისწინებული და, მივიღეთ:

აერეზი: „ღვინის საწურავი“ (საბა).

საკითხისადმი ასეთი მიდგომა არასწორია!

ასეთივე სიტყვებია: ალერსი, ავარიული, ბორაყი, ბოლი, ბეჭა, ბურიო, ბუა, ბუერა, ბულკი, ბულულა, ბუნდი, ბაჟე, აელი.

5) ქეგლი-ს ახალი გამოცემის პირველ ტომში შეტანილი სიტყვები: აგენტი, აერთნი, ალაფი (მეორე მნიშვნელობა), ალო, ბუნდი, ავლანი, ანათლებს (პირველი მნიშვნელობა).

პოლისემიურ სიტყვებად არის მიჩნეული, სინამდვილეში ისინი ომონიმებია.

6) ქეგლი-ს პირველი გამოცემის ზოგიერთი პოლისემიური სიტყვები, ქეგლი-ს მეორე გამოცემაში სხვადასხვანაირად არის გადაჯგუფებული ომონიმებად. მაგ. ქეგლი-ს პირველ გამოცემაში, სიტყვას „აიტანს“ ოთხი პოლისემიური სიტყვით არის წარმოდგენილი. ქეგლი-ს მეორე გამოცემაში ეს პოლისემიური სიტყვები ორ ომონიმურ ბუდეშია გადაჯგუფებული ე.ი. განცალკევებულია. ასეთივე სიტყვებია: ამუშავებს, ამოგება, ამოგებული და ა.შ.

7) კარგი იქნებოდა თუ, ქეგლი-ს ახალ გამოცემაში შეტანილ ცალფა სიტყვებს დამმატებოდა ჩემს წიგნში მოტანილი ომონიმები (ავთანდილ სიხარულიძე, „ქართული ენის ომონიმთა ლექსიკონი“ რედაქტორი პროფესორი ზურაბ სარჯველაძე, თბილისი, 1992წ.) მაგ. არის:

აბა: 1. (ნაწილ.) სხვადასხვა კონტექსტში აღნიშნავს: 1. მოწოდება – შეგულება – წაქეშებას. 2. დამუქრებას. 3. კითხვას; გაკვირება-გაოცებას. 4. დასტურს. 5. დასკვნას. 6. დანაწილებას; (არა, შენც არ მომიკედე!).

მას დამმატებოდა:

აბა: 2. წამოსასხამი (ა. ნეიმ.)

აბა: 3. მამა (ი. იმნ.)

აბა: 4. წინამძღოლი (ზ. სარჯ.).

არის:

აბეზხარი: 1. მოუვლევლობით ნახევრად გადამხმარი, გამეჩხერებული, გაპარტახებული (ვენახი, ბაღი).

დამმატებოდა:

აბეზხარი: 2. (ქიზიყ.) მოსულელო (ს. მენთეშ).

არის:

აბზინდა: 1. სამკურნალო ბალახი, მონაცრისფრო, ბუსუსიანი, ყოთლებდანაკეთული.

დამმატებოდა:

აბზინდა: 2. ლითონისენიანი შესაკრავი ქაშისა, ცხენის მოსართავისა და მისთანათა.

არის:

არაკი: 1. ზღაპრული შინაარსის იგავი, იგავ-არაკი. (გადატ.) ტყუილი, მოგონილი ამბავი.

დამმატებოდა:

არაკი: 2. „ნედლი ცერცვი“ (საბა).

არაკი: 3. რალაც საშენი მასალაა (ი. აბ.).

არის:

ბაკანი: 1. კუს ზურგის რქოვანა ფარი. ხის ჯამი. სამზარეულოს ონკანის ქვეშ დამონტაჟებული ფაიფურის ან ლითონის აესი.

დამმატებოდა:

ბაკანი: 2. საწყაო (ოთხი ბაკანი ერთი ფუთია).

ბაკანი: 3. ერთგვარი ლაქის საღებავი (მ. ჭაბ.).

ასეთივე მდგომარეობაშია სხვა სიტყვებიც: აგარაკი, აღონისი, ავანგი, ავრეზი, აკვანი, ალაგი, ალაგი, ალათი, ალატი, აღერსი, აღია, აღიონი, აღო, ამან, ამანი, ამარი, ამლაკი, ანლაგი, აპაში, არდადეგი, არია, არწივი, არჯალი, ასი, ასპიდი, აჯამი, ბანდი, ბუჟუჟი, ბუწი. და ა.შ. მრავალი.

8) კარგი იქნებოდა თუ ქეგლი-ს ახალ გამოცემულ ლექსიკონში შემავალ ომონიმებს დამატებოდა სხვა მნიშვნელობები ჩემი წიგნიდან. მაგ.

არის:

ალა: 1. წისქვილის ნაწილი, რომელშიც ფქვილი ჩამოდის

ალა: 2. „მთოვარის პირის ლიბრი“. ლაქები მთვარის სუდაპირზე.

ალა: 3. „სიგრძესუდ ამართული“ (საბა).

დაემატოს:

ალა: 4. იგივეა, რაც – „ცეცხლის ანადენი“.

ალა: 5. ალახი, ღმერთი არაბულად (დ. ჩუბინ).

ალა: 6. (არქიტ.) დამხმარე სათავესი ძველ რომაულ სახლში.

არის:

ბარი: 1. დაბლობი, ეაკიანი ადგილი...

ბარი: 2. ბრტყელი წვერმახვილი რკინის იარაღი, ხის ტოტზე დაგებული

ბარი: 3. მტაცებელი ფრინველი შევარდნების ჯგუფისა, – რუხი ფერისა; ტანად დიდი.

ბარი: 4. პატარა რესტორანი, სადაც ჩვეულებისამებრ, დგომელა შეექცევიან საჭმელ-სასმელს.

ბარი: 5. ატიმოსფერული წნევის საზომი ერთეული.

დაემატოს:

ბარი: 6. „ცხელი ქვეყანა“ (საბა).

ბარი: 7. (თუშ.) „საქონლის ნაწლაგებისა და ფილტვებს დასტრიან სიგრძესუ და ერთად დაწნავენ, მერე ჩაყრიან ადუღებულ წყალში და მოკანძავენ; ცოტა ხნის შემდეგ ამოიღებენ, დაამარილებენ, გააშრობენ მსუსუ და სასამთროდ ინახავენ“ (პ. ხუბ.).

ბარი: 8. საბურღი მანქანისა და სამთო კომბაინის მუშა ნაწილი (მ.ჭაბ.).

ბარი: 9. თავდაპირველად შემოსასუდერული ადგილი (დგამი) სასამართლო დარბაზში, რომლის უკან დგას მოსამართლე.

**ბარი: 10.** (ფრ.) ზღვის ფსკერზე ნაპირთან ახლოს მდებარე კვალი, რომელიც წარმოიქმნება ნარიყისგან, როგორც წესი, მდინარის კალაპოტიდან მცირე მანძილზე.

ასეთივე მდგომარეობაშია სხვა სიტყვებიც: ამბარი, ანგარი, ასმა, აშარული, ბაზი, ბაკი, ბაია, ბებერა, ბერა, ბორჯი, ბოყვი და ა.შ. მრავალი სხვა.

შეიძლება აქ შეეწყვიტოთ და დაეასრულოთ.

**P.S.** აღნიშნული შენიშვნები ადვილად გამოსასწორებელია, თუ ქველი-ს ახალი გამოცემის დამთავრების შემდეგ, დანართის სახით დაემატება: „კომენტარები და შენიშვნები“.

## ომონიმების განსაზღვრა

;

შემოთქმული მოსასრებებისა და გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ომონიმების ახლებური განმარტება:

**სალექსიკონო ფორმით წარმოდგენილ სიტყვებს, რომლებთაც აქვთ ერთნაირი უღერადობა, არიან სხვადასხვა წარმომავლობის, ან აქვთ საერთო წარმომავლობა მაგრამ, დროთა განმავლობაში შინაარსის მიხედვით დიდად დაშორდნენ ერთმანეთს, – ლექსიკური ომონიმები ეწოდება.**

1) სიტყვების „სალექსიკონო ფორმით“ წარმოდგენის მოთხოვნის შეტანა ომონიმების განსაზღვრაში აუცილებელია, რათა განვასხვაოთ ლექსიკური და ე. წ. „ცრუ“ ომონიმები.

მაგალითად არის თუ არა ლექსიკური ომონიმები:

**ვარდები:** 1. ვარდი, ეკლიანი ბუჩქის ყვავილი (მრავლობით რიცხვში).

**ვარდები:** 2. ძირს ვეცემი.

მათ ხომ აქვთ, ერთნაირი უღერადობა, აქვთ სხვადასხვა წარმომავლობა და განსხვავდებიან შინაარსითაც?!

**განსაზღვრა** მოითხოვს: ისინი უნდა დალაგდნენ სალექსიკონო ფორმით.

ამ სიტყვების სალექსიკონო ფორმით დალაგების (წარმოდგენის) შემდეგ გვექნება:

**ვარდი,** – ეკლიანი ბუჩქის ყვავილი.

**ვარდება,** – დავარდება (ძირს დაეცემა).

ე.ი. არ არიან ლექსიკური ომონიმები, რადგანაც არ აქვთ ერთნაირი ბგერადობა.

2) არის თუ არა ომონიმები:

**წელი:** 1. ადამიანის სხეულის ნაწილი.

**წელი:** 2. დრო (თორმეტი თვე ერთი წელი).

ისინი წარმოდგენილნი არიან სალექსიკონო ფორმით, გაანალიზებულნი ერთნაირი ბგერადობა, არიან განსხვავებული მნიშვნელობის, მაგრამ მათ სხვადასხვა პარადიგმები გააჩნიათ?

**გპასუხობთ:** ჩაუკვირდით ომონიმების განსაზღვრას, განა იგი გზღუდავთ ამ მხრივ რაიმეთი? არა!

**მაშასადამე:** ლექსიკური ომონიმების წყვილს შეიძლება ჰქონდეთ ან არ ჰქონდეთ ერთნაირი პარადიგმები.

3) არის თუ არა ომონიმები:

**არა:** 1. უარყოფითი სიტყვა.

**არა:** 2. სოლისებურ ბოლოიანი თუთიყუში.

რადგან ისინი მეტყველების სხვადასხვა ნაწილებს განეკუთვნებიან?

**გპასუხობთ:** ამ შემთხვევაშიც ომონიმების მოცემული განსაზღვრა თქვენ არ გსულადავთ.

მაშასადამე: ლექსიკური ომონიმების ერთეულები შეიძლება მიეკუთვნებოდეს ან არ მიეკუთვნებოდეს მეტყველების ერთი და იმავე ნაწილს. და ა.შ.

4) არისტოტელეს დროიდან კი არა, არამედ უფრო ადრეც, პლატონის დროიდან მოყოლებული, ომონიმების განსაზღვრაში აქცენტი უღერადობაზე იყო გადატანილი. ისინი ომონიმებს განსაზღვრავდნენ, როგორც „ერთნაირად მჟღერი“ სიტყვები. ამდენად, მათთვის, ომონიმები „ერთნაირად მჟღერი“ სიტყვებია!

დიდი დროის შემდეგ, ომონიმების განსაზღვრას მიუმატეს „ერთნაირი დაწერილობა“. ე.ი. ომონიმები „ერთნაირი უღერადობისა“ და „ერთნაირი დაწერილობის“ სიტყვებია. შემდეგ გაახსენდათ, რომ ერთნაირად დაწერილი სიტყვები შეიძლება სხვადასხვანაირად უღერდეს, და, ასეთი სიტყვებიც მაინც ომონიმებად ჩათვალეს.

ამდენად, ბერძნებს (აგრეთვე სხვებსაც), ომონიმებად მიანდათ: ერთნაირად მჟღერი და ერთნაირი დაწერილობის ან, ართნაირად მჟღერი მაგრამ სხვადასხვა დაწერილობის, ან ერთნაირი დაწერილობისა და სხვადასხვა უღერადობის სიტყვები.

მათ მიერ მოტანილ მაგალითებში, ომონიმების გვერდით თანაბრად დგას პოლისემიური სიტყვები, რომლებსაც აგრეთვე ომონიმებად მიიჩნევდნენ.

ქართული ენისათვის, ომონიმების ჩვენს მიერ მოცემულ განსაზღვრებაში უნდა შეგვეტანა თუ არა „ერთნაირი უღერადობა“ და „ერთნაირი დაწერილობა„?

ეს იქნებოდა ქართული ენისათვის უდიდესი შეურაცხყოფა!

შეურაცხყოფა იმ ენისათვის, რომელიც ღვთის მიერ არის შექმნილი, რომელიც არის „უმეტეს სხვათა ენათა“... „შემკული და კურთხეული სახელითა უყლისათა“... რომელიც შენახული „არს... დღემდე მეორედ მოსელისა მესიისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“... „რამეთუ ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“... „და იტყვის ყოველად ოთხ ათასს მარაგსა“.

შეურაცხყოფელია, რადგან ქართულ ენაში, როგორც იწერება ასევე იკითხება და პირიქითაც, როგორც იკითხება ისევე იწერება!

ასეთი თვისება მსოფლიოს არც ერთ ენას არ გააჩნია!

ქართული დამწერლობა არის ერთდერთი ფონეტიკური დამწერლობა მსოფლიოში!

უფრო მეტიც, პოლ-როიალის „გრამმატიკისა“ და ხელოვნურ საერთაშორისო ენა „ესპერანტო“ აეტორები შეეცადნენ საფუძვლად აეღოთ ქართული ენისათვის, ღმერთების მიერ მინიჭებული ეს თვისება, „როგორც იწერება ასევე, იკითხება და პირიქით“, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ!

ან, რა უნდა გამოსვლოდათ?!

ინდაური და ოქროს კბილი? – არის ასეთი გამოთქმა ხალხში.

P.S. 1. ლექსიკური ომონიმების განსაზღვრების სემოთ მოტანილ განმარტებაში, მოცემულია ომონიმების არსებობის აუცილებელი და საკმარისი პირობა.

P.S. 2. რადგანაც, ქართულის გარდა, სხვა ენებში არ არის განხორციელებული ფონეტიკური ეფექტი ე.ი. ხშირ შემთხვევაში, როგორც გამოითქმის ისე არ იწერება ან, პირიქით, როგორც იწერება ისე არ გამოითქმის, ამიტომ უცხო ენებისათვის ომონიმები შემდეგნაირად განსაზღვრება:

სალექსიკონო ფორმით წარმოდგენილ ერთნაირი დაწერილობისა და ერთნაირად მჟღერ სიტყვებს, რომლებიც არიან სხვადასხვა წარმომავლობის ან, აქვთ საერთო წარმომავლობა მაგრამ, დროთა განმავლობაში, შინაარსის მიხედვით დიდად დაშორდნენ ერთმანეთს, – ლექსიკური ომონიმები ეწოდება.





ხანი: 1. ქართული ანბანის ოცდამეთერთმეტე ასოს „ხ“-ს სახელწოდება.

ხანი: 2. დროის მონაკვეთი; დრო, უამი.

ხანი: 3. მეფე, მთავარი სოგიერთი თურქი და მონღოლი ხალხისა.

4) ომონიმია უძველეს ქართულ და შეთვისებულ უცხო სიტყვებს შორის.

ბოტი: 1. მამალი დაუკოდავი თხა, სანაშენე.

ბოტი: 2. (ფრანგ., boîte) მაღალყელიანი სატუცი (კალოში).

5) ომონიმია სხვადასხვა უცხო ენიდან შემოსულ სიტყვებს შორის.

გრიფი: 1. (ბერძნ. gryps) მითიური ცხოველი (აქვს ღომის ტანი, არწივის ფრთები).

გრიფი: 2. (ფრანგ., griff) ხელმოწერის გამომხატველი ბეჭედი; შტემპელი.

გრიფი: 3. (გერმ., Griff) სიმკბიანი საკრავის ყელზე სიგრძივ დაკრული დანაყოფები-

ანი ფირფიტა.

6) ომონიმია ერთი და იმავე უცხო ენიდან შემოსულ სიტყვებს შორის.

ბოქსი: 1. (ინგლ., box) კრივი.

ბოქსი: 2. (ინგლ., box) მამაკაცის თმის გაკრეჭის ფასონი.

ბოქსი: 3. (ინგლ., box) ყუთი, კოლოფი; ინფექციურ საავადმყოფოებსა და კლინიკებში; ტიხრებით გამოყოფილი, მომინული ადგილი ავადმყოფის ცალკე მოსათავსებლად.

ბოქსი: 4. (ინგლ., boxcali) ერთგვარი ტყავი, ქრომით გამოყვანილი ხბოს ტყავი.

კულონი: 1. (ფრ.) ელექტრობის რაოდენობის საზომი ერთეული.

კულონი: 2. (ფრ.) ძეწვეთ სატარებელი სამკაული.

ტუში: 1. (გერმან., Tusche) საღებავი, იყენებენ დასახაზავად, დასახატავად.

ტუში: 2. (გერმან., Tusch) მოკლე მუსიკალური მისალმება.

7) ომონიმია ინტერნაციონალურ და ქართულ სიტყვებს შორის.

გოლი: 1. გოლეული, – ფიჭიანი თაფლი.

გოლი: 2. (ინგლ., goal) კარი (სოგიერთ სპორტულ თამაშში).

კოდი: 1. ხის ერთგვარი ჭურჭელი.

კოდი: 2. (ფრანგ., code) პირობით ნიშანთა კრებულნი.

8) ომონიმია კალკირებულ სიტყვებს შორის.

(კალკი (ფრანგ., calgui) – სიტყვის მნიშვნელობის სესხება ერთი ენიდან მეორეში; სიტყვის ან შესიტყვების აგება სხვა ენის ყაიდაზე).

კალკირებული სიტყვები ორი გვარისაა:

ა) მიბადებითი სიტყვაწარმოება.

ამ შემთხვევაში ქართული სიტყვა აგებულია უცხო ენის კომპოზიტზე ან ნაწარმოები სიტყვის სტრუქტურის წაბადებით.

პირწყალი: 1. „უაუგო საქციელი“ (საბა); სინდისი.

პირწყალი: 2. საჭმლის სურვილით მომდგარი ნერწყვი.

ეს გამომდინარეობს სპარსული სიტყვიდან აბრუ (აბ + რუ, – პირის წყალი), პატიოსნებას ნიშნავს. ამის მსგავსად (წაბადებით) არის ქართული სიტყვა, რომელიც სინდისს ნიშნავს.

ბ) მნიშვნელობის სესხება.

რუსულ ენაში „Заряд“ პოლისემიური სიტყვაა:

заряд: 1. Взрывчатое вещество в снаряде, в патроне. 2. Количество электричества.

რუსულში არსებული პოლისემიური სიტყვა ქართულში ომონიმებად გადმოკეთდა:

მუხტი: 1. (ძვ.) თოფისწამლის მასრა (ყანთაქილა).

მუხტი: 2. ელექტრობის რაოდენობა.

თვით რუსებს заряд: (количество электричества) გერმანული ენიდან აქვთ ნასესხები.

9) დამოუკიდებელი წარმოება ერთი და იმავე სიტყვებისაგან.

„წირავ“ (მსხვერპლის მიტანა) ფუძეზე „სა“ პრეფიქსის დართვით, ელემენტობთ: საწირავი, – მსხვერპლად მისატანი.

„წირავ“ (მღვდელმსახურება) ფუძეზე „სა“ პრეფიქსის დართვით, ელემენტობთ: საწირავი, – წირვის გასამრჯელო.

ამგვარად მივიღეთ ომონიმები:

საწირავი: 1. მსხვერპლად მისატანი.

საწირავი: 2. წირვის გასამრჯელო.

10) ომონიმია ლიტერატურულ და დიალექტურ სიტყვებს შორის.

ზართ: 1. ლითონისაგან ჩამოსხმული ღრუ სარეკელი.

ზართ: 2. (ქართლ.) დაწნული სასიმინდე, ოთხ ბოძზე შემდგარი.

11) ომონიმია დიალექტურ სიტყვებს შორის.

ბჟანტი: 1. (ქიზიყ.) მინდორში (ხშირად ჭაობიდან) გამომდინარე წყალი.

ბჟანტი: 2. (ქართლ.) ქამარი.

12) პოლისემიურ სიტყვებისაგან წარმოქმნილი ომონიმები.

მოტივი: 1. რაიმე საქციელის გამომწვევი მიზეზი.

მოტივი: 2. მელოდია, კილო, ჰანგი.

13) ომონიმია სამეცნიერო – ტექნიკურ დანიშნულების სიტყვებს შორის.

ინდუქცია: 1. (ლოზიკ.) აზროვნების მეთოდი, – კერძო ფაქტებიდან, ცალკეული დებულებებიდან ზოგადი დასკვნის გამოყენა.

ინდუქცია: 2. (ფიზ.) ელექტრომაგნიტური მოვლენის ერთ-ერთი სახე.

14) სიტყვის აბრევიატურული მნიშვნელობა და ომონიმია.

აბრევიატურული ე.ი. ისეთი სიტყვა, რომელიც წარმოადგენს ორი ან რამდენიმე სიტყვის შემოკლებას. „აბრევიატურული სიტყვა დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულია და ასევე აღიბეჭდება ლექსიკონშიც. იგი ისევე იბრუნვის, როგორც ჩვეულებრივი არსებითი სახელი“. (ალექსანდრე ღლონტი)

ჩეკა: 1. სახელი ჩეკს (კვერცხზე იჯდება ფრინველი, რომ გათბობით ჩანასახი განვითარდეს და ნატუჭიდან გამოვიდეს), იჩეკება (კვერცხიდან გამოვა, გამოტყდება) ზმნათა მოქმედებისა.

ჩეკა: 2. სახელწოდება სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიისა.

ასი: 1. რიცხვი და რაოდენობა 100.

ასი: 2. (ფრანგ. as) საძაერო ფრენის ოსტატი.

15) სიტყვის კნინობითი ფორმით გამოწვეული ომონიმები.

თაგუნი: 1. სხვილნი ძარღენი.

თაგუნი: 2. (კნინ.) თაგვი, თაგუნა.

16) ხმაბაძვითი სიტყვებით გამოწვეული ომონიმები.

„მიბაძვა თანდაყოლილი აქვს კაცს ბავშვობიდანვე და, კაციც იმით განსხვავდება სხვა ცხოველებისაგან, რომ იგი ყველაზე უფრო წამბაძვია და თავის პირველ სწავლას მიბაძვის საშუალებით იძენს“. (არისტოტელე, „პოეტიკა“, 1979, გვ.67)

კუკუ: 1. „გუგულის ხმიანობა“ (საბა).

კუკუ: 2. პანდური (პანჩური), წიხლი.

17) ბავშვის ენით გამოწვეული ომონიმები.

ბავშვის ენა, ენობრივ ცვლილებათა ერთ-ერთი წყაროა. ბოლშეინ დე კუსტენესა და კ. პაულს, მეტი წილი ცვლილებები ენაში, მათ ბავშვის ენიდან მომდინარედ მიაჩნდათ. „ის თავისებურებები, რომლებიც ბავშვებს ენის სათანადოთ დაუფლებამდე აქვთ,

გარკვეულ ასაკიდან ქრებიან, მაგრამ ეს უკვალოდ არ მიმდინარეობს“. (ფ. დე სოსიური)

ბაბა: 1. (კუთხ.) მამა.

ბაბა: 2. პური, – ბავშვის ენით.

ბუა: 1. მოგონილი საფრთხობელა, ბავშვების შესაშინებელი.

ბუა: 2. ბეწვის ყელსახვევი.

ბუა: 3. ხარი (ძროხა) ბავშვის ენაზე (პ. განქი).

კაკა: 1. „ერთი წამლის სახელია“ (საბა).

კაკა: 2. საწუწნი ტკბილეული ბავშვის ენაზე.

18) ჟარგონით გამოწვეული ომონიმები (იგივეა, რაც არგო).

ტოტია: 1. ძუ ძაღლი.

ტოტია: 2. (ყარგ.) ქურდი.

19) სიტყვებმა, რომლებმაც განიცადეს დეეტიმოლოგიზაცია. ე.ი. სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობის მივიწყება.

დაღონებული: 1. ვინც დაღონდა, დანაღვლიანებული, დადარდიანებული.

დაღონებული: 2. მოღუნული, დახრილი.

კაპუეტი: 1. ერთ სამთარგამოვლილი მიმინო.

კაპუეტი: 2. ავი, ანჩხლი; ჯიუტი; მიუკარებელი.

არის პირიქითაც: პირველი მნიშვნელობა შემორჩენილია, ხოლო მეორე მნიშვნელობა დაკარგულია. მაგ.

ძოწეული: 1. მარჯნისფერი, ასეთი ფერის ძვირფასი ქსოვილი.

ძოწეული: 2. ადამიანის სხეულის სიწითლე.

20) ომონიმების ერთი ცალი კავშირია, ან ნაწილაკი, ან წინსართი.

და: 1. ერთი დედ-მამის ქალიშვილი სხვა შვილების მიმართ.

და: 2. მაურთებელი კავშირი.

და: 3. ნაწილაკი, იხმარება სიტყვის მასალად.

და: 4. წინსართი ზმნისა. ჩვეულებრივ აღნიშნავს მიმართულებას უკვიდან ქვევით.

აი: 1. ჩვენებითი ნაწილაკი, – მიუთითებს იმაზე, რაც ხდება ან რაც უნდა მოხდეს.

აი: 2. (გურ.) ჩვენებითი ნაცვალსახელი, ეს, ეგ.

21) მეტაფორული (ბერძ., metaphora, – გადატანა) ხმარებით მიღებული ომონიმები.

ლექსიკონში შეტანილია სიტყვის ისეთი მეტაფორული ხმარება, როდესაც საგანს ან მოვლენას სხვა საკუთარი სახელი არ გააჩნია, ე.ი. იქნის დამოუკიდებელ მნიშვნელობას და ხდება საკუთარი სახელი. მაგ.

ყელი: 1. კისრის წინა ნაწილი.

ყელი: 2. დოქის ან მისთანათა მუცლის ზედა ნაწილი.

ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს არა სახელის გადარქმევას, ე.ი. ქონდა სახელი და მას გადაარქვეს, არამედ ადგილი აქვს სახელის დარქმევას. აქ გვაქვს არა ორი, არამედ ერთი მნიშვნელობა. ასეთ შემთხვევაში სახეობრივ-ემოციური უწყვეტი სრულიად წაშლილია, გამქრალია. როგორც ერთი ენათმეცნიერი იტყობდა: „მოხდა მეტაფორიზაცია, თესლი კი არ არის, არამედ აღმოცენდა ხე (მცენარე)“.

მიუხედავად ამისა, არც ბიძინა ფონხუას, არც ქეგლი-ის რეატომიულსა და არც ქეგლი-ის ერთტომიულს ომონიმებად არ მიაჩნიათ, რაც ჩვენი აზრით არასწორია.

ომონიმებად უნდა ჩავთვალოთ ის მეტაფორა, რომელსაც თითქმის დაკარგული ანუ, მივიწყებული აქვს პირვანდელი მნიშვნელობა, მაგ.

ღვარძლი: 1. სარეველა ბალახი.

ღვარძლი: 2. ბოროტება, შური, სიავე.

ამ სიტყვის პირველი მნიშვნელობა თითქმის მივიწყებულია და უფრო მეტად გაერცვლებულია მისი გადატანითი (ბოროტება, შური, სიაცე) მნიშვნელობა. ასეთივე სახისაა:

**ჯირითი:** 1. სასროლი ჯოხი, რომელსაც იყენებდნენ ცხენოსნობაში.

**ჯირითი:** 2. ჭენება, ისინდი.

22) მეტყველების სხვადასხვა ნაწილების ომონიმები.

**არა:** 1. უარყოფითი სიტყვა (საპირისპირო ჰო, კი, დიახ).

**არა:** 2. (უარყოფითი ნაცვალსახელი) არარა.

**არა:** 3. სოლისებურ ბოლოიანი თუთიყუში.

23) როდესაც ომონიმურ სიტყვებს სხვადასხვა პარადიგმა გააჩნიათ.

**წელი:** 1. ადამიანის სხეულის ნაწილი.

**წელი:** 2. დროის მონაკვეთი, რომელსაც დედამიწა მზის ირგვლივ შემოვლას ანდომებს, თორმეტი თვე.

ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონში განხილულია ისეთი ომონიმური წყვილები, რომლებიც ბრუნვის დროს თავისებურებებს ავლენენ: მაგალითად, „წელი, წელის | წელი, წლის; მხარე, მხარის | მხარე, მხრის და ა.შ.

პლატონ იოსელიანი თავის გრამატიკაში ყურადღებას უთმობს ფუძეკუმშვად ომონიმებს. მაგ. „თვალი (ადამიანისა და ურმისა);, „წელი (სხეულის ორგანო და დრო)“ და ა.შ.

ზოგი სიტყვა, რომელიც „სხვისა და სხვისა ჰაზრისანი არიან, პირდაპირი მნიშვნელობით ნახმარნი არ იკუმშებიან (მაგ. თვალი), ხოლო მეტაფორულისა მნიშვნელობისა შინა“.

დავით ჩუბინაშვილი (1814-1891) წიგნში „მოკლე ქართული გრამატიკა“, განიხილავს ისეთ ომონიმებს, რომლებიც სხვადასხვანაირად იბრუნებიან. მაგ. თვალი, კუალი, მოწამე, მხარი, წელი და ა.შ.

24) როდესაც ომონიმური სიტყვები არქაიზმებია (ბერძ., archaios – ძველი).

„მივიწყებული სიტყვა შეიძლება მწერალმა „გააცოცხლოს“, კვლავ მოაბრუნოს სამწერლო ენაში. ამდენად, მკაცრი გაგებით, არქაიზმი არსებითად სამწერლობო ენას ახასიათებს... უკიდურესობა იქნებოდა საჭიროების შემთხვევაში არქაიზმების სრული უგულებელყოფა, რასაც შეიძლება თხზულების სტილის გაუბრალოება-გამდაბიურება მოჰყვეს.

მწერალი მხატვრულ ნაწარმოებში არქაულ ლექსიკას მეტწილად შეგნებულად მიმართავს... მას გარკვეულ მხატვრულ ფუნქციას აკისრებს...

არქაიზმის მხატვრული დანიშნულებაა: ა) ისტორიული სტილიზაცია, რაც თავისთავად ტიპიზაციის კარგი საშუალებაა; წარსულის, ძველი დროის მოვლენების ასახვა, – გადმოცემისას არქაული ლექსიკის ზომიერად გამოყენება მწერლის მიერ არა თუ გამართლებულია, არამედ აუცილებელი საჭიროებაც არის ისტორიული გარემოს კოლორიტულად წარმოსახვისათვის. ბ) მხატვრული (პოეტური) სტილიზაცია: პოეტი საგანგებოდ ცდილობს არქაიზაციით მხატვრული ნაწარმოები გახადოს უფრო ექსპრესიული, სურნელოვანი, პოეტური, არტისტული. ასეთ შემთხვევაში არქაიზმი იძენს განუმეორებელ, შეუცვლელად სტილისტურ ნიუანსს“. (კორნელი დანელია, „არქაიზმების სწავლებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი“, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, №1, 1978)

**ჯამი:** 1. (ძვ. საკალენდრო ტექსტში, წარმართული ხანისა) 30 დღიანი თვე (პავლე ინგოროყვა).

ჟამი: 2. (ძვ. ქრისტიანული მწერლობა) საათი (სიტყვის ვიწრო გაგებით). (პაელები ინგოროყვა).

ჟამი: 3. (ძვ. ქრისტიანულ მწერლობაში) დრო (ზოგადი მნიშვნელობით). (პაელები ინგოროყვა).

25) თიკუნი, შერქმეული სახელის ომონიმები.

დროშა: 1. სახელმწიფო ემბლემა.

დროშა: 2. „მსუქანი, ფაშფაშა; მოსქო კაცს მეტ სახელად დროშას არქმევენ“ (იოსებ გრიშაშვილი).

26) კონკრეტული და განყენებული საზოგადო სახელები ომონიმებად.

ვაჭრობა: 1. ვაჭრობს ზმნით აღნიშნული მოქმედების სახელი.

ვაჭრობა: 2. ვაჭარი სიტყვისაგან ნაწარმოები განყენებული სახელი.

27) საალერსო სიტყვებით გამოწვეული ომონიმები.

ბუბუნა: 1. ხარი „ჯვართ ენაზე“ (ხევსურეთში, ფშავში).

ბუბუნა: 2. საალერსო სიტყვა ბავშვის მიმართ (მაგ. „ჩემო ბუბუნა“, – ჩემო კარგო).

28) საკულტო და „ჯვართ ენით“ გამოწვეული ომონიმები.

„ჯვართ ენა“ ერთ-ერთი სპეციალური ენაა. „სპეციალისტ-ეთნოგრაფების შენიშვნით „ჯვართ ენის“ ხმარების დანიშნულება იყო ჯვარის სებუნებრიობის გახაზვა. ლინგვისტისათვის „ჯვართ ენა“ საინტერესოა იმიტომაც, რომ ჩვეულებრივი ლექსიკური ჯგუფებისაგან განსხვავებით (და ჟარგონთა მსგავსად) აქ მკაფიოდ ჩანს სახელდების ნებისმიერობა“. (ბიძინა ფონიჭია)

რემა: 1. ცხენის ჯოგი.

რემა: 2. კეიცი („ჯვართ ენით“).

ღირებულები: 1. რაც ღირს რადმე; ამა თუ იმ ფასის მქონე.

ღირებულები: 2. წელიწადგამოვლილი საკლავი („ჯვართ ენაზე“).

მბლავანი: 1. რაც ბლავის (ხარი, ფური, ცხვარი...).

მბლავანი: 2. თიკანი („ჯვართ ენით“).

## ომონიმთა კლასიფიკაცია

თავდაპირველად გავეცნოთ ზოგიერთ უცხო ენათა ომონიმების კლასიფიკაციას.

დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის (БСЭ) მიხედვით, რუსული ენის ომონიმები ოთხი სახისაა:

I. ომოფონები, ომოფორმები, ომოგრაფები და ლექსიკური ომონიმები.

ომოფონები (ბერძ. homós – ერთნაირი და phónē – ბგერა), ბგერადობით ერთნაირი სიტყვებია, დაწერილობით კი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგ плод – ნაყოფი და плот – ტივი.

II. ომოფორმები (ბერძ. homós – ერთნაირი და phorm – ფორმა, სახე), დაწერილობით მსგავსი სიტყვებია, ბგერადობით კი განსხვავებული, თანხვედრიან ცალკეულ ფორმებში. მაგ три – форма именит. и винит. падежа числительного 3 и форма повелит. наклонения от глагола „тереть“.

III. ომოგრაფები (homós – ერთნაირი და graphō – წერა), დაწერილობით ერთნაირი სიტყვებია, ბგერადობით სხვადასხვა. მაგ.

замок – საკეტი და замок – ციხე; ციხე-სიმაგრე.

IV. ლექსიკური ომონიმები თავის მხრივ წარმოიქმნებიან:

1) Звукового совпадения различных по происхождению слов: მაგ. Рысь – ჩორთით წას-

ელა, გაქცევა და Рысь – ფოცხვერი.

2) В результате полного расхождения значений многозначного слов: მაგ. Мир – სამყარო, მსოფლიო და Мир – მშვიდობა, მშვიდობიანობა.

3) При параллельном словообразовании от той же основы: მაგ. тройка – სამცხენა (ეტლი) და тройка – სამი, სამიანი.

О.С. Ахманова-ს მიხედვით („Словарь омонимов русского языка“, 1986): „Омонимы можно определить как два (или более) слова, состоящие из тождественных фонемных рядов и различающиеся только семантически или грамматически, или и семантически и грамматически одновременно“.

ამ განსაზღვრიდან გამომდინარე, ომონიმებს ყოფს სამ ძირითად ჯგუფად:

I. მორფოლოგიური სტრუქტურით გამოსახული ომონიმები (სტრუქტურული ომონიმები).

II. ოდითგან სხვადასხვა სიტყვების (ანუ სხვადასხვა წარმომავლობის) ომონიმები და

III. პოლისემიისაგან მიღებული ომონიმები.

I. მორფოლოგიური სტრუქტურით გამოსახულ ომონიმებს ხუთ ჯგუფად ყოფს:

1) როცა სიტყვათა ფუძეები ომონიმურია. მაგ. колкий – მჩხვლეტი, ჩხვლეტია (ჩხვლეტია ბალახი), წარმომდგარია სიტყვისაგან колоть – ჩხვლეტა და колкий – პობადი, ადვილად საპობი, რომელიც წარმომდგარია სიტყვისაგან колоть (колоть дрова – შუშის პობა).

2) აფიქსებით მიღებული ომონიმები. მაგ. ночник (1. (საქც.) ღამის მფრინავე. 2. ღამის ღამპა).

3) არაერთნაირი მორფოლოგიური მოტივირება (დასაბუთება) წარმოქმნილი ომონიმებისა. მაგ. **выглядеть** – გამოყურება (он **выглядит** хорошо – კარგად გამოიყურება) და **выглядеть** – მოთვალიერება, გამონახვა (в толпе он **выглядел** своего знакомого – ხალხში გამონახა, შეამჩნია თავისი ნაცნობი).

4) შინაგანი სტრუქტურით განსხვავებული ომონიმები. მაგ. **газоход** – აირგამტარი, რაშიც გადის აირი. და **газоход** – აირით მავალი, რაც დადის აირის გამოყენებით.

5) სიტყვები, რომლებიც მეტყველების სხვადასხვა ნაწილებს მიეკუთვნებიან. მაგ. **печь** – ცხობა (აცხობს) (он **печёт** хлеб – პურს აცხობს) და **печь** – ღუმელი.

II. ოდითგან სხვადასხვა სიტყვების (ანუ სხვადასხვა წარმომავლობის) ომონიმები. მაგ. **рейд**–(პოლანდ.) რეიდი (парашоd стоиt на рейдe – გემი რეიდზე დგას), და **рейд** – (ინგლ.) რეიდი (кавалерийский рейд – ცხენოსანთა რეიდი, თავდასხმა). ეს სიტყვები გენეტიკურად განსხვავდებიან ე.ი. არიან სხვადასხვა წარმომავლობის.

III. პოლისემიისაგან მიღებული ომონიმები.

აქ, მაგალითის სახით განიხილავს რამოდენიმე ტიპს. მაგ. **катать** (გორება, **катать шар, мяч**); **катать** (გასეირნება, გატარება, არაქვეითად, **катать на санках**).

\* \* \*

„ინგლისური ენის ომონიმების“ ნუსხა (სია) პირველად შეადგინა სკიტმა (Скит), დანართის სახით. სკიტი ომონიმებს უწოდებს სიტყვებს, რომლებიც ერთნაირია გრაფიკულად, ხოლო დიდად განსხვავდებიან შინაარსით. ამიტომაც მის მიერ ნახსენებ სიაში შეტანილია სრული ომონიმები და ომოგრაფები.

ი. ს. ტიშლერი თავის წიგნში „თანამედროვე ინგლისური ენის ლექსიკური და ლექსიკურ-გრამატიკული ომონიმების ლექსიკონი“, წერს: „Не случайно все исследователи

говорят о полной омонимии и о частичной. Совершенно очевидно, что они при этом исходят именно из количественной стороны. Представляется поэтому целесообразным разграничение различных видов омонимии английского языка проводить на иной основе: если слова омонимичны не во всех своих формах, то необходимо принять в качестве разграничительной, своего рода демаркационной линии тождество по звучанию половины словоформ. При совпадении половины большей части форм – омонимия неполная. при совпадении меньшей части форм – омонимия частичная. (И.С. Тышлер, „Словарь лексических и лексико-грамматических омонимов современного английского языка“, 1975)

შეშდევ, ი. ს. ტიშლერის ეთანხმება ა. ი. სმირნიცკის და ამბობს: „Основные типы омонимов в классификации А.И.Смирницкого даны правильно. Лексическим является омонимы, относящиеся к одной и той же части речи, независимо от того, совпадают ли все их формы или только часть их, то есть все различие между ними заключается в их семантике.

Лексико-грамматическими являются омонимы, относящиеся к разным частям речи. Различие между ними заключается не только в их семантике, но и в их грамматической неоднородности“.

ამდენად, ი. ს. ტიშლერის მიხედვით, ინგლისური ენის ომონიმები შეიძლება იყოს: სრული, არასრული და ნაწილობრივი. თითოეული მათგანი იყოფა ორ ნაწილად: ლექსიკურ და ლექსიკურ-გრამატიკულ ომონიმებად.

#### I. სრული ომონიმები:

1) ლექსიკური, – სიტყვები ერთხვევიან ყველა ფორმით, გრამატიკულად იგივეური. **blow** – ბერვა და **blow** – ყვაეილის გამოღება, გაფურჩქენა.

2) ლექსიკო-გრამატიკული ომონიმები:

სიტყვები, რომლებიც ერთმანეთს ყველა ფორმით, სხვადასხვა გრამატიკულად.

**hour** – საათი და **our** – ჩვენი

#### II. არასრული ომონიმები:

1) ლექსიკური, – სიტყვები, რომლებიც ფორმების დიდ ნაწილში ერთხვევიან ერთმანეთს, გრამატიკულად იგივენი არიან.

**lie** – წოლა და **lie** – ტყუილი, ცრუობა.

2) ლექსიკო-გრამატიკული, – სიტყვები, რომლებიც ფორმების დიდ ნაწილში ერთხვევიან ერთმანეთს, სხვადასხვა გრამატიკულად.

**arm** – ხელი და **arm** – შეიარაღება, აღჭურვა.

#### III. ნაწილობრივი ომონიმები:

1) ლექსიკური, – სიტყვები, რომლებიც მხოლოდ ფორმების მცირე ნაწილში ერთხვევიან ერთმანეთს, გრამატიკულად ერთნაირია.

**found** – დაარსება, დაფუძნება და **find** – პოვნა, გამოჩენა.

2) ლექსიკო-გრამატიკული, – სიტყვები, რომლებიც მხოლოდ ფორმების მცირე ნაწილში ერთხვევიან ერთმანეთს, გრამატიკულად სხვადასხვაა.

**blue** – ცისფერი, მტრედისფერი და **blow** – ბერვა.

ზოგადად, რომ ეთქვას, ტრადიციულად ინგლისური ენის ომონიმები იყოფა სამ ჯგუფად: ომოფონები (სიტყვები ერთმანეთს ერთხვევა მხოლოდ ბგერადობით), ომოგრაფები (სიტყვები მსგავსია მხოლოდ დაწერილობით) და სრული (როდესაც სიტყვების ბგერადობა და დაწერილობაც ერთნაირია).

ფრანგული და გერმანული ენათა ომონიმების კლასიფიკაცია არაფრით არ განსხვავდება ინგლისური ენის ომონიმების კლასიფიკაციისაგან და ამიტომ მათზე აღარ შევჩერდებით.

ბაშკირული ენის ომონიმების კლასიფიკაცია მოცემული აქვს მ. ხ. ახტიამიროვის თავის სადისერტაციო ნაშრომში. დისერტაციის დაცვა მოხდა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის (სინამდვილეში, დიდი ქართველის, მიხეილ პეტრე I-ის ძე ბაგრატიონის) სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მ. ხ. ახტიამიროვის მიხედვით, ომონიმები სამი სახისაა; ლექსიკური, ლექსიკურ-გრამატიკული და გრამატიკული).

მისი განსაზღვრით: „Лексическими омонимами называются слова, совпадающие между собой в звучании и написании в тождественных грамматических формах и различающиеся в значениях“.

„Лексико-грамматическим омонимам относятся слова, совпадающие между собой в звучании и написании своих нетождественных грамматических форм, но различающиеся значениями“.

გრამატიკული ომონიმების შემთხვევაში, მ. ხ. ახტიამიროვს მოტანილი აქვს ისეთი ტიპის ერთნაირად მქდური სიტყვები, როგორცაა:

ვარდები: 1. დაეარდები, ჩაეარდები.

ვარდები: 2. ვარდის (ეკლიანი ბუჩქის) ყვავილები.

შემდგომ, მ. ხ. ახტიამიროვი განიხილავს თუ რა ტიპის ომონიმებთან გვაქვს საქმე:

1) სიტყვის სემანტიკური განვითარების შედეგად მიღებული ომონიმები.

ა) მსგაესების მიხედვით:

am (გადაგდება, მიტოვება) და am (სროლა, ტყორცნა).

ბ) მომიჯნავე, მოსაზღვრე სიტყვების მიხედვით.

ял (ფაფარი) და ял (ცხიმი, ქონი ფაფარის ქვეშ).

გ) ფუნქციის მიხედვით (სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება ან დაეწროება).

аң (მთვარე) და аң (დროის ერთეული).

буяу (ფული, მონეტა) და буяу (მანეთი).

2) ომონიმები, რომლებიც მიიღება ზმნის ფორმის სუბსტანციის პროცესის შემთხვევაში.

буяу (ღებვა) და буяу (საღებავი).

3) ფონეტიკური (კვლილებებით მიღებული ომონიმები).

am (სახელი) და am (ცხენი).

P.S. ადრე, ეს ორი სიტყვა განსხვავებოდა გრძელი და მოკლე ხმოვნის საშუალებით. დღეს კი, ბაშკირულ ენაში გრძელი ხმოვანი აღარ არსებობს.

P.S. ინგლისური, გერმანული და ა.შ. ენის ენათმეცნიერებიც ცდილობენ თავიდან მოიშორონ მოკლე და გრძელი ხმოვანები, ენის ეს საზიზღრობა, მაგრამ არაფერი გამოხდით!

ინგლისელებო, გერმანელებო, ფრანგებო, – მიბაძეთ ბაშკირელებს, თუ შეგიძლიათ!

4) უცხო ენიდან შემოსული სიტყვები ბაშკირულ ენაში.

აქ, როგორც წესი, განიხილება ორი შემთხვევა:

1) როცა ომონიმების ორივე ცალი უცხო სიტყვაა და,

2) როცა ომონიმების ერთი ცალია უცხო ენიდან ნასესხები.

бур (ქურდი) და бур (ქიმი, კარცი).

материя (მატერია, ნივთიერება) და материя (ქსოვილი).

5) აფიქსაციის შედეგად მიღებული ომონიმები.

таньу (უარყოფა, უარის თქმა) და таньу (გაგება, შეტყობა).



6) ლიტერატურული და დიალექტიკური სიტყვების ომონიმები.  
 EH (ჭინკა, ქაჯი) და EH (დიალექტ. ანატ., საყლაპავი მილი).

### ქართული ენის ზოგადი დახასიათება

სანამ, ქართული ენის ომონიმთა კლასიფიკაციას შევეხებოდეთ, წინასწარ ეთქვათ ის, რასაც უცხო ენათა ენათმეცნიერები ამბობენ: „არ არსებობს ომონიმების ზუსტი განმარტება და არც შეიძლება იყოს“.

ეს გამონათქვამი სრულიად სამართლიანია მათი ენის მიმართ. ამ თვალსაზრისს მთლიანად აბათილებს ღვთით კურთხეული ენა ქართული.

აქ, ჩამოეთვალათ ქართული ენის მხოლოდ ის დადებითი თვისებები, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებულნი ომონიმებთან. ქართულ ენის მოკლე დახასიათება ძირითადად ეყრდნობა არნოდ ჩქობავას და აკაკი შანიძის შრომებს.

• ქართული დამწერლობა ერთადერთი ფონეტიკური დამწერლობაა მსოფლიოში! (ა. სიხ.)

• ქართულ ენაში, როგორც იწერება ისევე გამოითქმის და, პირიქით, როგორც გამოითქმის ასევე იწერება! „ქართული ანბანი ყველაზე სრულყოფილია არსებულ ალფაბეტებს შორის. ყველა ბგერა აღინიშნება განსაკუთრებული ნიშნით, ხოლო ყოველი ნიშანი გამოხატავს ერთსა და იმავე ბგერას. ყველა ევროპულ ენაში დიდ დაბრკოლებას ქმნის ორთოგრაფია. ქართულისათვის, მისი ალფაბეტის სრულყოფილების მეოხებით ეს დაბრკოლება არ არსებობს. ქართული ანბანი მარტივია. მართლწერა ქართულისა ისეა გაადვილებული, რომ სხვა ეგეთი ანბანსრული ენა ქვეყანაზე არ მეგულება“ (პეტრე უსლარი, 1816-1875, რუსი ენათმეცნიერი).

P.S. მითხარით, რომელ ენას გააჩნია მსგავსი გონებრივი სიმაღლე?!

• ქართულ ენაში, ქართული ასო ერთნაირად ჟღერს: გინდ სიტყვის თაეში იჯდეს, გინდა სიტყვის შუაში და გინდ ბოლოში.

P.S. მითხარით, რომელ ენას გააჩნია მსგავსი გონებრივი სიმაღლე?!

• ქართულ ენაში არ არსებობს არც მოკლე და არც გრძელი ხმოვნები! არც დიფთონგები.

• „ქართულში სიტყვა ისე წარმოითქმის, რომ ამოსუნთქვის ძალა, ენერგია თითქმის თანაბარზომიერად ნაწილდება ყველა მარცვლის მიხედვით. რადგანაც ენაში სუსტია ინტენსიურობის მახვილი, იმდენად ხმოვნები ინარჩუნებენ თავიანთ სრულ სახეს“ (სერგი ჟღენტო).

• „ქართული ენის სიტყვათა სრული უმრავლესობა მისწრაფვის მარცვალდიაობისაკენ, რაც უდავოდ დიდი დადებითი თვისებაა ქართული ენისა“ (ალექსანდრე ფოცხიშვილი).

• „მრავალმარცვლიან სიტყვებში მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე მარცვლები წარმოითქმის თანაბარი რიტმული მახვილით და მათი აქცენტურ-რიტმიკული სტრუქტურის განმსაზღვრელია მარცვალთა შეფარდება ტონურობის მიხედვით და არა, ამოსუნთქვის სიძლიერე ან სამეტყველო ორგანოთა დაჭიმულობა, როგორც ეს რუსულში, ინგლისურში, გერმანულში და სხვა ენებშია“. (სერგი ჟღენტო).

P.S. მითხარით, რომელ დამწერლობას გააჩნია მსგავსი გონებრივი სიმაღლე?!

• ქართულ ენაში არ არსებობს სქესი!

სქესი არ არსებობს აგრეთვე ხელოვნურ ენა „ესპერანტოში“.

ვარშაველმა თვალის ექიმმა, ლაზარე მარკოსის ძე ზამენჰოფმა, რომელიც იმყოფ-

ფებოდა საქართველოში და გაეცნო ქართულ ენასა და ქართულ დამწერლობას, ქართული ენის ზეგავლენით ამოაგდო სქესი მის მიერ შექმნილ ხელოვნურ საერთაშორისო ენიდან. სამეცნიერო მიხედვა, რომ სქესი ამძიებდა და ანაგვიანებდა ენას! სქესის არსებობა ენის სიღარიბეს ნიშნებს!

ე.ი. უცხო ენათა მეცნიერები მიხედნენ, რომ საჭიროა თავიანთი ენის რეკონსტრუქცია: ცდილობენ ამოაგდონ სქესი; გრძელი და მოკლე ხმოვნები; ასოები, რომლებიც იწერება, მაგრამ არ იკითხება; სიტყვათა განმასხვავებელი ნიშნები; მძლავრი მახვილი, ღიფთონგები და ა.შ.

ე.ი. ცდილობენ თავიანთი ენა აღნაგობით მიუახლოვონ ქართულ ენას. მაგრამ, რას ანუ, როგორ მიუახლოვდებიან ქართულს, როცა ქართული „მისი წლით“ განსაზღვრულ მანძილით არის წინ, – „უმეტეს სხვათა ენათა“.

**P.S.** მითხარით, რომელ დამწერლობას გააჩნია მსგავსი გონებრივი სიმაღლე?!

- ქართულ ენაში არ არსებობს დიდი და პატარა ასოები. იგი, მრგვლოვან, ოთხხაზიან დამწერლობას არ სჭირდება. დიდი და პატარა ასოები სჭირდება ოთხკუთხა, მონოტონურ დამწერლობას. ანუ, მსოფლიო ენებს, ქართულის გარდა. დიდი ასოები სჭირდება ულამაზო, არაესთეტიკურ, მონოტონურ დამწერლობას, რომელიც თვალის ჰიგიენური მოთხოვნების ვერავითარ პირობას ვერ აკმაყოფილებს.

დიდი და პატარა ასოების არსებობა ზრდის ასო-ნიშანთა რაოდენობას.

დიდი, პატარა და ხელთნაწერი ასოები, გრაფიკულად დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ხოლო ქართული ხელთნაწერი ასოები არ განსხვავდება ნაბეჭდი ასოებისაგან.

სხვათა შორის, ცნობილი ნეხი ენათმეცნიერი ნ. ლოუკოტკა სწერს: „დამწერლობის მიხედვით შეიძლება შეეისწავლოთ, ან უკიდურეს შემთხვევაში, ვიმსჯელოთ მისი შემქმნელი ხალხის აზროვნების ეროვნულ ხასიათზე. იმ ხალხის აზროვნება, რომელსაც აქვს მაღალი, დახვეწილი მონუმენტალური დამწერლობა, უდავოდ განსხვავდება იმ ხალხის აზროვნებისაგან, რომელსაც წერილი ორნამენტული დამწერლობა აქვს, ხოლო ეროვნული თვისება იმ ხალხისა, რომელსაც აქვს მომრგვალო, ლამაზი, შნოიანი დამწერლობა, გარკვეულად განსხვავდება იმ ხალხის ეროვნული თვისებებისაგან, რომელსაც მოუპოვება კუთხოვანი, ჩამოუყალიბებელი (მოუწესრიგებელი) დამწერლობა. დამწერლობის შემოღება ამა თუ იმ ტომს მაშინვე ანიჭებს მეწინავეს, ხელმძღვანელის როლს.“ (Н. Лоукотка, „Развитие письма“, М. 1950, стр. 15.)

მაშ, როგორი ყოფილა ქართველი ერის აზროვნება, რომელმაც უნიკალური მრგვლოვანი ოთხხაზიანი დამწერლობა შექმნა?! რომელმაც შექმნა ულამაზესი, თვალისათვის უაღრესად ჰიგიენური დამწერლობა!

„ქართული დამწერლობა, რომელიც ოთხხაზოვან ბადეზეა დამყარებული და გრძელ და მოკლე ტოლმეტ ასოთა სისტემას წარმოადგენს, მხედველობის თვალსაზრისით და წამკითხველთათვის დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს, რადგან ასოთა ტოლადობა და ერთგვარობა მათ გარჩევას აძლევს, მათი ტოლმეტობა კი, პირიქით, ადამიანს ძალიან უადვილებს კითხვას. ეს გარემოება ექსპერიმენტულადაც, ფიზიოლოგიურადაც გარკვეულ დამტკიცებულია“ (ივანე ჯავახიშვილი).

**P.S.** მითხარით, რომელ დამწერლობას გააჩნია მსგავსი გონებრივი სიმაღლე?!

- ქართულ ენაში, ყოველ ბგერას ცალსახად თავისი ასო-ნიშანი შეესაბამება. სხვათა ენაში არსებობს ბგერა, მაგრამ მისი გამომსახველი ასო ნიშანი არ გააჩნია, ან, პირიქითაა, აქვთ ასო ნიშანი, მაგრამ არ გააჩნიათ შესაბამისი ბგერა.

**P. S.** მითხარით, რომელ დამწერლობას გააჩნია მსგავსი გონებრივი სიმაღლე?!

• ქართული ენა მდიდარია ზმნებით, ანტონიმებით, ანტონიმური კომპოზიტებით და ანტონიმური ომონიმებით. თუნდაც, ამის გამო ქართულ ენას ვერანაირი ენა ვერ შეედრება. „გერმანული ენის ბევრ სიტყვას ის თავისებურება ახასიათებს, რომ აქვს არა მარტო განსხვავებული, არამედ საპირისპირო მნიშვნელობანიც, რაშიაც არ შეიძლება არ დავინახოთ მოცემული ენის გონება-ჭკერეტიოთი არსი“. (ფრიდრიხ ჰეგელი, უდიდესი გერმანული ფილოსოფოსი).

ესე იგი ენაში რაც უფრო მეტია ანტონიმები, მით უფრო მდიდარია ამ ენის „გონებაჭკერეტიოთი არსი“. ეს გამოკვლეულიცაა, შესწავლილი და დადასტურებულიც!

დიახ, ვეთანხმები ფრიდრიხს, მაგრამ ჰეგელი ტყუილად იკეხინის გერმანულის უპირატესობაზე. თუნდაც ანტონიმების მხრივ, გერმანული ენა კი არა, ვერარა ენა, ვერა-ვითარ შემთხვევაში, ვერანაირ გარემოებაში, ვერა გზით, ვერა და ვერ შეედრება ქართული ენის სიდიადეს. სათამაშო კოჭიც, რომ გავიხსენოთ გასაგორებლად და ჩასაჭახუნებლად, გერმანული ენა კოჭებამდეც ვერ მისწვდება „თვინიერ ქართულს“.

ამდენად: „გონებაჭკერეტიოთი არსის“ შესაძლებლობა ქართულ ენას გაცილებით მეტი აქვს ვიდრე გერმანულ ენას, დიდად პატივცემულო ჩემო ჰეგელ!

• ქართულ ენაში ანტონიმების ზღვაა და, ამასთან მიტყეულების ყველა ნაწილში, ყველა ასოზე, ყველა ოცდაცამეტივესე!

• ქართული ენა მდიდარია ზმნებით. ქართული ენა მდიდარია დინამიკური ზმნებით.

ქართულში სახელიდანაც-კი შეიძლება ვაწარმოოთ ზმნა. და, შეიძლება ზმნიდან სახელის წარმოებაც. ქართული ენა უფლისაგან არის კოდირებული, ღრმად კოდირებული. მისი გაშლით ქართული ლექსიკა მილიონებში გადადის.

• ქართულ ზმნას შეუძლია სუბიექტისა და საბი ობიექტის დართვაც.

• ზმნა სუბიექტისა და ობიექტის არსებობას გამოხატავს და მათ ისე აბრუნებს, როგორც ზმნა მიიწინებს საჭიროდ.

• ქართულ ენას უხვად აქვს ორი მწკრივი ზმნისწინებისა. ქართულს შეუძლია ზმნის ერთ ფუძისაგან, რამდენიმე ზმნა გააკეთოს სხვადასხვა ზმნისწინების დართვით.

**P.S.** მითხარით, რომელ ენას გააჩნია მსგავსი გონებრივი სიმადლე?

• ქართულ ზმნას ერთსა და იმავე დროს შეუძლია ანგარიში გაუწიოს და მხედველობაში მიიღოს როგორც სუბიექტი პირისა, ისე ობიექტი პირისა, აგრეთვე ობიექტის რიცხვისაც. ასეთი სიმადლავრე ზმნისა არც ერთ ენას არ გააჩნია.

• ქართულ ზმნას გამოსახვის შესაძლებლობით ვერც ერთი ენის ზმნა ვერ შეედრება.

• ქართული ანბანი დამატებით ასო-ნიშნებს არ შეიცავს, -როგორც ეს არის ინგლისურ და დანარჩენ ენებში. -რაც ენის უდიდეს ნაკლს წარმოადგენს. უნდათ მოიშორონ, მაგრამ ვერ მოუშორობიათ, ვერც მოიშორობენ!

• „ქართულში ყველა ხმოვანი მარტივია, ქართულ სიტყვაში ყოველი ხმოვანი ინარჩუნებს თავის ბგერით ჟღერადობას და ისმის ისევე სუფთად, ზუსტად, გამოკვეთილად, მუსიკალურად, როგორც ცალკე წარმოთქმის შემთხვევაში. ქართულ ენაში ხმოვანი თავისუფალია, როგორც ფშვინიერი ისე ძლიერი შემართვა-დამართვისაგან. ქართულ ხმოვნებს არ ახასიათებს თანხმოვანთან შეგუებისა და შერწყმის ტენდენცია. ქართულ წარმოთქმაში ხმოვნებისა და თანხმოვნების კონტრასტულ დაპირისპირებას აქვს ადგილი და არ აქვთ ურთიერთ გაელენა. მკაფიო არტიკულაცია მხოლოდ ქართულ ენას ახასიათებს და არა სხვა რომელიმეს“. (სერგი ჟღენტე).

• ყოველი ასო, რომ ყოველ მდგომარეობაში ერთსა და იმავე ბგერას გადმოსცემს, ეს მხოლოდ და მხოლოდ მარტო ქართული ენისათვისაა დამახასიათებელი.

• ქართული ენა პოლივალენტური ენაა, რომელსაც მოეპოვება ყველა ფუნქცია, რაც კი სალიტერატურო ენას შეიძლება ჰქონდეს.

• ქართული ლიტერატურული ენა მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონეა, ამიტომ მისი წარმოთქმის მხარე დამუშავებული და დახვეწილია, ისე, როგორც მისი გრამატიკული წყობა.

• ქართული ენა უძველესი ენაა, ამიტომ იგი უმნიშვნელოდ იცვლება. სტაბილურია მისი გრამატიკა. ქართული ენის მცოდნე, IV საუკუნის ლიტერატურულ ნაწარმოებს ისევე თავისუფლად კითხულობს, როგორც დღევანდელს და სრულიად გასაგებია მისთვის.

სხვაგან, სხვა ენაში IV კი არა XIV საუკუნის ტექსტს ისე ვერ წაიკითხავს კაცი, თუ განსაკუთრებულად არ შეისწავლა იმ საუკუნის ლექსიკა. ესე იგი საკუთარი ენა, მისთვის უცხო ენას წარმოადგენს.

• ქართულში მეტყველების ყველა ნაწილი იბრუნვის, როგორც არსებითი სახელი. ქართულს შეუძლია აბრუნოს არა მარტო სახელი, არამედ ზმნა, ზმნისსუცა, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული და ა.შ. ყოველგვარი სიტყვა. აბრუნოს ჩვეულებრივი სახელის რომელიმე ბრუნვის ფორმაც. ქართულს შეუძლია სახელის ფუძისაგან ნაირ-ნაირი ახალი ფუძე აწარმოოს. ქართულს შეუძლია ისეთი სიტყვებიც კი აბრუნოს, რომელიც ნასესხებია ბრუნვის უქონელი ენებისაგან.

ქართულს შეუძლია აბრუნოს მთელი წინადადებაც-კი.

P.S. მითხატით, რომელ ენას გააჩნია მსგავსი გონებრივი სიმაღლე?!

• ქართულში სიტყვა ბევრნაირად იცვლება: ან იმავე სიტყვის ახალ ფორმებს იძლევა; ანდა, ახალ ფუძეებს, იმავე ძირის ახალ სიტყვას ქმნის.

• ქართულში შეიძლება ბრუნვა გვაქვს.

• ქართულში გვაქვს მოთხრობითი ბრუნვა, რაც მსოფლიოს არც ერთ ენას არ გააჩნია.

• ქართულში სიტყვის დაშლა ადვილია.

• ქართულში სახელი მარტივია.

• ქართულში სახელი დაირთავს თანდებულს და შეერწყმის სახელს, რაც სხვა არც ერთ ენაში ეს არ ხდება.

• ქართულში თავსართებსა და ბოლოსართებს გრამატიკული ფუნქცია აქვს. ქართულში სიტყვა შეიძლება ვაწარმოთ რამდენიმე თავსართითა და რამდენიმე ბოლოსართით ერთდროულად.

ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურა-აფიქსაცია განუზომლად დიდ შესაძლებლობას იძლევა ახალი სიტყვების წარმოსაქმნელად.

• ქართულ ენას შეუძლია, საგანი დაასახელოს იმის მიხედვით, თუ რას წარმოადგენდა ის წინათ ან როგორი ვითარება ახასიათებს მას წინანდელთან შედარებით.

• ქართულში სონორები ( რ, ლ, მ, ნ, ვ, ) აკუსტიკურად ახლო დგანან ხმოვნებთან. ხმოვნებთან ერთად მარცვლის შექმნაში მონაწილეობენ სონორებიც.

• ქართული სასტამბო (საკომპიუტერო) შრიფტი, აგებულია და მოხაზულობითაც სადაა, მარტივია, ადვილად იკითხება, ეკონომიურია, ესთეტიკურად სასიამოვნოა.

შრიფტის კითხვაც ვიზუალურთან ერთად შემეცნებითი პროცესიცაა. ჩვენ ვკითხულობთ არა ასო-ასო ან მარცვალ-მარცვალ, არამედ მთლიან სიტყვებს. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს შრიფტის აგებულებას, მის გრაფიკულ მთლიანობას.

კონსტრუქციას. ტექსტის დანიშნულების მიხედვით შეიძლება შეიცვალოს კებულის ზომა, მოხაზულობა ან გაუქვითილობა ისე, რომ არ დაირღვეს კონსტრუქცია.

– რაც ქართული შრიფტის უნივერსალურობაზე მეტყველებს. ამ მხრივაც ქართული შტიფტი უნივერსალურია.

• აღარაფერს ვამბობ ქართული ენისა და დამწერლობის უამრავ უპირატესობებზე, სხვათა ენის მიმართ. აღარაფერს ვამბობ ქართული ზმნის ჩვიდმეტევე კატეგორიაზე.

ქართულ ზმნას, სხვა სიტყვის ნაწილების დაუხმარებლად, შეუძლია ჩვიდმეტე კატეგორიიდან ერთდროულად ცამეტ–თოთხმეტი კატეგორია აჩვენოს.

P.S. მითხატით, რომელ ენას გააჩნია მსგავსი გონებრივი სიმაღლე?!

საილუსტრაციოდ მოვიტანოთ მაგალითი აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკიდან“, ზმნა, „დავწერე“:

- 1) პირი: სუბიექტური პირისათვის პირველი პირია, ობიექტურისათვის, – მესამე.
- 2) რიცხვი: სუბიექტური პირისათვის – მხოლობითია, ობიექტურისათვის, – ურიცხვოა.
- 3) დრო: წარსული.
- 4) კილო: თხრობითი.
- 5) გ'სისობა: ერთგ'სისა.
- 6) აქტი: ნახულია (რადგან „უნახავი“ აქტის საპირისპირო ფორმაა „დამიწერია“).
- 7) თანამდევრობა: შემდგომია (რადგან მას უპირისპირდება „დამწერა“. მაგალითად, „წერილი დავწერე ქალაქს, რომელიც ერთ ამხანაგს გუშინ ჩემთვის გამოუგზავნა“. აქ, უწინარესია ქალაქის გამოგზავნა, შემდგომია წერილის დაწერა“.
- 8) მწკრივი: წვეუტილია (რადგან მას სხვა მწკრივები უპირისპირდება; „დავწერო“, – II კავშირებითი, „დავწერ“, – მყოფადი, „დამიწერია“, – I თურმეობითი და სხვა).
- 9) ასპექტი: სრულია (რადგან უპირისპირდება უსრული „ეწერე“, ან „ეწერდი“).
- 10) გვარი: მოქმედებითია (რადგან მოიპოვება საპირისპირო „დაიწერა“, რომელიც ენებითია).
- 11) ქცევა: საარეისოა (რადგან მას საპირისპირო ფორმები უდგას; „დავიწერე“, – სათავისო, „დაუწერე“, – სასხვისო).
- 12) კონტაქტი: უშუალო (რადგან მოიპოვება შუალობითის ფორმა „დავაწერინე“).
- 13) სიტუაცია: მიუთითებელი (რადგან მითითებელი ფორმა „დავაწერე“ უდგას პირისპირ (სახედაო)).

აღარაფერს ვამბობ ქართული ზმნის ოთხპირიანობაზე („მისმევ“ – მე, შენ, ის, მას) და უამრავ სხვა დადებით თვისებებზე. მომჩინიც შეეინდოთ და დაეინდოთ!

ყოველივე ზემოთქმულის თანახმად, ქართულ ენაში არ არსებობს ისეთი ცრუ ომონიმები, როგორცაა, მათი ტერმინების მიხედვით: ომოგრაფები, ომოფონები, ომოფორმები და ა.შ.

P.S. მითხარით, რომელ დამწერლობას გააჩნია მსგავსი გონებრივი სიმაღლე?!

## ქართული ენის ომონიმთა კლასიფიკაცია

ჩვენი თვალსაზრისით, ქართული ენის ომონიმები სამი სახისაა: ლექსიკური, გრამატიკული და შედგენილი ომონიმები.

ლექსიკური ომონიმების:

განსაზღვრება და თუ რა მიეკუთვნება ლექსიკურ ომონიმებს, სემო პარაგრაფშია მოცემული და აქ აღარ გავიმეორებთ.

გრამატიკული ომონიმები:

ერთნაირად მჟღერ სიტყვებს, რომლებიც სალექსიკონო ფორმით ერთმანეთს არ ემთხვევიან, გრამატიკული ომონიმები ეწოდებათ.

მაგ.

შველი – ცხოველი ირმისებრთა ოჯახისა და შველი – ხელს უწყობ, ეხმარები.

ეშვები – ძუძუმწოვარი ცხოველის დიდი კბილები და ეშვები – სევიდან ქვევით მიემართები.

შედგენილი ომონიმები:

როდესაც რამდენიმე სიტყვის ბგერითი შემადგენლობის გამთლიანება წარმოქმნის ერთ სიტყვას (მაგ. „მე ნელა“, ვღებულობთ „მენელა“), ანდა რამდენიმე სიტყვის ბგერითი შემადგენლობა ემთხვევა იმავე ან სხვა რაოდენობის სიტყვათა ბგერით შემადგენლობას, რომლებიც განსხვავებული მნიშვნელობის შინაარს წარმოქმნიან, შედგენილი ომონიმები ეწოდება. მაგ. დასადაგე:

დასადაგე: 1. დასაწველი, დასადაგავი.

დასად აგე: 2. დასად (ჯგუფად, ერთად) + აგე (გამიყარე).

და სად აგე: 3. და (ერთი დედ-მამის ქალიშვილი სხვა შვილების მიმართ) + სად (რა ადგილას?) + აგე (წაიყვანე).

და სად აგე: 4. და (მაერთებელი კავშირი) + სად (რა ადგილას) + აგე (ააშენე, ააგე).

„რად სოფელო, სხვა არ დაწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?“

გლახ, ლახვარი სასიკედიზე ყველა მე მკარ, დასად აგე?

დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად აგე?

სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად აგე?„

(თეიმურაზ I, „შუდარება გაზაფხულისა და შემოდგომისა,“)

ჩემს მიერ წარმოდგენილი ომონიმების განსასწავლად და მათი კლასიფიკაცია არის შესტი და ერთადერთი.

P.S. ჩემო ქართველო მეგობრებო, ჩემო კარგებო! იმაზე უკეთ და იმაზე მეტს მე რას გეტყვი, რაც ვაუა-ფშაველამ გითხრათ: „საკვირველია ღმერთმანი, უცხოელმა ორიენტალისტებმა აწამებინეს ჩვენებურ ორიენტალისტებს, რომ ქართველები მემკვიდრენი ვართ ძველ ურარტუელებისა, რომელნიც კულტურით მალლა იდგნენ ასურეთ – ბაბილონეთს. თუ უცხოელები არა, ჩვენები ვერ გაბედავდნენ ამის თქმას, რადგან პრინციპი „ობიექტურობისა“ არ მისცემდა ნებას თავის ერის ქებისა. დიახ, რცხენიანთ კარგის თქმა საქართველოზე, მჟავე პატრიოტები არაეინ დაგვიძახოსო, ეს ვაუკაცობად მიაჩნიათ, იმას როდილა ფიქრობენ, რომ სირცხვილი ის კი არ არის, თავის დიდება ადიდო, თავყვანისცე, – არამედ ისაა სირცხვილი, ეს დიდება მალლიდან დაბლა ჩამოაგდო ლაფში და ფეხით გასთელი, – ვერ გააბედო სთქვა სიმართლე“.

P.S. ჩემო ქართველო მეგობრებო, ჩემო კარგებო! იმაზე უკეთ და იმაზე მეტს მე რას გეტყვი, რაც ბატონმა მიხაკო წერეთელმა გითხრათ: „ქართველებო როცა ჩვენს დიად წარსულზედა ვლაპარაკობთ, ეს უბრალო ტრაბახი და ბაქი-ბუქი არ არის. დიდი იყო ჩვენი წარსული... ეს რასა, რომელსაც შეგვიძლია ქართული რასა ვეწოდოთ, დიდი, მრავალრიცხოვანი იყო და ამასთანავე ისეთი ნიჭითა და შემოქმედებით დაჯილდოებულნი, რომ სადაც კი მოიკიდებდა ფეხს მისი რომელიმე ნაწილი – ბაბილონიაში, ელადის ქვეყანაში, არმენიაში, მთელს მცირე აზიაში თუ კავკასიაში, ყველგან ჰქმნიდა უდიდესსა და უორიგინალეს კულტურას, – სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, სარწმუნოებას, ხელოვნებას, დამწერლობას – ყველაფერს, რასაც კი კაცობრიობის დიდება ეწოდება“.

P.S. ჩემო ქართველო მეგობრებო, ჩემო კარგებო! იმაზე უკეთ და იმაზე მეტს მე რას ვიტყვი, რაც დიდებულმა პოეტმა, თამარ დაუშვილმა უთხრა ქართველ ისტორიკოსებს, ყველა ქართველის გასაგონად: „რომს იქეთ ეძიეთ წარსული, – ჩვენ მისი ძირი და ფესვი

ვართ, თავმდებად – ენა გვაქვს ქართული, ცისა და ღმერთების მესია! ვაი თუ ვერ გასცდეთ არმაზს და ბახიანს, მე თქვენგან მექნება წყენა, ღმერთების სახელით საგსკეა წვენი სასაუბრო ენა... ქართულით აიხნება მსოფლიოს წარსული, ნამდვილ გზებს – ნამდვილ გეშს ამცდარო ყნოსეებო, წარსულს მიხედეთ, ენას მიხედეთ, ქართულს მიხედეთ, ისტორიკოსებო!”

ჩემო ქართველო მეგობრებო, ჩემო კარგებო! უძველესი და უმდიდრესი წარსული გაქვთ და, დაიმახსოვრეთ; ნიჭი გაქვთ და, დაიმახსოვრეთ:

თაქს ნუ დაუხრით რუსს, ევროპელ თუ ამერიკელ „ტოლერანტებს“!  
ცალდედიანებს, ცალმამიანებს ანდა, სულაც, ცალ-უცალოებს!

## ქართული დამწერლობა და ქართული ენის მაქებარნი

იდეალურად ითვლება მხოლოდ და მხოლოდ ქართული დამწერლობა და ქართული ენა, რადგან: „თითოეული ფონემა სათანადო გრაფემით აღინიშნება. ქართულ ანბანში არ არის შემთხვევა, რომ რამდენიმე ნიშანი ერთ ფონემას გადმოსცემდეს, ერთი და იგივე გრაფემა სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ფონემას აღნიშნავდეს, ან კიდევ, – გამოიყენებულ იყოს ფონემათა ჯგუფის აღსანიშნავად (როგორც ამას ადგილი აქვს სხვა ენათა ანბანში: ინგლისურში, გერმანულში, ფრანგულში, რუსულში, ბერძნულში და ა.შ.)“ (გიორგი წერეთელი).

ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი სასიზღროებისაგან!

ღმერთმა დაგვიფარა კიდევაც, ასეთი სასიზღროებისაგან!

მაშ, რა გამოდის: ქართული ენა და დამწერლობა არის იდეალური ანუ მსოფლიო ენების ღმერთი! ანუ, მსოფლიო ხალხთა ენებმა, ქართულ ენასა და მის დამწერლობასე უნდა ილოცონ!

მსოფლიომ ქართული ენა უნდა აღიაროს ხალხთა საერთაშორისო ენად!

მაშ „ვინ“ არიან დანარჩენი ენები?

დიად ქართულთან, დიდად ვერ მიახლოებულნი! დიდად!

„ძველი ცივილიზაციის ბევრი ერი დღეს უკვე აღარ ლაპარაკობს იმ ენაზე, რომელიც მას ადრეულ ეპოქაში ჰქონდა. მაგალითი, დღევანდელი ბერძენებისათვის უცხოა ძველი ბერძნული ენა, იტალიელითათვის, – ლათინური. ევროპელი ხალხების ენებმაც ძირფესვიანი გადახალისება განიცადეს. არსებითი განსხვავებაა ძველ სომხურსა და ახალ სომხურს შორის, ძველ სლავურსა და ახალ რუსულ ენას შორის. მათგან განსხვავებით, ქართული ენა უძველესი დროიდან დღემდე არსებითად უცვლელი დარჩა და თანამედროვე მკითხველს მშვენივრად ესმის იაკობ ხუცესის, გიორგი მერჩულესა და რუსთაველის ენა. ქართული საეკლესიო ენა და დამწერლობა საეროსაგან მკვეთრად არ გამოიჯნულა“ (აკაკი სურგულაძე).

ქართული ენა მეტად უმნიშვნელოდ იცვლება (თითქმის არ იცვლება). ამის მიზეზებია: ქართული ენა ძალზედ უძველესი ხანიდან არის დადუღებული და ჩამოყალიბებული. ქართულს საუკუნეთა მანძილზე საეროენო დიალექტი არ შეუცვლია. გრამატიკა თითქმის უცვლელია და ძალზე განვითარებული.

ბევრს ეცადნენ და ბევრს ცდილობენ მსოფლიოს გამოჩენილი ენათმეცნიერები, აკადემიკოსები თუ მოაკადემიკოსები, რომ გადააკეთონ თავიანთი ენის დამწერლობა, რომელიც მსგავსი იქნებოდა ქართული ენისა, მაგრამ არაფერი გამოსდით! ან რა უნდა გამოუვიდეთ?

„არ გაიმართება კუზიანი ხის ჩრდილი“ (მეფე თამარი, XII ს.). „არცა კუდი

ძაღლისა გასწორდების, არცა კირჩხიბი მართლად ვაღწე.”

„ქართული ანბანის შემოქმედმა შესანიშნავად იცოდა ენის ბგერითი შემადგენლობის სტრუქტურული საფუძვლები. ქართული ანბანის მონეკონტროლობა, გარეგნული მომხიბვლელობა და ენის ბგერითი სისტემისადმი მისადაგება მის შემქმნელს უდიდეს მოასრონეთა რიგში აყენებს. მისი შემოქმედი უდიდესი და უმკვიდრესი ქართველი უნდა ყოფილიყო, ქართული ენის საკმაოდ რთულ სტრუქტურაში ღრმად ჩახედული, ქართულად ენადადგმული და ქართული ასოვნების საიდუმლოებას სიარებელი“ (ივანე ჯავახიშვილი). და, ეს ქართველი არის მსოფლიოში პირველი და მსოფლიოს უდიდესი ენათმეცნიერი!

მსოფლიოში არ არსებობს ისეთი ენა, რომელსაც იმდენი მამკებარი ჰყავდეს უცხოეთში, როგორც და რამდენიც ქართულ ენას. ქართულ ენას მსოფლიოს გამოჩენილი ენათმეცნიერები, მწერლები და პოეტები აქებენ, დიდად!

„ქართველები ამჟამებზე, შუა საუკუნეებში კავკასიაში მცხოვრებთა უმეტესობა ქართულად, რომ ლაპარაკობდა და ქართული ენა ერთ-ერთ უძველეს ლიტერატურულ ენად, რომ ითვლებოდა მსოფლიოში.

ქართული ანბანი სავსებით უცხოა ჩვენი თვალისათვის, მაგრამ ოქრომჭედის ნაოსტატარს მოგაგონებთ და ცოცხალი, მოსუქურთმებული მოხაზულობა აქვს: ნატიფად ხეული, დაკბილული, მიხევეულ-მოხევეული, კაურა. ოცდაცამეტი ასოსაგან შემდგარი ქართული ანბანის თითოეული ასო ბგერის გამოჩატეულიცაა და, როცა მათგან წარმოქმნილ სიტყვას დაეუფლები, წასაკითხად ადვილია.“ (რიჰარდ კრისტი).

„იბერიული – ღმერთების ენაა“. (პერბერტ ძეხიში, ავსტრიელი მეცნიერი).

„ქართული ენა გამომსახველობითი საშუალებებით მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესია და არც სიტყვათა მარაგით ჩამოუვარდება ყველაზე განვითარებულ ენებს“ (რიჰარდ მეკელანი (1880-1948), გერმანელი ენათმეცნიერი).

„ქართულ ასოთმთავრულ ანბანში დაძლეულია ერთულესი ასტრონომიული და კალენდარული პრობლემა: ესეოდენ სრულყოფილი კალენდარული სისტემა კალენდრის ისტორიამ არ იცის... არც ერთ ერს ისტორიულ წარსულში არ შეუქმნია იმდენად სრულყოფილი ანბანური დამწერლობა, როგორცაა ქართული ანბანური დამწერლობა“ (რამაზ პატარიძე, ენათმეცნიერი).

„მითხარით, რომელი ენა გეგულებათ, რომ ან წერა-კითხვა ჰქონდეს ქართულზე უფრო გამარტივებული და განვითარებული, ან ლექსთაწყო და შენება ჰქონდეს უფრო მოქნილი და გაადვილებული, ან ასრის გამოსათქმელი მასალა ჰქონდეს უფრო მოხერხებით შეზავებული, ან სიტყვებით და გრამატიკული სახეებით იყოს უფრო მდიდარი?.. ქართულს აქვს ისეთი გასაოცარი სახიერება და სიმდიდრე ფორმებისა, ევროპის არც ერთ ძველსა თუ ახალ ენას არ მოეპოვება და რომ ქართული ანბანი ყველაზე მარტივია და სრულყოფილი დღესდღეობით ცნობილ ანბანთა შორის. დიდი ხანია, აღარც ამასე კამათობს ვინმე“ (დმიტრი ყიფიანი).

„ქართული ანბანი ყველაზე სრულყოფილია არსებულ ალფაბეტებს შორის. ყველა ბგერა აღინიშნება განსაკუთრებული ნიშნით, ხოლო ყოველი ნიშანი გამოხატავს ერთსა და იმავე ბგერას. ყველა ევროპულ ენაში დიდ დაბრკოლებას ქმნის ორთოგრაფია. ქართველისათვის, მისი ალფაბეტის სრულყოფილების მეოხებით ეს დაბრკოლება არ არსებობს. ქართული ანბანი მარტივია. მართლწერა ქართულისა ისეა გაადვილებული, რომ სხვა ეკეთი ანბანსრული ენა ქვეყანასე არ მეგულება“. (პეტრე უსლარი, 1816-1875, რუსი ენათმეცნიერი).

„ქართული ანბანი სავსებით სრულყოფილი ინსტრუმენტი ქართული ენის მრავ-



ვალჟეროვან ბგერათა მთელი სიმდიდრის გადმოსაცემად. ასოები გადმოსცემენ ყოველ ცალკე ბგერას 'სუსტად და ნათლად, და ვერც ერთი სხვა ანბანი ვერ შეედრება მას ამ მხრივ' (იულიამ ელჟარდ ალენი, ინგლისელი მეცნიერი).

„ამ 'სლაპრულ, ლამაზ ბუნებით დაჯილდოებულ ქვეყანაში არ შეიძლება არ დაბადებულიყო ასეთი ორიგინალური, მორაკრაკე ენა“ (კონსტანტინე ბალმონტი, რუსი პოეტი, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი).

„Грузинский язык высокохудожественно воплощает всякую мысль и не искажая и не израшая, передаёт её не одним лишь общими, отвлеченными понятиями...“

Грузинским языком выражается всё, что только можно выразить любым языком земного шара... Грузинский язык настолько богат, что по своим внутренним свойствам он является языком мирового значения... Из неравной часто борьбы с другими культурными языками грузинский язык всегда выходил с честью, давая опору самостоятельному существованию грузинского народа.

შოთა რუსთაველის ენა არათუ ადგილობრივი არ არის, იგი უკვე მსოფლიო ენაა!“ (ნიკო, მარი, აკადემიკოსი).

\* \* \*

ერთი, ინგლისურ ენასაც გადაეხედოთ, ყველას პირზე რომ აკერია.

თავდაპირველად გაეჩისენოთ ინგლისელი ისტორიკოსის ნორკ-სტონის სიტყვები:

„ის ხალხი რომლებმაც უდიდესი გავლენა მოახდინეს ინგლისელებზე (ინგლისის კუნძულებზე მცხოვრებ ხალხზე), როგორც რაოდენობრივად, ასევე კულტურულადაც და უდიდესი გავლენა იქონია ინგლისურ ენაზე არიან იბერები“. (Норк-стон, История Англий, 5 стр.)

„Архаическая орфография и отсутствие единных правил произнашения – вот основные причины трудности изучения английского языка... При изучении языка существенную роль играет орфография. Английская орфография самая сложная из всех орфографий западно-европейских языков.. Известно, что в английском языке 22 гласных звука. а в письме они выражаются при помощи шести букв, а что многие буквы только пишутся, но не произносятся при чтении. Б. Шоу считал английскую орфографию нелепой и абсурдной. Он подсчитал, что в своей литературной деятельности тратил ежегодно попусту два месяца на написание лишних, нечитаемых букв... Он основал специальный премиальный фонд для того, кто усовершенствует орфографию английского языка“... (Королевич А.И.)

მაგრამ ბინერ სტოუს არ გამოუანგარიშებია: რამდენი ადგილი, რამდენი ქალაქი, რამდენი დრო და ბუჭვდა-წერისათვის საჭირო სხვა საშუალებები იხარჯება, ამ ზედმიტტი ასოების გამო. ანდა, როგორ ანაგვიანებს ადამიანის მხედველობის ორგანოს და რამდენად არაპიტიენურია თვალისათვის. ინგლისური ენის უბადრუკობაზე სხვა დროს უფრო მაგრად და კარგა ბლომადაც მოგახსენებთ.

იკომისიეთ „ძამიკოებო“, იკომისიეთ, მინც არაფერი გამოვივათ! გართობით კი, კარგადაც გაერთობით. არ შეგიმჩნევიათ, ბატონებო: მცენარე, რომ თავიდანვე დაიგვალეუბა, დაკოლინდება და დაკუზიანდება, ის უკვე წელში უეღარ გაიმართება!

„ინგლისური ენა მდიდარ ენად მხოლოდ ქართულ „ელიტარულ“ ინტელიგენციაში თუ ითვლება, ვინაიდან ეს შედარებით ახალგაზრდა ენაა, რომლის წამოყალიბება მხოლოდ XVIII საუკუნეში დაიწყო“ (ალექსანდრე ჭაჭია).

ინგლისურ ენას, „ელიტარული პოლიტიკანები“, იყენებენ ფარად, თავიანთი გონება-შესლდულობის დასაფარავად!

მაგრამ,რომელ ინგლისურზეა ლაპარაკი,მათ ეს,კი არ იციან. ამერიკული ინგლი-

სური მკვეთრად განსხვავდება ბრიტანული ინგლისური ენისაგან: ფონეტიკურად, ლექსიკურად და ორთოგრაფიულადაც. კანადური ინგლისური განსხვავდება ამერიკული ინგლისურისაგან. ავსტრალიური ინგლისურიც საკმაოდ განსხვავებულია.

მათ ვეკითხები, რომელი ინგლისური იციან: ბრიტანული, ამერიკული, კანადური თუ ავსტრალიური. აღარაფერს ვამბობ ინდოეთის ინგლისურზე.

დასკვნა: ე.ი. არაფერიც არ იციან! მაგრამ, ეს არ იციან! რომც იცოდნენ, განა ისინი XVIII საუკუნის ინგლისურს წაიკითხავენ?

ინგლისური ენის კომისიას (კომისიებს) უნდოდათ:

1) დამატებითი სიმბოლოები მოესპოთ, – არ გამოუვიდათ!

2) ასოთა გრაფიკული მოხაზულობა გაელამაზებინათ, – არ გამოუვიდათ!

3) დიფთონგები, გრძელი და მოკლე ხმოვნები მოესპოთ, – არ გამოუვიდათ!

4) რადგან ინგლისურში ინტენსივობის მახვილი, ძლიერია და ამოსუნთქვის ძალა თანაბრად რომ არ ნაწილდება ყველა მარცვლის მიხედვით და, ხმოვნები ვერ ინარჩუნებენ თავიანთ სრულ სახეს, – აბა, ამას რა უშველებოდა.

5) ევრაფერი უშველეს ინგლისურის ღარიბ ლექსიკასაც, – აბა, ამას რას უშველიდნენ.

6) როგორც იწერება ასევე, რომ გამოითქმებოდეს და პირიქით, როგორც გამოითქმის ასევე იწერებოდეს, – ამასე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ანბანური დამწერლობაც კი არ გააჩნიათ.

აბა, რა ჩემფეხებად უნდა ქართველებს ინგლისურით თავმოწონება (თავქარიანი ანუ თავში ქარი თუ არ უქრის), როდესაც ინგლისური ქართველის ქართულს კოჭებამდეც კი, ვერ მიწვდება, – ჩემი ფეხების კოჭებამდეც – კი, ვერა!

„ყოველი ენა სიტყვათა მნიშვნელობის მხრივ დამოკიდებულია კონტექსტებისაგან, სიტყვათა ცოცხალ შეხამებასთან, – ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმ მნიშვნელობის ხარისხით, რომელიც საჭიროა იზოლირებულ ფრაზის გარეშე აღებულ სიტყვათა გასაგებად. რაც უფრო მდიდარია ენები მორფოლოგიურად, მით უფრო დიდ, თუმცა შეფარდების, დამოუკიდებლობას იჩენენ მათი სიტყვები. ასე, მაგალითად, უფრო ადვილია კონტექსტის გარეშე დავადგინოთ აზრი მორფოლოგიურად მდიდარი გრელანდიური სიტყვისა, ვიდრე... ინგლისური ენის სიტყვისა“ (ბულახოვსკი ლ. ა., „ენათმეცნიერების შესავალი“).

ხედავთ? გრელანდიურ ენამდეც – კი ვერ ამალღებულა ინგლისელის ინგლისური ენა!

„ენის წაკითხვის წესები დამოკიდებულია იმაზე თუ რომელ მართლწერის პრინციპსა და მყარებულს: ფონეტიკურ, მორფოლოგიურ თუ ისტორიულზე. მაგალითად, ინგლისური წარმოთქმა ითვლება ძნელ წარმოთქმად, ვინაიდან ინგლისში დამწერლობა, რომელიც ისტორიულ პრინციპსა აგებული, საკმაოდ დაშორდა წარმოთქმას“. (სერგეი ულენტი).

ინგლისელებს ხომ საკუთარ თავზე ეცინებათ და ხუმრობენ (თუმცა მათთვის მეტად მწარეა ეს ხუმრობა): „ჩვენ ბირმინჰემს“ ვწერთ და „მანჩესტერს“ ვეკითხულობთ“.

ერთი მითხარით: დაეტანჯოთ კაცობრიობა ჩლაფუნა ინგლისურით? დაეტანჯოთ? არ შეეიცოდოთ კაცობრიობა?

კი მაგრამ, რა დააშავეს?!

\* \* \*

ერთი, საერთაშორისო ენა „ესპერანტოსაც“ გადაეხედოთ.

წინასწარ ვიტყვი, „ესპერანტო“ მოკლა უღიმღამო ინგლისურმა..

1629 წელს რ. დეკარტმა წამოაყენა რაციონალური ზოგადსაკაცობრიო ენის იდეა. გ. ლაიბნიცმაც სცადა უნივერსალური ენის შექმნა. მაგრამ მათ იდეას მაშინ ყრთა ვერ შეესხა. აქედან მოყოლებული საერთაშორისო ხელოვნური ენის 900-მდე პროექტი შეიქმნა, მათგან გაერცეულდა მხოლოდ ის ენა, რომელიც შექმნა ვარშაველმა თვალის ექიმმა ლაზარე მარკოზის ძე სამენაოფმა. ხელოვნურ საერთაშორისო ენას ეწოდა „ესპერანტო“, რომელიც სამენაოფის ფსევდონიმს წარმოადგენს. „ესპერანტოში“ შემოსულია: რომანული – 60%, გერმანული 30% და სლავური – 10% სიტყვის ძირები. ე.ი. ნარევი ენაა!

სამენაოფმა „უნივერსალური დამწერლობის“ (?) შექმნის საფუძვლად, ქართული ენის პრინციპი აიღო: როგორც იწერება, ასევე გამოითქმის და, პირიქით, როგორც გამოითქმის ასევე იწერება. პრინციპი კი აიღო მაგრამ არ გამოუვიდა, ვერ განახორციელა, ვერც განახორციელებდა. გარდა ამისა, ქართულიდან ისესხა ის ასოები, რომლის შესაბამისი ბგერა ბუნებაში არსებობს, მაგრამ არ არსებობდა იმ ენებში, რომელსაც ის ეყრდნობოდა. მაგ. რომანულ, გერმანულ და სლავურ ენებში. მაგალითად ასო „ჯ“ და სხვა.

სამენაოფმა ქართული ენიდან აიღო ის, რომ: ქართულში არ არის სქესი. სქესის არსებობა ყველა ენის უდიდეს ნაკლს შეადგენს. სქესი რომ საჭირო ყოფილიყო ენისათვის, ქართული ენის შემქმნელ ქართველს ვერაფერ დაასწრებდა!

ქართული ენის ეს და სხვა უნიკალური პრინციპები კი აიღო, მაგრამ ვერც ერთი ვერ განახორციელა.

სამენაოფმა ლათინური ანბანი დატოვა სამოქმედოთ და, ისედაც ნაკლოვანი დამწერლობა კიდევ უფრო დაანაკლოვნა სხვადასხვა „იეროგლიფების“ დამატებით:

ორხაზოვანი მონოტონური ანბანი; უვარგისია თვალის პოგიენისათვის (თუმცა თითონ იყო თვალის ექიმი); ამცირებს შრომის მარგიქმედების კოეფიციენტს; ასოების გარნევა დიდ ენერგიას მოითხოვს; ამნელებს სწრაფ კითხვას; ასოთა ულამაზო მოხაზულობა მკითხველის გუნება-განწყობილებას აკინნებს; იწვევს მკითხველის მალე გადაღლას; შესაძლებელია დაწერილი ასოების ერთმანეთში გადასვლა; მონოტონურობა მოითხოვს დიდი ასოების არსებობას, რაც მოუხერხებელია ტექნიკურად, მოითხოვს განსხვავებულ გრაფიკებს; ხელნაწერი ასოები განსხვავდება ნაბეჭდი ასოებისაგან; ესპერანტოში სიტყვები თანხმოდანსე ბოლოვდება, რაც არავოკალურია და სასაცილოა მოსასმენადაც. „ნახევარსიტყვები“ უკმარისობის გრძნობას იწვევს.

„უმართებულო წარმოთქმა კომიკურ შთაბეჭდილებას ახდენს... ის, ვისაც საწარმოთქმო მოქმედების მკაფიობა არ აქვს, გაგონებითი ეფექტიც არადაამაკმაყოფილებელია“ (დ. შჩერბა, ენათმეცნიერი, აკადემიკოსი). სამენაოფმა ვერ მოსპო ნახევარ ხმოვნები, დიფთონგები, ყოველი ასო ყოველ მდგომარეობაში არ გადმოსცემს, არ ასახავს ერთსა და იმავე ბგერას; რადგანაც ესპერანტოში ინტენსიურობის მახვილი ძლიერია, ამიტომ ამოსუნთქვის ძალა თანაბრად არ ნაწილდება ყველა მარცვლის მიხედვით. ამიტომაც ხმოვნები ვერ ინარჩუნებენ თავიანთ სრულ სახეს. აქცენტი და მახვილი სიტყვის შინაარსს ცვლის. ამიტომ ისინი განსხვავებული ასო-ნიშნებია.

ერთი სიტყვით, ასეთ სასაცილო მდგომარეობაშია ჩაყარდნილი ინგლისურიცა და ესპერანტოც.

ერთი სიტყვით, ინგლისურ და „ესპერანტოს“ ენებს ფონეტიკური დამწერლობა არ გააჩნიათ!

ერთი სიტყვით, სამენაოფი ვერ ჩაწედა ოთხაზიან დამწერლობის საიდუმლოებას, რომელიც სხვა ბევრ დადებით თვისებებთან ერთად არ მოითხოვს დიდი ასოების საჭიროებას.

ამის მტკიცებას ჩვენ აქ არ შეუდგებით (სხვა დროისათვის იყოს), მაგრამ მოვიტანთ

„ესპერანტოს“ შეფასებას:

- 1) „Эсперанто бесцветный язык“ („Школьный словарь иностранных слов“, 1983).
- 2) „Искусственный язык, созданный одним человеком, не может быть естественным средством общения людей“ (Королевич. А. И.).
- 3) „Другие называют эсперанто мёртвым языком, так как нет на земном шаре страны, где люди со дня рождения говорили бы на этом языке“ (Королевич А.И.).
- 4) „Эсперанто“ мёртвый язык непригодный для художественного творчества. (Королевич А.И.).

5) „ესპერანტოს“ ენასე არ არსებობს დამწერლობა, კლასიკური გაგებით. „ესპერანტო“ უწიგნური ენაა!

6) „ესპერანტოს“ ენასე ვერ აღდგება ვერც ერთი ისტორიული ფაქტი, კაცობრიობის ისტორია! ეს მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენას ძალუძს!

რაც „ესპერანტოზე“ ცუდი ნაკლი ვთქვი, იგივე უნდა დაემატოს ინგლისურ ენასაც, უფრო მეტიც: ინგლისური მოწილიქული ლაპარაკის გაგონებაზე ორივე ხელის თითები ყურებთან მიგვაქვს. მათ, ინგლისელებსა და სხვებსაც, არ გააჩნიათ სრულყოფილი სალაპარაკო აპარატი (სალაპარაკო ორგანოები),

ქართველებს აქვთ მრავალხმიანი სიმღერები, როგორცაა: „ჩაკრულო“, „სამთარია“, „მრავალჟამიერ“, „ალილო“, „ლილეო“ და მრავალი სხვა.

ქართველებს აქვთ ღმერთებისადმი განკუთვნილი სანანიჩაეებელი საგალობლები. ქართული მრავალხმიანი სიმღერები და მრავალხმიანი საგალობლები ხომ ერთადერთია მსოფლიოში.

მრავალხმიანმა სიმღერებმა და მრავალხმიანმა საგალობლებმა ჩამოუყალიბა ქართველებს სრულყოფილი სალაპარაკო აპარატი. და, პირიქითაც: იმის გამო, რომ ქართველებს გააჩნია სრულყოფილი სალაპარაკო აპარატი, ამიტომაც შექმნეს განუმეორებელი მრავალხმიანი სიმღერები და, მრავალხმიანი საგალობლები, ღმერთების სანანიჩაეებელი!

ქართული პოლიფონიური სიმღერები და ქართული საგალობლები ხომ უძველესია მსოფლიოში: „მუსიკაში მიღებული ტერმინი „ფრიგიული კილო“ სწორედ ფრიგიის ქვეყანას უკავშირდება. ფრიგიული მინორული ტონი სწორედ ფშაეში ჩაწერილ სიმღერებსა და ხევესურულ „მთიბლურს“ უკავშირდება... ფშაურში ყველაზე კარგად შემონახულია „ფრიგიული“ კილო, უფრო სწორად, – უძველესი მესხური კილო.

ძველ ბერძენ ავტორთა ნაწერებში საუბარია უძველეს საკულტო საგალობლებზე. ფრიგიული მოტივები და სიმღერები გადაუღიათ საბერძნეთში. ძველ ბერძნებს იმდენად მოსწონდათ ფრიგიული მელოდიები, რომ რამდენიმე მკვლევარი გამოთქვამს ასეთ აზრს, რომ სიტყვა (Musik) ძველ ბერძნებს „მუსიკების (მოსხების, ანუ ქართველების) ეთნიკური სახელი საერთოდ დაუკავშირეს ამ გამოვლინებას“ (Gobziel). (გიორგი გიგაური „ლიტერატურული საქართველო“, № 12, 2006 წ.).

ადრეც ვთქვით: ქართული ენის გარეშე მსოფლიოს ცივილიზაციის სურათის აღდგენა შეუძლებელია!

ქართული ენა ჰაერივით სჭირდება ცივილიზებულ მსოფლიოს!

არამცთუ მეცნიერები, არამედ, – რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მთავარი ასტრონომი, მღვდელი გაბრიელ ფიუნესი დასაშვებად მიიჩნევს: დედამიწის გარეთ უცხოპლანეტელთა არსებობას. უცხო ცივილიზაციის არსებობა არ ეწინააღმდეგება საღმრთო განგებულებას-ო. უცხოპლანეტელები შესაძლოა თავისუფალი იყვნენ პირველქმნილი ცოდვისაგან-ო.

ვთქვით, ეს უცხოპლანეტელები ჩამოვიდნენ დედამიწაზე და გვკითხონ: როგორი

ანბანი გაქეთო, – რა ექნათ: ოთხკუთხა ანბანი ვაჩვენოთ თუ მრგლოვანი? უღამასო ანბანი ვაჩვენოთ თუ ლამაზი? არაეკონომიური ანბანი ვაჩვენოთ თუ ეკონომიური? ისეთი ანბანი ვაჩვენოთ, სიტყვაში ასო სხედასხვა ადგილას სხედასხვანაირად რომ იკითხება თუ ისეთი, ნებისმიერ ადგილას ერთნაირად რომ იკითხება? ისეთი დამწერლობა ვაჩვენოთ სადაც ერთ ბგერას რამდენიმე გრაფემა შეესაბამება თუ ისეთი, სადაც თითოეულ ბგერას სათანადო გრაფემა შეესაბამება? მონოტონური, დამღლევი დამწერლობა ვაჩვენოთ თუ, არამონოტონური? თვალისათვის არაპიგიურული დამწერლობა ვაჩვენოთ თუ პიგიურული? რომელი დამწერლობა ვაჩვენოთ, სადაც: ერთნაირად წერენ და სხედასხვანაირად იკითხება ან, სხედასხვანაირად წერენ და მინც ერთნაირად კითხულობენ თუ ისეთი, როგორც იწერება ისე იკითხება და პირიქით, როგორც გამოითქმის ასევე იწერება? რომელი დამწერლობა ვაჩვენოთ, რომელსაც გრაფემა აქვს და არ იკითხება ანდა, ფონება აქვს და შესაბამისი ასო-ნიშანი არ გააჩნია თუ, ის დამწერლობა სადაც ყველა ფონება თავისი შესაბამისი გრაფემით გამოისახება და პირიქითაც, ყოველ გრაფემას თავისი შესაბამისი ფონება მიეკუთვნება? დიფთონგებიანი დამწერლობა ვაჩვენოთ თუ უდიფთონგო? რთული თანხმოვნებიანი დამწერლობა ვაჩვენოთ თუ, ის დამწერლობა, რომელშიც ყველა თანხმოვნები მარტივია? ის დამწერლობა ვაჩვენოთ, რომელშიც გამოყენებულია დამატებითი ასო-ნიშნები თუ, რომელშიც არაერთად დამატებითი ასო-ნიშნები არ არსებობს და არც არის საჭირო? ზმნებით ღარიბი ენა ვაჩვენოთ თუ ზმნებით მდიდარი?

უცხოპლანეტელები არ დაგვცინებენ?, ჩვენ არ შეგვცხებება? არ იტყვიან, განუვითარებელნი ყოფილხართო? ვის ვეჯაჯღანოდ, ვის ვეჯამბაზოდ? – ჩვენს თავს?!

მსოფლიო საზოგადოებამ, ქართული ენა საერთაშორისო ენად უნდა გამოაცხადოს!!!

ვაი, სირცვილო, თუ კიდევ შეიძლება ამაზე ჭოჭმანი, ჭოჭმანი და ყოყმანი!

## ცოტა რამ ომონიმების ისტორიიდან

„ქვის ხანიდან“ მოყოლებული ომონიმების „დაბადებაც“ არის საეარაუდო. პირველყოფილი ადამიანი, ერთი და იგივე ბგერით ან, ერთი და იგივე ქესტით ან, ერთი და იგივე საგნით, რამოდენიმე საგანს ან მოვლენას აღნიშნავდა, ანუ, წარმოიქმნებოდა ომონიმები.

აკი, არისტოტელე (ძე.წ.ა. 384-322) ამბობს: „მიბაძეა თანდაყოლილი აქვს კაცს ბავშვობიდანვე: და კაციც იმით განსხვავდება ცხოველებისაგან, რომ იგი ყველასე უფრო წამბაძველია და თავის პირველ სწავლას მიბაძვის საშუალებით იძენს“. (არისტოტელე, „პოეტიკა“, გვ. 67)

როგორც მეცნიერებაშია მიღებული, პირველყოფილი ადამიანების ენა იყო „წამოძახილების“ ანუ, „ბგერითი“ ენა. გავიხსენოთ ბერძენი ისტორიკოსის, „ისტორიის მამად“ წოდებული, ჰეროდოტეს (ძე.წ. 485-424 წ.წ.), მოთხრობილი ლეგენდა, რომელსაც ჩვენ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული დამოკიდებულება გააჩნია: ეგვიპტის ფარაონს, ფსამეტიქს (ძე.წ. VI ს.), მოუნდომებია გაეგო, თუ რომელია ის ენა, რომელზედაც პირველად აღაპარაკდა კაცობრიობა. ამისათვის გაუცია ბრძანება, რომ კარჩაკეტილად აღესარდათ ორი ბაგევი, ისე, რომ მათ ადამიანის ლაპარაკი არ მოესმინათ. პირველი სიტყვა, რომელიც მათ წამოუძახებიათ ყოფილა „ბეკოს“. გაუშიფრიათ, რომ „ბეკოს“ პურს ნიშნავს ფრიგიულ ენაზე. დაასკენეს: ფრიგიულია ის უძველესი ენა, რომელზედაც ადამიანები აღაპარაკებულანო.

ამ ლეგენდაში ის მარცვალს დევს, რომ „წამოძახილები“ იყო პირველი ადამიანების, პირველი სალაპარაკო საშუალებები.

ჩვენი მოსაზრებით, სოგიერთი წამოძახილი იქნებოდა მრავალ საგანთან თუ მრავალ მოვლენასთან მიმართებაში. ანუ ომონიმიური ხასიათისა იქნებოდა.

მეცნიერები, დამწერლობის განვითარების ისტორიის პერიოდს ხუთ ეტაპად ყოფენ: 1) ხატოვანი ანუ პიქტოგრაფიული, 2) იდეოგრაფიული, 3) სიტყვიერ-მარცვლოვანი (ლოგოგრაფიულ-სილაბური), 4) მარცვლოვანი ანუ სილაბური და, 5) ანბანური.

წინასწარ ისიც შევნიშნოთ, რომ დამწერლობის განვითარების თვალსაზრისით, მსოფლიოს ხალხთა დამწერლობა, დღესაც კი, განვითარების მხოლოდ მეოთხე ეტაპზე არის შენერებული და, მათი ენის ბუნებიდან გამომდინარე, ფეხსაც ვერ გადმოდგამენ მეოთხე ეტაპიდან მეხუთე ეტაპზე, ვერასოდეს!

დამწერლობის განვითარების მეხუთე ეტაპზე მხოლოდ ქართული დამწერლობა არის დამკვიდრებული!

ანბანური დამწერლობა მსოფლიოს არც ერთ ერს არ გააჩნია, გარდა ქართველები-სა!! (ა. სიხ.)

ანბანური დამწერლობა მხოლოდ ქართველი ერის კუთვნილებაა, მისი გენითა და ნიჭიერებით მოპოვებული.

ასე ინება უფაღმა!

მაღლობა უფაღს!

უფაღო გმაღლობთ!

გმაღლობთ უფაღო!

დამწერლობის განვითარების პირველ საფეხურზე, ქართველთა წინაპრებმა შუემერებმა, შექმნეს ე.წ. პიქტოგრაფიული ანუ ხატოვანი დამწერლობა. პიქტოგრაფია (ნახატი) აღნიშნაედა ცალკეულ კონკრეტულ საგანს, ხოლო პიქტოგრაფების ერთობლიობა კი – გამონათქვამთა აზრს ანუ მთელ წინადადებას. აქედანვე არის დაფიქსირებული ომონიმების არსებობა შუემერებში, ქართველთა ამ უძველეს და უნიჭიერეს ხალხის დამწერლობაში. შუემერებიდან იწყება მსოფლიოს ცივილიზაცია. აკი, დიდი შუემეროლოგი კრემერი ამბობს: „ისტორია იწყება შუემერიდან,–ო. მსოფლიოს დამწერლობის ისტორია უნდა დაიწყოს ქართული დამწერლობით. ქართული დამწერლობა უდგას სათავეში მსოფლიო დამწერლობას. ამას, ახლახან გაშიფრული „ფესტოსის დისკოს“ ტექსტიც ადასტურებს. „ფესტოსის დისკოზე“ ქვემოთ მოგვიწევს საუბარი.

„პიქტოგრაფიული გამოსახულებები გადმოსცემდნენ მხოლოდ უცვლელ სიტყვას (მდგომარეობას) გარკვეული დროის განმავლობაში. მაგრამ ყოველგვარი ცნების (მდგომარეობის) გადმოცემა პიქტოგრაფიით შეუძლებელი იყო. ისინი მიმართავდნენ ომონიმებს ე.ი. ნიშნებს აძლევდნენ არა იმ მნიშვნელობას რომელსაც იგი წარმოადგენდა, არამედ სრულიად სხვა მნიშვნელობას. ასეთი ნიშნები უკვე ხდებოდა ტერმინებული ე.ი. მასთან გარკვეული აზრი იყო დაკავშირებული.“ (Ю. В. Кнорозов, „Забывтые системы письма“)

აკადემიკოსმა კუფტინმა ბ.ა. (1892-1953 წ.წ.), გათხრების შედეგად აღმოაჩინა ფიალა სიმბოლური ნიშნებით, რომლებიც პიქტოგრაფიულ დამწერლობას უკავშირდება. ფიქრობენ, ეს ნიშნები, რომელიც თარიღდება ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულის დასაწყისით, ქართველთა უძველესი ტომის – ტაბალების (ტიბარენების, იბერების) ხატოვანი დამწერლობაა. პიქტოგრაფიული ხასიათის უნდა იყოს კავკასიაში აღმოჩენილი სხვა ჭურჭელზე აღნიშნული ნიშნები, რომლებიც აგრეთვე ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება.

დამწერლობის განვითარების მეორე საფეხურზე ანუ იდეოგრაფიული დამწერლობის დროს, შუემერებში: „ნიშანი ანუ ნახატი აღნიშნაედა როგორც უშუალოდ საგანს, აგრეთვე იდეებს, რომლებიც ამ ნიშანს უკავშირდებიან, – მთლიან სიტყვას ნებისმიერ

გრამატიკულ ფორმაში“ (ქსე).

მაგ. ▽ ...ნიშნით აღინიშნებოდა: 1) სი(კო)ცხლე და 2) სიკედლი, ე.ი. სამკუთხედი იყო, როგორც ომონიმები ასევე, ანტონიმებიც.

⊙... ნიშნით აღინიშნებოდა: 1) მსე, 2) სი(ცხე, 3) სინათლე, 4) სიტყვა „დღე“. 5) მისი ღვთაება და 6) ოქრო.

▷... აღინიშნებოდა: 1) მთვარე და 2) ვერცხლი.

♀... ნიშნით აღინიშნებოდა: 1) პლანეტა ვენერა და 2) სპილენძი.

♂... ნიშნით აღინიშნებოდა: 1) პლანეტა მარსი და 2) რკინა. და ა.შ.

ასევე, მაგალითად: ნახშირი აღნიშნავდა: 1. შავს, 2. მწუხარებას; პილპილი აღნიშნავდა: 1. მწვავეს, 2 მოუთმენელს 3. ცნობისმოყვარეს.

აი, ასეთი სახით იყო წარმოდგენილი ომონიმები, დამწერლობის განვითარების ამ საფეხურზე.

პირველყოფილი ადამიანები საგნების საშუალებით აბსტრაქტულ ცნებებსაც გამოხატავდნენ. მაგ. საომარი იარაღების გაგზავნა ნიშნავდა ომის გამოცხადებას. ყალიონის გაგზავნა ნიშნავდა მშვიდობას. მარილის გაგზავნა ნიშნავდა, – მეგობრობასა და პატივისცემას.

**P.S.** უფრო მეტიც: ასეთი იდეოგრაფიული ნიშნები, ქიმიური ელემენტების აღსანიშნავად, შემორჩა ჩვენი წელთაღრიცხვის XLX საუკუნემდეც კი, ვიდრე შეეღმა ქიმიკოსმა ი. ი. ბერცელიუსმა (1779-1848 წ.წ.) არ შემოიღო ელემენტების ატომების აღნიშვნა მათი ბერძნული და ლათინური სახელწოდებების საწყისი ასოებით.

დამწერლობის განვითარების მესამე საფეხურზე, დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის IV და III ათასწლეულის მიჯნაზე, ქართველთა წინაპრებს, შუმერებს გააჩნდათ სიტყვიერ-მარცვლოვანი (ლოგოგრაფიულ-სილაბური) დამწერლობა. ასეთ დამწერლობაში იდეოგრამას მრავალი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ადგილი აქვს კომპოსიტებსაც. მაგალითად, შუმერული: გინა – „მოსული“, აღინიშნებოდა ნახატი: ფეხი+ქვა. (ფეხი (გი) + ქვა (ნა)).

დამწერლობის განვითარების მეოთხე ეტაპზე, შუმერები შეუდგნენ ცალკეული ბგერების გამოხატვას. თავდაპირველად თითოეული ნიშანი მრავალმნიშვნელოვანი იყო (ერთი ნიშანი რამდენიმე ბგერით კომპლექსს გამოხატავდა, ე.ი. ომონიმებთან გვაქვს საქმე)

ლურსმულ ტექსტებში დადასტურებულია სიტყვა:

**Kinahhu:** 1. ქანაანი (ძველი პალესტინის, სირიისა და ფინიკიის აღმნიშვნელი ზოგადი სახელწოდება).

**Kinahhu:** 2. მწვანე (ფერის აღმნიშვნელი).

**Kinahhu:** 3. ბოლოს ფინიკიას აღნიშნავდა (რადგან ტერიტორია შემცირდა და იქ ფინიკიელები ცხოვრობდნენ).

ამავე ეპოქაში, კგვიპტელებმა სიტყვები დაშალეს მარცვლებად. ხმოვან ასოებს მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ამიტომაც, მარცვლები შედგებოდა ორი ან სამი თანხმოვნისაგან და ბევრ შემთხვევაში ქმნიდნენ ომონიმებს.

მაგ. კმ: 1. შეგვეძლო წაგვეკითხა, როგორც „კმე“ (ლომისთავი).

კმ: 2. „კემე“ (შავი) (ასე უწოდებდნენ ეგვიპტელები თავის ქვეყანას, ნიადაგის ფერის გამო, უდაბნოს „წითელი“ მიწისაგან განსხვავებით).

კტ: 1. კოტ (ძლიერება).

კტ: 2. კოტა (სიმაღლე).

კტ: 3. კატ (წიგნი).

ასევე, პოლინეზიურ ენებში გამარტივებულია მორფემების და ლექსემის ბგერითი შემადგენლობა. მორფემებში ამოვარდნილია თანხმოვნები, ამან წარმოქმნა უამრავი ომონიმიები. მაგალითად ტ. ჰეიერდალს თავის წიგნში: „აღდგომის კუნძულის საიდუმლოება“, 1962 წ., მოტანილი აქვს მაგალითები:

აო 1. церемониальное весло, жезл. აი: 1. я იკა: 1. рыба ნუა: 1. мать მაი: 1. море.  
აო 2. власть. აი: 2. Дым. იკა: 2. жертва ნუა: 2. плащ მაი: 2. песня.

უამრავი ომონიმებია პოლინეზიის სხვა ენებშიც, რომელიც 30-მდეა. რაპანუიელების ენაში არის უამრავი გრამატიკული ომონიმები:

აპე: 1. цветок ანგოანგო: 1. голод, голодать. ორა: 1. сон, покой, жить.  
აპე: 2. выкапывать. ანგოანგო: 2. голодный ორა: 2. живой, здоровый.

შემდეგ ტ. ჰეიერდალი განაგრძობს:

„Значение слов, однозвучных с названием предмета, изображаемого знаком, - в рапануицком письме, как и в любой другой иероглифике, отвлеченные понятия передаются омонимическими названиями каких-то конкретных предметов. например, тоа: 1. сахарный тростник. 2. враг. იკა: 1. рыба. 2. жертва. აო: 1. церемониальное весло. 2. власть.

რეი: 1. распространенное повсея Полинезии, означает „нагрудное украшение“. 2. Древнее значение „зуб кашалота“. Зубы кашалота служили в качестве украшения народам новой Зеландии. 3. В языке рапануицев слово имеет также значение “перламутр”.

ასე შეიქმნა დამწერლობა, მანამ სანამ არ შეიქმნა დამწერლობის მკვლევარი ეტაპი ანუ „ანბანური დამწერლობის“ სისტემა. ადრეც მოგახსენეთ, აქვე გავიმეორებ, რომ ანბანური ანუ ფონეტიკური დამწერლობა მსოფლიოს არც ერთ ერს არ გააჩნია, გარდა ქართულ ენისა. ანბანური დამწერლობა გულისხმობს ბგერასა და ასო-ნიშანს შორის ურთიერთ ზუსტ შესაბამისობას, რაც სხვა არცერთ ერს ენას არ ახასიათებს, უფრო სწორად, ახასიათებს უარყოფითად, ანუ მათი ენის უდიდესი ნაკლია! დაბინძურებული ანუ არა ჰიგიენური ენებია.

„ანბანური დამწერლობა მით უფრო იდეალურად ითვლება, რამდენადაც თითოეული ასო (გრაფემა) ზუსტად შეესატყვისება სათანადო ფონემას“ (ქსე).

\* \* \*

ძველი წ.ა. XX საუკუნეში შუმერები დაიპყრო აქადებმა, სემიტური მოდგმის ხალხმა და, ბაბილონის სახელმწიფო დააარსეს. ამ საუკუნეში ჩაწერილ შუმერულ-აქადური ტექსტები შედგენილია ორ სვეტად: პირველი სვეტი შეიცავს შუმერულ ტექსტს, მეორე – აქადურს. ამ ლექსიკონებში მოცემულია ზმნურ ფორმათა პარადიგმები, წარმოდგენილია სიტყვა-ცვლილებათა რიგი, შეტანილია ზმნათა ომონიმური მნიშვნელობები...

„ძველი წელთაღრიცხვის XX საუკუნეში ჩაწერილი შუმერულ-აქადური ტექსტების გამოყენებით შესაძლებელი გახდა შუმერული ენის სტრუქტურის შესწავლა. ორენოვანი ტექსტების შექმნა კი გამოწვეული იყო იმით, რომ შუმერული ენა ნელ-ნელა დაიწეებდას ეძლეოდა, მის ადგილს აქადური იკავებდა. აქადებს შუმერულის შესწავლა უხდებოდათ, უცხოურის მსგავსად. მათ მოსწავლეებისათვის შედგენილი ჰქონდათ სიები (ორი ან სამენოვანი) და მათ თარგმნითი ლექსიკონების ხასიათი ჰქონდათ“. (ალექსანდრე ფოცხიშვილი)

მიემართოთ პომეროსს (IX ან VIII ს.ძვ.წ.) და, მის უკვდავ პოემებს „ილიადა“-სა და „ოდისეა“-ს. ამ ნაწარმოებში უამრავი ომონიმებია დაფიქსირებული. ყველაფერს, რომ თავი დაეხანებოთ, თვით ავტორის სახელი წარმოადგენს ომონიმებს:

პომეროსი: 1. ბრმა, ვერმხედველი (იონიური დიალექტის მიხედვით).



**ჰომეროსი: 2.** მიქვალი (კლასიკური ბერძნულით).

**ჰომეროსი: 3.** თაემდეგი (დორიული დიალექტის მიხედვით).

ჰომეროსის ბიოგრაფიისა და პოეზიის მკვლევარი სტემბროტე თასოსელი (ძვ.წ.ა. Vს.) აღნიშნავდა, რომ ჰომეროსის პოემები საესეა: შედარებებით, ეპითეტებით, ტროპებითა და სხვადასხვა ტიპის მრავალმნიშვნელობიანი სიტყვებით. ეპითეტები და შედარებები მიუთუნებელი აქვთ არა მარტო გმირებს და ღმერთებს, არამედ მოვლენებსა და საგნებსაც. ჩვენდა სანაქებოდ, ჰომეროსის პოემებში მრავლადაა შეტანილი ქართული სიტყვები და ქართული ომონიმები, მაგალითად:

**მოლი: 1.** გრძნეული ბალახი (წამალი).

**მოლი: 2.** ახლად ამოსული ხშირი და წმინდა ბალახი.

**ორგია: 1.** საიდუმლო მღვდელმსახურება.

**ორგია: 2.** თავაშვებული, წრესგადასული დროსტარება, ქვიფი.

**ორგია: 3.** ცურვის ერთერთი სახეობა (მხარულს წააგავს).

**ორგია: 4.** ღვინისა და მხიარულების ღმერთის, – ბახუსის დღესასწაული.

**მღერა: 1.** მუსიკალური ნაწარმოების შესრულება (ადამიანის ხმით). გალობა.

**მღერა: 2.** სალექსო ერთეული რომლისგანაც დაქტილური პეგზამეტრი წარმოიშვა. სხვათა შორის, უძველეს ქართულში „მღერა,-ს აგრეთვე „თამაშობის“ მნიშვნელობა ჰქონდა.

„მოლი“ ჯადოსნური წამლის მნიშვნელობით, ნახსენებია „ეფეხისტკაოსანში“, „აბდულმესიაში“, „შაჰ-ნამეში“.

სავარაუდებელია, რომ ეს სიტყვა დაკავშირებული იყოს კოლხი მეფის, პელიოსის – „მისის შვილის“ ასულის მედეასთან (საიდანაც იწყება მედიცინის ისტორია). ცნობილი ექიმი და სწავლული კურტ შპრენგელი (1756-1833), თავის ხუთტომიან „მედიცინის ისტორიას“ მედეას კოლხური მედიცინის ისტორიით იწყებს. იგი „მედიცინას“ მედეას სახელს უკავშირებს. იგი აგრეთვე წერს: „ოლიმპიური ასპარეზობა პელოპონესში კოლხეთიდან შევიდა,-ო.

**P.S.** სამწუხაროდ, ქართველ ენათმეცნიერებსა და ქართველ ისტორიკოსებს არ აქვთ შესწავლილი ჰომეროსის პოემები, ქართული სიტყვების გამოვლენის თვალსაზრისით. ასევე შუმერული სიტყვების გამოვლენის თვალსაზრისით.

\* \* \*

ძვ.წ.ა. IX საუკუნეზე ადრეც იყენებდნენ აულები (მომღერლები) ომონიმებს, რომელთაც მღეროდნენ ღირიკულ და ეპიკურ სიმღერებს, გადმოსცემდნენ მანამდე არსებულ ლეგენდებსა და მითოლოგიურ თქმულებებს. სადაოა, მაგრამ ერთ-ერთ ჰომეროსამდე მცხოვრებ პოეტად მიჩნეულია ტიამარისი, რომელიც განთქმული ყოფილა სიმღერებით. ის ამჟამად ტრაბახობდა: „თუ მუზები ჩემთან იმღერებენ, მე გაემიარჯებო“. ეს პოეტი მოხსენებულია „ილიადაში“, შეიძლება დაეხასხულოთ ორფეესი (მითიური ბერძენი, მომღერალი, მუსიკოსი და პოეტი. მონაწილეობა მიუღია არგონავტების ლაშქრობაში) და სხვა პოეტებიც. „ამას ვამბობ ძვ.წ.ა. XIV-XII საუკუნეებზე, როდესაც ბერძნებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ელინური ეთნიკური სახე. როდესაც ბერძნები ჯერ კიდევ არ იყვნენ იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც ქართველთა ტომები პელასგები ცხოვრობდნენ.“ (სიმონ ყაუხჩიშვილი, „ძველი ბერძნული ლიტერატურის ისტორია“, ტ. I, 1950).

პელასგების ქართველობის იდეის ავტორია პ. კრწმერი. შემდგომში მას მხარს უჭერენ: ჯ. მელაარტი და ფ. შახერმაიერი.

წინაბერძნული ენობრივი ფაქტების ანალიზის საკითხების მრავალი ენობრივი

პარალელულების, ანტიკურ წყაროთა მონაცემებისა და არქეოლოგიურ მასალათა საფუძველზე ე. ფურნიე ამტკიცებს პელაზგების ქართველობას.

იმ საუკუნეში, როდესაც ბერძნებმა დაიპყრეს პელაზგები „უკანასკნელთაგან შეითვისეს მათი კულტურული მონაპოვარი. პარალელისათვის შეგვიძლია გავიხსენოთ რომაელები: როდესაც იმათ პირველ საუკუნეში საბოლოოდ დაიპყრეს საბერძნეთი, ლიტერატურულად ბერძნების მონები გახდნენ.“ (სიმონ ყაუხჩიშვილი, „ძველი ბერძნული ლიტერატურის ისტორია“, ტ. I, 1950 გვ. 35).

სწორედ ამ დროს, ამაზე წერდა კვინტუს ფლავუს პორაციუსი (65-8 ძვ.წ.ა): „დაპყრობილმა საბერძნეთმა დაიპყრო ველური გამარჯვებული და ხელოვნებანი შეიტანა მდაბიურ ლაციუმში“.

ანალოგიურად შეგვიძლია ვთქვათ პელაზგებზე: დაპყრობილმა პელაზგებმა (ქართველებმა) დაიპყრო ველური გამარჯვებული (ბერძნები) და ხელოვნებანი შეიტანა მდაბიურ ბერძნებში.

თუმცა, შემდგომში ბერძნები, ყველა არაბერძენს „ბარბაროსას“ უწოდებდნენ, ალბათ პელაზგების (ქართველების) კულტურის მითვისებით გაგულისებულები!

„ბერძნების პირველი ლიტერატურული ზიარება, რომ პელაზგების კულტურულ მონაპოვართა საფუძველზე უნდა მომხდარიყო, ამას გვაფიქრებინებს შემდეგი პოეტიკური ფაქტები. ბერძნთა პირველი ლიტერატურული ნაწარმოებია „ილიადა, რომლის მთავარი შინაარსი აქილევსის რისხვის თემაზეა დაფუძნებული. პოემის მთელი თხრობა გაშლილია აქილევსის რისხვის შედეგებზე: მთავარი კვანძი პოემისა, ისევე როგორც ამ კვანძის გამოხსნა, აქილევსის რისხვაში და მის მოხსნაშია. აქილევსი კი თესალიელი გმირია, იმ თესალიის მკვიდრი, რომელიც პელაზგების ძირითად სამშობლოდ ითვლებოდა... ბერძნებში არსებულ თქმულებათა შორის ყველაზე უფრო გავრცელებულა თქმულება აქილევსზე და მის რისხვაზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მოვლენა შემთხვევითი არ არის და რომ ბერძნებმა პელაზგების მიერ შექმნილ კულტურულ მონაპოვართაგან შეიძინეს, სხვათა შორის, თესალიელ გმირზე არსებული თქმულებაც; ბერძნებმა, ასე ვთქვათ, თავისი პოეტიკური ნათლობა ამ თქმულების საფუძველზე მიიღეს.“ (სიმონ ყაუხჩიშვილი, „ძველი ბერძნული ლიტერატურის ისტორია“, ტ. I, 1950 გვ. 35).

„თქმულება არგონავტებზეც ხომ თესალიური თქმულებაა, ე.ი. იმ ტერიტორიას უკავშირდება, რომელიც ოდესღაც პელაზგების სამკვიდრებელი იყო.“ (სიმონ ყაუხჩიშვილი, „ძველი ბერძნული ლიტერატურის ისტორია“, ტ. I, 1950 გვ. 35).

პელაზგურ ენიდან ბერძნულში შემონახულია ცალკეული სიტყვები, ტერმინები და სიტყვათმწარმოებელი სუფიქსები. ამის შედეგია სწორედ ის ქართული სიტყვები (ომონიმებიც), რომლებიც პომეროსის პოემებშია დაფიქსირებული.

P.S. ჩვენი, ქართველი მკვლევართა ავადმყოფობაა ის, რომ: ხელალებით წამოროშავენ ანუ გამოაცხადებენ ამა თუ იმ სიტყვებს ბერძნულიდან, არაბულიდან სპარსულიდან და ა.შ. ნასესხებად. ის კი არ იციან, რომ: სიტყვათა უმრავლესობა მათ ენებში სწორედ ქართული ტომების ენიდანაა შესული!

სწორედ ეს არის საკვლევი საგანი, ჩვენი ღირსებისათვის!

პომეროსის ნაწარმოებებს ბევრი მკვლევარი იკვლევდა. პისისტრატეს (560-527 ძვ.წ.ა) მითითებით შედგა სწავლულთა კომისია, რომელთაც მოაგვარეს „ილიადასა“ და „ოდისეას“ ტექსტები იმ სახით, რომლებიც დღეს არის ცნობილი.

პომეროსის ტექსტებს იკვლევდა სტესიმბროტე. იგი ტექსტის ყოველ ტაქში გადატანით ასრებს ეძებდა. ცალ-ცალკე აჯგუფებდა სიტყვებს მათი მნიშვნელობების მიხედვით. ეძებდა სიტყვის მრავალმნიშვნელობებსაც და დაფიქსირებულიც აქვს.

გორგია ლეონტინელს (ძვ.წ. 483-375), „უფრო მეტად ფორმა იზიდავდა. მისთვის საგულისხმო იყო მსმენელთა დაჯერება და არა იმის ჭეშმარიტება, რასაც უმტკიცებდა. ამ მიზნის მისაღწევად მას უხმარია მხატვრული საშუალებანი, ამონაწერში მოხსენებულია შემდეგი:

- 1) დაპირისპირებანი, ანტითეზები.
- 2) ნაწილების თანაბრიანობა.
- 3) მიხმარება,
- 4) კიდურმსგავსებანი, ბოლო ნაწილების გარითმეა.

ყველა ეს ხერხი გორგიას ერთად უხმარია და სწორედ ამით, ხერხთა უწყველო დაგროვებით, განუცვიფრებია ათენელები.“ (სიმონ ყაუხჩიშვილი, „ძველი ბერძნული ლიტერატურის ისტორია“, ტ. I, 1950 გვ. 481).

P.S. ეს ხერხები მხოლოდ ცალ-ცალკე წინათაც უხმარიათ: პერაკლიტე ეფესელს (520-460 ძვ.წ.ა.), ემპედოკლე აკრაგანტელს (490-430 ძვ.წ.ა.) დემოკრიტეს (460-370 ძვ.წ.ა.).

ძვ.წ. VI საუკუნეში ფილოსოფოსებს აინტერესებდათ, თუ როგორ დაერქვა საგანს ესა თუ ის სახელი. პერაკლიტე ეფესელი (520-460 ძვ.წ.) თვლიდა, რომ: „სიტყვები ბუნების მიერ არის შექმნილი, თითოეულ საგანს ბუნებამ განუკუთვნა განსაკუთრებული სახელი“.

შემდგომში, კერძოდ, ეს საკითხი მწვავედ დააყენა ბერძენმა ფილოსოფოსმა, სოფისტების სკოლის დამაარსებელმა და მამამთავარმა პროტაგორა აბდერელმა (დაახ. ძვ.წ. 480-410). „რა დამოკიდებულება არსებობს საგანსა და მის სახელს შორის? საგნის ბუნებიდან გამომდინარეობს მისი სახელი თუ, ადამიანები შეთანხმდნენ?“ ამ კითხვაში ორი თვალსაზრისია და ცხადია, წარმოიშვა ორი მიმდინარეობა.

პირველ თვალსაზრისს ასე აკრიტიკებდნენ: „თუ საგანს სახელი მისი ბუნების შესაბამისად დაერქვა, მაშ როგორ მოხდა, რომ სხვადასხვა ენაში ერთსა და იმავე საგანს სხვადასხვა სახელი ჰქვია?“ ამავე თვალსაზრისის დამცველები პასუხობდნენ: „ბერძნული ენის გარდა სხვა ენები ბარბაროსთა ენებია და მხედველობაში არ არის მისაღებო“.

მეორე თვალსაზრისის კრიტიკოსები ამბობდნენ; „თუ საგნის სახელი შედგება შეთანხმებისა, მაშინ, კეთილი ინებეთ და წარა-მარა უცვალებთ საგანს სახელით, ეს ხომ შეუძლებელია“.

დემოკრიტემ (დაახლ. ძვ.წ. 460-370), რომელიც არისტოტელეს შეფასებით „ყველაფერზე აზროვნებდა“, ბუნებრივი კაეშირის წინააღმდეგი იყო და განსაკუთრებული აზრი ჩამოაყალიბა ამ საკითხზე: „თუ საგანს თავისი ბუნების მიხედვით დაერქვა, მაშინ რატომ არის ერთი სიტყვა სულ სხვადასხვა საგანს აღნიშნავს? (ე.ი. გვაქვს ომონიმებიო), ანდა ერთსა და იმავე საგანს სხვადასხვა სახელი ჰქვია? (ე.ი. გვაქვს სინონიმები). ენაში ხომ უხედა არის ომონიმებიც და სინონიმებიცო“.

აქ, ჩვენ გვაინტერესებს ის, რომ დემოკრიტე ასახელებს ომონიმებს და, კარგადაც ერკვევა მის არსში.

P.S. იმ დროს, როდესაც ეს საკითხი გადაწყვეტილი იყო ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, შუა საუკუნეში კვლავ განახლდა დაეა სახელების ბუნების შესახებ. დაეა ატყდა რეალისტებსა და ნომინალისტებს შორის. რეალისტების წარმომადგენელია ინგლისელი ფილოსოფოსი ანსელმ კენტერბერიელი (1033-1109 წ.წ.), ხოლო ნომინალისტების წარმომადგენელი ფრანგი პ. აბელიარი, (1079-1142).

P.S. ნომინალიზმი (ლათ. nominalis – სახელთან დაკავშირებული, სახელისა) რეალიზმის (ლათ. realis – ნივთიერი, ნამდვილი) საპირისპირო ფილოსოფიური მიმართულებაა. რეალიზმი აღიარებს ზოგადი საგნების ობიექტურ არსებობას. მათი გაგებით ზოგადი არის ობიექტურად არსებული საგნის სახელი. ერთეული ნივთიერია. რეალიზმი აღიარებს

რებს სოგადის არსებობას ერთეული საგნებისაგან დამოუკიდებლად.

ნომინალიზმი კი, უარყოფს სოგადი საგნების, როგორც გარკვეული ობიექტების არსებობას. „სოგადი აღნიშნავს ერთეულ სახელთა სიმრავლეს, ამიტომ იგი სახელთა სახელია და არა საკუთარი სახელი. იგი ცვლადია, მისი შენაცვლება შეიძლება ერთეული სახელებით. მაგ., „ადამიანი“ აღნიშნავს არა რომელიმე ობიექტს, არამედ ერთეულ ადამიანთა სახელებს: „პეტრეს“, „პაელეს“, „ივანეს“ და ა.შ.“ (ქსე)

უნდა ითქვას, რომ მათ ახალი არაფერი უთქვამთ. ტყუილად დაიკარგა დრო. რაღაცა გამოგონილი ტერმინებით. ძველი ვითომ ახალ ფილოსოფიურ ჩარჩოებში მოაქციეს. ეს იყო და, ეს!

არისტოტელეს დროიდან მოყოლებული ტერმინი „სიტყვის მრავალი მნიშვნელობა“ და „ომონიმი“ (ომონიმები), უკვე მკვეთრად არის გამომჟღავნებული (ნამოყალიბებული).

„მოწვევებითი ენთიმემების ნაწილი წარმოიშობა ომონიმური სიტყვათხმარებით (ენთიმემები, – კატეგორიული სილოგიზმი, როდესაც ორი მოცემული მსჯელობიდან გამოდის მესამე, რომელშიც გამოტოვებულია, მაგრამ იგულისხმება ერთ-ერთი წინამძღვარი ან დანასკეი. ა. სიხ.).. სიტყვა შედგება სახელისა და ზმნებისაგან... სახელებიდან სოფისტები ომონიმებს იყენებენ ყალბ დასკვნებში...“

თუ სიტყვა სათანადოდ არის ნახმარი, მოსაწონი იქნება, იქნება ეს ომონიმური, თუ მეტაფორული სიტყვათხმარება. მაგალითად, გამოთქმაში „ანასქეტე აუტანელია“ ნახმარია ომონიმური ხერხი, მაგრამ იგი მიზანშეწონილი იქნება იმ შემთხვევაში თუ ანასქეტე ნამდვილად აუტანელია“ (არისტოტელე, „რიტორიკა“, 1981, გვ. 190).

აქ ომონიმური სიტყვაა ნახმარი:

ანასქეტოს: 1. მისი საკუთარი სახელი.

ანასქეტოს; 2. აუტანელი.

არისტოტელეს თავის „რიტორიკაში“ მოტანილი აქვს ომონიმები წინაპართა გამონათქვამებიდან:

1) გამოთქმა: „შენ გინდა, რომ ის დაღუპო“.

ბერძნულში ამ ადგილას ნახმარია სიტყვა, რომელსაც ორი მნიშვნელობა აქვს:

პერსაი: 1. სპარსელი.

პერსაი: 2. დაღუპვა.

2) გამოთქმა: 1. „ზღვაზე ბატონობა არ იყო ათენელებისათვის ბოროტების დასაწყისი, რადგან მათ ზღვიდან სარგებლობა ჰქონდათ“.

აქ ხუმრობაა, რომელიც დამყარებულია სიტყვაზე, რომელიც ორი მნიშვნელობისა: არქე: 1. დასაწყისი.

არქე: 2. ბატონობა (ხელმძღვანელობა).

ძვ.წ.ა. (V-IV) საუკუნეებიდან, ბერძნებსა და რომაელებს შემუშავებული ჰქონდათ გარკვეული წესი ტროპებზე, სინონიმებზე და სხვა. ე.ი. იმ სტილისტიკურ ხერხებზე, რომლებიც ომონიმების წყაროს წარმოადგენენ, აგრეთვე თვით ომონიმებზეც. შემუშავებული იყო გარკვეული წესები მათი განმარტებისათვის, მათი კლასიფიკაციისათვის და ა.შ.

„ტროპი ომონიმია“, ამბობდა არისტოტელე. შემდეგ განაგრძობდა: „მეტაფორას უმაღლესი ხარისხით ახასიათებს სიცხადე, სასიამოვნო და სიახლის მშვენიერება და მისი გადმოღება სხვისაგან არ შეიძლება“.

„Аристотель выделяет омонимы в отличие от омонимов и метафор, причём сферу применения омонимов он видит в игре словами, в уловках софистики“. (О.М. Ким, Транспозиция

на уровне частей речи и явление омонимии в современном русском языке“, 1978. ст. 78)

ძე წ.ა. V-III საუკუნეებში შეიქმნა არამეულ-ირანული ლექსიკონები „ვარხანები“. მათში შეტანილია მრავალმნიშვნელობიანი სიტყვები.

უძველესი ჩინური სიტყვების შედგენას ვარაუდობენ დაახლოებით III-I სს. ძველი წელთაღრიცხვით. ამ სიტყვანებში მოცემულია მრავალი მორფემა-ომონიმები.

არისტოფანე ბიზანტიელი (275-180 ძე.წ.) ლექსიკოგრაფი, სიტყვების ეტიმოლოგიით იყო დაინტერესებული. თავის ლექსიკონში საგანგებოდ აღნიშნა იმ ცვლილებებს, რაც სიტყვამ განიცადა უძველესი დროიდან მის ეპოქამდე. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ომონიმებს, 'სუსტად აფიქსირებდა იმ შემთხვევებს, როცა ერთი და იგივე სიტყვა პომეოსთან ერთი მნიშვნელობისა იყო, ხოლო ანტიკური ლიტერატურის დანარჩენ ძეგლებში კი, – სხვა მნიშვნელობის.

სიმონ ყაუხჩიშვილის გამოკვლევით: არისტოფანეს გარდა ელინურ. ლექსიკონებზე მუშაობდნენ: არისტარქე (ძე.წ. II ს.); აპოლიდორე; პამფილე (ახ.წ.ა. I ს). ამ უკანასკნელმა შეაჯერა და შეაჯამა, რაც მანამდე შეიქმნა ლექსიკოგრაფიაში და შეადგინა ლექსიკონი 95 წიგნად. დიოგენიანემ (ახ.წ.ა. II ს.) ეს შრომა სკოლებისათვის გადაამუშავა 5 წიგნად.

ძველი რომის პოლიტიკოსი, ორატორი და მწერალი მარკუს ტულიუს ციკერონი (106-43 ძე.წ.) წერდა: „მეტაფორა ანიჭებს მეტყველებას უდიდეს სიცხადესა და ბრწყინვალეობას, თითქოს ისინი იფრქვევიან ვარსკვლავებიდან“.

ვარონი მარკუს ტერენციუს (116-27 ძე.წ. რომი) ეკუთვნის მრავალი შრომა, მათ შორის „სიტყვათა მსგავსების“ შესახებ.

\* \* \*

პოეზიაში რითმიანი ლექსის შემოტანასთან ერთად იზრდება ომონიმური სიტყვების გამოყენების რაოდენობა.

VI საუკუნის ბერძენი პოეტები რომანოსი, მელოდოსი (დაახლოებით 560 წ.) და კორიაკოსი მათი კონტაქტების (პიმნების) რეფერენის ტაქტები გართმულია. „ასონანსი გულისხმობს სიმეტრიულად შესატყვის ადგილებში ერთნაირი მარცვლების ხმარებას, ე.ი. ერთნაირი ხმოვნების შემცველ მარცვალთა ხმარებას; ამასთანავე შეიძლება თანხმოვნებიც ერთნაირი იყოს.“ (სიმონ ყაუხჩიშვილი, „ძველი ბერძნული ლიტერატურის ისტორია“, ტ. I, 1950 გვ. 404).

796 წელს არაბმა გრამმატიკოსმა სიბავეიხი-მ შეადგინა არაბული ენის გრამატიკა. ამ გრამატიკის ერთ-ერთი ნაწილია სარფი, – მოძღვრება ცვლილებებზე, რომელშიც გაანალიზებულია სიტყვა და სიტყვათა წარმოება. „ცვლილებები“ გაგებულია მეტად ფართოდ, – განხილულია სიტყვის მნიშვნელობების ცვლა და მსგავსი სიტყვები ანუ ომონიმები.

გადმოვიანაცვლოდ მომდევნო საუკუნეებში.

არუდი (სპარსულ-თურქულად „არუს“) არაბული ლექსიწყობის სისტემა, დაამუშავა არაბმა ფილოლოგმა ალ-ხალილ იმნ აჰმად ალფარაჰიდიმ, მერვე საუკუნეში. ამ ლექსიწყობის სისტემაში გამოყოფილია ოთხი რიტმული კომპონენტი, რომელთა კომბინაცია ქმნის რეა ტერფს. რეა ტერფის სხვადასხვა წესით შეერთებით მიიღება 16 სალექსო სასომი. რითმებში მოტანილია, როგორც სრული (ჩვენი გაგებით კლასიკური) ისე არასრული ომონიმები.

განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ მეთოთხმეტე საუკუნის არაბი ფილოლოგი Вахид Табризйи Джам' – ი Мухмасар და მისი შრომა „Трактат о поэтике“. (М., 1959). დასაწყისში

იგი აღნიშნავს: 'Во имя бога всемилостивого и всемилосердного. Несравненная благодарность тому, кому поклонение обязательно, тому, кто удостоил человека дара речи и подарил ему мерную речь и учение о метрах... Но затем знай, что это краткий трактат, одно из произведений Вахйда Табрйзий, об учениях об арузе, о рифме и о поэтических фигурах, который он сочинил для своего племянника, чтобы тот, благодаря этому введению, познал метры, ознакомился с подразделениями рифмы и узнал поэтические фигуры'. აკეთებს – რა მრავალნაირ შედარებებს საკითხის უკეთ გაგებისათვის, იგი ამბობს" „У стиха рифма – пол, смысл – потолок, стены – четыре стопы. А поэтические фигуры – украшения жилища, подобные росписи, резьбе по алебастру и израцам“. შესანიშნავი მხატვრული შედარებაა!

მისი კლასიფიკაციით თავჯნისი (თეჯნისი; ტაჯნისი) შეიძლე სახისაა:

1) სრული თავჯნისი (полный таджнийс) (დაწერილობით და გამოთქმით იდენტური). „Полный таджнийс состоит из двух слов. одинаковых по внешнему виду, но различных по смыслу.

„Чйн“ и „Чйн“ полный таджнийс, потому что каждое из них имеет другое значение: одно – это завиток локона, другое – название страны“

2) ნაკლული თავჯნისი (дефектный таджнийс) (დაწერილობით იდენტური, გამოთქმით განსხვავებული), 'которые совпадают по буквам, но различаются в огласовках, и дефектный таджнийс это и есть, когда огласовки различны.

гурд (богатырь) и герд (прах); дурд (винный осадок) и дард (боль);

вирд (славословие) и вард (роза)“

3) ნამატი თავჯნისი (наращенный таджнийс), (ერთ სიტყვას ასო აქვს დამატებული). „Нâма (письмо) и нâм (имя), Хâма (тростник) и Хâм (сырой), потому что на концах слов нâма и хâма наращено по букве хâ.“

4) შედგენილი თავჯნისი (составной таджнийс) (ერთი სიტყვას ეწყობა ორი ან მეტი სიტყვა), „Гам, хвâри (горе, унижение) и гамхвâри (тоска), из которых одно-одно слово, а другое – составлено“.

5) განმეორებული ან დაწეილებული (повторенный таджнийс) (ომონიმური რითმები ერთმანეთის გვერდით არის წარმოდგენილი ან ერთი სიტყვის დაბოლოება ემთხვევა მომდევნო სიტყვას).

„пойкар (ссора) и кâр (дело), âзâр (обида) и зâр (печальный). Этот таджнийс называют повторенный потому, что два слова этого таджнийса стоят одно за другим, и, если у первого слова наращена буква или более, - это допустимо“.

6) ცალმხრივი თავჯნისი (односторонний таджнийс), (როდესაც სიტყვათა ყოველი ასო ემთხვევა, გარდა ორი უკანასკნელისა).

харам (мне колючкой) и хари (царапаешь), дарам (меня кдереву) и дари (держишь). Этот таджнийс называют односторонним потому, что все буквы в этих словах совпадают, кроме двух последних букв, т.е. одна сторона этих слов – таджнийс.

7) მოხაზულობის თავჯნისი (начертательный таджнийс) (სიტყვის შემადგენელ ასოთა მოხაზულობა იდენტურია და განსხვავებას ქმნის მხოლოდ ასოების წერტილთა განლაგება).

Чунйн (такой) и джабйн (чело), башар (человек) и писар (юноша), оба слова совпадают по буквам, но различны по точкам.

როგორც ვხედავთ მოტანილია: ლექსიკური, გრამატიკული და შედგენილი ომონიმები, აგრეთვე, ომოგრაფები და ომოფონები. ზოგ ევროპულ მეცნიერსაც ომოგრაფები და ომოფონები შეაქვთ ომონიმების ლექსიკონში.

XV-XVII ს-ში შეიქმნა გრამატიკა რიგი ენებისა: ჟ. სკალიგერი, – „ლათინური ენის საფუძვლების შესახებ“ 1540 წ.; რ. სტეფანესის, – არაბული გრამატიკა 1505 წ.; რაიხლი, – „ებრაული გრამატიკა,“ 1506 წ.

პირველი ლექსიკონი – კატალოგი იყო მოგსაურისა და ბუნებისმეტყველის პ.ს. პალასის ნაშრომი „ყველა ენისა და კილოს შედარებითი ლექსიკონი“, გამოვიდა პეტერბურგში 1787-1789 წ. მოიცავდა 272 ენისა და დიალექტის მონაცემებს. ლექსიკონში შეტანილია აგრეთვე ქართველურ ენათა (ქართული, მეგრული, სვანური) მასალა.

ფრანგი ა. არნოს და კ. ლანსოს „საყოველთაო რაციონალური გრამატიკა“. ცნობილია, როგორც პორ-როიალის გრამატიკა და ლოგიკა.

1643 წ. რომში ლათინურ ენაზე გამოიცა ფ.მ. მაჯოს ქართული ენოს გრამატიკა.

პირველი აკადემიური ლექსიკონი იყო იტალიური ენის ლექსიკონი, – „კრუსკის აკადემიის ლექსიკონი“ 1612 წ. 1694 წ. გამოქვეყნდა „საფრანგეთის აკადემიის ლექსიკონი“. 1629 წ. რომში გამოიცა სტ. პოლინისა და ნ. ნოლოყაშვილის „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, პირველი განმარტებითი ლექსიკონი, – „სიტყვის კონა“ 1685-98 წ. ს.ს. ორბელიანმა, – ახალი მიმართულება შეიქმნა ლექსიკოგრაფიაში.

„ახალგაზრდა გრამატიკოსები“ (ლაიფციგის ლინგვისტური სკოლა. XIX ს.), ფ. ცარკე, კ. ბრუგმანი და სხვა, სიტყვების მნიშვნელობათა ცვლილებების შესწავლისას ერთ-ერთ ძირითად საკითხად თვლიდნენ სიტყვის მნიშვნელობათა მრავლობითობას ე.ი. მრავალ მნიშვნელობას ე.ი. ომონიმებს.

\* \* \*

რადგანაც მე-19-ე საუკუნეს მივადექით, მგონია საკმარისია და აღარ არის საჭირო გაეაზრდებოთ ომონიმების გამოყენების მაგალითების მოტანა, როგორც ქართულ ასევე მსოფლიო ლიტერატურაში.

რა ხდება მსოფლიო ლიტერატურასა და ენათმეცნიერებაში ამის შემდგომ? თავდაპირველად ქვეყნდებოდა ცალკეული სტატიები ომონიმების ამა თუ იმ საკითხზე. მიმდინარეობდა მსჯელობა თუ რა უნდა მიკუთვნებოდა ომონიმებს: ზოგი თვლიდა, რომ ომონიმები ერთნაირად ბგერადი სიტყვებია, მხოლოდ სხვადასხვა წარმომავლობისა, რომლებიც ისევე იწერება როგორც გამოითქმის და პირიქითაც; ზოგი თვლიდა, რომ ომონიმები შეიძლება პოლისემიურ სიტყვებიდანაც მივიღოთ, თუ ისინი დიდად დაშორებულნი არიან შინაარსობრივად; ზოგი თვლიდა, რომ გეოგრაფიული სახელები არ შეიძლება მივაკუთვნოთ ომონიმებს, ზოგი კი პირიქით, მომხრე იყო; ზოგი თვლიდა, რომ მითოლოგიური სიტყვები და ტერმინები არ შეიძლება მივაკუთვნოთ ომონიმებს, ზოგი კი პირიქით, საწინააღმდეგო აზრზე იდგნენ; ზოგი თვლიდა და ზოგი არა, რომ ომოფონები და ომოგრაფებიც ომონიმებია; ზოგი კი და ზოგი არა, თვლის, რომ თუ სიტყვა გადაიქცა ტერმინად, მაშასადამე გვაქვს ომონიმები; ზოგი ფიქრობს, რომ თუ საგანს ან მოვლენის სახელი გადატანილია შესაბამისად მსგავს საგანზე ან მსგავს მოვლენებზე, რომელსაც სხვა სახელი არ გააჩნია, მაშასადამე საქმე გვაქვს ომონიმებთან და ა.შ.

შემდგომ, სხვადასხვა ქვეყანაში ქვეყნდება სხვადასხვა ენების ომონიმთა ლექსიკონები; ფრანგული, ინგლისური, რუსული და ა.შ.

ქართულ ენაზე ომონიმთა ლექსიკონი პირველად ჩემს მიერ გამოიცა 1992 წელს: აუთანდილ სიხარულიძე, „ქართული ენის ომონიმთა ლექსიკონი“, თბილისი, 1992 მთავარი რედაქტორი ზურაბ სარჯველაძე.

წინამდებარე ლექსიკონი, მეორე შევსებულ გამოცემას წარმოადგენს.

ქართულს დაუბრუნდეთ.

შუმერების, ქართველთა წინაპრების (ჩვენი მისხის მისხის) დამწერლობაზე უკვე მოგახსენეთ. აგრეთვე მოგახსენეთ ქართული ომონიმებზე, რომლებიც პომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეაში“ არის გამოყენებული.

შუმერული ნიშანი, ანუ ერთი სიმბოლო, მრავალ საგანთან ან მრავალ მოვლენასთან არის მიმართებაში, ანუ საქმე გვაქვს „პირველყოფილ“ ომონიმებთან.

როგორც აკადემიკოსი მიხეილ ლიფშიცი გვეუბნება; „შუმერული მითები მითოლოგიური საუნჯე, ხალხთა მითოლოგიის ბედელია“. ამდენად, შუმერულ ენაში რა გამოლევს ომონიმებს.

თავდაპირველად მიმოვიხილოთ ყველაზე ადრეული, ანუ თავანკარა ლიტერატურული ნაწარმოებები: „გილგამეშიანი“, „ამირანიანი“ და „პრომეთე“. სამივე ნაწარმოები ერთიან ქართულ ოჯახში შემოდის, ერთიან ქართულ ოჯახს განეკუთვნება, მაგრამ მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც მხატვრული ასევე ფილოსოფიური შინაარსითაც.

„გილგამეშიანის“-ს ეპოსს საფუძვლად დაედო შუმერების ძველი თქმულებები ურუქის I დინასტიის მეფის გილგამეშის შესახებ, რომელიც ცხოვრობდა ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისში. ეს თქმულებები ძველი დროიდანვე ნაწილ-ნაწილ ითარგმნა აქადურ ენაზე და, როდესაც აქადებმა III ათასწლეულის ბოლოს, მთლიანად დაიპყრეს შუმერები, გილგამეშის შესახებ თქმულებამ უკვე საბოლოო დასრულებული სახე მიიღო.

„ადრინდელი, ქართული ფილოსოფიაშდელი ძეგლის „ამირანის“ ანალიზი გეარწმუნებს, რომ მასსა და „გილგამეშიანს“ შორის შინაგანი კავშირია. ეს არ ნიშნავს მათ შორის მსგავსებას... თუ „გილგამეშიანი“ ადამიანები სძლევენ ცეცხლს, ამარცხებენ ცეცხლოვან ხარს, მაგრამ არ მოაქვთ ცეცხლი მიწაზე, „ამირანიანიში“ ფაბულა უფრო შორს მიდის, ვითარდება. ამირანი იტაცებს ცეცხლოვან ყამარს და მოჰყავს იგი მიწაზე... „ამირანიანი“ პოემა „გილგამეშიანსე“ მაღლა დგას... ამირანის ბრძოლა ზეცის წინააღმდეგ უეჭველად მატარებელია საკაცობრიო ინტერესებისა და ადამიანთა და მიწის კეთილდღეობისათვის წარმოებს... ორივე პოემა იძლევა მთლიანობას, ურომლისოდაც არაა მსოფლმხედველობა... პოემა „გილგამეშიანი“ იწყებს იმას, რასაც ამთავრებს პოემა „ამირანიანი“... „ამირანიანიში“ ზეცაში ასევე იმითომ არის შესრულებული, რომ ზეციერი ცეცხლი უნდა იქნეს მოტაცებული და დედამიწაზე ჩამოტანილი... ადამიანთა მოდგმის ბედნიერებისათვის. ასე ვაჟაკურად არის წარმოდგენილი ურთიერთობა ზეცასა და დედამიწას შორის პოემა „ამირანიანიში“ და განსხვავებით „გილგამეშიანისაგან“ ბრძოლა წარმოებდა ხანჯახსმით მიწის სახელით და მიწის როგორც მატერიალურის, როგორც ნივთიერის ინტერესებისა და გამარჯვებისათვის.

უძველესი ძეგლები ქართველ წინაპართა აზროვნებისა და შემოქმედებისა, კერძოდ „ამირანიანი“ შეიცავს სოგიერთ სამსადის ელემენტს შემდგომი უფრო მაღალი სააზროვნო ფორმებისათვის და ამით მოპოვებული აქვთ სრული უფლება შეტანილ იქნენ ფილოსოფიაშდელი აზროვნების ისტორიაში, როგორც სამსადისი პერიოდის გამოხატულება არა მარტო ქართული ფილოსოფიისათვის.“ (შალვა ნუცუბიძე, „შრომები ტ. VIII, გვ. 46).

აქადურ ეპოსში; „გილგამეშიანი“-ში უამრავი შუმერული (ანუ ქართული) სიტყვებია შესული; მათ შორის ომონიმებიც:

Рикки: 1. დოლი.

Рикки: 2. ბადე.



Рикки: 3. ჩასაბერი საკრავი უნდა იყოს (იქნებ – “ქართული ბუკი”)

etlč: 1. მოყმე.

etlč: 2. გმირი.

etlč: 3. ბატონი (ღმერთების ეპითეტი).

Кидиччй: 1. საამშენებლო სამუშაოებისათვის მიწის სახიდავი გოდორი.

Кидиччй: 2. იძულებითი შრომა.

Ha--âпи: 1. გზა.

Ha--âпи: 2. ლაშქრობა.

P.S. ამიტომაც, შუმერული ტექსტების წაკითხვა, (ისევე, როგორც აქადურისა), მხოლოდ ქართული ენის საშუალებითაა შესაძლებელი. ძველი მსოფლიოს ცივილიზაციის ნამდვილ სურათს ვერც ერთი სასღვარგარეთელი მეცნიერი ვერ აღადგენს, თუნდაც საოცრად განსაკუთრებული ნიჭის და ერუდიციის პატრონი, თუ მან ზედმიწევნით არ იცის ქართული და ქართველური ენები; მეგრული და სევანური, „რამეთუ ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“.

P.S. „შესაძლებელია წინარე ქართველური ფორმების მოძიება. ეს ქრონოლოგიურადაც შესაძლებელია, რადგანაც წინარე ქართველური ენა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-19 საუკუნეში დაიყო ქართულ-ლაზურ და პროტოსევანურად; მაშასადამე, ჩვენს წელთაღრიცხვამდე III ათასწლეულში ის არსებობდა როგორც ენა და იყო შუმერულის თანამედროვე...“

ბოლოს ჩვენ მივიღეთ სია 74 შესატყვისისა შუმერულ და წინარე ქართველურ ენებს შორის, რომელიც შეიცავს არა მარტო ლექსიკურ, არამედ აგრეთვე გრამატიკულ შესატყვისებსაც. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა უფრო მეტი შესატყვისის პოვნა, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო არა რაოდენობა, არამედ სისუსტე“. (ვიქტორ რებრიკი, *გერმანელი შუმეროლოგი*).

ასევე შეუძლებელია ურარტუს ენის გაგება ქართულის გარეშე: „ურარტუს ლურსმული წარწერების ენა მეტისმეტად ვისგავსება ქართულს... ურარტული ენის გაგება შეუძლებელია ქართულის გაუთვალისწინებლად.“ (ფრანსუა ლენორმანი, 1837-1883).

P.S. ქართველთგამივობო, ღმერთთგამწერალეთო და ბარბაროსეთო, ხელეები შორს ქართველი ერისაგან! ჩვენ ცივილიზებულ მსოფლიოს უჭირდებით!!

P.S. იმის საილუსტრაციოდ, რომ ქართული ენის ცოდნის გარეშე შეუძლებელია მსოფლიოში არსებული უძველესი დამწერლობის გაშიფვრა, აქ გაეაკეთებთ საინტერესო გადახვევას, მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენასთან დაკავშირებით

იტალიელმა არქეოლოგმა ლუიჯი პერნიემ 1908 წლის 3 ივლისს, კუნძულ კრეტაზე, ქალაქ ფესტოში აღმოაჩინა თიხის დისკო, რომელსაც შემდგომში „ფესტოსის დისკო“ უწოდეს. დისკო თარიღდება ძველი წელთაღრიცხვის 1850-1600 წლებით. „ფესტოსის დისკო“ მსოფლიოში პირველი ბეჭდვითი დოკუმენტია.

ამ აღმოჩენით უმაღლესი ინტერესდნენ მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები. დაიწყო მისი გაშიფვრის მცდელობა; იონურ-ბერძნულ დიალექტზე, კვიპროსულ, ხეთურ, ლუვიურ, ფილისტიმურ, ეგვიპტურ, სემიტურ ენებზე და ა.შ.

არაფერი გამოუვიდათ!

ან რა უნდა გამოსულიყო, როცა ერთნი ალთას იყენებენ, მეორენი ბალთას. ალთასა და ბალთას! ალთასა და ბალთას! ალთას!

ძველი მსოფლიოს ცივილიზაციის მკვლევარნი მუდამ ასე წაიტყვენ ცხვირს, სანამ კარგად არ დაეუფლებიან „თვინიერ ქართულს“, რადგან „ყოველი საიდუმლო ამა ენასა შინა დამარხულ არს“...

და ასეც მოხდა:

ქართულმა მათემატიკოსმა, გია კვაშილაევამ, ეს წარწერა სრულყოფილად ამოიკითხა. მე მას ვეწოდებ დიდ ქართველს, ნამდვილ მამულებიშვილს. ალბათ, მომავალში ნობელის პრემიის ლაურეატს.

აი, რა დაადგინა მან:

1) „ფესტოსის დისკოს“ წარწერის ენა ქართველურია, კერძოდ: კოლხური (ანუ მეგრულ ლაზური).

2) დისკო კოლხი კორიბანტების, (ჰელიოსის შვილები და აიეტის ძმები, რეა – კიბელეს და ზევისის ქურუმები), მიერ არის შექმნილი.

გია კვაშილაევას მოტანილი აქვს გამოჩენილ მეცნიერთა შრომებიდან ამონაწერები, რომლებიც ამ საკითხებთან არის დაკავშირებული:

„ანტიკურ წყაროთა ჩვენებით კორიბანტები მცირე აზიის ავტოხთონური ტომებისა და წინაელისურ პერიოდში კრეტაზე მოსახლე პელასგების მატრიარქალური ღვთაების კვიბელეს ქურუმები იყვნენ... კორიბანტები, რომელთაც დამწერლობის – კვირბების შექმნა მიეწერებათ, კოლხთაგანნი არიან და მჭიდროდ უკავშირდებიან რკინის მეტალურგიის, მკვდლობის მფარველ ღმერთსელ კაბირებს.“ (აკაკი ურუშაძე).

„ტიტნებმა რეას გადასცეს კორიბანტები შეიარაღებულ მცველებად; მათზე ზოგიერთები ამბობენ, ისინი – კოლხებისაგან არიანო“ (სტრაბონი, ძვ.წ. 64/63- ახ.წ. 23/24).

„კოლხებმა შემოინახეს თავიანთი მამათა ნაწერები, ამოკვეთილი კირბებზე, ქვის წერილ-სვეტებზე, რომლებზედაც ირგვლივ, ყოველ მხარეს მოგზაურთათვის დაბეჭდილია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი... კირკეს სურდა ქალწულის (მედეას) პირიდან მშობლიური ხმა გაეგონა. მართლაც, მრისხანე აიეტის ასულმა, კირკეს წინარი ხმით უამბო ყველაფერი კოლხურ ენაზე.“ (აპოლონიოს როდოსელი, ძვ.წ. 295-215 წ.).

„მედეა კოლხური ენით გრძელი ლოცვის წარმოთქმას შეუდგა.“ (დიოდორე სიცილიელი, ძვ.წ. 90 ან 80 – ძვ.წ. 29 ან 21 წწ.).

„ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის დასაწყისში უკვე არსებობდა მეგრულ-ჭანურის წინაპარი „სანური“ დიალექტი... აია – ქვეყნის მეფე აიეტი და მისი მემკვიდრენი... დასაეღურ-ქართულ დიალექტზე მეტყველებდნენ, რომლის დღევანდელი გაგრძელებაა ჩვენთვის ცნობილი მეგრული და ლაზური.“ (თამაზ გამყრელიძე).

„განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ავსტრიელი მეცელეუარისა და ინჟინერ-ქიმიკოსის პერბერტ ძებიშის ჰიპოთეზა „ფესტოსის დისკოს“ წარწერის სავარაუდო ენის თაობაზე, რომელიც მოცემულია მის წიგნებში: „იბერიული, – ღმერთების ენა“, „პელაზგური, – იბერიული ენა“ და „პელაზგები: ისტორია და კულტურა მათი დროის წერილობითი ნიმუშებიდან“. ძებიში ამტკიცებს, რომ წინარებერძული მოსახლეობის ენა, კერძოდ, „პელაზგური ქართველურ ენათა დედაა“. მან 1988 წელს ბუდაპეშტში, ვირენეს კომიტეტის XVIII საერთაშორისო კონგრესზე განაცხადა, რომ „ფესტოს დისკოს“ წარწერის ენა პროტოქართულია, – კოლხურია.“ (გია კვაშილაევა, „ფესტოს დისკო – კოლხური ოქროდამწერლობა“, „დიოსკურია“, 2007, თებერვალი).

3) დისკოზე დაბეჭდილი ნახატნიშნები „კოლხური ოქროდამწერლობაა. დისკოს ტექსტი წარმოადგენს საგალობელს, – „ნენანას“, რომელიც ეძღვნება „აია-ნეშქარის“ მფარველ, პელაზგურ-კოლხურ მოდგმის მაკრონების ნაყოფიერების დიდ დედაღვთაება ნანას რეა-კიბელეს;

„მოგვიანებით, ქრისტიანულ ეპოქაში, „ნენანას“, როგორც რელიგიის ისტორიიდან ცნობილია, ივერონის მონასტრის ბერები ათონის წმინდა მთაზე უგალობდნენ ვითარცა ღვთისმშობელს“ (Епископ Порфирий Успенский, 1877).

4) ქართული დამწერლობა იმაზე გაცილებით დიდი ხნისაა, ვიდრე ეს რეალურადაა მიჩნეული.

5) P.S. გია კვაშილავა სრულიად სამართლიანად სვამს საკითხს: „ფესტოსის დისკოს წარწერისა და A-ხა'სოვანი დამწერლობის დეშიფრირების საფუძველზე განხილულ იქნას ქართული სახელმწიფოებრიობის საიუბილეო თარიღად 4000 წელი“.

სრული ჭეშმარიტება!

ამ, დისკოზე, სხვა სიტყვებთან ერთად, ამოტყეფრულია კოლხური ენის ომონიმები. მოვიტანოთ 'სოგიერთი მათგანი:

**ფაგარძთჲ** 1. „ძვირფასი ქვა“ (საბა)

**ფაგარძთჲ** 2. საამო მშენიერი.

**ფათჲ** 1. ეულკანის ცეცხლის, დუღულის ღვთაება.

**ფათჲ** 2. ფუქე, პირველი სამკვიდრო.

**ნეთა'სათჲ** 1. ნათელი პეფესტოსი.

**ნეთა'სათჲ** 2. ნათელი ფესტოსი.

**ნეთა'სათჲ** 3. ნათელი ფოთი.

და მრავალი სხვა.

P.S. ქართველთგამიებო,ღმერთგამწყრალებო და ბარბაროსებო,ხელეები შორს ქართველი ერისაგან! ჩვენ, ცივილიზირებულ მსოფლიოს ეჭირდებით!! უწვენოთ არცა მღერი-ხართ და, ეერცა იმღერებთ! თანაც მრავალხმიანს!

სუდამეტად არ მიგვაჩნია აქვე მოვიტანოთ „ფესტოსის დისკო“-ს გაშიფრული ტექსტი:

**დისკოს A მხარე:** „აია – ჭაბუენო, სადარ(ნ)ო, განმწმედელ(ნ)ო, დედის კარი(ს), დაფარე(თ) თადი გახეთიურებულ(ნ)ო! ქვეყნის სიმაღლისა(ნ)ო, სიცოცხლის ძალ(ნ)ო, წინამელ(ნ)ო კორიბანტ(ნ)ო მფარაე(ნ)ო მფარველ(ნ)ო ანგელოზ(ნ)ო, ქვეყნის სიმტკიცე(ნ)ო მშემწე(ნ)ო, ჰქმენ(თ) დაფარული ტაძარი ჭაბირინთი, ქვეყნის სიმტკიცე(ნ)ო მშემწე(ნ)ო, მარადმავალ(ნ)ო კორიბანტ(ნ)ო მფარაე(ნ)ო მფარველ(ნ)ო ანგელოზ(ნ)ო ჭარდაჰქმენ(თ) აიას სიცოცხლე ყველანაირად. შუაღამის მთავრ(ით) განათებულ(ნ)ო, დედის ქვეყანა მუღამ დაფარე(თ)ო, დაასხ(ნ)ი(თ), ხელ(ნ)ი, ბრუნვა – ფარვა სხივოსანო მფარაე(ნ)ო, ოჯახის ფუძ(ის), ჯიშის სვლა – ბრუნე(ის) განმწმედელ(ნ)ო.

**დისკოს B მხარე:** ოჯახის წყაროვ, სულო მშობელო, მოდგმის ნენანავ, ააყვავე ხუთი შტო მშენი, ჯიშის სიწმიდით, ახლით ნირშემოსილი. ერთო ძლიერო შტოვ, ოჯახის წმიდავ, ძლიერო, თავურო ხუთი შტო(ისა), მფარველსხივოსანო ნანდმერთო ჭყუაღმერთო, წინამძლოლო, ხანგრძელ პყავ დედის ტაძარი სსიღენძისა. მაყვავებელო თარხონო, ნათელო პეფესტოო ჯოსტატელთაეზოვო მდნობელო, წინამძლოლო, განწმენდელსხივოსანო, დაფარე(თ) მისი მოგიზგიზე სასახლე, – ჩვენო მტყედელო, ახლითმოსილო მთვარისნაირო.“ (გია კვაშილავა).

\* \* \*

უძველესი ქართული ეპოსი „ამირანიანი“ განეკუთვნება დაახლოებით XV ს. ძვ.წ.

„კავკასიის ხალხები „ამირანის“ ეპოსს ძალიან ადრე უსიარნენ და იგი იმდენად ღრმად იყო შეთვისებული ამ ხალხთა მიერ, რომ ბევრმა მათგანგმა ის საკუთარ მითოლოგიურ შემოქმედებაში შეიტანა (მოიპარა! ა.ს.იხ.) და ხანდახან მისი ქართული წარმომადგენლობაც კი ავიწყდებოდათ. კიდევ მეტი, თქმულება „ამირანის, შესახებ გამოვიდა კავკასიის ფარგლებიდან.“ (შალვა ნუცუბიძე, „შრომები“, ტ. VIII).

„ანი და იამანი იმ პირვანდელ ღმერთთა გალყურვას მიეკუთვნება, რომლებიც იწამეს მცირე ასიის, საბერძნეთის, იტალია-ეგრუერიის მრავალრიცხოვანმა ტომებმა, რომელთა ჩამოყალიბებაში ქართველთა შორეული წინაპრები მონაწილეობდნენ.“ (ვახტანგ ონიანი, „ამირანი“ (ეპოსი), 1975, გვ. 65).

„ამირანიანში“ უამრავი ომონიმები გვხვდება:

**ბრალი:** 1. დანაშაული.

**ბრალი:** 2. პასუხისმგებლობა, მოვალეობა.

**უბრალი:** 1. ალაღი, მართალი; ალაღ-მართალი.

**უბრალი:** 2. მარტივი; სადა.

**შავი:** 1. ფერი.

**შავი:** 2. ვეშაპის ეპითეტი.

**კილი:** 1. მცირე ნაკლი, – წუნი („კილში ჩაუდგა“ – კილის გამინახვას შეეცდება).

**კილი:** 2. ჭრილი.

**პირქუში:** 1. უსუპის სახელი.

**პირქუში:** 2. ძლიერი, გმირი.

**ჭაბუკი:** 1. ახალგაზრდა.

**ჭაბუკი:** 2. მეგობარი (ჭაბუკობა, – მეგობრობა).

თვით ბერძნებიც აღიარებენ, რომ „პრომეთე“-ს ეპოსი არაბერძნულიამეცნიერულად, უამრავ მტკიცებულებებიდან ჩანს, რომ „პრომეთე“ ქართული ეპოსის „ამირანიანის“ სუბაქლენითაა შექმნილი. მოვიტანოთ ამონაწერები შალვა ნუცუბიძის წიგნიდან:

„ქართული მითოლოგია ბერძნულზე გაცილებით ნაადრევია... ფილოსოფია დაიბადა არა საბერძნეთში, როგორც ამაში გეარწმუნებს მეცნიერები დასავლეთისა... მეორე ათასწლეულში ადრინდელ ქართველთა აზროვნება ცნების გამომუშავების პროცესში რამდენიმედ წინ უსწრებს ბერძნულ საფეხურს... ბერძნებმა, როგორც უფრო გვიან მოსულმა ხალხმა, კულტურული, კერძოდ ნააზრვეის, მიღწევანიც გაუტანიათ საქართველოდან... კოლხეთის რიტორიკული სკოლა, ანუ აკადემია უნდა დაარსებულიყო გაცილებით უფრო ადრე, მე-4-ე საუკუნემდე ჩვენი წელთაღრიცხვისა. მითითება ბერძენ ფილოსოფოსთა მთელ თაობაზე, რომლებმაც ამ აკადემიაში მიიღეს განსწავლა, ნათელჰყოფს, რომ ფილოსოფიური კულტურა საქართველოში უნდა არსებულიყო გაცილებით უფრო ადრე, რათა მას მოეშაადებინა ნიადაგი და შესაძლებელი გაეხადა უმადლესი განათლების ცენტრის დაარსება.

არა მარტო კოლხეთში, არამედ საქართველოს ფარგლებს გარეთაც უამრავი ქართული კულტურის ცენტრები არსებობდა, სადაც განათლების მიღება შეეძლოთ ნებისმიერი ეროვნების ადამიანს, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე.

საქართველოს გარეთ ჩასახული და განვითარებული ფილოსოფიური სკოლა თუ მიმდინარეობა არ მოეწვევით თავის ეროვნულ კულტურას და უცხოურ კულტურათა შედეგად არ გამოვაცხადოთ, უცხოეთის წარმონაქმად არ ვაღიაროთ.

შეხედულება სიცოცხლისა და ყოველგვარი ცეცხლის საწყისის შესახებ ბერძნულმა ფილოსოფიამ ქართული მითოლოგიიდან შეითვისა.

პრომეთეოსმაცა მოიტაცა („მოიპარა,“) ცეცხლი სვესისაგან და მოიტანა მიწაზე. მოიპარა რა „შორიდან შესამჩნევი“ ცეცხლი, პრომეთეოსმა იგი კალთის ქვეშ დამალა. რომ შევადაროთ ცეცხლის მოპოვების ეს ორი ამბავი, – ქურდობა და ღმერთ-ქალის სუცის, კოშკიდან მოტაცება, ამირანიანის შემქმნელთა პოეტური უპირატესობა ყოველივე ეჭვს გარეშე იჭნება. ბერძნულმა მითოლოგიამ გააუბრალოვა სახეები და ისინი უფრო ღარიბია და ნასესხების შთაბეჭდილებას ქმნიან.“ (შალვა ნუცუბიძე).

„პრომეთეში“ შესულია მრავალი ქართული სიტყვა, მრავალთაგან კი „იგრი“ – წყალი (წყლის ღმერთი)... „ამირანიანის“ მიხედვით ცხოვრების „საწყისი“ არის წყალი, ხოლო წყლის ღმერთის სახელი, რომლიდანაც იწარმოება ყოველგვარი ცოცხალი, არის „იგრი“.

იგრი: 1. წყალი, სიცოცხლის საწყისი.

იგრი: 2. წყლის დიქრთი (წყლის განსახიერება).

“... ამას კარგად უნდა დახსოვება. გაივლის საუკუნეები და ეს წარმოდგენა თითქოს ხელახლა იქნება აღდგენილი ბერძნების მიერ და წყალი, როგორც საწყისი, მიიღებს ბერძნებისათვის უნივერსალ სახელს (არა „მიდროს“, რაც ბერძნულად წყალს ნიშნავდა, არამედ „იგრონს“). ეს არის სიტყვა, უცხოეთიდან შემოტანილი ბერძნულში... არანაკლებად მნიშვნელოვანია იმის დახსოვნებაც, რომ სახელწოდება „იგრი“ წმინდა ადგილობრივი, ქართული წარმოშობისაა.“ (შალვა ნუცუბიძე, შრომები, ტ. VIII).

## “<sup>100</sup> ომონიმები ქართულ პოეზიასა და მწერლობაში

როგორ შეიძლება გვეფიქრა, რომ: უძველესი დამწერლობის მქონე, მრავალხმიანი სიმღერების, მრავალხმიან საგალობლების, და მსოფლიოში შეუდარებელი პოეზიის მქონე ქვეყანაში, არაფერი თქმულიყო ლექსთწერის შესახებ. წინა მწერლობასა და პოეზიას, რომ თავი დაეანებოდ, ჯერ კიდევ XII საუკუნის გენიალურმა შოთა რუსთაველმა განსაზღვრა პოეზიის დანიშნულება. უკედავი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი პოემის თეორიული მხარეა, რომელიც თანმიმდევრულად არის განხორციელებული თვით პოემაში.

„ვეფხისტყაოსნის წინასიტყვაობა პოეტური აღსარებაა. ცხადად ჩანს, რომ რუსთაველს სწადდა ამ წინასიტყვაობით გამოეთქვა პოემის დასაბამი და დედააზრი... სწადდა გამოეხატა თავისი იდეალი, რომელიც ყოველს პოეტს ასულდგმულებს.“ (ალექსანდრე სარაჯიშვილი).

დიდმა მკვლევარმა პავლე ინგოროყევამ, პოემის ამ ნაწილს უწოდა: „სწავლისათვის მოშაირეთასა“. ასეც არის!

რუსთაველმა ჩამოაყალიბა მაღალი რანგის იდეური პოეზიის პოეტური პრინციპები.

„შაირობა, ანუ პოეზია მიჩნეულია სიბრძნის დარგად, ხაზგასმულია მისი შემეცნებითი მნიშვნელობა. რუსთაველის აზრით, პოეზიას აქვს საზოგადოებრივ-გამოყენებითი, უტილიტარულ-აღმსრდელობითი ღირებულება... პოეზია „საღმრთოა“, სასუო, რომელსაც იმავე დროს აქვს საამქვეყნო დანიშნულება... პოეზიას, როგორც შემეცნების წყაროს, სარგებლობა მოაქვს საზოგადოების რეალურ ცხოვრებაში, იგი ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელიცაა... პოეზიის, როგორც მეტრული ჩარჩოებით განსაზღვრული სიტყვაკაშმული ხელოვნების, ნაწილობრივ თვისებად რუსთაველი თელის სიტყვის ეკონომიურობას, აზრის მოკლედ და სხარტად გამოთქმის უნარს. რუსთაველი მოითხოვს აზრიანი და გამომსახველობითი ძალის მქონე სიტყვების შერწყვაში დახელოვნებას. პოეტი ავითარებს შინაარსისა (აზრისა) და ფორმის ერთიანობის პრინციპს: პოეტური სიტყვა უნდა იყოს მოკლე, მოქნილი, გამომეტყველებელი, აზრიანი, მუსიკალური. სიტყვას აქვს ორი მხარე: ეფუონიური (ბგერულ-გამომსახველობითი) და სემანტიკური (შინაარსობრივ-აზრობრივი). პოეტური სიტყვის ორივე ეს მხარე პარძონიულად უნდა იყოს შეხამებული. რუსთაველის ნორმაა „სიტყვა ტკბილი“, „ტკბილ-ქართული“. რუსთაველურ ნორმებს დაუფლებული პოეტი შეიძლება „სრულ-ქმნას სიტყვათა, გულისა გასაგამირეთა.“

პოეტური ხელოვნება ძნელი, რთული, თავისებურად საგმირო საქმეა. პოეტს, მოშაირეს თავის დარგში ისეთივე დახელოვნება და გაწაფულობა მოეთხოვება, როგორც მობურთაღს... პოეტის საბრძოლო საჭურველია განათლებული გონება, დახვეწილი გემოვნება, ფაქიზი მგრძობელობა, სრულყოფილი პოეტური ტექნიკა... პოეტი სიტყვის ფაღავეანია, პოეტური საქმე საგმირო, სამამაცო, სასახელო საქმეა, – აცხადებს რუსთაველი.“ (ალექსან-

დრე ბარამიძე „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. II გვ. 137-138).

ქართული პოეზია სავსეა ომონიმური რითმებით. მარტო ვეფხისტყაოსანში 64 ტაეპია გაწყობილი ასეთი სახის რითმებით. ყოველად დაუშვებელია ქართველებს არ გეჰონოდა რითმებისა და განსაკუთრებით ომონიმური რითმების ლექსიკონი. რადგან: „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ლექსი უფრო საჭიროებს რითმების ლექსიკონს, ვიდრე სოფი სხვა ქვეყნის პოეზია, სადაც რითმა ერთგვაროვნებისა და სიღარიბის გამო ლექსის სტრუქტურაში რაიმე მნიშვნელოვან როლს არ ასრულებს.“ (აკაკი ხინთიბიძე).

ყოველად დაუშვებელია, შოთა რუსთაველს ხელთ არ ეპყრა, არამცთუ რითმების, არამედ ომონიმების ლექსიკონიც. ან, მას პირადად თავისთვის არ ჰქონოდა შედგენილი ომონიმების ლექსიკონი:

„ღმერთმან თუ მცა ენა ჩემი ქებად შენდა უშენოსა,  
შენთვის მკედარი, აღარ ვიტყვი, მაშა მომკლავ უშენოსა,  
მზემან ღომსა ვარდ-გიშერი ბაღჩას ბაღად უშენოსა,  
შენმან მზემან, თავი ჩემი არვის მართებს უშენოსა!..“

*შოთა რუსთაველი*

მაშ, სხეანაირად როგორ უნდა ვიფიქროთ ამ სტრიქონების ავტორზე?!

ყოველად დაუშვებელია, იოანე შავთელს ხელთ არ ეპყრა არამცთუ რითმების, არამედ ომონიმების ლექსიკონიც. ან მას პირადად თავისთვის არ ჰქონოდა შედგენილი ომონიმების ლექსიკონი:

„მხედართ ქველობით, უძლეველობით, სახედ უსწორო ანაგებითა,  
უფლად სპასპეტთა, თვით ქალაქპეტთა, აქესლა გოდოლნი ანაგებითა,  
მშვილდთა მაზრაკა უქმნა მტერთ რაკა გულსა უწყალოდ ანაგებითა,  
ცუდჰყოფს მისანსა, თილისმისანსა, ხრიზმოთ კითხვითა, ანაგებითა“.

*იოანე შავთელი*

მაშ, სხეანაირად როგორ უნდა ვიფიქროთ ამ სტრიქონების ავტორზე?!

ყოველად დაუშვებელია, მეფე თეიმურაზ პირველს ხელთ არ ეპყრა არამცთუ რითმების, არამედ ომონიმების ლექსიკონიც. ან, მას პირადად თავისთვის არ ჰქონოდა შედგენილი ომონიმების ლექსიკონი:

„აწ გულსა კრულსა, ხელქმნილსა სეედა უპირებს მორეეად,  
რადლა სულდგმულობს ლახეარი, ვითა მედამა მორეეად?!  
გლახ, ცრემლთა ჩემთა ნაკადთა რასდენი დადგა მორეეად,  
აწ, რადგან მაკლო ნიშატმან, მიმიშვით, მიგჰყეე მორეეად..“

*თეიმურაზ I*

მაშ, სხეანაირად როგორ უნდა ვიფიქროთ ამ სტრიქონების ავტორზე?!

ყოველად დაუშვებელია, მეფე თეიმურაზ II-ს ხელთ არ ეპყრა არამცთუ რითმების, არამედ ომონიმების ლექსიკონიც. ან, მას პირადად თავისთვის არ ჰქონოდა შედგენილი ომონიმების ლექსიკონი:

„არა არს ძლიერებით მზე, არც სიმდიდრითა თვისითა,  
ღვთისაგან არს დაბადებული, ტომი არა ჰყავს თვისითა,  
არ დაუწესა მთოვარებრ ძველობ-ახლობა თვისითა,  
ბნელს განანათლებს, აღღებებს ბრწყინვალეებითა თვისითა“.

*თეიმურაზ II*

მაშ, სხევანაირად როგორ უნდა ვიფიქროთ ამ სტრიქონების ავტორზე?

ყოველად დაუშვებელია, მეფე ვახტანგ VI-ს ხელთ არ ეპყრა არამცთუ რითმების, არამედ ომონიმების ლექსიკონიც. ან, მას პირადად თავისთვის არ აქონოდა შედგენილი ომონიმების ლექსიკონი:

„ჩემთა ნათქვამთა მოწმობა კვლავ ლექსმა მიყო მაჯამა,  
ცრემლთა ნაკაჭმა ააესო, ნახეთ, გაცნობოთ მაჯამა,  
დამწვა სოფლისა საცდურმან, ვეღარა სცემოს მაჯამა,  
უკეთ არ მწამდეს იმისგან, მკითხოს მე ჩიტმა, მაჯამა...“

გიშრისა მშვილდმა, მეღნის ტბამ, გლახ, გული წყლული მიწამა,  
ბროღმა და ლაღმა გარევეთ ლამის დღეთ სიგრძე მიწამა,  
ცრემლი მდის მიწყიე თვალთაგან, ვეჭვ, გულმა შენმცა მიწამა,  
რად არ მეწყალვის მიჯნური, შესჭამოს უღროდ მიწამა?...“

სრულად სიბრძნისა საუნჯის კარი, რაც მქონდეს, დამეღოს,  
ან მაგალითი პლატონის, ან პითაგორის დამეღოს,  
ვჯღე გულის მძრახად სამუდამოდ, თავი ქვე საღმე დამეღოს,  
საკადრად შენსა ქებასა ვერ ვიტყვი, სულიც დამეღოს...“

რა სჯობს მაისში ტყვილისსა, ვარდი ვარსკვლავებრ ესხასა,  
მწუნად ღელავდეს გარემო, ცის ცვარი მასზე ესხასა,  
თუ არ უშმაგი, ვინცა ქმნას, მასუდა რითმე ესხასა?..“

მაშ, სხევანაირად როგორ უნდა ვიფიქროთ ამ სტრიქონების ავტორზე?

ყოველად დაუშვებელია, დავით გურამიშვილს ხელთ არ ეპყრა არამცთუ რითმების, არამედ ომონიმების ლექსიკონიც. ან, მას პირადად თავისთვის არ აქონოდა შედგენილი ომონიმების ლექსიკონი:

„სიბრძნე მის ბრძნისა არ ძალუც ენას გამოთქმა ბაგითა;  
მაგრამ ნათლად ესთქვა ნათელი, რაც ოდენ მიწინდეს ბაგითა,  
ძირი ვენახთა შრტოზედ რტოდ, ვით ახალ-მორჩი ბაგითა,  
აგრევე მორდელი ყოველთა ესცანთ გასასრდელი ბაგითა“.

მაშ, სხევანაირად როგორ უნდა ვიფიქროთ ამ სტრიქონების ავტორზე?

ყოველად დაუშვებელია, პოეტიკის თეორეტიკოს, მამუკა ბარათაშვილს ხელთ არ ეპყრა არამცთუ რითმების, არამედ ომონიმების ლექსიკონიც. ან, მას პირადად თავისთვის არ აქონოდა შედგენილი ომონიმების ლექსიკონი:

„ვინ ენდო მცირედ მყოფელსა,  
შეიქმს ჩემებრივ მყოფელსა.  
დავგმე და სული უხარი  
მათ, ვინცა მისგან უხარი.  
მიწყიე ვემდურით წყეულსა,  
მაგრამ მოგვაგებს წყეულსა.  
მამცემს, რა მიმიცემია,  
მიმდოთ თან მიმიცემია.  
საწუთრო ერთის წამისა,

განეშორენით წამისა.  
ნურავის გინდათ ამება,  
თვარ თქვენცა, ვით მე, ამება.  
იქმნებით მოუსვენია,  
ყოველთათვის მოუსვენია.  
სხვადასხვაფერად სახენი  
მიწყიე ლახვარი სახენი.  
ვის მისგან უნდა კეთილი,  
მიხედეს სახმილი კეთილი..“

მაშ, სხვანაირად როგორ უნდა ვიფიქროთ ამ სტრიქონების ავტორზე?!

აბა, ერთი ენახოთ, როგორ აქვთ გამოყენებული ქართველ პოეტებს შედგენილი ომონიმები.

ყოველად დაუშვებელია, იოანე შავთელს ხელთ არ ეპყრა არამცთუ რითმების, არამცთუ ლექსიკური ომონიმების, არამედ, შედგენილი ომონიმების ლექსიკონიც. ან, მას პირადად თავისათვის არ ჰქონოდა შედგენილი ომონიმების ლექსიკონი:

- „დავითისადა, დავით ისადა“.
- „ა ჯამით მორჩი! აქა მით მორჩი!“
- „ალაგა მითა – ა ლაგამითა“.
- „დიადიმითა: დიადი მითა“

და ა.შ.

მაშ, სხვანაირად როგორ უნდა ვიფიქროთ ამ სტრიქონების ავტორზე?!

**P.S.** ისე, ყურადღება იმასაც მიაქციეთ, როგორი ვირტუოზია ქართველი პოეტი „თვინიერ ქართულსა“ ზედა!

ყოველად დაუშვებელია, ჩახრუხაძეს ხელთ არ ეპყრა არამცთუ რითმების, არამცთუ ლექსიკური ომონიმების, არამედ, შედგენილი ომონიმების ლექსიკონიც. ან, მას პირადად თავისათვის არ ჰქონოდა შედგენილი ომონიმების ლექსიკონი:

- „ეინ არს ებანი? ეინ არსე ბანი“,
- „მან ცათა მარის, მანცა თამარის“.
- „აღამეთ ერთა აღამ თუერთა“.
- „არა თუ ზევსი, არათ უზევისი“.
- „მის მიერ მისად მისმი ერმისად“.
- „ანუ ვის ესმის, ან უვის ეს მის“.

მაშ, სხვანაირად როგორ უნდა ვიფიქროთ ამ სტრიქონების ავტორზე?!

**P.S.** ისე, ყურადღება იმასაც მიაქციეთ, როგორი ვირტუოზია ქართველი პოეტი „თვინიერ ქართულსა“ ზედა!

ყოველად დაუშვებელია, აკაკი წერეთელს ხელთ არ ეპყრა არამცთუ რითმების, არამცთუ ლექსიკური ომონიმების, არამედ, შედგენილი ომონიმების ლექსიკონიც. ან, მას პირადად თავისათვის არ ჰქონოდა შედგენილი ომონიმების ლექსიკონი:

აღმართ-აღმართ მიედლოდი მე ნელა,  
სერზედ შეკდეგ, ჭმუნვის ალი მენელა.

მზემან სხივი მომაფინა მაშინა,  
სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილმა ვერ მაშინა.

შემიდულდა მაშინ სული და გული,  
იმ ნადულში თვით მე ვიყავ დაგული.

გულმა ძგერა, სულმა შფოთვა დამიწყო,  
ჩანგმაც თვისი მე სიმები დამიწყო.

ხმა სიმართლის შეუპოვრად გაისმა,  
აწ იგი ხმა ვერ ისმინოს გაისმა.

ცის მახლობლად ფეხქვეშ ვიგრძენ მიწა მე,  
ვსთქვი: „ცხოვრებავე, მეც ერთ კაცად მიწამე“.



და ვიფიქრე: „ჩემი სატრფო სად არი?  
ნისლი ჰბურავს, თუ დღე უდგას სადარი?..“

გადუიხედე, ენახე, რომ სხვას ჰმონებდა!  
გამიკვირდა! ესტყვი: „მტერს როგორ მონებდა?“

მოხიბლულა, შემცდარია, ის არი!  
აღურსით მთერაღს ვერ უხილავს ისარიჲ,

მივაძახე: „ჭინჭარში ნუ ვარდები!..  
ნუ გგონია იქ ია და ვარდები!“

შეიბრაღე თავი შენი, იცოდე!  
მაგ შარბათში საწამლაგს სვამ, იცოდეჲ,

არ მისმინა მწუხარებით დანაგულს,  
მით დამასო საუკუნოდ დანა გულს!

აღმართ-აღმართ მივდიოდი ნეტა რად,  
თუ ამ სერსუდ თავს ვერ ვგრძნობდი ნეტარად?

ჩემო თავო! ევლარ გკურნავ წამალით!  
დაღმართ-დაღმართ დაუყევი, წა მალით!

იქ ჩაბძანდი, სად გელიან ლოდებით,  
ბარით, ნინბით, კუბოთი და ლოდებით!

დაივიწყე, ვინც გახსოვდა მარად, ის!  
ხელდაკრეფით განისვენე მარადის!

\* \* \*

**P.S.** დავით გურამიშვილზე მოგახსენებთ. პოეტმა, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი: ლექების ტყვეობაში, რუსეთსა და რუსეთის ჯარში და პრუსიელთა ტყვეობაში გაატარა, მას, არამცთუ დაავიწყდა ქართული ენა, არამედ, მან წმინდა ქართულით განაწყო თავისი პოეზია, რომელიც სავსეა ომონიმებით და ცინცხალი, გაუცკეუთელი რითმებით. გურამიშვილი ქართული ლექსთწყობის ნოვატორია! მას არ დამართნია ის, რაც ემართებოდათ და ემართებათ ქართველებს: გასცდებიან თუ არა საქართველოს სახლერებს, უმალვე ავიწყდებათ მშობლიური ქართული. ქართული აღარ „ეკერკებად“. ამის დასტურად მოვიტანთ თურდაც ერთ ამონარიდს ალექსანდრე განგებლიშვილის მოგონებებიდან: „Мой отец родного своего языка уже не знал, и наше семейство совершенно обрусело.“ (А. Гагбешлишвили, „Воспоминания“, 1888 г. стр. 226).

განა, შემდგომში დიდებულმა მოქართულემ, ჩვენმა სათაყვანებელმა მწერალმა, დავით კლდიაშვილმა, თოთხმეტი წლით რუსეთში ყოფნით, სრულიად დაივიწყა მშობლიური ქართული ენა. როდესაც საქართველოში დაბრუნდა, მას ბიძაშვილი უწევდა თარჯიმნობას. ამასთანავე, ნუ დაგავიწყდებათ, რომ იგი სამშობლოს უდიდესი პატრიოტი გახლდათ.

აი, ასეთმა კაცმაც – კი, დაივიწყა ქართული ენა, ღმერთების ენა, ნენაის ენა. ის, სხვა საკითხია, რომ შემდგომში ყველაფერი აღდგა და გამოსწორდა.

განა დიდებული მიხილ ჯაუახიშვილი არ საყვედურობდა თავის თავს, რომ: „გარემოებათა გამო, ორგონის დააივიწყა და ხელახლა ისწავლა ქართული ენა.“

რალა შორს წავიდეთ. აგერ,ახლახანს, ლაგოდეხიდან სულაც ხუთი წუთის საეალ მანძილზე, საინგილოში, ამ ძირსველ ქართულ მიწასე, ორ საკმაოდ დიდ პუნქტში, ენგიანსა და ყანდახში, რომლებიც საინგილოს სხვა პუნქტებთან ერთად ჭავჭავაძიანთ გვარს ეკუთვნოდა, მეოცე საუკუნემდე ქართულად საუბრობდნენ. მეოცე საუკუნის დასაწყისში, სამშობლოს გამყიდველმა ქართველებმა, რომლებიც დღესაც ბლომადა გეყავს, მთელი საინგილო აწერბაიჯანს გადასცეს. თუმცა დღესაც აქ ქართველები სახლობენ, მათ დედენა დაკარგული აქეთ. ჰაი, სირცხვილო!! ვაი, სირცხვილო!!

რა გეჭირს, რა ჭირი გეჭირს, რა გვემართება! საქართველოდან ფეხგადგმული რაგინდა – რა ვინ ქართველი, სრულიად ივიწყებს ქართულს, მათ შეილებზე ხომ შედმეტია საუბარი!

კაცს, როგორ უნდა შურდეს ამ სომხებისა, – სადაც უნდა წავიდნენ და რა ხნითაც არ უნდა წავიდნენ, ენასა და ქართველებისადმი მტრობას მანც არ ივიწყებენ. თურქეთში მცხოვრებ სომხებსაც კი არ აქეთ ენა დაკარგული, მართალია ისინი, შიშის გამო, სასოგადოებაში სომხურად ვერ საუბრობენ, მაგრამ სამაგიეროდ ოჯახში სხვა ენას ვერ გაიგონებთ, სომხურის გარდა.

რა მოგედის ჩვენ, ქართველებს?

P.S. რა აღარ დაგეკარგეთ,ჩვენზე ბედოვლათობით?!

დაგეკარგეთ ლექსიკონებიც:

„აქ ლექსიკონი არ იყო,და – ცა – ჰკარგოდათ ქართველთა, უკრძალველობით ფურცელი გაებნიაყე ქართ ველთა“.

**სულხან-საბა ორბელიანი**

სხვა ადგილას სულხან-საბა ორბელიანი ამბობს: „რამეთუ ქართველთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა,რამეთუ ჟამთა ვითარებითა უსინო ქმნილ იყო... ვინათგან პატიოსანი ესე წიგნი დაკარგოდათ, ენა ქართული თვისთა ნებაზედ გაერყენათ“.

განა თეიმურაზ ბატონიშვილი არ წერდა აკადემიკოს მარი ბროსეს: „ჩვენ უბადრუტ ქართველებს ის საკვირველი სტიხები... დაკარგვიათ“.

ჯერ კიდევ ახლახანს, მეოცე საუკუნის დასაწყისში, აკაკი წერეთელი ერთ ფელეტონში მოიხსენიებს რითმების ლექსიკონს,საიდანაც შესაძლებელია რითმების ამოწერა. (იხ., აკაკი წერეთელი, „მგოსნისა და რედაქტორის საუბარი“, „კოლხიდა“, 1911 წ., 138).

ე.ი. თვალწინ მდებარე რითმების ლექსიკონიც კი დაგეკარგავს,ჩვენზე ბედოვლათობით!

საქართველოში ქრისტიანობამ მთლიანად გაანადგურა წარმართული ხანის უნიკალური ლიტერატურა. წარმართული ხანის უნიკალური ლიტერატურისაგან თვითონ ქართველობამ ქვა-ქვასე არ დატოვა. აი, რას ვკითხულობთ სინას მთის ხელნაწერებში: ბრძანება: „დათრგუნვილ იქნეს ყოველთა კერპტსახოვართა მდგრობა, რათა შეკრიბნეს ყოველნი წიგნი მათნი და დაწოვნეს ცეცხლითა“. აღნიშნული ბრძანება დაუყოვნებლივ იქნა შესრულებული: „და შეკრიბნა ყოველნი წიგნი მათნი, რომელ იყვნეს ფრიად მრავალ და დაწვეს.“ (იმავე ხელნაწერებიდან). ვაი, უგუნურებაჲ!!

მირიან მეფემ კი თავის შვილს ბაქარს უანდერძა: „დასადა პოენე ვნებანი იგი ცხოველისანი, კერანი, ცეცხლითა დაწვენ და ნაცარი შეასვი... და ასე შვილსაცა შერთა ამცნე“. ხომ „დიდებული და ბრძნული“ ანდერძი დაუტოვებია მეფე მირიანს, შვილთა და შვილიშვილთათვის, – საშვილიშვილოდ?! თქვენ მაინც რას იტყვით, ახლანდელი ახალო ქართველებო??

P.S.

„მე კი ვჰფარავ, მაგრამ ჩემი სატიკივარი არა ჰფარავს;  
მეტად მწარედ გული მტკივა, მაჰრუოლებს და ტანში მზარავს!..“ ✦

დავით გურამიშვილი

ვაი, რომ ხშირ-ხშირად ვიმეორებ ამ გულზე ცეცხლწასაკიდებელ სიტყვებს.

P.S. ვჰ, ასე ბედოვლათობით რამდენი რამე დაეკარგეთ. განა საზღვარგარეთ არსებულნი, არქიტექტურულად განუმეორებელი უძველესი ქართული ეკლესიები, ჩვენ თვითონვე არ დავთმეთ, ჩვენნივე სიბუციით და, ხელში ჩაუგდეთ ბერძენ მგლებსა და მუხანათ სომხებს?!

განა ამის მამხილებელი არ არის ეს წერილიც: „გოლგოთას მდგომი მლოცველი მონაზონი მართა, დასაველეთ საქართველოს კათოლიკოს გრიგოლს (1696-1742) და, ქართველ საზოგადოებას გულისტკივილით აცნობებდა: „...საქართველომ უნდა შეინარჩუნოს და დაიცვას იერუსალიმის ქართველთა კოლონიის მოძრავი და უძრავი ქონება... ამისთანა რა გასაჭირი არის, რომ აქაურობა ასრე დაკარგეთ? ამათ აღარ უნდათ ჩვენი კაცი. მონასტრები ამათ ჩაიგდეს ხელში და ჭამენ. რა უანგარიშო საქონელი გამოშიდეს ჩვენი მონასტრებიდან... ნუ დაკარგავთ ამ მეფუის სახელს. ყოველი სული ამისთვის. კვდების, რომ აქ ერთის ტრაპეზის დასადები ადგილი იქონიოს და თქვენ სულ იერუსალიმი დაკარგეთ. ეს წმინდა ადგილი სრულიად ქართველის ყოფილა და ეხლა ლამის, რომ სულ გამოვიდეს... ჯერ კიდევ პატივისცემით გვიხსენებენ. დიდი სირცხვილი არ არის ეს, რომ პატიოსანი დიდი წმინდა იაკობის ქართული მონასტერი სომხებმა იშოვეს? ხვანთქარი მოატყუეს და ახლა სომხებს აქუს.“ (ლევან მენაბდე, „ძველი ქართული მწერლობის კერები“, ტ. II).

გოლგოთას ქართული ეკლესიების წართმევა ჯერ კიდევ მე-15-ე საუკუნეში სცადა სომეხმა ეპისკოპოსმა მარტიროსმა, მაგრამ მაშინ ამ ღვთისპირისაგან დაწყველილ ქურდბაცაცას, არა გამოსელია რა!

P.S. ძველად, ინგლისის სამართალი სჯიდა არა ქურდს, არამედ პატრონს, რომელმაც ვერ მოუარა თავის ნივთს!

არა ვართ, ღირსი დასჯისა?!

რომ დაგვიჩემებია: „რასაცა გასცემ შენია, რას არა, დაკარგულია, -ო, ერთიც, მწვალებელ სომხებსაც ჰკითხეთ, თუ არიან მაგ ჭკვაზედა, ბედოვლათო ქართველებო!

\* \* \*

ქართული ენა, რომელიც ღმერთების ენას წარმოადგენს, სავსეა ომონიმებით. ჩვენი, ქრისტეს აქეთა, ლიტერატურა და ის ლიტერატურაც, რომელიც ნაწყვეტების სახით არის შეტანილი „ქართლის ცხოვრებაში“, ჩვენს წელთაღრიცხვამდელ საუკუნეებს განეკუთვნებიან.

ნიმუშის სახით მოვიტანოთ ის ომონიმები, რომლებიც ქართულ მწერლობაშია დადასტურებული.

**ლეონტი მროველი**, „ცხოვრება მეფეთა“, XI საუკუნის ისტორიკოსი, მწიგნობარი, საეკლესიო მოღვაწე. რუისის ეპისკოპოსი. მართალია, იგი XI საუკუნის მოღვაწეა, მაგრამ მეტად სარწმუნოა „ცხოვრება ფარნავეასისი“ უცვლელად უნდა იყოს გადმოტანილი ორიგინალიდან და, მწიგნობარი მეფე ფარნავეასის (ძვ. წ. IV-III სს.) დროინდელი უნდა იყოს.

**მოწყვეტა:** 1. ჩამოშორება.

**მოწყვეტა:** 2. ამოხოცვა.

**განმარტება:** 1. გაშლა; გახსნა.

**განმარტება:** 2. ახსნა.

**იაკობ ხუცესი (ცურტაველი)**, „შუშანიკის წამება“, V ს. ვარსკენ პიტიახშის კარის მღვდელი, ფიქრობენ, – ცურტავეის ეპისკოპოსი, შუშანიკთან დაახლოებული პირი. მწერალი, მხატვრული სიტყვის ოსტატი. „შუშანიკის წამება“ თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა თითქმის ყველა ენაზე: ლათინურად, რუსულად, სომხურად, ფრანგულად, ინგლისურად, გერმანულად, ესპანურად, უნგრულად და ა.შ.

**აზნაური:** 1. თავისუფალი.

**აზნაური:** 2. წარჩინებული.

**აღსრულება:** 1. დასრულება, შესრულება.

**აღსრულება:** 2. გარდაცვალება.

**აღვსება:** 1. ავსება.

**აღვსება:** 2. შესრულება.

**აღვსება:** 3. აღდგომა.

**პეტრე იბერიელი (ფსევდო დიონისე არიოპაგელი)**, „საღმრთოთა სახელთათვის“, V ს. იბერიის მეფის ბუსიმარის ვაჟი, მეფისწული. უარყო მეფური ცხოვრების ბრწყინვალეობა და საეკლესიო მოღვაწეობას მიჰყო ხელი. საბოლოოდ დამკვიდრდა პალესტინაში და გახდა ქ. მაიმუმის ეპისკოპოსი. თავისი სიბრძნის გამო თანამედროვენი მას უწოდებდნენ: „ღმერთების საყვარელი კაცი“; „მსოფლიოში საკვირველად სახელგანთქმული კაცი“; „მეორე მოციქული პავლე“; „მეორე მოსე“ და ა.შ.

მისმა ნაწარმოებებმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინა შუა საუკუნეების აზროვნებასა და კულტურაზე. მისი შრომები რენესანსის ხანის ფილოსოფიურ საფუძველს წარმოადგენს.

ბერძნულ ენაზე წერდა. ბერძენი ეგონათ (პაი, დედასა, რამდენი ასეთი ქართველი ჰყავთ მოპარული?!). ბელგიელმა მეცნიერმა ერნესტ პონტიმანმა და შალვა ნუცუბიძემ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, დაამტკიცეს მისი ქართველობა. რომ, ფსევდო – დიონისე არეოპაგელის თხზულებათა ავტორი არის არა დიონისე არეოპაგელი, არამედ „მსოფლიოში საკვირველად სახელგანთქმული კაცი“, მეფისწული და საეკლესიო მოღვაწე, – პეტრე იბერი.

**საჩინო:** 1. გამოჩენილი.

**საჩინო:** 2. დასანახავი.

**საცნაური:** 1. გასაგები, საცოდნელი.

**საცნაური:** 2. საცნობი, შესატყობი.

**შიო მღვიმელი**, „ოსითა“, VI ს. დიდი საეკლესიო მოღვაწე, „შიო მღვიმის მონასტრის“ დამაარსებელი. ასურულ ცამეტ მამათაგანი. მეუღაბნოე. იოანე ზედაზნელის ყოფილი მოწაფე.

**მოღება:** 1. მოტანა.

**მოღება:** 2. მორთმევა.

**იოანე მოსხი** (მესხი), „სიბრძნე ბალაჰვარისი“, „სამოთხე“, (VI-VIII) სს.ბიზანტიაში მცხოვრები, მსოფლიოში ცნობილი მწერალი. ნოველების ჟანრის დამამკვიდრებელი. საეკლესიო მოღვაწე. მოგზაური. „სიბრძნე ბალაჰვარისი“, ქართულიდან ბერძნულად თარგმნა ექვთიმე ათონელმა (955-1028 წწ. სასულიერო მოღვაწე. ათონის სალიტერატურო სკოლის მამამთავარი. ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი) ბერძნული ტექსტიდან – კი, თარგმნეს ლათინურ ენაზე და შემდგომ გაერცვლდა მთელს ევროპაში. რომანის მთავარი პირი იოდასაფი (იგივე ინდური ლეგენდის ბუდა), ქრისტიანულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა, როგორც ქრისტიანულ სარწმუნოებასე ინდოეთის მომაქცეველი. „ამ ნაწარმოებს საუკუნეთა მანძილზე უდიდესი პოპულარობა აქონდა მოხეყილი მთელ ქრისტიანულ მსოფლიოში, რამეთუ იმხანად ეს იყო უქცეველ ჭეშმარიტებად მიჩნეული ერთადერთი თვალსაზრისი: მიწისა და ზეცის, ამქვეყნიურისა და იმქვეყნიურის, სოფლისა და ზესთასოფლის და, აქედან გამომდინარე, სხეულისა და სულის დუალიზმი, მათი უნუგეშო და მოურიგებელი გათიშვა და ზესთასოფლის სიდიადის წინაშე სოფლის სრული გაუფასურება.“ (რეზი *თვარაძე*).

**იოანე მოსხი** (მესხი ანუ, ქართველი), ბიზანტიაში ცხოვრობდა და წერდა როგორც ბერძნულად ასევე ქართულად. ბერძნულ ენაზე მან დაწერა ნოველების კრებული „ლი-მონარი“, „მდელი“. ხოლო მანვე ქართულ ენაზე იგივე გაიმეორა და „სამოთხე“ უწოდა. ეს ღირსშესანიშნავი ნოველების კრებული ნათარგმნია არაბულ და სხვა უამრავ ენებზე. მის სახელთანაა დაკავშირებული ბიზანტიურ ლიტერატურაში ნოველების ჟანრის დამკვიდრება.

**მოკითხვა:** 1. მისაღმება.

**მოკითხვა:** 2. გამომშვიდობება.

**მსოფლიო:** 1. საერო.

**მსოფლიო:** 2. სოფლელი.

**გამორჩევა:** 1. არჩევა.

**გამორჩევა:** 2. გადაწყვეტილება.

**იოანე საბანისძე**, „ჰაბოს წამება“, VIII ს. ქართველი მწერალი. ჰაგიოგრაფი, ჰიმნოგრაფი, საერო პირი უნდა ყოფილიყო. დიდად განათლებული. სასულიერო მწერლობის მცოდნე. „ჰაბოს წამება“ თარგმნილია: რუსულად, გერმანულად, ლათინურად.

**აღორძინება:** 1. აღზრდა.

**აღორძინება:** 2. განმტკიცება.

**აღორძინება:** 3. გამრავლება.

**აღწერა:** 1. დაწერა.

**აღწერა:** 2. გადაწერა.

**მეცნიერი:** 1. მცოდნე.

**მეცნიერი:** 2. ნაცნობი.

**გრიგოლ ხანძთელი**, „ნათელთათვის“, „სოფლისა ზღვაი აღძრულ არს“, (VIII-IX სს.). ქართლის ერისთავის ნერსეს მეუღლის ძმისწული და შეიღობილი. კლარჯეთის მონასტერთა არქიმანდრიტი. დააარსა „ხანძთის მონასტერი“, მნიშვნელოვანი სასულიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო კერა ისტორიულ კლარჯეთში (ახლანდელი თურქეთის ტერიტორია). შემდგომში აქ მოღვაწეობდნენ: არსენ დიდი, არსენ საფარელი, ეფრემ მაწყვერელი, მაკარი ლეოეთელი, გიორგი მერსულე, მოსე ხანძთელი, სტეფანე და მრავალი სხვა.

გიორგი მერსულეს ცნობით: ტაო-კლარჯეთში ფართო საფუძველი ჩაუყარა სამონასტრო მშენებლობას, რომელშიც წააბა თანამოღვაწეთა დიდი დასი. გრიგოლმა ხანძთა-სა და შატბერდში ააგო მამათა, ხოლო გუნათლესა და მერეში, – დედათა საეანეუბი. დასაველეთ საქართველოში დააარსა უბის მონასტერი. გრიგოლ ხანძთელის წაბადეთ მისმა მოწაფეებმაც იწყეს მონასტრების მშენებლობა იშხანში, ბარეთელთაში, წყაროს-თაეში, ნეძეში და სხვა. მისი თაოსნობით გადააყენეს თბილისის ამირა საჰაკის აგენტი, – ანჩის ეპისკოპოსი ცქირი.

აღება: 1. მარხვა. (ძვ.) დიდმარხვის დაწყების წინა ღამე.

აღება: 2. აწევა და დაჭერა (ხელში).

აღევა: 1. შერევა.

აღევა: 2. შფოთი.

განპობა: 1. გასუქება, განოყიერება.

განპობა: 2. გახარება.

განზრახვა: 1. საუბარი.

განზრახვა: 2. რჩევა.

განზრახვა: 3. თანხმობა.

იოანე – ზოსიმე საბაწმინდელ-სინელი, „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, „ანდერძი იადგარისა“, X ს. სასულიერო მწერალი, ცნობილი პოეტი და მწიგნობარი, ენციკლოპედისტი, პიმნოგრაფი, მთარგმნელი, „ტიქსტის მხხრეკელი“. „ქებაი...“ ღვთით კურთხეული ქართული ენის საგალობელია. „ესაა რწმენის ძეგლი... რომ ქართული ენით სხვა ენებსაც მიენიჭება მანამდე მიუწვდომელი სიბრძნე“ (რეზი თეარაძე). „დამარხულ (შენახულ) არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსელისა მესიისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“. ქართული ენა მსოფლიო ენაა, საკაცობრიო ენაა, რადგან არს „უმეტეს სხვათა ენათა... რამეთუ ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არს“. ქართული ენა არის „შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა“, ყოველად ამაღლებული, აღზევებული, კეთილშობილებითა და ზრდილობით აღსაგსე, – ენა ჩენი, დედა ენა.

დამარხული: 1. შენახული.

დამარხული: 2. შთაფლული.

წილი: 1. ნაწილი.

წილი: 2. ძველებური სახელი ქართული ასო „წ“-სი.

უცნობი ავტორი, „დავით და კონსტანტინეს წამება“, VIII საუკუნის ნაწარმოების მიხედვით მოთხრობილია XII საუკუნეში.

ბეჭი: 1. ზედაპირი (წელისა...).

ბეჭი: 2. ზურგის ზედა ნაწილი.

გამოღება: 1. გამოყვანა, გამოღება (მრავლისა).

გამოღება: 2. აღება, დაპყრობა.

ძალი: 1. დამხმარე.

ძალი: 2. ჯარი.

განჩინება: 1. განწესება.

განჩინება: 2. დაშორება, გამიჯვნა.

ღაღადისი: 1. ქადაგი.

ღაღადისი: 2. მოძღვარი.

იოანე მინჩხი, „გალობანი გიორგისანი“, X ს. ვარაუდობენ მოღვაწეობდა პალეს-

ტინაში, სინას მთაზე. პოეტი, მუსიკოსი. თავის ლექსებისათვის თვითონვე თხზავდა მელოდიას. ჰიმნოგრაფი. ჰიმნოგრაფიაში შემოიღო ახალი სალექსო ფორმა ე.წ. „მინჩხური“, რომელშიც სტროფულ-ტაეობრივი სალექსო ზომა იცვლებოდა არა 9-ჯერ (ოდების რაოდენობის მიხედვით), არამედ 5-ჯერ.

მოწამე: 1. დამჯერე.

მოწამე: 2. მორწმუნე.

მოწამე: 3. ტანჯული, სარწმუნოებისათვის წამებული.

კერძო: 1. მხარე.

კერძო: 2. ნაწილი.

კერძო: 3. „-კენ“, „მიმართ“.

მიქაელ მოდრეკილი, „ლექსები“, X წ. პოეტი, – ჰიმნოგრაფი, მწიგნობარი, მთარგმნელი, კალიგრაფი, მგალობელი, მუსიკოსი, შემდგენელ-რედაქტორი მეხური იადგარისა, რომელიც წარმოადგენს სანოტო სისტემით ჩაწერილ მუსიკალურ-ჰიმნოგრაფიულ კრებულს. (P.S. რუსებს ამ დროისათვის არამც-თუ მუსიკალური დამწერლობა, არამედ ანბანიც – კი არ აქონდათ! რუსებს, მეთქი).

აღვსება: 1. აესება.

აღვსება: 2. შესრულება.

აღვსება: 3. აღდგომა.

გარეშეუწერელი: 1. შემოუვლებელი.

გარეშეუწერელი: 2. შეუცნობელი.

ჰგიე (გება): 1. დაცდა, დათმენა.

ჰგიე (გება): 2. დამტკიცება.

გიორგი მერჩულე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, X ს. ტაო-კლარჯეთის სკოლის წარმომადგენელი. სწავლული. პოლიგლოტი. ჰიმნოგრაფი. ჰაგიოგრაფი. ისტორიკოსი. საეკლესიო სამართლის განსწავლული მცოდნე; ამა თუ იმ სარწმუნოების ავტორიტეტული მქადაგებელი და მასწავლებელი. მერჩულე ერთმორწმუნეს, იმავე რჯულის – სარწმუნოების აღმსრულებელსაც ნიშნავდა.“ (ქსე), ეყრდნობა პაეულე ინგოროყეას განსაზღვრებას). გადმოსცემდა ქართულთა ეროვნულ მთლიანობის იდეას. უდიდესი პატრიოტი თავის ქვეყნისა; „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების.“ (გიორგი მერჩულე).

აღრევა: 1. შერჩევა.

აღრევა: 2. შფოთი.

განგება: 1. წესდება.

განგება: 2. გარიგება.

განზრახვა: 1. საუბარი.

განზრახვა: 2. რჩევა; სურვილი.

ძალი: 1. დამხმარე.

ძალი: 2. ჯარი.

ბასილ ზარზმელი, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, (IX-X ს.) მწერალი. საეკლესიო მოღვაწე. ზარზმის ეკლესიის წინამძღოლი. IX საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე სერაპიონ ზარზმელი იყო მისი ბიძა, რომელსაც მიუძღვნა ჰაგიოგრაფიული თხზულება. ეს ნაწარმოები პირველხარისხოვანი ისტორიული წყაროა. არის მოსაზრება, რომ ბასილ და სერაპიონ ზარზმელები არიან VI-VIII საუკუნეების მოღვაწენი.

ასაკი: 1. ძალა.

ასაკი: 2. ადამიანის სიცოცხლის ესა თუ ის ხანი.

განთვისება: 1. მისაკუთრება.

განთვისება: 2. განაწილება.

არე: 1. მხარე.

არე: 2. გასაფხული.

გარეგან: 1. გარეთ.

გარეგან: 2. გარდა.

გიორგი მთაწმინდელი, „იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება“, XI ს. მწერალი, მთარგმნელი, მრავალი ენის მცოდნე, სასულიერო და სასოგადო მოღვაწე, პიმნოგრაფი, სასღვარ-გარეთ მოღვაწე ქართველთა სამეცნიერო-ლიტერატურული საქმიანობის სულისჩამდგმელი. ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი, მეფე ბაგრატ IV-მ მრავალჯერ შესთავაზა პატრიარქობა, მაგრამ იუვარა. იცავდა ქართულ ეკლესიას და ქართულ კულტურას უცხოელთა შემოტყეებისაგან. ანტიოქიის პატრიარქთან კამათში დაიცვა საქართველოს ავტოკეფალიურობა. გიორგი მცირეს მოუესმინოდ: ქართველთა დაუძინებელმა მტრებმა, გიორგი მთაწმინდელი ანტიოქიის პატრიარქთან დაასმინეს: „ – ვითარ ესე, მეუფეო, რომელ ეკლესიანი და მღვდელთმოდვარნი ქართლისანი არა რომლისა პატრიარქისა ხელმწიფებასა ქვეშე არიან და ყოველნი საეკლესიონი წესნი მათ მიერ განეგებიან და თვით დაისმენ კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა! და არა სამართალ არს ესე, რამეთუ ათორმეტთა მოციქულთაგანი არაეინ მისრულ არს ქვეყანასა მათსა... და ჯერ არს, რათა ხელმწიფებასა ქვეშე ანტიოქელის პატრიარქისასა იმწყსებოდინ და აქა იკურთხეოდის კათალიკოსი მათი.“

ანტიოქიის პატრიარქთან მისულმა გიორგი მთაწმინდელმა „დაწყნარებით და ნელიად პრქვა პატრიარქსა ვითარმედ: – ჰოდა წმიდაო მეუფეო, რად ესრეთ უგუნურად შევირაცხიეს ნათესავი ქართველთაჲ, წრფელი და უმანკოჲ?... მოღებად ეც წიგნი „მიმოსლვამ ანდრეა მოციქულისაჲ“ და მუნით გუეწყოს საძიებელი თქვენი... ხოლო პატრეაქმან უბრძანა... მოღებაჲ წიგნისაჲ მის. და ვითარ მოიღეს, პირველ წარკითხვისა პრქვა ბერმან პატრეაქსა: – წმიდაო მეუფეო, შენ იტყვი, ვითარმედ თავისა მის მოციქულთაჲსა პეტრეს საყდარსა ეზიო. ხოლო ჩვენ პირველწოდებულისა და ძმისა თვისისა მწოდებულისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი. და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი – სიმონს ეიტყვი კანანელსა – ქვეყანასა ჩვენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების. ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ... წმიდაო მეუფეო, შენის ესრეთ, რათა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს. რამეთუ პეტრესი ჯერ არს, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თვისსა და ძმასა ანდრეას, და რათა თქვენ ჩვენ დაგვემორჩილნეთ. – და ესეცა შესძინა, ვითარმედ: – წმიდაო მეუფეო, იყო ყამი, რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობაჲ არა იპოებოდა და იოანე გუთელ ეპისკოპოსი მცხეთასა იკურთხა ეპისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სვინაქსარსა. ესე ყოველი რაჲ წარმოთქვა ნეტარმან ამან, განკვირდა პატრეაქი ეპისკოპოსთა თვისთა თანა სიმახვილესა გონებისა მისისასა... განიღვიმა პატრეაქმან და პრქვა მღვდელთმოდვართა მათ და ერსა: – ხედავთა ბერსა ამას, ვითარ მარტოჲ ესოდენსა სიმრავლესა გვერევის? ვეკრძალნეთ, ნუუკვე წინააღმდგომი შეგვემთხვიოს და არა ხოლო თუ სიტყვით, არამედ საქმით გვაძილოს ძღვეულებაჲ ჩვენი და დაგვიმრწემნეს (დაგვიმორჩილოს ა. სიხ.) და დაგვიმრემლნეს! (მრეველად მოგვაქციოს, თავიანთ მრეველად გაგეხადოს ა. სიხ.)“



აი, ასეთი შემტევენი იყვნენ ქართველები უწინ!

და, დღეს როცა თავი ჩვენი, ჩვენივე ნებით, ჩვენივე წაგვიღუნია, – ყველა გეინაჩქუნებს: წირპლიანი თუ წეინტლიანი, ძინძგლიანი თუ გინგლიანი, ქართველნი!

სად არის წინაპართა ამაყი უდრეკი სული?

მწუხარე: 1. ბრმა.

მწუხარე: 2. „მწუხარების მოქმედი“, (საბა).

სახმარი: 1. საჭირო.

სახმარი: 2. ხარჯი.

ყური: 1. კუთხე, ძგიდე.

ყური: 2. „სასმენელი“ (საბა).

წამება: 1. დასტურის მიცემა.

წამება: 2. ტანჯვა; მარტვილობა.

გიორგი მცირე, „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“, XI ს. მწერალი. განსწავლული. გიორგი მთაწმინდელის მოწაფე, თან ახლდა ანტიოქიასა და სხვა წმინდა ადგილებში. პაგიოგრაფი.

მწუხარება: 1. ბრმა.

მწუხარება: 2. შეჭირვებული.

ყური: 1. კუთხე.

ყური: 2. სასმენელი.

ყური: 3. ჭურჭლის ხელმოსაკიდებელი.

შარავანდედი: 1. სხივი.

შარავანდედი: 2. მეყე გეირგეინოსანი.

ბორენა დედოფალი, „რომელმან – ეგე ევას მიუსღე ვალი“, (XI-XIII) სს. ბაგრატ IV-ის მეუღლე. მკვლევართა უმრავლესობის აზრით: ცოტნე დადიანის მეუღლე.

მისი იამბოკი დახვეწილი რითმებითაა გაწყობილი.

ეგე: 1. აგრევე ეგ.

ეგე: 2. „ც“ (რომელი – ეგე, – რომელი – ც).

მოუვალი: 1. შეუძლებელი.

მოუვალი: 2. მოუსვლელი, – ვინც, რაც არ მოვა; საიდანაც უკან ვერ მოდიან.

ძალი: 1. ჯარი.

ძალი: 2. დამხმარი.

ძალი: 3. „წყლის ალყა“ (საბა).

ეფრემ მცირე, „სახელ სიბრძნისა“, XI ს. ქართველი ფილოლოგი, ფილოსოფოსი. პაგიოგრაფი. მწიგნობარი. მეცნიერი. მთარგმნელი. „ეფრემ მცირემ შექმნა საკუთარი მთარგმნელობითი თეორია, რაც ძირითადად სამი პრინციპით განისაზღვრება:

1) თხზულება უშუალოდ დედნიდან უნდა ითარგმნებოდეს;

2) თარგმანი უნდა იყოს ზედმიწევნით ზუსტი. ამასთან მთარგმნელმა არ უნდა შელახოს მშობლიური ენის ბუნება;

3) დედნის ტექსტის სწორად გასაგებად თარგმანს უნდა დაერთოს კომენტარები, – (ქსე).

ეფრემ მცირე არის არეოპატიკული მოძღვრების შემომტანი საქართველოში, არეოპატიკული ანუ პეტრე იბერიელის მოძღვრების შემომტანი საქართველოში.

**მრჩობლი:** 1. ორკეცი.

**მრჩობლი:** 2. ორი.

**იატაკი:** 1. მიწა.

**იატაკი:** 2. „სახლის ფსკერი“ (საბა).

**სართული:** 1. სახურავი.

**სართული:** 2. „სახლთ ზედა კერძო“ (საბა).

**დავით აღმაშენებელი**, „გალობანი სინანულისანი“, (XI-XII) სს. საქართველოს უბრწყინვალესი მეფე. საქართველოს აღმაშენებელი. გამეფდა 16 წლისა. შექმნა მძლავრი ცენტრალიზირებული დამოუკიდებელი სახელმწიფო. ჩაატარა სამხედრო რეფორმები. ჯარში დაამყარა მტკიცე დისციპლინა.

გარდაქმნა ბრძოლის ტაქტიკა, 1121 წელს დიდგორთან, დავით აღმაშენებელმა დაამარცხა მუსლიმანთა კოალიციური ლაშქარი, ამით განამტკიცა საქართველოს სახელი მთელს ახლო აღმოსავლეთში. ააგო გელათის ტაძარი, დააარსა გელათის აკადემია, ახალგაზრდებს გზავნიდა საზღვარგარეთ ცოდნის მისაღებად. იჩენდა რელიგიურ შემწინარებლობას, მატერიალურადაც ეხმარებოდა მათ. უმართავდა სასუიშო დარბაზობასაც. იგი არის პოეტი, ჰიმნოგრაფი, დიდად მწიგნობარი. მისი „გალობანი სინანულისანი“ ქართული ლირიკის შედევრია.

**სმარი:** 1. მწუხრის ლოცვა.

**სმარი:** 2. „მოგრძოდ წაზიდული გორა“ (საბა).

**ზმნაი:** 1. მისნობა.

**ზმნაი:** 2. მოხიბვლა.

**არე:** 1. გაზაფხული.

**არე:** 2. მხარე, მიდამო.

**დიმიტრი I მეფე**, „ლექსები“, XII ს. მეფე დავით აღმაშენებლის შვილი. თავის „ანდერძში“ დავით აღმაშენებელი ამბობს: „შვილი ჩემი დიმიტრი, სიბრძნითა, სიწმინდით, ახოვნებითა და სიმხნითა უმჯობესი ჩემსა.“ დიდგორისა და შირვანის ბრძოლებში გამარჯვების ერთ-ერთი ორგანიზატორი, მამასთან ერთად. ჩინებული პოეტი.

**ალვა:** 1. ნელსაცხებელი.

**ალვა:** 2. ალვის ხე.

**თვისი:** 1. თავისი.

**თვისი:** 2. ნათესავი.

**მორჩი:** 1. ყლორტი.

**მორჩი:** 2. (ძვ.) ახალგაზრდა.

**მოსე ხონელი**, „ამირანდარეჯანიანი“, (XI-XIII)სს. თამარ მეფის მდივან-მწიგნობარი. „გამოთქმულია მოსაზრება, რომ მის რომანში უკვე შექმნილია ადამიანის ახალი მოდელი, რენესანსული მოდელის პირველ სახე.“ (რეზი თვარაძე). „ამირანდარეჯანიანი“ იწყებს ახალ ეტაპს მხატვრული აზროვნების განვითარების ისტორიაში“. (ლაურა გრიგოლაშვილი).

**გამრიგე:** 1. მომეღვლი.

**გამრიგე:** 2. გამგებელი.

**განკრძობა:** 1. გაღვიძება.

**განკრძობა:** 2. შეშინება.

**იოანე შავთელი**, „აბდულმესიანი“, (XII-XIII)სს. შექცებულია თამარი და (ან, დავით სოსლანი, ან დავით აღმაშენებელი). პოეტი, სასულიერო მოღვაწე. „ნეტარი“, „წმინდანი“.

„ფილოსოფოსი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და მოღვაწეობათა შინა განთქმული“  
(ქართლის ცხოვრება).

არვე: 1. ფარა.

არვე: 2. მრევლი.

მოგონება: 1. მისნობა.

მოგონება: 2. გახსენება.

თამარ მეფე, „ცასა ცათასა“, (XII-XIII)სს. თამარი, – „სამებისაგან ოთხად თანააღ-  
ზევებულნი“. სასტიკი მარცხი აგემა სელჩუკებს. 1203 წელს, ბასიანთან სასტიკად დაამარ-  
ცხა რუმის სულთნის, რუქნადინის კუალიციური ლაშქარი.

ტრაპიზონის იმპერია საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოაქცია. ტრაპი-  
ზონის იმპერია დაარსდა თამარის ინიციატივით. ტრაპიზონის იმპერიის ძირითადი  
მოსახლეობას ქართველები (ლაზები, ჭანები) შეადგენდნენ. „თამარ მეფეს გადაწვეტილი  
პქონდა ქართული მიწების საქართველოს ფარგლებში მოქცევა. ამისათვის საბაბად  
გამოიყენა ბიზანტიის კეისრის, ალექსი III-ის მიერ ბიზანტიაში მოღვაწე ქართველ  
საეკლესიო მსახურთა გაძარცვა 1203 წელს. საგანგებოდ შეყრილმა ქართველთა ჯარმა  
ერთიმეორის მიყოლებით დაიჭირა ჭანეთი, ტრაპიზონი, ლიზანი, სამსუნი, სინოპი, კერასუნ-  
ტი, კოტიორა, ამასტრისი, პერაკლეა, პაფლაგონიისა და პონტოს სხვა ადგილები. ტრაპიზო-  
ნის იმპერიის ტახტზე დასვა უფლისწულები, ძმები ალექსი და დავით კომნენოსნები,  
თამარ მეფის ნათესალები და საქართველოს სამეფო კარზე, ქართულ ტრადიციებზე  
აღზრდილნი“ (ქსე). „თამარის მეფობის დროს, ჩრდილო კავკასიის ქვეყნები: ქაშაგეთი,  
ოსეთი, ღურძეკეთი, დიდოეთი, ღუნძეთი, ლეკეთი და დარუბანდი, საქართველოს ყმადნაფი-  
ცი ქვეყნები იყვნენ“. გარდა ამისა საქართველოს სხვა მრავალი მოხარკე ქვეყნები  
ეყმოდნენ.

ღრკუ: 1. მრუდე.

ღრკუ: 2. ღელარჭნილი.

იაგარი: 1. დაელა, სიმდიდრე.

იაგარი: 2. ნაფორიაქალი.

ჩახრუხაძე, „თამარიანი“, (XII-XIII)სს. დიდებული პოეტი. წარმოშობით მესხი უნდა  
იყოს. საფიქრებელია ბერად აღკვეცილიყო პალესტინაში, ქართველთა ჯვრის მონასტერ-  
ში. მის სახელთანაა დაკავშირებული ქართული ლექსთწეობის ერთ-ერთი სახე „ჩახრუ-  
ხაული“, – ოც მარცვლიანი სასომით შეთხზული ოთხტაქიანი სტროფი, რომელსაც აქვს  
შინაგანი და გარეგანი რითმები.

მძლევარი: 1. მძლეველი.

მძლევარი: 2. მიმცემი.

(სხვათა მძლევართა, ხარკთა მძლევართა...)

მთენი: 1. გამთენებელი.

მთენი: 2. გამნათებელი.

(შენ არე მთენი! შენ არე მთენი...)

კედარი: 1. მხარე.

კედარი: 2. ბნელი; საჭმუნაფი, ჭმუნვის მომმატებელი.

ბასილ ეზოსმოძღვარი, „ცხოვრება მეფეთ-მეფის თამარისი“, (XII-XIII). მწერალი,  
პოლიტიკური მოღვაწე. თამარ მეფის ეზოს მოძღვარი. თამარის ისტორიკოსი:

კიდე: 1. დასასრული.

კიდე: 2. გარდა.

გაჩენილი: 1. დაწესებული.

გაჩენილი: 2. რაც გაჩნდა; ვინც გაჩნდა.

საყდარი: 1. სკამი, საეარძელი.

საყდარი: 2. ეკლესია.

მიღება: 1. წართმევა.

მიღება: 2. მიზღვა.

აბუსერიძე ტბელი, „სასწაულნი წმინდისა გიორგისანი“, (XII-XIII)სს. მწერალი.  
ასტრონომი. აჭარის ერისთავთ ერისთავის ივანეს შვილი.

მიტევება: 1. მიშვება.

მიტევება: 2. თავდასხმა.

ნიკოლოზ გულაბერიძე, „საკითხავი სვეტიცა ცხოველისაი“, (XII-XIII)სს.

მარტივი: 1. საკუთარი.

მარტივი: 2. უბრალო.

სადაგი: 1. მარტივი.

სადაგი: 2. „ძნელსა და ადვილს საშუალო“ (საბა).

სადაგი: 3. არა უქმი, სამუშაო (დღე).

ეამთააღმწერელი, „მონღოლთა დროინდელი მატთანე“, XIV ს.

არე: 1. მხარე.

არე: 2. დრო.

მყოფი: 1. გამკეთებული.

დადუმება: 1. შეწყენარება.

დადუმება: 2. ნების დართვა.

დადუმება: 3. გაჩუმება.

ნოდარ ციციშვილი, „შვიდი მთიები“, XVII ს.

პატივი: 1. სასჯელი.

პატივი: 2. გაჭირება.

სწორი: 1. სრული.

სწორი: 2. კვირა.

არჩილი, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“, „საქართველოს ზნეობანი“, (XVII-XVIII)სს. მეფე პოეტი. ქართლის მეფე ვახტანგ V-ის ვაჟი. „არჩილი იყო კეთილად წიგნისა ორისავე ქართულისა და რუსულისა სწავლულ და მთარგმნელი. ესე არჩილი იყო ახოვნებითა, მშვენნიერებითა, სიმხნითა და ყოვლითა სამხედრო-სანადიმო ზნეთა სრულ, რომლის ისარი 12 მუჭი სიგრძითა, შემმართებელი, ძლიერი, ღალი და ამაყი, მონადიმე და მოასპარეზე წარჩინებულ და საღმთოთი აღმატებულნი“ (ვახუშტი ბაგრატიონი). მოსკოვის მახლობლად სოფელ ვსეხსვიატსკოეში დაარსა ქართული კოლონია, ქართული კულტურის დიდი ცენტრი. დაარსა სტამბა. მისი შვილი ალექსანდრე, გენერალ-ფელდცეხმანისტერი, პეტრე პირველის უახლოესი მეგობარი და ჭკვიანი მრჩეველი იყო. პეტრე პირველი ყოველ საშინაო თუ საგარეო საქმეს მხოლოდ ალექსანდრეს ეკითხებოდა. არჩილი უდიდეს ყურადღებას უთმობდა ეროვნულ თემატიკას.

არე: 1. დრო.

არე: 2. ჰაერი.

აღხუმ: 1. აღება.

აღხუმ: 2. გაღება (ბეერისა).

დავანება: 1. დასვენება.

დავანება: 2. დამკვიდრება.

დრკუ: 1. მრუდე.

დრკუ: 2. მოღალატე.

იოსებ ტფილელი, „დიდმოურავიანი“, XVII ს.

შერთვა: 1. შეერთება.

შერთვა: 2. შესაება.

ხადა: 1. წოდება.

ხადა: 2. ძონძი.

აგება: 1. „აშენება“ (საბა).

აგება: 2. „აცმა“ (საბა).

ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება“, XVIII ს.

ბედითი: 1. უბრალო, ლიტონი.

ბედითი: 2. უღირსი.

გონება: 1. ფიქრი.

გონება: 2. დარდი.

სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა“, „მოგზაურობა ევროპაში“, (XVII-XVIII) სს. საეკლესიო-სასულიერო მოღვაწე. ბიძა ვახტანგ მეექვსისა (როგორც ვახტანგის მამის – ლევანის ბიძაშვილი). აგრეთვე, მასწავლებელ-აღმწერელი მეფე ვახტანგ VI-სა. პუმანისტი. პოეტი. პროზაიკოსი. მემუარული ჟანრის დიდოსტატი. ლექსიკოგრაფ-ლექსიკოლოგი. საყურადღებოა: ფრანგული ენის ლექსიკონზე საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემია მუშაობდა 36 წლის განმავლობაში. სულხან-საბა ორბელიანმა კი თავის ლექსიკონს 30 წელი ( შეიძლება უფრო ნაკლებიც) მოანდომა და ძლიერ აღემატება ფრანგულს. იგაე-არაკების მწერალი, რომელიც რანგით მეორე შეიგავარაკა. მსოფლიოში, ეზოპეს შემდეგ. და, ბევრი თვალსაზრისითაც მასსზე უეაღმატებული. „სიბრძნე-სიცრუისა“ სამაგალითოა მსოფლიო ლიტერატურაში.

უბადლო პატრიოტი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულის ჩამდგმელი და მეთაური. დაკრძალულია ვსეხსვიატსკოეში, მართლმადიდებელი ეკლესიის გალავანში

ძალი: 1. „სასწაული“ (საბა).

ძალი: 2. „სიმი, ალყა“ (საბა).

ჯამი: 1. დრო, ხანი.

ჯამი: 2. შავი ჭირი.

ჯამი: 3. საათი.

მხარი: 1. სხეულის ნაწილი.

მხარი: 2. სიგრძის საზომი. ერთეული – სამი ადლი (დაახლოებით ერთი მეტრი).

მამუკა ბარათაშვილი, „ლექსები“, (XVII-XVIII) სს. პოეტი. ლიტერატურის თეორეტიკოსი, შექმნა პირველი ქართული პოეტიკური სახელმძღვანელო „ჭაშნიკი“. დიდაქტიკოსი. ლექსის ნოვატორი.

მყოფი: 1. ვინც იმყოფება, ვინც არის სადმე, რამეში.

მყოფი: 2. მგები; არსი.

წყველთ: 1. დაწყველილი.

წყველთ: 2. მუხანათი.

დალიჭი: 1. დიდებულთა საჯდომი ტახტი.

დალიჭი: 2. კიბე, ქვევიდან ზე ასასულელი.

**დამართება:** 1. ქვედალება, დაწევა.

**დამართება:** 2. შემთხვევა.

**ღიმიტრი ორბელიანი**, „ცოლთან მიწერილი ალერსი გაერისათვის“, (XVII-XVIII)სს. ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი, სულხან-საბა ორბელიანის ძმა. ქართლის სამეფოს სახლთუხუცესი. მეფე არჩილი, გიორგი XI, ვახტანგ VI-ის მამა, მისი მამიდაშვილები იყვნენ. 1721 წელს რუსეთში გააყვა ვახტანგ VI-ს. ქართველ ჰუსართა პოლკის მებრძოლი. გალექსა სახარების ცალკეული ეპიზოდები. შემოიღო ანბანთქების ახალი ნიმუშები.

**მაგალი:** 1. მრავალი.

**მაგალი:** 2. ვინც, რაც დადის, – მოსიარულე.

**ვახუშტი ბაგრატიონი (ბატონიშვილი)**, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, (XVII-XVIII)სს. მეცნიერ-მკვლევარი. გეოგრაფიული (კარტოგრაფიულ) მეცნიერებათა ფუძემდებელი საქართველოსა და რუსეთში. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი. მრავალი უცხო ენების მცოდნე. მთარგმნელი. მეწინავე დროშის სარდალი, ლექსიკოგრაფი. ისტორიკოსი.

**მიხუმა:** 1. აღება.

**მიხუმა:** 2. წართმევა.

**მმესველი:** 1. მოიმედე.

**მმესველი:** 2. მსურველი.

**მოგვი:** 1. ჩექმა.

**მოგვი:** 2. ცეცხლმსახურთა ქურუმი.

**თეიმურაზ II-რე**, „თავგადასავალი“, „ბიჟინას სიკვდილზე“ XVIII ს. ქართლ-კახეთის მეფე, პოეტი, მთარგმნელი, „მართლის თქმის“ მოსურნე, ბრძენი პოლიტიკოსი, გააერთიანა ქართლი და კახეთი, წარმატებით ებრძოდა ხანებს. „ერევნის, განჯის და ნახჭევანის ხანები საქართველოს მოხარკე გახადა. როგორც თითონ წერს: „ესწერდი ცხენს მჯღლამი, ვლაშქრობდი,–ო. რუსეთისაგან მოითხოვდა დახმარებას ჯარით ან ფულადი სესხის სახით, რისი მეშვეობითაც რუსეთის მთაერობას ირანში ლაშქრობას და იქ რუსეთისათვის სასურველი შაჰის დასმას აღუთქვამდა“. (ქსე). მაგრამ რუსეთის ბეცმა პოლიტიკოსებმა მას მხარი არ დაუჭირა. გარდაიცვალა პეტერბურგში. დაკრძალულია ასტრახანის მიძინების ტაძარში, იქ სადაც ადრე ვახტანგ VI განისვენებდა.

**გავა:** 1. წავა აქედან იქით. ან შიგნიდან გარეთ.

**გავა:** 2. ცხოველის ზურგის უკანა ნაწილი, კუდამდე.

**მაზა:** 1. გემრიელი საჭმელი.

**მაზა:** 2. რისამე მშვენება, შნოსა და ლაზათის მიმცემი.

**მარიამ-მაკრინე**, „იოსებ ალავერდელის საგალობელი“, (XVII-XVIII)სს. პოეტი, ჰიმნოგრაფი, ერეკლე I-ის ასული (რუსეთის იმპერატორის პეტრე პირველის და). მალე დაქვრივების შემდეგ გახდა მონაზონი. მოღვაწეობდა წმინდა ნიკოლოზის ტაძარში.

**წიადი:** 1. კალთა, უბე.

**წიადი:** 2. შიგნითა ნაწილი, სიღრმე რისამე.

**დაგება:** 1. დასაეება.

**დაგება:** 2. გაშლა.

**ანტონ პირველი (თეიმურაზ ბაგრატიონი)**, „წყობილსიტყვაობა“, XVIII ს. ვახტანგ VI-ის ძმიშვილი. საქართველოს კათალიკოსი. მისი მონაწილეობით მომზადდა 1783 წლის გიორგიევსკის ტრაქტატი. შექმნა სახელმძღვანელოები სხვადასხვა დარგში. მთარ-

გმნელი. მეცნიერი (ფიზიკა, მათემატიკა...). პირველმა შექმნა ქართული ენის სასკოლო გრამატიკა. „სამი სტილის თეორიის“ ავტორი. ისტორიკოსი.

სეფე: 1. სამეფო.

სეფე: 2. ითქმის დიდებულთათვის, ვითარ „სეფექალი“ (დიდებული გვარის ქალი); „სეფეწული“ (დიდებული გვარის ვაჟი).

უცხო: 1. არაჩვეულებრივი.

უცხო: 2. სხვა ქვეყნისა.

უცხო: 3. უამხანაგო.

ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი), „ლექსები“, XVIII ს. მდივანთუხუცესი, დიპლომატი (ირანში, რუსეთში, რუმინეთში). პოეტი. ლირიკული ლექსების დიდოსტატი. ორიგინალური სტილის პოეტი. უაღრესად განათლებული. გარდაიცვალა რუმინეთში. „ბესარიონ გაბაშვილი იყო მეცნიერებასა შინა გამოცდილი და უცხო პიტიკოსი. მოშიარე მსგავსი რუსთველისა, რომელმანც მრავალი საამო შაირნი დასწერა... გააკეთა სხვათა და სხვათა ხმათა ზედან სიმღერისა ლექსები“ (იოანე ბატონიშვილი). „აქა ისმენენ ბესიკისას მღერას ციურსა“ (ვახტანგ ორბელიანი). ბესიკმა შემოიღო და დაამკვიდრა. ლექსის ახალი საზომი ე. წ. 14-მარცვლიანი „ბესიკური“.

ზილფი: 1. კავები ქალთა, წინამო.

ზილფი: 2. ნელსაცხები.

კეკელა: 1. ლამაზი, კეკლუცი.

კეკელა: 2. მორთულობის მოყვარე.

დიმიტრი ბაგრატიონი (ბატონიშვილი), „ლექსები“, (XIX-XX)სს. მეცნიერი, პოეტი, მთარგმნელი.

მუფარახი: 1. განმაქარებელი.

მუფარახი: 2. იაგუნდის მაჯუნი.

ღია: 1. პლანეტა, ცდომილი.

ღია: 2. დიალ.

მარიამ ბაგრატიონი (ბატონიშვილი), „ლექსები“, (XVIII-XIX)სს. პოეტი. ერეკლე II-ის ასული. ჰყავდა 7 შვილი. „დიდათ მუშუკის მოყვარე და თითონაც იცოდა მუშიკობი“.

რაბამ: 1. როგორი.

რაბამ: 2. ვითარ, ანუ რაოდენ.

ქეთევან ბაგრატიონი (ბატონიშვილი), „ლექსები“, (XVIII-XIX)სს. პოეტი. ერეკლე II-ის ასული. 12 წლისა გაათხოვეს. ჰყავდა 6 შვილი. დაკრძალულია სვეტიცხოველში.

მთიებო: 1. განთიადის ვარსკვლავი.

მთიებო: 2. მოძღვარი, ეკლესიოსანთ.

თეკლე ბაგრატიონი (ბატონიშვილი), „ლექსები“, (XVIII-XIX)სს. პოეტი. ერეკლე II-ის ასული. 1832 წლის. შეთქმულების მხარდაჭერისათვის თავის ორ ვაჟთან ერთად რუსეთში გადაასახლეს.

ეტლი: 1. ბედი, ბედისწერა.

ეტლი: 2. ცდომილი.

მირიან ბაგრატიონი (ბატონიშვილი), „იამბიკოები“, (XVIII-XIX)სს. პოეტი, მთარგმნელი. ერეკლე II-ის შვილი, გენერალ-მაიორი, 1783 წლის ტრაქტატის მონაწილე. ყაბარდოს პოლკის შეფი. მან შემოგვინახა „დავითიანის“ გურამიშვილისეული ხელნაწერი და არზა. წერდა იამბიკოებს. დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

ყარბი: 1. უცხო.

ყარბი: 2. მწირი.

ურგება: 1. წმენდა, გასუფთავება.

ურგება: 2. დაფხანა.

**ფარნაოზ ბაგრატიონი (ბატონიშვილი)**, „იგონეთ ყოველთა დრონი წინარე“, (XVIII-XIX)სს. ერეკლე II-ის ვაჟი. პოეტი, მთარგმნელი. რუსებმა დააპატიმრეს და გადასახლეს. დაკრძალულია პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის ლავრის თევდორეს ეკლესიაში.

სუფევს: 1. მეფობს, ბატონობს.

სუფევს: 2. ცხოვრობს, ბრძანდება.

სუფევს: 3. დამკვიდრებულია, გაერცელებულია.

ზარი: 1. შიში.

ქ:

ზარი: 2. ტირილი, მოთქმა.

**დავით ბაგრატიონი (ბატონიშვილი)**, „გამიფრინდა სიხარულის ფრინველი“, (XVIII-XIX)სს. გიორგი XII-ის ვაჟი. ქართლ-კახეთის გამგებელი. გენერალ-ლეიტენანტი. სენატორი. პოეტი. მეცნიერი, ლექსიკოგრაფი. მთარგმნელი. დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის სასაფლაოზე.

არია: 1. ცდომილი.

არია: 2. (ძე) არის.

**იოანე ბაგრატიონი (ბატონიშვილი)**, „კალმასობა“, (XVIII-XIX)სს. გიორგი XII-ის შვილი. ლექსიკოგრაფი, მთარგმნელი, პოეტი. სახელმწიფო მოღვაწე, მეცნიერი, მწერალი, განმანათლებელი. მოწინავე დროშის ჯარის მეთაური. 1795 წელს, კრწანისის ველზე ტყვედ ჩაეარდნისაგან იხსნა თავისი პაპა ირაკლი II-რე. დაკრძალულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

გაფრანგება: 1. კარგად, რიგიანად საუბარი.

გაფრანგება: 2. გაკათოლიკება.

მორჩენა: 1. გადარჩენა.

მორჩენა: 2. ხსნა.

მომჭირნე: 1. მზრუნველი.

მომჭირნე: 2. ყაირათიანი.

**ალექსანდრე ჭავჭავაძე „ლექსები“**, (XVIII-XIX)სს. პოეტი, მთარგმნელი, ქართული რომანტიზმის პირველი წარმომადგენელი. საქართველოს „პირველი კაცი“ „ასე გეგონება, ალექსანდრე ჭავჭავაძემ აზრად დაისახა ქართულს ლიტერატურას სამუდამოდ გამოაცალოს ხელიდან ეს საგანი – სიყვარულის მღერისა, რადგან იშვიათად ნახავთ პოეტსა ამაზე მეტი რამ გამოეთქვას სიყვარულის შესახებ“ (კიტა აბაშიძე). „ღვთიური სიმღერების შემქმნელი“ (ილია ჭავჭავაძე). „წმინდა სანთელსავეთ მოქნილი ლექსები“ (ივანე მანაბელი). არმიის გენერალ-ლეიტენანტი. ერეკლე II-ის ნათლული. პოეტის მამა გარსევანი, ერეკლე II-ის სანდო და საყვარელი კაცი იყო. მეფის რწმუნებით გარსევანმა, 1783 წელს ხელი მოაწერა რუსეთ-საქართველოს „ტრაქტატს“. მონაწილეობდა რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომებში. ალექსანდრე ჭავჭავაძე მონაწილეობდა რუსეთის სამამულო ომში და, ახლდა ბარკალაი დე ტოლის პარიზში. მას დამსახურებული აქვს მრავალი უმაღლესი ჯილდო, მათ შორის: ოქროს ხმალი წარწერით „გულადობისათვის“, „საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენი“. სომხეთის ოლქის დაცვის უფროსი, ნიუეპოროდის დრაგუნთა პოლკის უფროსი. მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში, იყო შეთქმულე



ბის ფაქტიური ხელმძღვანელი და, ოთხი წლით გადაასახლეს. იყო ამიერკავკასიის მთავარმართველობის საბჭოს წევრი. იცოდა: რუსული, ფრანგული, გერმანული თურქული, სპარსული... დაკრძალულია შუამთის მონასტერში. საფლავზე წარწერაა: „მწეხრსა განუსვენოს ტირილმან და ცისკარსა სიხარულმან“.

რჩევა: 1. არჩევა, არჩევანი.

რჩევა: 2. ჭკუის სწავლება.

დანაგული: 1. ნაგულები, მიხნული.

დანაგული: 2. დაგმანული, დაკეტილი.

ალექსანდრე ორბელიანი, „ლექსები“, XIX ს. პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი. ისტორიკოსი. ერეკლე II-ის შვილიშვილი. მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში. დააპატიმრეს და გადაასახლეს.

რიდი: 1. გაფრთხილება.

რიდი: 2. მორიდება.

გრიგოლ ორბელიანი, „ლექსები“, XIX ს. ინფანტერიის გენერალ-ლეიტენანტი. ერეკლე II-ის შვილიშვილის შვილი. მონაწილეობდა რუსეთ-ირანის და რუსეთ-თურქეთის ომებში. დააპატიმრეს 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის. პოეტი, ბუნების დიდი მომღერალი. მთარგმნელი. „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა, ერი პურადი, გულადი, მებრძოლი შაეის ბედისა, -ს სიტყვების ავტორი.

„იგი იყო მკურობელი ჩვენის ქართული ენისა, იგი იყო მეუფე ჩვენის სიტყვიერების ძალ-ღონისა და სიმდიდრისა. იგი იყო მწერალი და მთქმელი, მაღალი ნიჭით ცხებული“ (ილია ჭავჭავაძე). დაკრძალულია ქვაშეთის ტაძარში.

უჩინო: 1. ვისაც თვალის ჩინი არ აქვს, – უსინათლო.

უჩინო: 2. უჩინარი.

უჩინო: 3. ვისაც რაიმე ჩინი, ხარისხი არ აქვს.

სოლომონ დოდაშვილი, „ მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა...“ XIX ს. ფილოსოფოსი. ეურნალისტი. ლოგიკოსი. პედაგოგი. (ნიკოლოზ ბარათაშვილის მასწავლებელი) „ტფილისის უწყებანის“ რედაქტორი. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს. მხოლოდ მან, პირველმა შეუქმნა რუსებს „ლოგიკის სახელმძღვანელო“. (თუმცა, რუსი და „ლოგიკა“ სად გინახავთ?).

კერძო: 1. მხარე.

კერძო: 2. კონკრეტული.

კერძო: 3. ნაწილი.

კუთვნილება: 1. (გრამ.) განსაზღვრება.

კუთვნილება: 2. საკუთრება.

ვახტანგ ორბელიანი, „ლექსები“, XIX ს. ვახტანგის დედა, პოეტი თეკლე ბატონიშვილი, ერეკლე II-ის საყვარელი შვილი გახლდათ. პოეტი, მთარგმნელი, უადრესად განათლებული. გენერალ-მაიორი, იბრძოდა თურქების წინააღმდეგ. მამაცობისათვის დააჯილდოეს ოქროს ხმლით. 1832 წლის შეთქმულების წევრი. დააპატიმრეს და გადაასახლეს. ვახტანგის პოეზია: „ერთი გულსაკედომი, მაგრამ გულწრფელი გოდებაა წარსულისათვის, თითო სიტყვა მის უკეთეს ლექსებისა თითო ცალკე მარგალიტია ცრემლისა, ღრმად ნატკენ გულისაგან წამოდგინებული“ (ილია ჭავჭავაძე).

ასო: 1. ნიშანი ბგერისა.

ასო: 2. სხეულის ცალკეული ნაწილი.

დანაგული: 1. ნაგულიეები.

დანაგული: 2. დაგმანული, დაკეტილი.

ლიტონი: 1. განმარტოებული, ეული.

ლიტონი: 2. უბრალო, მარტივი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი, „ლექსები“, XIX ს. ერეკლე II-ის შვილიშვილის შვილი. ქართული პოეზიის რეფორმატორი. მთარგმნელი. რომანტიკული პოეზიის მამამთავარი. „უზადო პოეტი... საქართველოს იადონი“ (ალექსანდრე ორბელიანი). „ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება ქართული რომანტიკული პოეზიის გვირგვინია.

დავრიშობა: 1. დერეიშივით გახდომა.

დავრიშობა: 2. ხეტიალი; თვალების შტერება.

კრული: 1. ეული, მარტოსული.

კრული: 2. დაწყველილი.

რაფიელ ერისთავი, „ლექსები“, XIX ს. სახალხო პოეტი. ეთნოგრაფი. ლექსიკოგრაფი. საზოგადო მოღვაწე. ქართული დრამატურგიულ საზოგადოებათა თავფედომარე. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის ინიციატორი და მონაწილე. ქართული მუსეუმისა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი. დაამუშავა: მათემატიკის, ფიზიკისა და სხვა სამეცნიერო ტერმინოლოგია. გამოსცა: „ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი,“ „ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი“. პირველმა გამოსცა: სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“.

საზამთრო: 1. ბაღჩეული მცენარე.

საზამთრო: 2. ზამთრისათვის განკუთვნილი.

სვიანი: 1. კარგი სვის, ბედის მქონე.

„მოაქეს ცეცხლი მოსადებლად, მასთან მოაქეს ამას ალა აღმისისა გულსა ფარად ხამს და უნდა ამას ალა; ამისათვის სჯობს ეს მოვარესა, არ აწინა ამას ალა“

(თეიმურაზ 1, „მჯგან“)

**ალა-ბალა 1.** იგივეა, რაც ალაჯუნე; (რაჭ.) უთაებოლოდ სიარული (ე. ბერ.).

**ალა-ბალა 2.** (ქართლ., რაჭ.) აყალმყალი; დავიდარაბა (თ. რაზიკ., ი. ჭყონ.).

**ალა-ბალა 3.** (ფშ.) ცუდი, უვარგისი (ი. ქეშიკ.).

**ალაბი 1.** (ძვ.) იგივეა, რაც ადლი.

**ალაბი 2.** იგივეა, რაც ადგილი.

**ალაბი 1.** იგივეა რაც ადგილი; „ალაბი ეწოდების, სადა კაცი დაჯდეს ანუ დადგეს, ანუ დაიდუვას რამე“ (საბა).

**ალაბი 2.** გზა, კვალი (დ. ჩუბინ.); ბილიკი (ი. იმნ.); სავალი; მეტად ვიწრო გზა.

**ალავერდი 1.** (არაბ., თურქ.) ალლაჟ ვერდი, – „ღმერთმა მომცა (მოგეცა)“; (ძვ.) ღვინის სმაში სიტყვა, რომლითაც იწვევდა სუფრის ერთი წვერი მეორეს შეესევა წარმოთქმული სადღვეგრძელო იმავე სასმისით, რომლითაც თერთონ შესევა, რის საპასუხოდაც და თანხმობის ნიშნად მეორე იტყოდა „იახშიოლ“; (ოსმ. ღმერთმა შევარგოს) (დ. ჩუბინ.).

**ალავერდი 2.** იონჯა (დ. ჩუბინ.); „ბალახია ერთგვარი“ (საბა).

**ალავერდი 3.** საეისკოპოსო ადგილი (ჯიბო ლომაშვილი).

**ალავერდი 4.** სპილენძისაგან ან რამესაგან დამზადებული სასმისი (ჯიბო ლომაშვილი).

**ალაფი 1.** (ძვ.) საქორწილო საჩუქარი, სასიძოს მიერ საპატარძლოსათვის მირომეული.

**ალაფი 2.** ძალი (ღ. კოტეჯ.).

**ალაფი 3.** (თურქ.) ალი (შ. ნიჟარ., მ. მესხ.).

**ალაზანი 1.** (თუშ.) სასოგადო სახელი დიდ მდინარისა (პ. ხუბ.).

**ალაზანი 2.** (გურ.) სიმინდის ჯიში გურიაში (კ. გეარ.).

**ალათი 1.** (ქიზიყ., ოკრიბ.) ფანჯრის მიწის წარმო (ს. მენთეშ.); ფიცარი, რომელიც ორ ბაზონს (კარის ან ფანჯრის დარბიზს გულფიცარის წარმოს) აერთებს (მ. ალაფ.).

**ალათი 2.** (გურ.) ბაცი წითელი ფერის საქონელი (სინონ. ქართლ., კახ. თაფლად).

**ალათი 3.** ხალათი; (არაბ.) კაბადღაწი, სანიკარი (საბოძეარი) სამოსელი (ღ. ჩუბინ.).

**ალალა 1.** იგივეა, რაც ალადი, — ქორის მსგავსი ფრინველი.

**ალალა 2.** (მთიულ.) სწორი ნაქსოვი (ღ. კაიშ.).

**ალალა 3.** (ფშ.) შორისდებული, რა თქმა უნდა! შაი-ში! (ვაჟა).

**ალალო 1.** მტაცებელი ფრინველი, — ქორსა ჰგავს, ოღონდ მომცროსა; (მფრ.) ოღოლო (ღ. ჩუბინ.).

**ალალო 2.** შესარგო, მართალი პატიოსანი, უცოდველი; დეიძლი, მკვიდრი, საკუთარი.

**ალალო 3.** სიმღერაა ერთგვარი.

„სხარტ ესერის, თუმცა დააცდენს მწვერსა ჩაუგდებს ალალი. დახეტქებულსა ბევრს მოსკლავს, მისთვის შეიქმნას ალალი. ჩანადორევი შინ ლხინსუ დაჯდეს, იმღეროს „ალალი“. (თეიმურაზ II „სარკე თქმულთა“).

**ალაპი 1.** (არაბ.) დროშა, ბაირალი.

**ალაპი 2.** ქვეყანა, ქვეყნიერება.

**ალაპი 3.** ზეწრის კუთხე.

**ალაო 1.** დიდი სიცხე (ნ. შარაშ.).

**ალაო 2.** (კახ., თუშ.) ნაწვიმარი ხორბლის პური, არ ცხებება ხეირიანად და უგემურია. წმინდა ფქვილი, გაფუჭებული ქუმლისაგან, ფორისაგან, სინესტისაგან (პ. ხუბ.). „ფქვილი დანოტიებულნი“ (საბა).

**ალატე 1.** (ქართლ., ფშ., ხევსურ., მოხ., თუშ.) წისქვილის ნაწილი, სადაც ჩამოდის ფქვილი, საფქვილე კასრი (ღ. ჩუბინ.).

**ალატე 2.** (ინგილ.) გრძელი, სწორი ჯოხი; ტოკი (ა. შან.).

**ალატე 3.** სოჭი (ღ. ჩუბინ.).

**ალაფი 1.** ღაშქრობაში ნაშოენი ქონება, დაეღა, ნადავლი; ნაშოვარი ბრძოლის დროს (ღ. ჩუბინ.).

**ალაფი 2.** (არაბ.) მეფქვილე (ღ. ჩუბინ.); მარცვლეულისა და ფქვილის ვაჭარი.

**ალაფი 3.** „საფენელი და ჭურჭელი“ (საბა).

**ალაფი 4.** (არაბ.) საკეები, ფურაჟი საქონლისათვის (ღ. ჩუბინ.).

**ალაშა 1.** თამაში საქციელის ქალი, მეჭორე, ენადაუმადრებული (ი. ჭყონ.); ებედი, ღაქლაქა (შ. ნიჟ.).

**ალაშა 2.** პირდაღებული, დოყლაპია, უჩიათო.

**ალახა 1.** (ფშ.) ალაქანა, წინდის მეორედ გამოქსოვილი ძირი (თ. რაზიკ., ი. ჭყონ.).

**ალახა 2.** (იმერ.) ჭაღების გასაკრავი დეღეჭი, თოკი (პ. ჯაჯან.).

**ალახი 1.** (მოხ.) ბანდულის შესაკრავი თასმა (თ. ქაჯ.); (გულდამე.) ქალამნის თასმა ფეხის მოსაჭერი (ა. შან.).

**ალახი 2.** (ფშ.) სათრეის ქვეშ (თივისა, მარხილისა) გაგდებული კაპეზიანი ჯოხი, რომელიც მიწას ფხაჭნის და სათრეეს უშლის დაღმართსუ დაცურებას (ი. ჭყონ., კირიონი).

**ალახი 3.** იგივეა, რაც ალაპი, — მუსულმანთა ღმერთი.

**ალაჯა 1.** ჭროდა თეთა (ღ. ჩუბინ.).

**ალაჯა 2.** (რაჭ.) მარხილსუ ტვირთის დასაკრავი დეღეჭი (ვ. ბერ.).

**ალაჯა 3.** იგივეა, რაც ალაჯი, — მანძილის საზომი (6-7) ვერსი.

**ალბა 1.** ტრუბადურების პოესიაში დიდის სიმღერა.

**ალბა 2.** კათოლიციზმში მღვდლის ნაცმულობის ნაწილი, — გრძელი სუთრი პერანგი, რომელიც ყელსუ თასმით, ხოლო წელსუ ქამრით იკრება; ფი ფარავს მთელს სხეულს და ახსენებს მღვდელს, რომ საქურთხეველთან სუფთა სულით უნდა მივიდეს.

**ალგოლო 1.** (არაბ.) ვარსკვლავი პერსეუსის თანავარსკვლავედში. ცვალებადი ვარსკვლავი, რომელიც ორი ვარსკვლავისგან შედგება, რომლებიც ანელეუბენ ერთმანეთს.

**ალგოლო:** 2. (ინგლ.) დაპროგრამების ენების გარკვეული ჯგუფის შემოკლებული სახელწოდება, დამუშავებულია სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა ჯგუფის მიერ 1958-1960 წლებში.

**ალერდი:** 1. „ნედლი ბალახი“ (საბა); (გურ.) ლაღად განვითარებული ბალახი, სიმინდის ნედლი ჩალა; (ს. იმერ.) გასხეულის შემდეგ დაცვენილი ნედლი ლერწი ვაზისა.

**ალერდი:** 2. თოკი (ა. ნემი).

**ალერსი:** 1. სიყვარულით, ნაზი გრძნობით მოპყრობა-მოფერება; „სიტყვის შექცევა“ (საბა).  
**ალერსი:** 2. საცვალი, პერანგის „ამხანაგი“ (ი. გრიშ.).

**ალესგინებს:** 1. ავალებს ლესოს; შელესვა-ში ეხმარება.

**ალესგინებს:** 2. ავალებს ან აიძულებს ლესოს.

(ჩვენსა ჩამოდიოდნენ და სამკედლოში დაუანგულ შუბებს გეაღესინებდნენ (ი. მაჭავ. თარგ.))

**ალეში:** 1. (რაჭ.) მდარე, ნაკლები, ცუდი (ვ. ბერ.).

**ალეში:** 2. (ქართლ.) მოუნდომელი, უხეირო ადამიანი (კირიონი, შ. ძიძ.).

**ალეა:** 1. იგივეა, რაც ალვის ხე; სარო, კვიპაროზი (დ. ჩუბინ.).

**ალეა:** 2. (ბერძ., ძვ.) სულნელ-საკმეველი; „გარეშეთა წერილითა შინა სუნნელად აღუწერიათ, საკმეველად“ (საბა); ნელსაცხებელი.

**ალეა:** 3. იგივეა, რაც ჰალეა; შაქრის შემზადებული საჭმელი, „რომელსა ქართულად პუნგია ეწოდების“ (საბა); ალეაზაზი, თაფლის საწუკარი, პუნგია (დ. ჩუბინ.).

**ალეა:** 4. წეა, დაგვა (დ. ჩუბინ.); ალის კიდება, გზნება.

“უგოინებდი, ცეცხლი უფრო მედებოდა გულსა ალვად: ჩემში სწორნი წაიტიანენ, ჩემსა დაუჯე, მთქვიან ალვად.“ (შოთა რუსთაველი)

**ალი:** 1. „მშობიერის მაცთურს იტყვიან“ (საბა); ზღაპრული მავნე არსება, ლამაზი ქალის სახით; ქაჯი.

**ალი:** 2. „ცეცხლი ანადენი“ (საბა); ცეცხლის ენა; (თუშ.) ცეცხლის ბოლისაგან მიღებული მური (პ. ხუბ.).

**ალი:** 3. (მთიულ.) გიჟი, გადარეული.

**ალი:** 4. (გურ.) სახის გამომეტყველება.

**ალი:** 5. (ჯავახ.) თაფლის ფერი (ა. მარტ.).

**ალი:** 6. (ღაღ.) რომაული რეგიონის ფლანგის საფარი, თავდაპირველად 300 რომაელ ცხენოსანთა რაზმი.

**ალია:** 1. (ლენხ.) დრო მცირე, მოკლე (მ. ალავე).

**ალია:** 2. იგივეა, რაც ალი.

**ალია:** 3. (ებრ.) ისრაელში სხვადასხვა ქვეყნიდან ებრაელთა გადასახლების, მიგრაციის პროცესი.

**ალია:** 4. (ხეესურ.) ჩიტია ერთგვარი (ა. შან.).

**ალიონი:** 1. „გაცისკრება“, „უწინარესი განთიადისა“, „რა დამე და დღე გაირჩეოდეს“ (საბა); რიურაუი, განთიადი, დილის ცისკარი; „(ბერძ.) დილის სინათლე მზის წინათ, ცისკარი“. (დ. ჩუბინ.).

**ალიონი:** 2. (არაბ., ჰალიონ.) სატაცური (ლ. კობეძ.).

**ალიყური:** 1. სილის გარტყმა, გაწვნა.

**ალიყური:** 2. ზღვის დიდრონი ჭრელი ლოკოკინის ბუდე; სადაფი (ი. ჭყონ.).

**ალმათი:** 1. (რაჭ., ლენხ.) ჩქარი, სწრაფი, ფხიანი (ვ. ბერ.); მამაცი, ყონადი, მარჯვე (მ. ალავე).  
**ალმათი:** 2.

**ალნება:** 1. (იმერ.) პატიება, მიტყუება, შენდობა, შეწყალება (ი. ქაეთ.).

**ალნება:** 2. (იმერ.) მოხმარება (ი. ქაეთ.).

**ალო:** 1. (ძვ.) დღიური ნახნავი, ხენის დროს გუთნეულში მონაწილეთა სარგოს ერთეული; „ჯილდის მიზდი“ (საბა); „ურქენის ქირა“ (საბა); გასამრჯელო. ნახნავი მიწა მიზდად გუთნის დედისა, ან მეხრეთა შებმულთა ხართა და სხვა (დ. ჩუბინ.).

**ალო:** 2. (ფშ., იმერ.) დრო, ვადა, სეზონი, რიგი. „სადილობის ალო“ (სადილობის დრო).

**ალო:** 3. „სამურავია. ბალახი არს დიდ ფურცელი, ასთა წელთა შემდგომად აყვავების და ერთსა ნაყოფსა გამოიბამს და რა განსქდება, დიდსა ხმასა გაიღებს, და მისგან უცხო სუნნელი გამოვია...“ (საბა); (ბერძ.) სურნელი ხე, საკმეველის ხე, ან ნაწვეთი ამ ხისა, საბრი (დ. ჩუბინ.).

**ალო:** 4. (ინგ.) იხმარება ტელეფონით ლაპარაკის დროს, ნიშნავს: გისმენთ! მისმინეთ?

**ალბაკა:** 1. (ესპ., ფრანგ.) სამხრეთ ამერიკული შინაური ცხოველი ლამის ჯიშისა, იძლე

ვა საუკეთესო ხარისხის მატყელს (მ. ჭაბ.). ამ ცხოველის მატყლისგან დამზადებული ქსოვილი.

**ალბაკა:** 2. (გერმ.) სილენძის, ნიკელისა და თუთიის მოვერცხლისფრო შენადნობი, იყენებენ ელექტრომოწყობილობის, მექანიკური საკრავებისა და სხვათა დასამზადებლად (მ. ჭაბ.).

**ალტი:** 1. ქალის ან ბავშვის დაბალი სასიძლეო ხმა. გუნდში ამ ხმასე მომდერადი.

**ალტი:** 2. ეიოლინოსე მოზრდილი ხემიანი საკრავი.

**ალტი:** 3. ჩასაბერი საკრავი თითბრისა.

**ალური:** 1. ალისფერი.

**ალური:** 2. (ფრანგ.) ცხენის ხელის სხვადასხვა სახე (ნაბიჯი, იორდა ანუ თოხარკი, ნივარდი, დართხება).

**ალქატი:** 1. „გლახა“ (საბა); ღარიბი, უქონელი, გლახაკი.

**ალქატი:** 2. მსუბუქი, „სუბუქი“ (საბა), მჩატე, დამშხალული (ნ. ჩუბინ.).

**ალქატი:** 3. (გურ.) თხელი (თხელი ღომი).

**ალქატი:** 4. (ძვ.) ქაჯი (ზ. ჭუშბ.).

**ალღო:** 1. მიხედვრის, გარემო ვითარებაში გარკვევის უნარი; ინსტიქტი; ცხოველის მიერ სუნის აღების უნარი.

**ალღო:** 2. ცუდი ჩევეა და საქციელი (თ. ტყემ., ა. ჭინჭარი).

**ალყა:** 1. „აბრეშუმის ძალი“ (საბა); აბრეშუმის ძალი ან მეტალთა სიმი საკრავთათვის (დ. ჩუბინ.); მშვილდის საბელი.

**ალყა:** 2. საღტე, რგოლი ან რკალი; გარშემო მდგარი ღაშქარი (დ. ჩუბინ.); წრე, რკალი, გარემოცვა, ბლოკადა.

**ალყა:** 1. (ქართლ., გურ.) სიმი, ალყა.

**ალყა:** 2. არყის ხე (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

**ალხი:** 1. „ნაზამთრი მჭლე პირუტყვი“ (საბა).

**ალხი:** 2. კუჭის აშლა, ფადართი, ინიოლა.

**ალხი:** 3. დიდი სიცხე, პაპინაქება.

**ამა:** 1. ესე (ი. აბ.).

**ამა:** 2. „იგივე ამ და უფროსე გვარიანი“ (საბა).

**ამალა:** 1. აიენის ბოძებზე გადაებული მსხვი-

ლი ხე, რომელსედაც ეწყობა კოჭების თავები (ქღღ).

**ამალა:** 2. (არაბ.) მაღალი თანამღებობის პირთა მხლებლები; საკუთრება (დ. ჩუბინ.); (ირონ.) ის პირნი, რომელნიც მუდამ თან დასყებთან ვისმე, ამყოლ-დამყოლი, ავან-ჩავანი.

**ამალი:** 1. „ნაზად შიმშილით მიბნელა“ (საბა).

**ამალი:** 2. (არაბ.) ზურგით ტვირთის მზიდავი მუშა (ნ. ჩუბინ.).

**ამან:** 1. მოთხრობითი ბრუნვა ჩვენებითი ნაცვალსახელისა „ეს“ (როცა იგი მსაზღერედად არ იხმარება).

**ამან:** 2. (ინგილ.) ძალა, გამძლეობა (ნ. როსტიაშ.).

**ამან:** 3. (იგილ.) შენი ჰირიმე (ნ. როსტიაშ.).

**ამან:** 4. (ინგილ.) შორისდებული არიქა! აბა პე!

**ამანათი:** 1. შეერულ შეფუთული ნივთი, რომელიც საღმე იგზავნება.

**ამანათი:** 2. (მოხ., ფშ., მთიულ., გუდამაყარ.) ხიზანი, შემოფარებული, უმიწაყალო (ო. ქაჯ., ი. ქეშიკ., ე. ვირსალ.).

**ამანათი:** 3. (ქართლ.) მიბარებული რამ.

**ამანათი:** 4. (ქართლ.) სტუმარი (შ. ძიძ.).

**ამანათი:** 5. მიყვალნი (ი. გრიშაშ.).

**ამანი:** 1. „ემიდა, (ი)ურიათა მღ(ე)დელნი მარცხენას(ა) მკლავს(ა) შეიცვემდენ სარტყელსა-ეით“ (საბა).

**ამანი:** 2. (იმერ.) ღონე, ჯანი (ე. ბერ.).

**ამანი:** 3. იმაში (დ. ჩუბინ.).

**ამარი:** 1. (ძვ.) რიცხვი, რაოდენობა, რაერთობა (დ. ჩუბინ.).

**ამარი:** 2. „მისი იმედნეულიეით“ (იმედნეულიობა-გუდდებულობა) (საბა).

**ამარი:** 3. საქმე, ბრძანება (დ. ჩუბინ.).

**ამატება:** 1. (ჯავახ.) სუფრის ალაგება (გ. ბერ.).

**ამატება:** 2. (ჯავახ.) ცხობისას პურის კანის აწევა (გ. ბერ.).

**ამაღლება:** 1. მაღლა აწევა; სიმაღლეში წასვლა; (გადატ.) რისამე დონის აწევა, ზრდა, გაუმჯობესება. დაწინაურება.

**ამაღლება:** 2. ქრისტიანული დღესასწაული (აღღვომის მეორმოცე დღე).

**ამბავი:** 1. ვისიმე თავგადასავალი; ვისიმე ცხოვრების აღწერა, მონათხრობი ვისიმე ან რისიმე შესახებ.

**ამბავი:** 2. (უარგ.) საქმე („ხომ იცი, ყველა ამბავში პატივს გცემ“, გია ჭუმბურიძე) (ლ. ბრეჯ.).

**ამბარი:** 1. (არაბ.) ცვილისებრი ნივთიერება, რომელსაც კაშალოტი გამოყოფს (მ. ჭაბ.); სურნელოვანი ნივთიერება.

**ამბარი:** 2. საჭმელი, შეჭამანი.

**ამბარი:** 3. ბედელი; დიდი ტვეადობის სათავისი მარცვლეულის ან ფქვილის შესანახად.

**ამბარი:** 4. (ძვ.) უბე, — ძველ საქართველოში ასე ეწოდებოდა ხომალდის შიდა ნაწილს, მგზავრობა და სხვათა დასასვენებლად რომ იყო განკუთვნილი (ზურაბ კუტალიაძე).

**ამბოხი:** 1. (ძვ.) იგივეა; რაც ამბოხება; არეულობა, მღელვარება.

**ამბოხი:** 2. (ძვ.) ბრბო, სიმრავლე ხალხისა.

**ამბოხი:** 3. (ძვ.) „ღამეაეებული მატარი“ (საბა); „უკეთუ ტკიბლსა ძლიერად არ დაედუღოს“ (საბა).

**ამბროზია:** 1. ბერძნულ მითოლოგიაში: ღმერთების საჭმელი, რომელიც უკედაეებას, მარადიულ სიახალგაზრდაეებას და სიღამაზეს ანიჭებდა მათ.

**ამბროზია:** 2. ბოტანიკაში: ჩანთიანი სოკოების მიცელიუმის თეთრი ან ვარდისფერი ნაფიფქი, რომლითაც ამოფენილია ქერქიჭამია სოკოს მატლის სავალი მურქანში; ერთწლოვანი და მრავალწლოვანი მცენარეების გვარი რთულყვავილოვანთა ოჯახისა. ამბროზიის მტყერი იწვევს დაავადებებს.

**ამება:** 1. „სიამოვნებასაეით“ (საბა); სიამე, სიამოვნება.

**ამება:** 2. (ბერძ.) უმარტივესი მიკროსკოპული ცხოველი, — მოიპოება წყალში.

**ამიერი:** 1. (ძვ.) აქეთა მხრისა, აქეთური.

**ამიერი:** 2. (ძვ.) აღმოსავლეთი.

**ამლაეი:** 1. „ჭრელი ცხენი“ (საბა).

**ამლაეი:** 2. (ზ. იმერ.) აზიზი (ქ. ძოწ.).

**ამლაეი:** 3. გვიან დოლის დამთავრების შემდეგ მოგებული ბატკანი; (ფშ.) გათამამებული ბატკანი.

**ამლიეი:** 1. (ქართ.) გვიან დოლის დამთავრე-

ბის შემდეგ მოგებული ბატკანი.

**ამლიეი:** 2. (ფშ.) გათამამებული ბატკანი.

**ამმა:** 1. ამულეტი, თილისმა, შანა.

**ამმა:** 2. (ინგილ., ფრეილ.) მაგრამ.

**ამო:** 1. (ძვ.) იგივეა, რაც საამო; სასიამოვნო რამ.

**ამო:** 2. როული წინსართი ზმნისა: აღნიშნავს მიმართულებას ქვევიდან (შიგნიდან) ზევით და იქიდან აქეთ (მაგ., ამოიტანა); ზმნის უსრული სახის ფორმას აქცევს სრული სახისად (მაგ., ამოთხარა); აწყმოს ფორმას აძლევს მყოფადის მნიშვნელობას (მაგ., ამოთხრის); ზოგჯერ ზმნას არსებითად უცვლის მნიშვნელობას (მაგ., ამოიტანს).

**ამო:** 3. (ბრძან.) შემოკლებული ამოდი!

**ამო:** 4. ამო, უნუგეშო (დ. გურამიშ).

**ამოასხამს:** 1. ამოდერის, ამოაქცევს, ამოანთხევს.

**ამოასხამს:** 2. ამოიყვანს (მრავალს), — ამოსხამს.

**ამოასხამს:** 3. ქალამნებს ამოასხამს, — ქალამნებს შეეკრავს თასით, ქალამნებს გამოიყვანს.

**ამოასხმეინებს:** 1. ამოადერეეინებს, ამოანთხეეინებს.

**ამოასხმეინებს:** 2. ამოაყვანიებს მრავალს.

**ამოასხმეინებს:** 3. მაგ. ქალამნებს ამოასხმეინებს.

**ამოგდება:** 1. ამოსროლა. ამოთხრა, ამოძირკვა. მიწასთან გასწორება, მოსპობა.

**ამოგდება:** 2. ღრძობა.

**ამოგდებალი:** 1. ამოსროლილი; ამოვარდნილი. ამოთხრილი, ამოძირკული. მიწასთან გასწორებული, მოსპობილი.

**ამოგდებალი:** 2. რაც ამოგდეს, — ამოვარდნილი. ნადრძობი.

**ამოგება:** 1. ამოდება, ამოფენა; სახელი ამოაგებს ზმნის მოქმედებისა (თლილი ქვით ამოგება).

**ამოგება:** 2. წაგებულის, დახარჯულის უკან დაბრუნება. ანაზღაურება.

**ამოგება:** 3. ამოშენება.

**ამოგებული:** 1. რაც ამოგეს, ამოდებული, ამოფენილი;



**ამოგებულო:** 2. რაც ამოიგეს, ანაზღაურებულ (ხარჯი).

**ამოგებულო:** 3. რაც ამოაგეს.

**ამოდენა:** 1. ამ სიდიდისა, ამ ზომისა; ასე დიდი; ამოდენი; ასე ბევრი, ასე მრავალი.

**ამოდენა:** 2. ამორეკვა, ამოსხმა.

**ამოდენილი:** 1. რაც ამოადინეს ან ამოდინდა.

**ამოდენილი:** 2. (იმერ.) რაც ამოდენეს, ამორეკილი.

**ამოუვლება:** 1. იგივეა, რაც ამოივლება; ქვეშ მოექცევა სწრაფად.

**ამოუვლება:** 2. ამოვლის პირი აქვს, ამოვლის ნებას მისცემენ.

**ამოუსმის:** 1. ქვევიდან გაესმევა, წაესმება.

**ამოუსმის:** 2. ქვევიდან ესმის (ზევით ჩყოფს).

**ამოუჭრება:** 1. ამოიჭრება მისი, შეიძლება ამოსჭრან, ამოჭრან მას, — ამოუკვეთება, ამოუწეა (კბილი).

**ამოუჭრება:** 2. ამოიჭრება მასთან, — ამოუვარდება.

**ამოუხოცება:** 1. დაუხოცება, ამოუწყდება.

**ამოუხოცება:** 2. ამოიხოცება, ამოიწმინდება მისი, — ამოუსუფთავდება.

**ამოთქმა:** 1. სახელი ამოთქვამს ზმინის მოქმედებისა (პასუხის ამოთქმა გაუჭირდა (ვაუა))

**ამოთქმა:** 2. ამოსუნთქვა.

**ამოიგებს:** 1. ქვეშ დაიდებს, დაიფენს, ქვეშ მოიქცევის, ამოიდებს, ამოიკეცავს.

**ამოიგებს:** 2. დანაკარგს დაიბრუნებს, დახარჯულს ანაზღაურებს.

**ამოიკრავს:** 1. ამოიკრავს თავისას, თავის თავს, — ამოარტყამს.

**ამოიკრავს:** 2. ამოიკრავს თავისას; ქვევიდან მოიკრავს.

**ამოისვამს:** 1. თავისთან დაისვამს, გვერდში დაისვამს.

**ამოისვამს:** 2. ამოიცხებს, შიგნიდან მოისვამს; შიგნით წაისვამს.

**ამოისვრის:** 1. სროლით ამოაგდებს, ამოსტყორცნის რამეს.

**ამოსვრის:** 2. ამოსვრის თავისას, ამოითხუპნის.

**ამოსხამს:** 1. ამოასხამს, დაისხამს, თავის გვერდში ან თავის ქვეშ.

**ამოსხამს:** 2. ამოასხამს თავისას ან თავისთვის (მაგ., ქალამნებს).

**ამოსხმება:** 1. ამოსხმა მოხდება რისამე, ამოასხამენ; შეიძლება ამოასხან, — ამოიდერება, ამოიქცევა.

**ამოსხმება:** 2. ამოსხმა მოხდება რისამე, ამოასხამენ; შეიძლება ამოასხან, — გაკეთდება (ქალამნები).

**ამოიშლება:** 1. ამოშლა მოხდება რისამე, — ამოშლიან; შეიძლება ამოშალონ.

**ამოიშლება:** 2. ამოუა გაიშლება; ამოინდება მრავალი, გაშლით ამოუა. დაშლას დაიწყებს, დაიშლება ზემოთა მხრიდან (ნაქსოვი, ნაწნავი).

**ამოიხოცავს:** 1. ამოიხოცავს თავისას, — ამოაწმენს.

**ამოიხოცავს:** 2. ამოიწმინდს.

**ამოიხოცება:** 1. გაწყდება, ამოიუღიტება, დაიღუპება.

**ამოიხოცება:** 2. ამოიწმინდება, ამოიშლება.

**ამოიკრა:** 1. ამორტყმა, ამოსროლა, ამოტაცება.

**ამოიკრა:** 2. შიგნით გაკერა, ამოწება. გარედან მიკერა, ამობმა.

**ამოიკრული:** 1. რაც ამოიკრეს, — ამორტყმული.

**ამოიკრული:** 2. რაც ამოიკრეს ან ამოიკრეს.

**ამოილესავს:** 1. სახელდახელოდ გალესავს.

**ამოილესავს:** 2. ღვევით ამოილესებს, — ამოილესებს; ამოიგოსავს. მოზულს, ამოილესებს (ლობოს).

**ამოილესვა:** 1. სახელდახელოდ გალესვა.

**ამოილესვა:** 2. ამოილესა, ამოიგოსვა.

**ამოილესილი:** 1. რაც სახელდახელოდ გალესეს.

**ამოილესილი:** 2. რაც ამოილესეს ან ამოილესეს, — ამოილესილი. მოზულილი (ლობოი).

**ამოლანდება:** 1. (ქიზიყ.) დაკერა, ცემა.

**ამოლანდება:** 2. მაგარ-მაგარი სიტყვების მიხლა (ს. მენტუშ.).

**ამონიტი:** 1. ფუტკებადი ნარევი, რომელიც შეიცავს ამონიუმის ნიტრატს (მ. ჭაბ.).

**ამონიტი:** 2. გარენიუარიანი თაეფუხიანი მოლუსკი (ამომწყდარია, ცხოვრობდნენ დევონურიდან ცარცული პერიოდის დალევამდე) (ქსე).

**ამორტიზაცია:** 1. ბიძგების დარტყმების შერბილება სპეციალური მოწყობილობის საშუალებით (მ. ჭაბ.).

**ამორტიზაცია:** 2. ძირითადი ფონდების (ნაგებობათა, მოწყობილობის...) თანდათანობითი გაცემა, მათი ღირებულების ნაწილ-ნაწილ გადატანა გამოშუშაებულ პროდუქციაზე (მ. ჭაბ.). (ფინ.) სახელმწიფო ან კერძო ვალის თანდათანობით დაფარვა. (სპეც.) დაკარგვის გამო საბუთების ძალის შეწყვეტა.

**ამოსაგები:** 1. რაც უნდა ამოაგონ, ამოაფინონ რითაც უნდა ამოაგონ რამე.

**ამოსაგები:** 2. რაც უნდა ამოიგონ, დაიბრუნონ, აინაზღაურონ.

**ამოსალესი:** 1. რაც უნდა ამოლესონ. რითაც უნდა ამოლესონ.

**ამოსალესი:** 2. რაც უნდა ამოლესონ გალესონ. რითაც უნდა ამოლესონ, გალესონ.

**ამოსასხმელი:** 1. რაც უნდა ამოასხან. რითაც უნდა ამოასხან.

**ამოსასხმელი:** 2. ვინც ან რაც უნდა ამოასხან, — ამოსასხმელი, ამოსაყვანი (მრავალი). რითაც უნდა ამოასხან.

**ამოსაღები:** 1. რაც უნდა ამოიღონ, რითაც უნდა ამოიღონ.

**ამოსაღები:** 2. (სპეც.) ცხრილი დამარცხელული სიტყვებისა, რომლითაც აწყვებინებდნენ მოსწავლეებს (ბავშვებს) კითხვას ანბანის შესწავლის შემდეგ.

**ამოსახვევი:** 1. რაც უნდა ამოახვიონ; რითაც ან რაზეც უნდა ამოახვიონ.

**ამოსახვევი:** 2. სადაც ან რითაც უნდა ამოახვიონ.

**ამოსვამს:** 1. (რამეში მყოფს) ამოიყვანს და დასვამს.

**ამოსვამს:** 2. შესვამს რაიმე ჭურჭლის სიღრმიდან, სმით ამოცლის, ამოლევს.

**ამოსკვნა:** 1. ამოკვანძვა.

**ამოსკვნა:** 2. იგივეა, რაც ამოკვნესა. (კუთხ.) სიმღერის ამოთქმა.

**ამოსკვნილი:** 1. რაც ამოსკვნეს ან ამოსკვნა.

**ამოსკვნილი:** 2. იგივეა, რაც ამონაკვნესი.

**ამოსმა:** 1. სახელი ამოსვამს, ამოისვამს ზმნათა მოქმედებისა (მაგ., ბავშვის მაღლა ამოსმა).

**ამოსმა:** 2. სახელი ამოისვამს, ამოუსვამს ზმნათა მოქმედებისა (მაგ., თვალში ხელის ამოსმა).

**ამოსმა:** 3. სახელი ამოსვამს ზმნის მოქმედებისა.

**ამოსმა:** 4. ჭიდაობის ხერხი.

**ამოსმული:** 1. ვინც ან რაც ამოსვეს

**ამოსმული:** 2. რაც ამოისვეს ან ამოუსვეს.

**ამოსხმა:** 1. სახელი ამოასხამს ზმნის მოქმედებისა, ამოლვრა, ამონთხევა.

**ამოსხმა:** 2. ამოსმა, ამოყვანა.

**ამოსხმა:** 3. სახელი ამოასხამს, ამოისხამს ზმნათა მოქმედებისა (მაგ., ქალამნების ამოსხმა).

**ამოსხმული:** 1. ვინც, რაც ამოსხეს (მაგ., ბუდიდან ამოსხმული ბარტყები).

**ამოსხმული:** 2. (ძე.) რაც ამოსხეს ან ამოისხეს, — შეკერილი, (ქალამნები).

**ამოსხმული:** 3. რაც ამოასხეს ან ამოისხა, — ამოლვრილი.

**ამოუგებს:** 1. ამოაგებს მისას ან მისთვის, — ამოუყენს.

**ამოუგებს:** 2. ამოიგებს მისთვის (მაგ., ფულს ამოიგებს).

**ამოუდგება:** 1. დადგება ვისიმე ან რისამე გვერდში, ახლოს დაუდგება, გაუსწორდება ვისმე, რასმე.

**ამოუდგება:** 2. შემოუყვება (აღმართს)

**ამოუკრავს:** 1. საუბ. პანდურს ამოკრავს, გააძეებს.

**ამოუკრავს:** 2. ქვემოდან მიუმაგრებს რასმე, ამოუხეევს.

**ამოუსვამს:** 1. მის გეერდში დასვამს (მისას).  
**ამოუსვამს:** 2. წაუსვამს შიგნიდან ან ქვევიდან, - ამოსცხებს; ამოატარებს; ამოურევს.

**ამოუსხამს:** 1. ამოასხამს მისას ან მისთვის, - ამოუღერის, ამოუქცევს.

**ამოუსხამს:** 2. ამოუსხამს; ამოასხამს მისას ან მისთვის.

**ამოუსხამს:** 3. შუუკერავს, გამოუყვანს. (მატქაღამანს ამოუსხამს).

**ამოუყრის:** 1. გაუყრის ქვევიდან ზევით, - ამოუტარებს.

**ამოუყრის:** 2. ამოყრის მისას ან მისთვის.

**ამოუხოცავს:** 1. ამოხოცავს მისას, - ამოუწვევს.

**ამოუხოცავს:** 2. ამოუწმენდს.

**ამოშლის:** 1. წაშლის რამე ნაწილს (ნაბეჭდის, ნაწერის ან ნახატისას), წაშლის რამეში.

**ამოშლის:** 2. ამოყრის, რამეში მყოფს ამოიღებს და ზევით დაყრის.

**ამოწმებს:** 1. სინჯავს, არკვევს რისამე აეკარგიანობას.

**ამოწმებს:** 2. რისამე სისწორეს ან სინამდვილეს ადასტურებს, ამტკიცებს; ადასტურებს ოფიციალურად (ხელმოწერით, ბეჭდით...).

**ამოჭრილი:** 1. რაც ამოჭრეს, - ამოჭრით დაწნული, ამოკეთილი. ამოჭრით ამოცლილი, ამოღებული. რაიმედან (ქსოვილიდან, ტანსაცმლიდან...) გამოჭრით ამოღებული ადგილი; ასეთი ტანსაცმელი.

**ამოჭრილი:** 2. რაც ამოჭრა, - ამოვარდნილი (ქარი...)

**ამოხვეწილი:** 1. ვინც ამოიხვეწა, - ზევითკენ გადმოხვეწილი.

**ამოხვეწილი:** 2. ხეწით ამოღებული.

**ამოხმობა:** 1. ზევით, მოლაპარაკისაკენ მოხმობა, - ზემოდან დაიახება, ამოწვევა.

**ამოხმობა:** 2. ერთიანად, ძირფევიანიად გახმობა.

**ამოხოცავს:** 1. სულ ერთიანად დახოცავს, - ამოუღებს, ამოწვევს.

**ამოხოცავს:** 2. ამოწმენდს, ამოუსუფთავებს.

**ამოხოცავა:** 1. სახელი ამოხოცავს, ამოიხო-

ცვბა ზმნათა მოქმედებისა.

**ამოხოცავა:** 2. სახელი ამოხოცავს (ამოწმენდს), ამოიხოცება (ამოიწმინდება) ზმნათა მოქმედებისა.

**ამბერი:** 1. დენის ძალის ერთეული.

**ამბერი:** 2. გვიანი კლასიციზიმის სტილი დასავლეთეუროპულ არქიტექტურასა და გამოყენებით ხელოვნებაში XIX ს-ში. აღმოცენდა საფრანგეთში ნაპოლეონ I-ის იმპერიის პერიოდში.

**ამტანი:** 1. ვინც ან რაც აიტანს რასმე, - ზევით წამდები, ამზიდველი, ამწველი.

**ამტანი:** 2. ვინც ან რაც იტანს რასმე, უძლებს (მძიმე პირობებს...), - გამძლე, მოძომენი.

**ამტეხი:** 1. ვინც აატეხს, ასტეხს რასმე.

**ამტეხი:** 2. ვინც ატეხს რასმე, - აღმძვრელი, გამომწვევი, წამომწვები.

**ამტერევეს:** 1. მოელს ნამტრევებად აქცევს, - ტეხს, ამსხვრევს. (გადატ.) სტკენს.

**ამტერევეს:** 2. გაცვივებს ან დადლილს მოელს ხეულში სტეხს, - აერეოლებს.

**ამტკიცებინებს:** 1. საშუალებას აძლევს განამტკიცოს, გაამყაროს.

**ამტკიცებინებს:** 2. საშუალებას აძლევს დაამტკიცოს.

**ამტკიცებს:** 1. მტკიცებს ხდის, - ამბარებს, ამყარებს.

**ამტკიცებს:** 2. ასაბუთებს, ადასტურებს, ამოწმებს. დადგენილად ცნობს, ამოწმებს (რაიმე) დოკუმენტს. (საქვ) მათემატიკური შინაარსის დებულების სისწორეს ასაბუთებს.

**ამტყდარი:** 1. რაც ატყდა, - ატეხილი, ერთბაშად გაჩენილი, წარმოქმნილი. ამტყდარი, ავარდნილი (მტვერი, ბუქი).

**ამტყდარი:** 2. ვინც ატყდა, დაიჩუმა, აიხირა, დაიუინა რამე, - ატეხილი. (გადატ.) რაც ატყდა (საქონელზე ითქმის), - ატეხილი, ახურებული.

**ამუა:** 1. იგივეა, რაც ამუნა, - ძალი (ბავშვის ენაზე).

**ამუა:** 2. კაპრონისა ძირია და შუშან ყვაელია. თურქულ ენებში ღვიას ნიშნავს (გ. თუშ-ძალიშვილი).

**ამური:** 1. (ბერძ.) ეროსი. გამოსახავდნენ მშვილ-

დ-კაპარტიო აღჭურვილ ფრთოსან ყრმად.

**ამური:** 2. მცირე ცთომილი.

**ამური:** 3. კობრისებრთა ოჯახის ორი სახეობის ოქეზის საერთო სახელი.

**ამულამებს:** 1. (იმერ.) ასილდუმლებს (გ. ბერ.).

**ამულამებს:** 2. (ქარგ.) იგემოვნებს ("ისიც სეამს და ამულამებს კვამლს").

**ამუშაგებს:** 1. საშუალებას აძლევს ან აიძულებს ვინმეს იმუშაოს; ასაქმებს. ამოქმედებს, ამოძრავებს.

**ამუშაგებს:** 2. მიწაზე მუშაობს, მიწას დასათესად ამზადებს. რისამე დასამზადებლად, რაიმე მიზნისათვის ყველა საჭირო წინასწარ სამუშაოს ატარებს, აწარმოებს; ამზადებს. (გადატ.) საჯაროდ ამხელს, აკრიტიკებს.

**ამფუარი:** 1. მოყინული და თოვლნარევი წყალი.

**ამფუარი:** 2. აღუღებული წყალი.

**ამყოლი:** 1. ვინც აყვება ვისმე ან რასმე. ვინც აყოლა იცის.

**ამყოლი:** 2. კარის წარჩოს გვერდი.

**ამჩნევს:** 1. ხედავს; ხედება; გრძნობს; შენიშნავს; ატყობს.

**ამჩნევს:** 2. ანაბეჭდს, კვალს აჩენს, ტოვებს, აჩნევს.

**ამცვრევენებს:** 1. აიძულებს ან საშუალებას აძლევს ამცვრიოს, - აკუურებინებს.

**ამცვრევენებს:** 2. საშუალებას მისცემს იმცვრიოს, - მარცვალ-მარცვალ მოაკრეფინებს (ვენახში აქა-იქ შემორჩენილ ყურძენს).

**ამცნევს:** 1. აგებინებს, ატყობინებს, - ამცნობს.

**ამცნევს:** 2. ხედავს, გრძნობს; შენიშნავს. კვალს ტოვებს, აჩნევს (ანაბეჭდს).

**ამძვრალი:** 1. ვინც ან რაც აძვრა, - ძრომიო მადლა ასული, აცოცებული, აფორთხებული.

**ამძვრალი:** 2. რაც ასძვრა (რასმე), - ამწყდარი, აცლილი ახეული, აცეპნილი.

**ამწყეი:** 1. ვინც ან რაც ასწყევს ვისმე ან რასმე, - ეისაც ან რასაც აწყვეის უნარი, ძალა აქვს.

**ამწყეი:** 2. (ქარგ.) მომპარავი, ქურდი (ღ. ბრეგ.).

**ამხილა:** 1. „ასწავლასაიეთ“ (საბა).

**ამხილა:** 2. გაამჟღავნა, გასცა, გამოავლინა.

**ან:** 1. ჩაცვალკეებელი კაშვირი.

**ანი:** 2. (შუმ.) ცა, ცის უზუნაესი ღვთაება შუპერთა ღმერთების პანთეონში (ზ. კიკ.).

**ანი:** 3. ქართული ასოს სახელწოდება.

**ანა:** 1. (ქართ.) არა (კირონი).

**ანა:** 2. ხურდა ფული (ინდოეთში 1957 წლამდე). (პაქისტანში 1961 წლამდე).

**ანაბაზისი:** 1. (ძვ., ბერძნ.) მცენარე რომელიც მოლის შუა აზიაში და ჩრდილო აფრიკაში.

**ანაბაზისი:** 2. მარცლოვან ოჯახის ზოგი სახეობა.

**ანაბაზისი:** 3. ძველი ბერძენი მწერლის ქსენოფონტეს (მე-6-5 სს ძვ.წ.ა.) თხზულება რომელშიც აღწერილია ბერძენთა მხედართმთავრის კიროსის დაშქრობა თავისი ძმის სპარსეთის მეფის არტაქსერსეს წინააღმდეგ. რომაული ეპოქის (მე-2 ს. ახ.წ.ა.) ბერძენი მწერლის არიანეს თხზულება, რომელშიც აღწერილია ალექსანდრე მაკედონელის დაშქრობა.

**ანაბარა:** 1. მარტოოდენ ერთი ვისიმე ან რისამე მოიმედედ ყოფნა; მხოლოდ და მხოლოდ ერთი ვისიმე შემყურედ, ვისიმე ხელში ყოფნა.

**ანაბარა:** 2. (მოხ.) გინდა თუ არა; რა თქმა უნდა, რასაკვირველია.

**ანაგები:** 1. რაც ააგვს, - აგებუელი.

**ანაგები:** 2. (ძვ.) სახე (ზ. სარაჯ.).

**ანაგები:** 3. (ძვ.) განზრახვა (ზ. სარაჯ.).

**ანაგული:** 1. საუკეთესო; კარგი; თავანკარა (გ. შატბერი).

**ანაგული:** 2. უხარისხო, ცუდი.

**ანაგული:** 3. (კახ.) ნიერის შუაგული, კბილის გარეშე (გ. იმ.).

**ანაგული:** 4. „მატყლის ანაინი“ (საბა).

**ანათლებს:** 1. სწავლა-განათლება შეაქვს. ცოდნას აძლევს, ასწავლის; ათვისცნობიერებს. (ძვ.) იგივეა, რაც აცხონებს (ძვ.) იგივეა, რაც ანათებს.

**ანათლებს:** 2. მონათელის დროს ნათლია აჩუქებს (საჩუქრად აძლევს) რასმე ნათლულს. (გადატ.) უბოძებს, ანიჭებს, - ღაუბედებს რასმე.

**ანამ:** 1. (თუმ.) ან კი (პ. ხუბ.).

**ანამ:** 2. (თუმ.) ნეტავი (ა. ღლ.).

**ანამ:** 3. (თუმ.) ან არა (პ. ხუბ.).

**ანანაკი: 1.** „იძულებით იყოს“ (საბა).

**ანანაკი: 2.** ბუნებრივი; ჩვეულებრივი.

**ანატი: 1.** სიყვარულის ქაღალდმერთი ძველ ფინიკიელებში.

**ანატი: 2.** (ლათ.) ყოველწლიური გადასახადი პაპის სასარგებლოდ იმ პირებისაგან, რომლებსაც მიღებული ქქონდათ მაღალი საელესიო თანამდებობა.

**ანაფორა: 1.** (ბერძ.) მღვდლის ზედა სამოსი, ფართო და გრძელი; „ზედამიმართად ითქმის“ (საბა).

**ანაფორა: 2.** (ლიტ.) პოეტური და ორატორული ხერხი: ერთისა და იმავე სიტყვის (წინადადების, ბგერის) გამეორება რამდენიმე ტაქტის (ფრაზის) დასაწყისში; სტილისტიკური ფიგურა: ლექსში მოსაზღვრე ტაქტების, ორტაქტების, სტროფების, პროზაში კი ფრაზების დაწყება ერთი და იმავე ან მსგავსი სიტყვებით, ბგერათა კომპლექსებით. ერთმანეთისაგან განსხვავებენ ბგერითს, ლექსიკურსა და სინტაქსურ ანაფორას.

**ანაფორა: 3.** წირვისა და ალაპის ნარჩენი პურ-ღვინო, რასაც გლახაკთ ურიგებდნენ; მოსახსენებელი წირვა.

**ანაფორა: 4.** (ძე.) დიდი სეფისკეერი (ზ. სარჯ.).

**ანაფორა: 5.** ექპარიასტული კანონი ან ექპარიასტული ღოცვა; ქრისტიანობაში, ექპარიასტული ღვთისმსახურების (სადღესო ლიტურგიის) ცენტრალური ნაწილი, რომლის დროსაც ხდება ღვინისა და პურის ქრისტეს ხორცად და სისხლად გამოცხადება.

**ანაცერო: 1.** ყოველივე ის, რაც რჩება საცრის ფსკერზე გაცრის შემდეგ. გაცრილი ფქვილი.

**ანაცერო: 2.** რაც აცრეს, — აცრილი.

**ანგალა: 1.** საკლავის ნაწილი, ამოჭრილი მუხლიდან ბეჭის სახსრამდე; მხარი (უბუკოდ).

**ანგალა: 2.** ოქრომჭედლის იარაღი.

**ანგალი: 1.** წრეს გადასული მასხარა, უადგილოდ, თავშეუკავებლად ოხუნჯი; მცონარა, უსაქმური, მასხარა (ი. გრიშაშ.).

**ანგალი: 2.** უბინაო, უსახლკარო; მიუსაფარი, აუარა (ა. ნეიშ.).

**ანგალი: 3.** (ქართლ.) მომიჯნავე (ს. მენთეშ.).

**ანგარი: 1.** ვისაც პირადი გამორჩენის მიზანი ამოქმედებს.

**ანგარი: 2.** სპეციალური ნაგებობა თვითმფრინავების დასაყენებლად.

**ანგარი: 3.** (ზ. იმერ.) ამაღა; მხედრობა (ქ. ძოწ.).

**ანგარი: 4.** ეკლის ღობე, მცენარეთა საფარი (მ. წიქ.); ეოს ან უანის სასაღვარზე არსებული ბუნებრივი ან ხელოვნური სდუდე.

**ანგარი: 5.** (ფშ., ლეჩხ., იმერ.) გაუმაძღარი ხარბი (ვაჯა). ეგოსტი.

**ანდაზა: 1.** ხალხური გონებამახვილური მოკლე გამონათქვამი (ჩვეულებრივ, დამრიგებლობითი შინაარსისა); მაგალითი; იგავი, სიტყვის მასალა (დ. ჩუბინ.).

**ანდაზა: 2.** (თუშ.) ყალიბი, კალაპოტი, ფორმა; თარგი ნიშნით (ზ. სარჯ.); „ანდაზა, — სამოსელთა და საბუხართა და ხამლთა და რაოდენნი გამოიკვეთებიან ეგუეთარნი“ (საბა).

**ანდამატი: 1.** მაგნიტი

**ანდამატი: 2.** (ძე.) იგივეა, რაც ალმასი, ბრილიანტი.

**ანდამატი: 3.** მიშვიდეელი რამ.

**ანდე: 1.** (ქართლ., კახ., ქსნის ხ., ფშ., მთიულ.) აგერ (ა. ღღ.); აპა, აი.

**ანდე: 2.** „მცირედ რამ ხედეა“ (საბა); გუმანო, სიბნელეში აზრით სიარული (ე. სომხ., ლ. კანიშ.); მცირე ხედეა ბნელში (დ. ჩუბინ.).

**ანდოშებს: 1.** ახმარს, ახარჯავს.

**ანდოშებს: 2.** რისამე მოთხოვნილებას იწვევს (აღამიანში...).

**ანელებს: 1.** სინქარეს, სისწრაფეს უკლებს. სიმხურვალეს აკლებს, აგრილებს (ცხელ რასმე); ნელთბილს ხდის. აქრობს, შრეტს. (ვადატ.) სპობს, ღუქავს, ანადგურებს.

**ანელებს: 2.** სანელებლით აზაეებს, კმაზავს სატყელს.

**ანთარი: 1.** საქონლის მფარველი ქარსული წარმართული ღვთაება.

**ანთარი: 2.** ცხვირეწრო მამუნების. გვარი ანთრისებრთა ოჯახისა.

**ანთება: 1.** აანთებს (სინათლეს გამოაცემინებს, ცეცხლს მოუკიდებს), აინთება (სინათლეს გამოსცემს, ცეცხლი მოედება) ზმნათა მოქმედებისა. „სანოლის მოკვეცხელა“ (საბა).

**ანთება: 2.** ავადმყოფური პროცესი, ახასიათებს ტკივილი, მაღალი სიცხე.

**ანთრაკი:** 1. „ესე თვალი ნაკვერცხლის ფერია, ღამე ცუცხლებრ ელავს, ღია ძვირფასია. აპრონის შესამოსელთა ზედა ისხნეს ათორმეტნი“ (საბა); ღალი, ბადახში.

**ანთრაკი:** 2. მუწუკი, ძირმაგარა (დ. ჩუბინ).

**ანი:** 1. ქართული ანბანის პირველი ასოს სახელწოდება; „ანი არს პირველი ასო და ხშიანი და ართრონი“ (საბა).

**ანი:** 2. „კარი არს“ (საბა).

**ანი:** 3. შუმერთა ცის ღმერთი.

**ანიმატიზმი:** 1. (ლათ.) წარმოდგენათა ერთობლიობა ყველა ობიექტისა და გარე სინამდვილის სულიერების შესახებ, რომელიც პირველყოფილ რელიგიათა საფუძველს წარმოადგენდა.

**ანიმატიზმი:** 2. (ლათ.) რელიგიისათვის დამახასიათებელი უძველესი წარმოდგენა ბუნების ძალაზე, რომლითაც ხდება უხვი მოსავლის მოწევა, პირუტყვის გამრავლება და სხვა.

**ანისი:** 1. ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეთა გვარი ქოლგისებრების ოჯახიდან.

**ანისი:** 2. ეაშლის საშემოდგომო ჯიშები.

**ანკარა:** 1. ძალინ სუფთა, წმინდა (სითხე, ხმა, გრძნობა).

**ანკარა:** 2. გველის მსგავსი უშხამო ქვეწარმავალი, — ძლოკეი.

**ანკერი:** 1. (გერმ.) საათის მექანიზმის ნაწილი, რომლითაც უზრუნველყოფილია სვლის თანაბარზომიერება.

**ანკერი:** 2. (პოლანდ.) პატარა კასრი სასმელი წყლის, ღვინის, ძირისა და სხვათა შესანახად კანჯოზე (ნაგზე).

**ანკერი:** 3. ზოგ ქვეყანაში, ღვინის ძველებური საწყაო (მ. ჭაბ.).

**ანკერი:** 4. (ტექ.) რკინის ჭანჭიკი ან კაეი, რომლითაც ერთმანეთზე ამაგრებენ ქვის ნაწილებს.

**ანოშალია:** 1. საერთო წესისაგან გადახევა, წესის დარღვევა; მაგნიტური ისრის ძლიერი გადახრა ნორმალური მდგომარეობიდან.

**ანოშალია:** 2. (ასტრ.) კუთხე ცის სხეულის რადიუს-ვექტორსა და მისი ორბიტის დერკს შორის.

**ანტლია:** 1. ტეირთი (ი. აბ.).

**ანტლია:** 2. „ბერძნულად საყენებელი წყალ-

თა“ (საბა); „ანტლია არს ნაეში რა წყალი შევიდეს, გინა ჭურჭელი სარწყული სხეა რამე“ (საბა).

**ანტები:** 1. სლავური ტომების გაერთიანება, რომლებიც უმეტესად დნესტრისა და დნეპრის შუა ცხოვრობდნენ.

**ანტები:** 2. (ლათ.) შენობის სიგრძივი ნაწილის შეერილები, რომლებიც შემოსასაზღვრევენ შესასულელს; გაერცვლებული იყო ანტიკურ ტაძრებში.

**ანტი:** 1. (ბერძ.) თავსართი, რომელიც აღნიშნავს საწინააღმდეგოს, დაპირისპირებულს (საუბ.) რაიმეს მოწინააღმდეგე, ანტაგონისტი.

**ანტი:** 2. (ლათ.) არქიტექტურაში, ანტიკური შენობის გრძივი კედლის შევრილი.

**ანტიდორი:** 1. (ბერძ.) სეფისკეერის ნაწილი, რომლიდანაც ამოღებულია ტარიგი. იგი ურიგდება მლოცველებს ზიარების შემდეგ.

**ანტიდორი:** 2. (ბერძ.) შხამსაწინააღმდეგო სამკურნალო საშუალება.

**ანჩხლი:** 1. გაბრაუებისას თავშეუკავებელი, — კაპასი, აეი; „ურცხვად ანჩხლი“ (საბა).

**ანჩხლი:** 2. ბუქნარ, ღელისპირების მხალი (პ. განქი).

**ანძალი:** 1. (მოხ.) ანძა, ამართული ძელი (აყაზბ.).

**ანძალი:** 2. (ფშ.) ენძელა, ენძელი, — ბალახია, თეთრი ყვავილი იცის (ა. შან).

**ანძალი:** 3. (მოხ.) მოკალული რკინა რისამე ჩამოსაკიდებლად (ა. სან).

**ანჯახი:** 1. (ქიზიყ.) ძნელად ასატანი, უხასიათო ადამიანი; ბრაზიანი, აეი ადამიანი (ს. მენთეშ).

**ანჯახი:** 2. (თუშ.) გრძელი ჯოხი, თავში ორტოტა, იხმარება საბრჯენად (პ. ხუბ.).

**აობა:** 1. აეი, აეობა (დ. ჩუბინ).

**აობა:** 2. არსება (დ. ჩუბინ).

**აორთქლდება:** 1. ორთქლად იქცევა.

**აორთქლდება:** 2. (ყარგ.) ჩუმად წაეა, გაიპრება (ა. სიხ.).

**აბა:** 1. (იმერ.) აბა.

**აბა:** 2. ბეშვის ენაზე: სხვაგან (სასუირნოდ, სტუმრად) წასვლა, აბაში წასვლა.

**აბასტია:** 1. (ბერძ.) მუზეები, რომლებსაც თავ-  
ვანს სცემდნენ ბეოტიაში იონიის მითების მცხოვ-  
რებნი.

**აბასტია:** 2. (ბერძ.) მარხვა, შიმშილობა.

**აბაში:** 1. (ფრანგ.) ერთგვარი პერანგი. რო-  
მელსაც ფართო, გადახსნილი საყულო აქვს.

**აბაში:** 2. საფრანგეთში: დეკლასირებული  
ელემენტი. — ხულიგანი, ქურდი, ბანდიტი (მ. ჰაბ.).

**აბაში:** 3. ბავშვის ენაზე: თხოვნა სადმე წაყ-  
ვანისა, გასვირნება.

**აბაში:** 4. (ფრანგ.) ფარიკაობაში, — მარჯვენა,  
წინ გამოწეული ფეხის დარტყმა, რომლის მი-  
ზანია მოწინააღმდეგის ან მსაჯის ყურადღე-  
ბის მიქცევა.

**აბორტი:** 1. ადრეული ზამთრის ეაშლის ჯი-  
შები, ტკბილი ნაყოფით.

**აბორტი:** 2. (ფრ.) შეძახილი გაწრთენილი ძაღ-  
ლის მიმართ: „მოიტანე, მომარწოდე!“

**აბრაკოსი:** 1. საღვთისმსახურო კრებულად.

**აბრაკოსი:** 2. (ბერძ.) საკვირაო მახარებელი,  
ვეანგელირა, ან აოსტოლი.

**აფივლება:** 1. ძლიერ დასუფლებდა, ერთიანად  
გაიფლინთება (სითხით).

**აფივლება:** 2. იგივეა, რაც აფივლება, — ჯივილ-  
ხივილს დაიწეებს, — აფრიაშულდება, ახმაურ-  
დება.

**აფრიალებს:** 1. აფრიალებს, — უღრიალს გა-  
მოაცემინებს, უღრიალით ახმაურებს.

**აფრიალებს:** 2. (უარგ.) აფრენს, სრულ ჰკუ-  
აზე არ არის.

**აფრიალებს:** 3. იგივეა რაც აფრეოლებს.

**აფური:** 1. გამჭვირვალე ბადისებრი ნაქსოვი,  
ნაქარგი; ლითონის წერილი ძაფებისგან ოს-  
ტატურად გამოყვანილი წნული.

**აფური:** 2. ბუხპალტერიაში: ანგარიშსწორე-  
ბის ისეთი მდგომარეობა, როცა ყოველგვარი  
საადრიცხვო-საანგარიშო წინაწერი სამეურნეო  
ოპერაციის შესრულებისთანავე სრულდება.

**აფლარუნებს:** 1. უღარუნის ხმას გამოადები-  
ნებს; (გადატ.) საომრად ეწყობა, ომის დაწყე-  
ბით იმუქრება.

**აფლარუნებს:** 2. (უარგ.) სრულ ჰკუაზე ვერ  
არის, აფრენს (ლ. ბრეგ.).

**არა:** 1. უარყოფითი ნაწილაკი.

**არა:** 2. უარყოფის სიტყვა.

**არა:** 3. სოლისებრ ბოლოიანი თუთიყუშების  
ორი გეარის საერთო სახელწოდება.

**არა:** 4. უარყოფითი თავსართი (მაგ., არნახუ-  
ლი; არადამაკმაყოფილებელი; არათანაბარი)

**არა:** 5. (ლათ.) საკურთხეველი.

**არაბი:** 1. (მთიულ.) ბერიკების წინამძღოლი.  
შემურული, მურით გაშაგებელი (ს. შაკალ-).

**არაბი:** 2. (რაჭ.) ვისაც ზედა ტუჩი დაბადებო-  
დანე გატრილივით აქვს (კურდღლის ტუჩი).

**არაბი:** 3. შაეი ცხენი.

**არაბი:** 4. საერთო ეთნიკური სახელი სემი-  
ტური მოდგმის ხალხებისა.

**არაგი:** 1. ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი (დ.  
ჩუბინ). „სამხრეთის თბილი ქარი“ (საბა).

**არაგი:** 2. (იმერ.) მანე, გამოყვალაეი (პ. განყ.).

**არაკაცია:** 1. არაეინ.

**არაკაცია:** 2. ისეთი, კაცებში რომ არა წერიდა,  
კაცებში გამოწევეტილი; ცუდი, უკეთური ვინ-  
მე.

**არაკია:** 1. „ნეღლი ცერცვი“ (საბა)

**არაკია:** 2. ზღაპრული შინაარსის იგაეი, იგაე-  
არაკი. მოგონილი ამბაეი.

**არაკია:** 3. რაღაც საშენი მასალა (ი. აბ.).

**არამა:** 1. (ანდ.) მწვემის წერო, დაფრინავს  
მძიმედ, კარგად დარბის.

**არამა:** 2. (მთიულ.) ნახშირი, ფული ან სხვა  
რამ, რომელსაც ხუმრობით ხინკალში დებენ  
(ლ. კაიშ.).

**არამი:** 1. (ფშ., თუშ.) ტყუილი უწესო, ურიგო;  
რაც კაცს არ ერგება, უსამართლო.

**არამი:** 2. სახლის ნაწილი, სადაც ქალუბი  
ცხოვრობენ, მარამხანა.

**არამი:** 3. (არაბ.) მარამი, მესლიმური წესის  
მიხედვით აკრძალული. ცოლნი და ქალნი ყუ-  
ენისა (ქართლ. ცხოვრება).

**არარა:** 1. არც ერთი რამ, — არაფერი.

**არარა:** 2. დიდი, უქონრო, გრძელბოლოიანი  
თუთიყუში, გაერცველებულია ამერიკაში.

**არახილი:** 1. რაც ხილი არ არის.

**არახილი:** 2. ქლიაეის ერთ — ერთი ჯიში; ამ  
ხეხილის ნაყოფი.

**არბაბი:** 1. (არაბ.) მიწისმფლობელობის კა-

ტეგორია მუსლიმურ სახელმწიფოებში, კერძოდ მსაკუთრული მიწები, მულქი ანუ არბაბი (ე. გაბაშვილი).

**არბაბი 2.** ბატონი, პატრონი, მსხვილი მიწათმფლობელი.

**არგანი 1.** (ძვ.) „გრძელი ჯოხი, საბჯენად, დასაყრდენად სახმარი“ (საბა). კვერთხი.

**არგანი 2.** (ჯავახ) უცოლო (ა. მარტ.).

**არგებს 1.** სარგებლობას მოუტანს.

**არგებს 2.** მოარგებს.

**არგო 1.** ლეგენდარული არგონავტელთა ხომალდის სახელი.

**არგო 2.** ცალკეული სოციალური ჯგუფების, პროფესიის, წრის თავისებური მეტყველება, რომლის სიტყვები და გამონათქვამები გასაგებია მხოლოდ სათანადო კოლექტივისათვის, ჟარგონი. თავდაპირველად, ქურდების ენა

„იქ. სხვის მიწაზე მყოფმა,  
ურდა შენს კოლხეთს არგო,  
აი, უსვამენ ნინებეს!

აი, დაიმრა არგო.“ (ტ. ჭანტურია).

**არგონავტი 1.** საბერძნეთიდან კოლხიდაში ხომალდ „არგო“-თი მოსული (ოქროს საწმისის სამეზღველად).

**არგონავტი 2.** „არგონავტი, — უქმნი მენაეუნი“ (ეფთვიმე მთაწმინდელი).

**არგონავტი 3.** თავფეხიანების ერთ-ერთი სახეობა. გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვაში.

**არდაბაგი 1.** შემადლებული ბაქანი კანკელის წინ.

**არდაბაგი 2.** (ძვ.) სარკმელი.

**არდაგი 1.** (ძვ.) ტილო, სუდარა, ფარდა (ზ. სარჯე); ტილოს ქსოვილი (წ. მელიქ.).

**არდაგი 2.** (ძვ.) „წელს ქვევით მოსაფარი“ (საბა); მანდილი, წელზედ მოსაფარი ფეშტამალი (დ. ჩუბინ.); საღეთო წერილში, სამოსელი ან საფენი (დ. ჩუბინ.).

**არდადეგი 1.** (ძვ.) „არდადეგი არს, რა მკათათვეში მზე ღომზე შევალს, ვიდრე მის გარდცვლამდე და სხვისა შესვლამდე ოცდაათი დღე(ნი)“ (საბა); ერთი თვე ზაფხულის ბუნიობიდან დაწყებული; ჟამი სიცხეებისა (დ. ჩუბინ.).

**არდადეგი 2.** იგივეა, რაც არდადეგები; —

დრო, რომლის განმავლობაშიც სასწაელებელში მეცადინეობა შეწყვეტილია, მოსწაელები დათხოვილი არიან.

**არდადეგი 3.** არდასაცალელები-წყველი, შეწყვეტული (დ. ჩუბინ.).

**არდი 1.** „შინაური ვარდკაჭაჭა“ (საბა).

**არდი 2.** ჟამი, — „დრო განსაზღვრებული; ცის მზომელობის ხარისხთა ჟამის სათვალავი არს ესრეთ; ...ნახევარწუთი არს 1 კესი, ნახევარკესი-1 მასი, ნახევარმასი-1 არდი.“ (ნ. ჩუბინაშვილი); „ანაზღი წამი“ (საბა).

**არდი 3.** ახლა (ზ. სარჯე).

**არდი 4.** ბალახია ერთგვარი.

**არე 1.** მიდამო, მხარე, ადგილი; არემარე; გარკვეული ადგილი, განსაზღვრული სივრცე, რომელზედაც ვრცელდება რისამე მოქმედება; კლდე; არშია.

**არე 2.** „ოთხნი დრონი არიან წელიწადთან; გაზაფხულადაც ითქმის...“ (საბა).

**არეკვა 1.** სახელი არეკავს ზმნის მოქმედებისა, — ზევიოკენ გარეკვა, ადენა.

**არეკვა 2.** (გურ.) კეცოდან გამომცხვარი მჭადის (პურის, ხაჭაპურის) ადება.

**არი 1.** იგივეა, რაც არის, არსებობს, მყოფობს, მოიპოვება.

**არი 2.** (ბერძ.) მანძილის (მიწის) ზომა, უდრის 100 ოთხკუთხ მეტრს. (ი. იმედ.).

**არი 3.** (ძვ.) ჯარი.

**არია 1.** ერთხმიანი ვოკალური ნაწარმოები აკომპანემენტით, ჩვეულებრივ ოპერაში.

**არია 2.** იგივეა, რაც არე, არიოზ „მწვალებელი“.

**არია 3.** მარიხი, — პლანეტა მარსი (ბერძნული მითოლოგიის ომის ღმერთის სახელის მიხედვით).

**არია 4.** გოდება.

**არიელი 1.** (ძვ.) ძირი, საფუძველი (ი. აბ.).

**არიელი 2.** (ძვ.) სამსხვერპლო (ი. აბ.).

**არიელი 3.** პლანეტა ურანოსის თანამგზავი.

**არიელი 4.** ინდო-ირანულ ენებზე მოლაპარაკე ხალხებისა და ტომთა წარმომადგენელი. (არიელები კეთილშობილებს უწოდებენ თავიანთ თავს).

**არიელი 5.** (ებრ.) წყლის სული. საპერო სული, უდანაშაულოთა მცველი.



**არილი:** 1. „დასასვენებელი სიწმინდეთანი“ (საბა).

**არილი:** 2. (ხევს.) მისი შუქი, რამესუ დამდგარი (ბ. გაბ.).

**არილი:** 3. (მოხ.) ბუნდოვანი, გაურკვეველი.

**არისტო:** 1. (ბერძნ.) ყველაზე უკეთესი.

**არისტო:** 2. მთიელი.

**არიფი:** 1. ამხანაგი, ტოლი, თანამონაწილე, თანამოსიარე, თანამყინახე (სუფურასე); (სპარს.) პურის მტე, ან შესაკუთრებული შინაყმა (დ. ჩუბინ.).

**არიფი:** 2. გამოუცდელი, ხალხში გამოუსვლელი; გულუბრყვილო.

**არიფი:** 3. (არაბ.) ხელოსანი (ი. გრიშაშ.).

**არკადი:** 1. (ბერძნ.) დათვი.

**არკადი:** 2. მწყემსი.

**არკანი:** 1. გუცულური მამაკაცთა ხალხური ცეკვა (მუსიკალური ზომა 2/4).

**არკანი:** 2. გრძელი თოკი ბოლოში მოძრავი ყულფით.

**არკი:** 1. მუსიკალური ტერმინი, რომელშიც გაერთიანებულია ყველა ხემიანი საკრავი.

**არკი:** 2. არაკი (დ. ჩუბინ.).

**არკი:** 3. (მთიელ-გულამაყრ.) კი არ, განა (ქვირსელა).

**არმატოლები:** 1. (ბერძნ.) შინაგანი რაზმები საბერძნეთში ოსმალური ბატონობის დროს.

**არმატოლები:** 2. (ბერძნ.) ქრისტიანთა წინამძღოლი საბერძნეთში, რომლებიც აღსდგნენ ოტომანიის წინააღმდეგ და მიიღწიეს დამოუკიდებლობას მცირედი შემოფარგვლით.

**არნაკი:** 1. (ძვ.) ჭურჭელი (ზ. სარჯ.).

**არნაკი:** 2. (ძვ.) სანაწილე (ზ. სარჯ.).

**არნაკი:** 3. (ძვ.) საფლავი (ზ. სარჯ.).

**არსად:** 1. არც ერთ ადგილას; არც ერთ მხარეს.

**არსად:** 2. (ძვ.) არაოდეს, არასოდეს

**არტყამს:** 1. დაარტყამს, გაარტყამს, ჩაარტყამს, მიარტყამს, მოარტყამს.

**არტყამს:** 2. გარშემო ახევეს, აკრავს, უჭერს.

**არქი:** 1. „წისქვილის თოხი“ (საბა). რკინის პატარა ნაჭერი, ჩასმული წისქვილის დოლაბში.

**არქი:** 2. როული ფუქის პირველი ნაწილი, აღნიშნავს: იმის უმაღლეს ხარისხს, რაც მოცემულია როული ფუქის მეორე, ძირითად ნაწილში. აღნიშნავს: მთავარს, უფროსს.

**არღარა:** 1. (ძვ., ნაწ.) აღარ (ი. აბ.).

**არღარა:** 2. (ძვ.) არაფერი (ი. აბ.).

**არყიანი:** 1. იგივეა რაც, არყნარი. ტყე, რომელშიაც არყით ურევი.

**არყიანი:** 2. რაშიც არაყი დგას, ასხია (ან იღვა, ესხა).

**არშივი:** 1. წილი, კერძი (დ. ჩუბინ.); „საკმლის კერძი“ (საბა).

**არშივი:** 2. ურძი (დ. ჩუბინ.).

**არწივი:** 1. ღონიერი, ნისკარტმოკაუჭებელი მტაცებელი ფრინველი.

**არწივი:** 2. (ქიზიყ.) ერთგვარი ავადმყოფობა, ცხვარს უწნდება ფილტვებში.

**არწივი:** 3. გველის ძუა.

**არწივი:** 4. ქართული დარბაზის კოჭი (ქდლ).

**არჯალი:** 1. უკანასკნელი დღე, აღსასრულის დღე.

**არჯალი:** 2. „ურცხეად ანხლი“ (საბა), მეტისმეტად ავი. კაპასი.

**არჯალი:** 3. (ზ. იმერ.) ამტანი, გამძლე, ჯანსაღი (ქ. ძოწ.).

**არჯალი:** 4. (ჯაეახ.) მოურჩენელი ჭირი, ავადმყოფობა (გრ. ბერ.).

**ასაბია:** 1. გასვენებაზე შორიდან მოსული ჭირისუფლის მხლებლები; (ძვ.) „მტერზე მომყოლი, შემწე.“ (საბა).

**ასაბია:** 2. (ძვ., არაბ.) ბოროტმოქმედების განხორციელების მონაწილე (ივ. ჯაეახ.).

**ასაგები:** 1. რაც უნდა ააგონ.

**ასაგები:** 2. (იმერ.) ლითონის ჩხირი, რომელიც ენის კბილანაში შუა ნაწილით ამოდებულ ღარას იჭერს გაშლილ მღგომარეობაში (პ. განენ.).

**ასაკი:** 1. ადამიანის სიცოცხლის ესა თუ ის ხანი, პერიოდი; წლოვანება. „უამთა საზომი“ (საბა).

**ასაკი:** 2. (ძვ.) სიმაღლე ტანი (ზ. სარჯ.).

**ასაკი:** 3. (ძვ.) ძალა (ზ. სარჯ.).

**ასალა:** 1. (გურ.) ქუჩა კეხის ქვეშ დასაფენი

(ს. უდ., ა. ღლ.).

**ასალა:** 2. იხმარება შელოცვაში (პ. განენ.).

**ასარი:** 1. წერილი ფული (ზ. სარჯვ.).

**ასარი:** 2. „ღანგი“ (საბა) (წონის ერთეული, „სამი კარატი ერთი ღანგია“ (საბა)).

**ასასი:** 1. აფხაზეთის გლეხთა კატეგორია, უდრის ქართულ ხიზანს.

**ასასი:** 2. ღამის დარაჯი; საერთოდ დარაჯი, ყარაული.

**ასატანი:** 1. რაც უნდა აიტანონ, – ასასიდი, ზევით წასაღები.

**ასატანი:** 2. რისი ატანაც, გაძლებაც შესაძლებელია, – გადასატანი, გასაძლები.

**ასატეხი:** 1. რაც უნდა ტეხონ, რაც უნდა (შეიძლება) ასტყდეს.

**ასატეხი:** 2. რაც შეიძლება ატეხონ, აუტეხონ ეისმე.

**ასახლებს:** 1. დაასახლებს, გაასახლებს, გამოასახლებს, გადაასახლებს, გადმოასახლებს წაასახლებს, შეასახლებს, წამოასახლებს. (სხეებს ასახლებენ იმით მაგიერ (აკაკი); ბინიდან ასახლებენ; პოლიტიკურ პარტიებს ასახლებენ ციმბირში (ო. ჭილ.); დაეთ აღმაშენებელი ყიფიანებს ასახლებდა საქართველოში: მუშათა ოჯახებს ახალ ბინებში ასახლებენ.).

**ასახლებს:** 2. სახლად, ოჯახად აქცევს; აშენებს, აღოვლათიანებს.

**ასახსნელი:** 1. რაც უნდა აიხსნას ან რაც შეიძლება აიხსნას, მოიხსნას.

**ასახსნელი:** 2. განსამარტავი.

**ასდის:** 1. რასმე გამოეყოფა და მალეა მიემართება (სუნი, ოროქლი, ბუღი...).

**ასდის:** 2. თავს ართმევს, ასწრებს, თავს აბამს, – იგივეა რაც აუღის.

**ასეული:** 1. ასი ცალისაგან შემდგარი ერთეული. ჯარის ორგანიზაციულ-ტაქტიკური დაწყოფი, რომელიც, წვეულებრივ, ბატალიონის შემადგენლობაში მოქმედებს და ოცეულებად აუ თათულებად იყოფა.

**ასეული:** 2. (ჯავახ., ქართლ.) ატეხილი, გადაჭარბებული ხუმრობა; გაჯავრებული, გაბოროტებული (თ. საღარ.).

**ასეამს:** 1. ასწევს და მალეა რამეზე დას-

ვამს.

**ასეამს:** 2. რაიმე ნიშანს ადებს ბეჭდით ან ტეიფრით.

**ასევენებს:** 1. დადლილს შეებას აძლევს, შრომის გარჯის შემდეგ სულს მოათქმევენებს. მშვიდად, წინარად ამყოფებს.

**ასევენებს:** 2. დასაკრძალაეად, დასამარხაეად გააქვს მიცვალებული.

**ასეია:** 1. დასმული აქვს.

**ასეია:** 2. დასობილი არის, არჭვია.

**ასთე:** 1. (ხეეს.) კარის ჩარნოს ემახიან არხოტში. შატილში მას კარასტე (კარასთე, ეი. კარ-ჩარნო) ჰქვია (ა. ჭინჭარ.).

**ასთე:** 2. (იმერ., ლეჩხ.) ასე, ამგვარად.

**ასი:** 1. (ლათ.) სპილენძისაგან ჩამოსხმული რომაული მონეტა (წონა 272, 88 გ.), მონეტის შუბლზე გამოსახულია იანუსი, ზურგზე – გემის ცხვირი (ქსე).

**ასი:** 2. რიცხვითი მნიშვნელობა 100.

**ასი:** 3. (ფრანგ.) საჰაერო ბრძოლის ოსტატი. სახელწოდება განჩნდა პირველი მსოფლიო ომის დროს; ასე უწოდებდნენ საჰაერო ბრძოლის ხელოვნებას სრულყოფილად დაუფლებულ მფრინავებს; საეკეთესო თაგდამსხმელ ფეხბურთელებსაც იტყვიან.

**ასი:** 4. ათეულის სისტემა (ფიზიკა-მათემატიკის ტერმინი).

**ასიანი:** 1. ასმანეთიანი ქაღალდის ფული; ასკოკიანი ჭურჭელი (ქვეერი).

**ასიანი:** 2. (ქარგ.) ნაღდი, ნამდვილი; ნაღდად, ნამდვილად (ლ. ბრეგ.).

**ასისტავი:** 1. (ძვ.) ასეულის მეთაური; (ისტ.) არჩევითი თანამდებობა სოფლად 1905 წლის რევოლუციის დროს; „ასთ უხუცესი“ (საბა).

**ასისტავი:** 2. (ფშ.) ცუდი ყოფაქცევის ქალი, კახპა (ა. შან).

**ასისტავი:** 3 მისანთა სახეობა (“დიდი სჯულისკანონი”).

**ასკანა:** 1. (ქსნის ხ.) ვაზის რქაზე გამოსული ღერო (ე. სომხ.).

**ასკანა:** 2. ასკანიანი.

**ასლან:** 1. (თურქ.) ღლომი.

**ასლან:** 2. დიდი, გოლიათი, გმირი.

**ასლი:** 1. (ძვ.) კილიანი ხორბალი; (ფშ.) პურის ერთ-ერთი სახეობა.

**ასლი:** 2. დედანი, ორიგინალი, ნაღდი, ზედგამოჭრილი; პირი (დედნისა); (არაბ.) ნამღვილი (დ. ჩუბინ.).

**ასლი:** 3. (მოხ.) აზირ, ბარემ (ი. ქავთ.).

**ასმა:** 1. სახელი ასეამს ზმნის მოქმედებისა.

**ასმა:** 2. (ინგილ.) უხარისხო, ფუყე, მოყვითალო ან მოთეთრო ფერის ხახვი, რომლის შრეები არაა მკიდროდ განლაგებული (ნ. როსტიაშ.).

**ასმა:** 3. (ინგილ.) მოგრძო, გამოშეერილი, ფართო ბუხრის ტიპი (ნ. როსტიაშ.).

**ასმა:** 4. წითელყურძნიანი ვაზის ჯიში.

**ასმა:** 5. სახელი აისვამს, აუსვამს ზმნათა მოქმედებისა. (მაგ. ლოყაზე ხელის ასმა).

**ასმევინებს:** 1. სთხოვს დასევას ან დაასევას.

**ასმევინებს:** 2. ავალებს ან საშუალებას აღლევს წაუსევას. ავალებს მოუსევას (ხელი).

**ასო:** 1. ბგერის ნიშანი.

**ასო:** 2. „კაცის ნახშიროიანი“ (საბა).

**ასო:** 3. მოქმედი ვულკანი იაპონიის კუნძულ კიუსიუსუ (ქსე).

**ასო:** 4. (ფრანგ.) ფარიკაობასა და კრიეში: ორი სპორტსმენის სავარჯიშო ბრძოლა.

**ასბიდი:** 1. შრეული მინერალი, შავი ფიქალი, რომლისგანაც ამზადებენ გრიფულით საწერ პატარა დაფას (ფიცარს).

**ასბიდი:** 2. იგივეა, რაც ასპიტი, — „გველი ფრიად გესლოვანი“ (საბა).

**ასბიდი:** 3. ფარი (კ. დანელია).

**ასტერია:** 1. (ბერძნ.) უხერხემლოთა გვარი ზღვის ვარსკვლავთა კლასისა კანკელიანების ტიპის.

**ასტერია:** 2. (ბერძნ.) ტიტანიდა. ტიტან კოოსისა და ფებუს ქალიშვილი.

**ასული:** 1. ქალიშვილი, გოგო.

**ასული:** 2. ვინც, რაც ავიდა; ქვემოდან ზემოთ სვლით გადაადგილებული.

**ასწევს:** 1. დადებულს ან დაბლა მოთავსებულს აიღებს, ზვეითკენ წაიღებს (წაიყვანს), ქვევიდან ზვეით გადაადგილებს (ვისმე ან რასმე), — აზიდავს.

**ასწევს:** 2. (ქარგ.) მოიპარავს (ასწია — მოიპარა) (ლ. ბრეგ.).

**ასწევს:** 3. (ქარგ.) დააპატიმრებს (ლ. ბრეგ.).

**ასწორებს:** 1. სწორსა ხდის, სწორად აქცევს; თანასწორს ხდის; მართავს, წესრიგში მოაყავს. სწორ მდგომარეობას უბრუნებს.

**ასწორებს:** 2. (ქარგ.) სასიამოვნო, კარგ განწყობილებას ქმნის; ისეთია, სიტუაციას რომ შეეფერება (ლ. ბრეგ.).

**ასწრებს:** 1. განსასდერულ ვადაში რისაიმე შესრულებას ახერხებს, დროზე აკეთებს რასმე. (კალკ.) დამოკმაყოფილებლად სწავლობს, სწავლაში ჩამორჩენილი არაა. სხვაზე ადრე აკეთებს რასმე. სხვაზე წინ მიდის (წავა) მათან ან მასზე უკან მყოფი.

**ასწრებს:** 2. საღმე ყოფნის, რაიმეში მონაწილეობის ნებას აღლევს.

**ასხამს:** 1. სითხეს რამეზე ღერის.

**ასხამს:** 2. ააგებს, ააცვამს, აასხამს (ბუერს).

**ასხამს:** 3. აიყვანს და მადლა დასევამს მრავალს.

**ასხია:** 1. დაღერილია (სითხე); დასხმული აქვს, დაღერილია მასზე.

**ასხია:** 2. აბია ბუერი; წამოსხმული აქვს (რაიმი).

**ასხია:** 3. (ქარგ.) ძალიან სულელია (ლ. ბრეგ.).

**ასხმა:** 1. აღვრა სითხისა.

**ასხმა:** 2. აგება, აცმა (ბუერისა).

**ასხმა:** 3. ასხმულა (მაგ. მიიუების ასხმა).

**ასხმა:** 4. შეფენა.

**ასხმული:** 1. რაც აასხეს, — აღერილი.

**ასხმული:** 2. რაც აასხეს ან აისხეს, — ბუერი ერთად აცმული, წამოცმული. ახუნძლული, შებმული დაკიდებული (ბუერი რამ). კოხტად მოყვანილი, ჩამოქნილი, გამონაკეთული. ერთმანეთზე გადაბმული, ერთმანეთთან დაკავშირებული (მოვლენები...).

**ატა:** 1. ატაში წასვლა, — ბავშვის ენაზე. იგივეა, რაც აპაში წასვლა.

**ატა:** 2. (ბერძ.) ბერძნულ მითოლოგიაში: ზეუსის ქალიშვილი, — გაშმაგების, გონების დაბნელების ქალღმერთი.

**ატანს:** 1. გაატანს, — გაგზავნის ვისიმე ხელით; გაგზავნის ვინმესთან ერთად; თან გააყოლებს; მისცემს (ცოლად), მიათხოვებს; დაატანს (მაგ., ძალას ატანს); შეატანს (მაგ., პურს).

ყველს ატანს).

**ატანს:** 2. გაატანს, — გააღწევს, გაეა რამეში (სითხე, ჰაერი...); იცოცხლებს, ცოცხალი გაძლებს (გარკვეულ დრომდე).

**ატეხა:** 1. აღძვრა, გამოწვევა, დაწევა. ახირეზა, აწევა.

**ატეხა:** 2. სახელი აატეხს ზმნის მოქმედებისა. (მაგ., პურის ქერქის ატეხა).

**ატეხილი:** 1. რაც ატეხეს, — აღძრული, წამოწეული, დაწეული; ერთბაშად შექმნილი. ხშირი, აყრილი (იოქმის მცენარეზე). (გადატ.) ვინც ატედა; ვინც არაყის და არაფერს ერიდება, თავგასული, ახირებული.

**ატეხილი:** 2. რაც აატეხეს ან ატედა. (გადატ.) კუთხურად აწეული, კუთხის ფორმაზე გამორულებული.

**ატეხს:** 1. აღძრავს, გამოიწვევს ვინმეს რაიმეს ნასაღენად. ერთბაშად დაიწეებს (რასმე).

**ატეხს:** 2. რამეზე ცემით ტეხს, ზედ ამტერევეს. ტეხით აცილებს.

**ატლანტი:** 1. ბერძნულ მითოლოგიაში ტიტანი, რომელსაც თავითა და მხრებით ეჭირა ცის თაღი.

**ატლანტი:** 2. ადამიანებისა და უმადლესი ხერხემლიანების კისრის ძალა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ქალას.

**ატლანტი:** 3. სატურნის თანამგზავრი.

**ატლასი:** 1. (არაბ.) აბრეშუმის პრიალა ქსოვილი.

**ატლასი:** 2. (ბერძ.) გეოგრაფიული რუკების კრებული (მითოლოგიური ტიტანის — ატლანტის სახელის მიხედვით); ნახატებისა და ტაბულეების კრებული (მეველეებრივ, მეცნიერულ წიგნებს დართული).

**ატლასი:** 3. იგივეა, რაც ატლანტი, — კისრის პირველი ძალა ქვეწარმავლებში, ფრინველებსა და ძუძუმწოვრებში (ი. ლაჩაშ.).

**ატლო:** 1. მცენარე (დ. ჩუბინ.); ღიმის გამსხვილებული ფესვი, იჭმება.

**ატლო:** 2. (ინგლ.) რგოლისებრი მარჯნის კუნძული, რომლის შუაშიც მოქცეულია ლაგუნა (ლაგუნა, — (იტალ.) წყალმცირე ყურე ან ტბა, რომელიც ზღვისაგან არის მოწყვეტილი).

**ატყდება:** 1. უცებ დაიწყება, განდება, შეიქ-

მნება, ამოვარდება; (საუბ.) ახურდება, დაგრილების დრო დაუდგება (საქონელს). უცერად ტანს აიყრის.

**ატყდება:** 2. მოულოდნელად თავს რაიმე უცემა.

**ატყდება:** 3. (ატყდა, ატეხილა) გატყდება ქვემოდან ზემოთ, — ამიტერევა. ტეხით ასტერება, ასცილდება რაიმე, — ამტერევა.

**აუ:** 1. შორისდებული, მწუხარების გამომხატველი.

**აუ:** 2. შორისდებული, აღტაცების, სიხარულის გამომხატველი.

**აუზი:** 1. (სპარს.) ხელოვნურად გაკეთებული თაღილია წყალსაცავი; (გეოგრ.) ტერიტორია, რომელიდანაც წყალი იკრებება ამა თუ იმ მიდინარეში (შენაკადებიდან), ტბაში, ზღვაში.

**აუზი:** 2. (იმერ.) საქონლის გაეის ნახევარი მხარე (ლ. ლეონ).

**აურა:** 1. მაგიაში ასტრალური სხეულის ზედაპირი ან თვით ეს სხეული; ითვლება ადამიანის სულისა და სულიერების გამოვლინებად.

**აურა:** 2. (კახ.) შორისდებული აღტაცებისა (გ. იმნ.).

**აურეც:** 1. არეც მისას ან მისთვის; არეც რამეში, რამესთან.

**აურეც:** 2. (უარგ.) შფოთს, აყალმაყალს ასტეხს (ლ. ბრეგ.).

**აურეც:** 3. (უარგ.) გაეარშიყება (ლ. ბრეგ.).

**აუტო:** 1. (ესპ.) რელიგიური ხასიათის ერთაქტიანი დრამა; იდგმება ქუჩებსა და მოედნებზე.

**აუტო:** 2. (ბერძ.) იგივეა, რაც „აეტო“, — სიტყვათა ნაწილი, რომელიც აღნიშნავს „თვით“, „თავისი“, „საკუთარი“.

**აუხსნის:** 1. ახსნის მისას, — აუშვებს მისას.

**აუხსნის:** 2. ახსნის მისთვის, — განუმარტავს, გასაგებს გაუხდის.

**ფაფანაკი:** 2. (ფშ.) ფაფანაკი, — ქალის ნაო-  
ჭიანი ზედა ცასაცმელი, ჩოხა, ქულაჯა.

**ფაფხი:** 1. (ფშ.) მიუვალი, კლდიანი ადგილი  
(გ. გოგატ).

**ფაფხი:** 2. (მოხ.) ბლინი, ტაგანში თხლად მო-  
ფუჭებული და შემდეგ ერბოში მოხრაკული (ი.  
ქაეთ).

**ფაფხური:** 1. თავის გამოდება, — ფახაფხი;  
ბაქიბუქი; (გურ., იმერ., ქართლ.) უხეირო ტრაბა-  
ხი (თ. რაზიკ).

**ფაფხური:** 2. წინეთის იმპერატორი (ზ. სარჯ).

**ფაქტი:** 1. რაც სინამდვილეში მოხდა; ნამ-  
დვილი, უტყველი; სინამდვილე; ესა თუ ის მო-  
ნაცემი, მასალა რაიმე დასკვნის გამოსატანად  
ან მოსაზრების დასადასტურებლად.

**ფაქტი:** 2. (ჟარგ.) ნარკოტიკი (ლ. ბრეჯ).

**ფაქტურა:** 1. (ლათ.) კედლის, ჭერის და სხვა  
არქიტექტურული ფორმის, ელემენტის და, აგ-  
რთვე. მხატვრული ნაწარმოების (ფერწერა, ქა-  
დაკება, გამოუქვებითი ხელოვნება და ა.შ.) ზე-  
დაპირის დამუშავების ხასიათი (თენგიზ კვირ-  
კველია).

**ფაქტურა:** 2. მუსიკალური გადმოცემის სა-  
შუალებათა ერთობლიობა (მელოდია, აკორ-  
დები, პოლიფონიური ხმები და სხვ.), რაც ქმნის  
ნაწარმოების ტექნიკურ წყობას.

**ფაქტურა:** 3. გასაყიდად გაგზავნილ საქო-  
ნელს დართული სია, რომელშიც აღნიშნულია  
საქონლის სახელწოდება, რაოდენობა, გასაყი-  
დი ფასი და სხვ.

**ფაშა:** 1. (გუდამაყ., მოხ.) მუცელნამოშეებუ-  
ლი, დიდმუცელა საქონელი; ფაშაჟაშა, მსუქან  
და სქელ ადამიანზე ითქმის (ი. გრიშაშ).

**ფაშა:** 2. უმადლესი სამხედრო ან სამოქალა-  
ქო წოდება ძველ ოსმალეთში, ეგვიპტესა და  
ზოგ სხვა მუსლიმანურ ქვეყანაში.

**ფაჩია:** 1. (ქიზიყ.) ფეხსაცმელი (ბაეშვის ენა-  
ზე) (ს. მენთეშ.).

**ფაჩია:** 2. (ქიზიყ.) ფერხიელი, — საქონლის  
ფეხის ტყავი.

**ფაჩუჩი:** 1. საშინაო თბილი, უქუსლო ფეხ-  
საცმელი; (ქიზიყ.) შინაური ფრინველის ფეხ-  
ზე შებმული ნიშანი.

**ფაჩუჩი:** 2. (თუშ.) იგივეა, რაც ფუნჯის ტარზე  
დამაგრებული ბაღნისა და ჯაგრის კონა რა-  
მის წასასმელად; ფუნჯი.

**ფაჩხატი:** 1. (ჯაგახ.) ძველი ცოცხი, მსხვილი  
ღეროები რომ დარჩება (ე. ბერ).

**ფაჩხატი:** 2. (ქართლ.) გაუნაყოფიერებელი,  
დაუპეკლავი ქათმის კვერცხი (თ. სალარ).

**ფაჩხატი:** 3. „შორიშორ წყობილი“ (საბა).

**ფაცხა:** 1. (გურ.) წნელით მოწნული უტყერ-  
უიატაკო, ისლით დახურული ქოხი (ე. ნინ).

**ფაცხა:** 2. (გურ.) ხალხური სიმღერაა ერ-  
თგვარი (გ. შარაშ).

**ფაცხა:** 3. ორკაპა რკინის საყრდენი (წის-  
ქელიში), რომელზედაც დაცმულია ბორბლის  
ფეხი.

**ფახავს:** 1. ხუჭავს თვალს, ახამხამებს.

**ფახავს:** 2. იგივეა, რაც აშინებს.

**ფახაცო:** 1. (ქიზიყ., გურ.) იგივეა, რაც ფაცახი.

– მსხვილბეწვა, ხმელი მატყლი.

**ფახაცია:** 2. (ფშ., ლეჩხ.) დაფარული შიში (მ. ალავე).

**ფახახი:** 1. (ქიზიყ.) თხელი რამე.

**ფახახი:** 2. (ფშ.) ღაბაბი.

**ფახვა:** 1. თვალის ხუჭვა (დ. ჩუბინ.), ხამხამი.

**ფახვა:** 2. შინება.

**ფახი:** 1. მოჩვენებითი გამგებლობა, რიხი.

**ფახი:** 2. ფიცრის ირიბად ათლილი ნაწილი (ქლქ).

**ფელიკი:** 1. ხერხემალზე სიგრძივ გაკვეთილი საკლავის თხელ ფერდზე გადანაჭრის ერთ-ერთი ნაწილი, – საკლავის მეოთხედი; (რაჭ.). დაკლული ღორის ნახევარი, სიგრძისად გაჭრილი (ი. ჭყონ).

**ფელიკი:** 2. „ქარვის ზღუდე“ (საბა).

**ფენა:** 1. გაშლა, დაგება.

**ფენა:** 2. ერთგვაროვანი ნივთიერების მასა, ზოლად გაშლილი სხვა ნივთიერებებს შორის და მათგან განსხვავებული, შრე.

**ფენი:** 1. (გერმ.) მძაფრი ქარი, რომელიც უბერავეს მთებიდან.

**ფენი:** 2. (ინგლ.) თმის გასაშრობი ელექტროენტილიატორი.

**ფენი:** 3. (ბერძ.) ორგანიზმის ნიშანი (თავისებურება), რომელიც გენებით არის განპირობებული.

**ფენიქსი:** 1. ცის სამხრეთ ნახევარსფეროს თანაერსკვლავედი.

**ფენიქსი:** 2. რვა ატოლისაგან შემდგარი არქიპელაგი წყნარ ოკეანეში.

**ფენიქსი:** 3. ზოგი ძველი ხალხის მითოლოგიაში: ფრინველი, რომელიც სიკვდილის მოახლოებისას თითქოს თავს იწვევს და კვლავ აღდგება თავისი ფერფლიდან, ცოცხლდება.

**ფერადი:** 1. რაიმე ფერის ან ფერების მქონე.

**ფერადი:** 2. ვაზის ჯიშში. გავრცელებული იყო ქართლში. ივანე ჯავახიშვილის ცნობით, დიდმტკენიანია, ასხია მრგვალი და მსხვილი მარცვალი. გადაკრავს მოყვითალო – მოშაო ფერი. (ფერი ქართულად მარტო ფერადს კა არ ნიშნავენ, არამედ კონკრეტულად წითელ ფერადაც იგულისხმება).

**ფერდა:** 1. იგივეა, რაც ფერდობი.

**ფერდა:** 2. „ალკაპი“ (საბა) – „საკრავის ფერდა“ (საბა).

**ფერდი:** 1. ადამიანის ან ცხოველის ნაწილი (მარჯვენა ან მარცხენა მხარე) ნეკნებიდან თქომდე; იგივეა, რა ფერდობი.

**ფერდი:** 2. (იმერ.) ჩონგურის მეოთხე სიმი, რომელსაც მოსამართავე რიკი გვერდზე აქვს (ბ. წერეთ.).

**ფერდი:** 3. (ქიზიყ.) ჩოხის, ახალუხის, კაბის ტანის გვერდი (ს. მენთეშ.).

**ფერდი:** 4. ნესტუფერდი, – ფილტვი (ი. აბ.).

**ფერი:** 1. მატერიალური სამყაროს ობიექტურობის ერთ-ერთი თვისება, რომელიც აღიქმება როგორც შეცნობილი მხედველობითი შერძინება.

**ფერი:** 2. კვარკებისა და გლიუონების მახასიათებელი კვანტური რიცხვი.

**ფერი:** 3. (თუშ., ხევსურ.) აღჩუ (კოჭაობაში) (ა. შან.).

**ფერი:** 4. წითელ ფერადაც იგულისხმება.

**ფერია:** 1. ზღაპრული გრძნეული ქალი. (გადატ.) ლამაზი, მომხიბვლელი, მომაჯადოებელი ქალი.

**ფერია:** 2. (კახ.) პატარძლის ყვავილი (ა. მაყ.).

**ფერმა:** 1. სამეურნეო საწარმო, სადაც მისდევენ სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ სპეციალურ დარგს.

**ფერმა:** 2. საინჟინრო ნაგებობის მზიდი ნაწილი, – შედგება ღერებისაგან, რომელთა ბოლოებიც მიმაგრებულია ერთმანეთთან.

**ფერო:** 1. „თეთრსა და შავს საშუალო“ (საბა), – რუხი.

**ფერო:** 2. ფეროშენადნობი.

**ფერობა:** 1. იგივეა, რაც ფერი, ფეროვნობა.

**ფერობა:** 2. ფერება, მოფერება, ალერსი.

**ფერულა:** 1. (ლათ.) სუბტროპიკული ბალახოვანი მცენარე ქოლგისებრთა იჯახისა.

**ფერულა:** 2. (ლათ.) წკეპლა, როზგი; სახაზაუი, რომლითაც ხელისგულზე ურტყამდნენ დამნაშავე მოსწავლეებს.

**ფერცხალი:** 1. „გვერდის წიბო“ (საბა), – ნეკნი.

**ფერცხალი:** 2. „მოქლონის ენა და მისთანათა ნაწყობთაგანი“ (საბა); საკეტის ენა.  
**ფერცხალი:** 3. (გურ.) ისარი (გ. შარაშ).

**ფესვა:** 1. ძირითადი ორგანო, რითაც მკენარე მიწაშია დამაგრებული და იქიდან იღებს საზრდოს; კბილის ნაწილი, რომელიც მოთაესებუ ღია ყბის ძვალში.

**ფესვა:** 2. იგივეა, რაც ფერსო, — ხის რკალი, ურმის თვალის სოლებზე ჩამოგებული.

**ფესვი:** 3. მათემატიკაში,  $n$ -ური ხარისხის ფესვი  $a$  რიცხვიდან ისეთი  $x$  რიცხვია, რომლის  $n$ -ური ხარისხი უდრის  $a$ -ს.

**ფესვი:** 4. გრძელი და ფართო კალთა სამოსლისა (ღ. ჩუბინ).

**ფესო:** 1. (ქართლ., ფშ., იმერ.) იგივეა, რაც ფესვი.

**ფესო:** 2. (იმერ.) ფერსო, — ხის რკალი, ურმის თვლის (ბორბლის) სოლებზე ჩამოგებული (ფერსოს ირგელივ რკინა ეკერის).

**ფეტისი:** 1. (ფრანგ.) უსულო საგანი, რომელსაც პირველყოფილი ტომები მიაწერდნენ ზებუნებრივ, მაგიურ ძალას და თავგანს სცემდნენ.

**ფეტისი:** 2. (გადატ.) ისეთი რამ, რაც ბრზად სწამთ, რასაც ეთაყვანებიან, აღმერთებენ.

**ფეშო:** 1. (მთიულ.) კარტოფილის ღერო (ღ. კაიშ).

**ფეშო:** 2. საკლავთ ცალი გვერდი, ჩანასხეპი (ნ. ჩუბინ).

**ფთა:** 1. (აჭარ.) ფრთა, ცალი (ა. ღლ.); (ქიზიყ.) ცულის საპირე გაკეთებამდე (ს. მენთეშ); (ქიზიყ.) ჯარის მორგეზე ჯვარდინად აფარებული ფიცრები (ს. მენთეშ); (ქიზიყ.) კეხის ბრტყელი ნაწილი, ცხენს რომ გვერდზე ედება (ს. მენთეშ); (ქიზიყ.) ბორბლის ფირფიტა, რომელსაც წყალი სცემს და ბორბალს ატრიალებს (ს. მენთეშ).

**ფთა:** 2. (გურ., იმერ., აჭარ.) მთა, აგარაკი, სააგარაკო ადგილი (ა. ღლ.).

**ფთხილი:** 1. ფრთხილი, ეინც ფხიზლად. ყურადღებით არის; მორიდებული; მოკრძალებული.

**ფთხილი:** 2. (რაჭ.) თხილი (ა. მაყ).

**ფი:** 1. გამოხატავს ზიზღს, ათვალისწუნებას,

დაწუნებას.

**ფი:** 2. (ინგლ.) საქონლის მუცლის ქონი და თხის ქონი (ნ. როსტ.).

**ფი:** 3. ბერძნული ანბანის ოცდამეერთე ასო.

**ფი:** 4. (ინგლ.) იგივეა, რაც ფეოლი, — მამული, ქონება.

**ფია:** 1. „უტუქური ჩეილი ბაეშეის შეკამალი“ (საბა); ბაეშეის საჭმელი თხელი ფაფა.

**ფია:** 2. (იმერ.) ნატკენი, ტკივილი (ბაეშეის ენაზე).

**ფია:** 3. ძალის გასარეკი, შესაშინებელი.

**ფიალა:** 1. პირგაშლილი, დაბალი სასმისი; (ქიზიყ.) სამინდე ჭურჭელი, რომლითაც მწვის-ქვილე მინდს იღებს (ს. მენთეშ); (მთიულ.) ნაღების მოსახდელი პატარა ხის ჯამი (ღ. კაიშ).

**ფიალა:** 2. ცის სამხრეთ ნახევარსფეროს თანაეარსკელაველი.

**ფიალი:** 1. „ტაშტი“ (საბა).

**ფიალი:** 2. (ფრანგ.) პინაკლების, წვეტურების, კონტრფორსების დეკორაციული დაგვირგვინება, — ჯვარედი ყუველით შემკული წვეტი.

**ფიალი:** 3. იგივეა, რაც ფიალა.

**ფითილა:** 1. „ბამბის წნული თოფისათვის“ (საბა). ბამბის პატრუქი.

**ფითილა:** 2. (რაჭ. ცაცხვის თხელი ფირფიტა (შ. ძიძ).

**ფილა:** 1. ბრტყელი ნატერი ქვისა, თიხისა, ღლითონისა.

**ფილა:** 2. (ქიზიყ.) ხის სადგამი, რაშიც ქვეურის ქუსლს ამაგრებენ ხელოსნები.

**ფილა:** 3. (იმერ.) შეცლომა ბაეშეთა თამაშის დროს (ე. ბერ).

**ფილა:** 4. როლინი.

**ფილაკვანი:** 1. ქვის სატყორცნი ციხის სანგრევი სამხედრო მანქანა.

**ფილაკვანი:** 2. ვარხვი, — წყლის გრძელის-კარტიანი დიდი ფრინველი.

**ფილე:** 1. (ფრანგ.) ფრინველის ხორცის ან თევზის ნატერი, რომელსაც ძელები აქვს გამოცლილი.

**ფილე:** 2. (ბერძნ.) ძველ საბერძნეთში: ტომი, რომელიც სამი ფრატრისაგან (ერთი პირვანდელი გეარისაგან წარმოშობილი რამდენიმე

გეარის გაერთიანება ტომის ფარგლებში შედგებოდა.

**ფილე:** 3. (ფრანგ.) ბაღეზე ნაქარგი; ბადისებური ნაქსოვი.

**ფილე:** 4. სუკი.

**ფილთა:** 1. (გურ., იმერ., ლეჩხ.) საფანტიანი თოფი (ა. ღლ., მ. ჩიქ.).

**ფილთა:** 2. ჭრაქის პატრუქი.

**ფილთა:** 3. (ქიზიყ.) სატამპონედ დაგრეხილი და გასანთლული ძაფი, იარაში დებენ, რომ იარაში პირი არ შეიკრას (ს. მენთეშ., დ. ჩუბინ., ნ. ჩუბინ.).

**ფილთა:** 4. (ქიზიყ.) მჭურჭლეობაში სახმარი თიხის გუნდა (დაზგაზე აგორებენ და ლულასავით გახდიან) (ს. მენთეშ.).

**ფილი:** 1. ხის ჭურჭელი რამის დასანაყაყად, როდინი; „ტაშტი, ხელის საბანი“ (საბა).

**ფილი:** 2. (ქე. იმერ.) ღორის ქონის კვერეული, წვეის ზემოთ მოგდებული.

**ფილი:** 3. (აჭარ.) სპილო (ნ. გურგ.).

**ფილი:** 4. „სანთლის კვერეული, სანთლის ყურსი“ (საბა).

**ფინა:** 1. (ფშ.) იგივეა, რაც ფინია, — პატარა ძაღლი, გოშია.

**ფინა:** 2. თასმაჭიების ჩანასახი, ჩვეულებრივ, ცხოველთა კუნთებში ცხოვრობს.

**ფინა:** 3. 10 ოყა ან 3 ქილა (დ. ჩუბინ.).

**ფინა:** 4. (ლეჩხ.) ურმის ნაწილია (გ. ჩიქ.).

**ფინი:** 1. ზოდი, ჭალი; (ქე. იმერ.) შუაზე განახერხი მორი, ძელის სქელი ნაგვერდული.

**ფინი:** 2. (ქიზიყ.) ფეხსაცმლის დასაკერებელი სადგისი.

**ფინი:** 3. (ზ. აჭარ.) იატაკი (შ. ნიჟარ.).

**ფინი:** 4. ზღვის არწივი (ი. აბ.).

**ფირი:** 1. ხმის ჩასაწერი და სურათის გადასაღები აფსკი.

**ფირი:** 2. ამქრის დროშაზე გამოხატული ემბლემა; ამა თუ იმ ხელობის მფარველად აღიარებული ბიბლიური პიროვნება.

**ფირმა:** 1. საეპტრო ან სამრეწველო საწარმო; ასეთი საწარმოს სახელწოდება.

**ფირმა:** 2. (ზ. იმერ.) ფერმა (ქ. ძოწ.).

**ფირმენი:** 1. საეპტრო ან სამრეწველო საწარმოს ხელმძღვანელი; საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელი.

**ფირმენი:** 2. (ჟარგ.) უცხოური.

**ფირუზი:** 1. (სპარს.) მინერალი, შედგენილი ალუმინისა და სილიციუმის წყლის ფოსფატიო რკინისა და ცინკის მინარეგებით.

**ფირუზი:** 2. (ირან.) სინათლით საესე, ნათელი.

**ფისტულა:** 1. (მედიც.) მიღისებური ნახერტი, რომელიც დაავადებული ორგანოდან გამოდის გარეთ; ხელოვნურად გაკეთებული საღინარი მილი, რომელიც დაავადებულ შინაგან ორგანოს აერთებს სხეულის ზედაპირთან.

**ფისტულა:** 2. (მუს.) ფალცეტი, — განსაკუთრებული ტემბრის მაღალი, რბილი და მსუბუქი ხმა; ასეთი ხმის გამოცემის უნარი და მღერის მანერა.

**ფისტულა:** 3. სალამური, სტვირი.

**ფიტა:** 1. თაფლის ჩენჩო ან გადაუმდნარი სანთლის ნაძირალი (დ. ჩუბინ.).

**ფიტა:** 2. ხის ქერქი (დ. ჩუბინ.).

**ფიტა:** 3. (ლეჩხ.) მშრალი, გამხდარი რამ (მ. აღლავე).

**ფიტა:** 4. (ქართლ.) ბარაქა (ქეგლ.).

**ფიტა:** 5. (ქიზიყ.) ჭენჭი, ხორცცხიმიანობა (ს. მენთეშ.).

**ფიფია:** 1. (იმერ.) ცუდი, გლახა, ფინთი (ე. ბერ.).

**ფიფია:** 2. (ქართლ.) წენიანი საჭმელი, ღობიო (კირ.).

**ფიფინა:** 1. ბრინჯის ფაფა (დ. ჩუბინ.); (რაჭ.) თხელი ფაფა; (იმერ.) პურის ფქვილი, წყალში გაქნილი საწებადად.

**ფიფინა:** 2. ჩვილი ბავშვის გასართობი სათამაშო, — ჩხარუნა, ჟღარუნა.

**ფიფინაკი:** 1. (ზ. იმერ., ზ. რაჭ.) ფაფანაკი.

**ფიფინაკი:** 2. (იმერ.) იგივეა, რაც ფიფინა, ბრინჯის ფაფა.

**ფიფქვა:** 1. ფიფქად თოვა; ფიფქის ყრა.

**ფიფქვა:** 2. (ზ. იმერ.) საპონსა და ცხელ წყალში გამოხარშვა ნაროთსა.

**ფიფქი:** 1. თოვლის კრისტალი; ახალმოსული მშრალი, დაუმჯდარი თოვლი.

**ფიფქი:** 2. (ზ. იმერ.) „ფიფქი ძაფი“, — ნაცარტულტაში ან საპნიან მღულარეში გამოხარშული აბრეშუმის ძაფი.



**ფიცარა:** 1. (კინი.) პატარა ფიკარი.

**ფიცარა:** 2. (ხეეს.) ორფხიანი ქერი (ს. მაკალ.).

**ფიცარი:** 1. ორივე მხრით ბრტყელი ხის ნაჭერი, ჩვეულებრივ მორის სიგრძეზე ნამონაჭერი; დიდი ფირფიტა. ლითონის, ქვისა და ა.შ. ბრტყელი ნაჭერი.

**ფიცარი:** 2. თორმეტსტრიქონიანი ღექსი (ასეთი ტიპის განმარტებული ღექსი მიუძღვნა თულორე და თეოფანე აღმსარებლებს, იმ მიზეზით, რომ ისინი მართალ სარწმუნოებას მისდევდნენ. ეს საგინებელი იამბიკო წაუწერიათ თულორე და თეოფანე აღმსარებელთა პირსახეზე, საჩხელეუტი იარაღით, — სადგისით.

**ფიწალი:** 1. „თითებიანი ნინაბი“ (საბა); ბზის გასანიავებელი სასოფლო-სამეურნეო იარაღი; ორთითა, — თივის ასაღები (ს. უდ.).

**ფიწალი:** 2. (თუშ.) ღვთის შვილი; თუშეთში ბატონად ახსენებენ.

**ფლანი:** 1. (ქე.) ვინმე, მიაჩნია.

**ფლანი:** 2. (ქიზიყ.) „ფლანი და ფსტანი“ სიტყვის მასალაა (ს. მენტეშ.).

**ფლაფნა:** 1. „უებილოს ლაპარაკი“ (საბა), — ნიფიფი (დ. ჩუბინ.).

**ფლაფნა:** 2. (ქიზიყ.) ბოშად, საკმაოდ შეუგრესხავად რთვა (ს. მენტეშ.).

**ფლუსი:** 1. ძვლისაზრდელას ჩირქოვანი სიმსიწე, გამოწვეული კბილების დაეადებით.

**ფლუსი:** 2. ნივთიერება, რომელსაც მადანს უმატებენ ღნობის დროს, ღნობის დასამქარებლად და ადვილად ღნობადი წიდის წარმოსაქმნელად; მღნობი.

**ფობი:** 1. (ინგლ.) გარესაეატრო ხელშეკრულების სახეობა, რომელიც უკავშირდება ტვირთების გადატანას.

**ფობი:** 2. (ბერძ.) შიში, ღვრტიენვა.

**ფოთინი:** 1. ფათური.

**ფოთინი:** 2. (სპ.) ფეხსაცმელი (ნ. ბურგ.).

**ფოკუსი:** 1. გარდატეხილი ან არკველილი სხივების გადაკეთის წერტილი; ობიექტივის ისეთი მდგომარეობა, როდესაც საგანი მახსობალურად მკაფიო გამოსახულებას იძლევა; მრუდებში არსებული მუდმივი წერტილი, რომელსაც აქვს განსაკუთრებული თვისებები.

**ფოკუსი:** 2. ტრიუკი მაყურებლის განსაცვიფრებლად.

**ფოლი:** 1. (იმერ., გურ.) იგივეა, რაც სლიქი.

**ფოლი:** 2. (კახ.) ერთჯერობა განეწილი მატყლი, — ქაბალა; (ფშ., ხეეს., ერწ.) დანეწილი მატყლი, ერთად შეკრული, ერთმანეთსე გადაბმულ-გადახვეული.

**ფოლი:** 3. იგივეა, რაც ფული (საბა); სპილენძის ფული, რომელიც პირველად ლიოკლქტიანეს დროს მოიჭრა (284-305 წწ.) (აქ. შანიძე).

**ფოლი:** 4. იგივეა, რაც ტლაპო.

**ფოლი:** 5. (მოხ.) ერთგვარი მორეხო ყვაეილი, ხმარობენ საღებავად (ი. ქაეთ.).

**ფოლი:** 6. (ინგლ.) კალათბურთში: პერსონალური შეცდომა; შეხბურთში: უხეში თამაში, აკრძალული ილუსი (მ. ჭაბ.).

**ფოლი:** 7. საკონიაკე ღვინომასალის მომცემი ჯიშია და გავრცელებულია ჩრდილოეთ იტალიაში.

**ფოლიო:** 1. ბალახოვანი მცენარეები.

**ფოლიო:** 2. ერთი და იმავე ნომრის მქონე ორი გვერდი (მარცხენა და მარჯვენა) საანგარიშო წიგნისა.

**ფოლიო:** 3. (სტამბ.) შუაზე გაკეცილი ქაღალდის ფურცლის ფორმატის მქონე გამოცემა, — ინფოლიო.

**ფოლორცა:** 1. ქუჩა, შუკა.

**ფოლორცა:** 2. მწირი, სახნავად უვარგისი მიწა.

**ფოლორცა:** 3. (ქართლ.) ატალახებული გზა; ღრმა ტალახი.

**ფოლორცა:** 4. (ქართლ.) მსუბუქი ყოფაქცევის ქალი (კირ.); სახელგატეხილი, ზნედაცემული; ფლიდი, ფარისეველი, პირმოთრე.

**ფოლორცა:** 5. შუაბაზარი, ანუ მეიღანი (ნ. ჩუბინ.).

**ფოლორცა:** 6. (ს. იმერ.) განებიერებული ბაეში.

**ფონი:** 1. მდინარეში გასავეული ადგილი, სადაც წყალი თხელია და ნელი.

**ფონი:** 2. (ქე.) ჩქერი.

**ფონი:** 3. სახეით ხელოვნებაში: საფუძვლად გამოყენებული ტონი, ფერი ან საერთო ზედაპირი, რომელზედაც დახატულია სურათი; გარემოცვა, გარემო პირობები, ვითარება; რისამე (მაგ. შენობის, ქანდაკების) უკან არსებული სიერცე.

**ფონი:** 4. (ბერძ.) ხმის სიმაღლის დონის ერთეული (მ. ჰაბ.); (ბერძ.) ბგერის ხმაიმაღლობის დონის ერთეული.

**ფორა:** 1. (იტ.) ძლიერი მოთამაშისაგან სუსტისათვის წინასწარ მიცემული ქულუბის ან სელების გარკვეული რაოდენობა.

**ფორა:** 2. იგივეა, რაც „ბის“ (გამოდი, გაიმეორე).

**ფორა:** 3. (გურ.) წაგება (ა. ღლა).

**ფორი:** 1. (იმერ., გურ., რაჭ., ღმწხ.) იგივეა, რაც ობი; (თუშ.) ალაო.

**ფორი:** 2. „მოედანი“ (საბა).

**ფორი:** 3. ნასერეტი, რომლითაც საოფლე ჯირკვლები კანის ზედაპირზე გამოდის; ნიუთიერების ნაწილაკებს შორის არსებული სიცარიელე; სერეტი.

**ფორი:** 4. (ხევსურ., ფშ.) დამბალი საღულდე ქერი ან სიმინდი, მზეზე დაყრილი და ელორტებგამოღებული (ა. შანი); ალაო.

**ფორი:** 1. „ვეგი ამოდრუტენილი“ (საბა); ნახერეტი, ღრუ (დ. ჩუბინ).

**ფორი:** 2. ფორი, — „მეედანი“ (საბა).

**ფორტუნა:** 1. (ლათ.) ბედნიერი შემთხვევა, იღბალი. ბედნიერების, შემთხვევის, წარმატების ღვთაება,

**ფორტუნა:** 2. უნგრული ზომიერად ტკბილი ცქრიალა ღვინო.

**ფოსტა:** 1. სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც აწარმოებს კორესპოდენციების, ამანათებისა და მისთანათა გაგზავნა-გამოგზავნას დანიშნულების ადგილას, ადრესატისათვის გზაენიღებათა ჩაბარებას; საფოსტო განყოფილება.

**ფოსტა:** 2. (ქარგ.) ფსონი აზარტულ თამაშში (ლ. ბრეგ).

**ფოფხი:** 1. „ერთგვარი ნამცხვარი“ (საბა); ხეული ქადა (დ. ჩუბინ); (მოხ.) კერბოში მომწვეარი პურის ხაში.

**ფოფხი:** 2. (ქართლ.) ფოფხი ადგილი, — ფოფხით ასახელული ადგილი.

**ფოცხვი:** 1. (ფშ.) კაპებიანი სარევი ფაფულის გასაქნელად.

**ფოცხვი:** 2. იგივეა, რაც ჭარო, — „ქორს(ა) ჰგავს, ხეზე ჯდების, თევზს ამოიტაცებს წყლით და სჭამს“ (საბა).

**ფოცხვი:** 3. (რაჭ.) ყურძნისაგან გაცლილი მტკეპანი.

**ფოცხვი:** 4. (ხევსურ., ფშ., თუშ.) ისრის წვერი (ა. შანი).

**ფოხი:** 1. (იმერ.) მოგონება (ე. ბერ).

**ფოხი:** 2. (გურ.) ორთითა (ა. რობაქ).

**ფრანგვა:** 1. (ქიზიყ.) კარგად, აღმასივით ჭრა (ს. მენთეშ).

**ფრანგვა:** 2. (გურ.) აქა-იქ გაღუნვა.

**ფრანგულა:** 1. (ქართლ.) ვაზის ჯიში ერთგვარი (ა. ღლა).

**ფრანგულა:** 2. (გურ.) აბრეშუმის ჭიის იტალიური ჯიში (გ. შარაშ).

**ფრანგულა:** 3. (გურ.) მსხლის ჯიში (ლ. თავართქილაძე).

**ფრანგული:** 1. ფრანგებთან და საფრანგეთთან დაკავშირებული.

**ფრანგული:** 2. სანათური; ჭერში დატანებული ფანჯარა.

**ფრანგული:** 3. ხმალია ერთგვარი.

**ფრანკი:** 1. (ფრანგ.) საფრანგეთის, ბელგიის, შვეიცარიის, ლუქსენბურგისა და მონაკოს ფულის ერთეული.

**ფრანკი:** 2. ევროპელი, ყველა რჯულის ევროპელი.

**ფრახი:** 1. (ღმწხ.) მესამე ქალი (მ. ჩიქ).

**ფრახი:** 2. (ქართლ.) გაუმაძღარი, მეტად ხარბი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

**ფრახი:** 3. (კახ.) ღორი, რომელიც არ მკვდება (ლ. ლეონ).

**ფრახი:** 4. ღუნე (ე. ბარნოვი).

**ფრე:** 1. სპორტული შეხვედრის ისეთი შედეგი, როდესაც არც ერთი მხარე არ არის ძღუული.

**ფრე:** 2. „წყარო ჭისა“ (საბა); „წყარო“ (საბა).

**ფრიადი:** 1. მოსწავლეთა ცოდნის შეფასების უმაღლესი ნიშანი, — ხუთიანი.

**ფრიადი:** 2. (ძე.) ბეერი, მრავალი; დიდი, ძლიერი.

**ფრიალო:** 1. შევეული რამ (კლდე და მისთ.), ციცაბო; შევეულად ამართული რამ.

**ფრიალო:** 2. იგივეა, რაც ფრიალა, — ბავშვის სათამაშო, — ჯოხზე დამაგრებული ვარსკვლავი

ვით გამოტრილი და წვერებში მოღუნული ქაღალდები, რომლებიც ქარში ბრუნავს.

**ფრაიქი:** 1. (ქართლ.) გაჯიუტება, გაეკრაება, გაჯიქება (შ. ძიმ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

**ფრაიქი:** 2. (ლენხ.) მსატე ნივთი (მ. ალაფ.).

**ფრჩხილა:** 1. (თუშ.) თვალის ავადმყოფობა.

**ფრჩხილა:** 2. ანანა ურმის კავიანი ხე, რომლითაც ურეში უღელს უერთდება (ი. ჭყონ.).

**ფრჩხილი:** 1. რქოვანი წანაზარდი თითის წერზე; „არს კაცის თითისა რქანი“ (საბა);

**ფრჩხილი:** 2. პატოსანი. ქვა, აყიყი, ონიქსი (დ. ჩუბინ.); აქატი (კ. დან.).

**ფრჩხილი:** 3. „თვალში რამ მცირე თეთრი შუვა ტკივილითა“ (საბა); ბისტი, მცირე თეთრი, ხეღვის მადრკოლებელი (ნ. ჩუბინ.).

**ფრჩხილი:** 4. მსხლის მსგავსი ხე, რომელიც ფრჩხილის მსგავს სურნელოვან ნაყოფს ისხამს. „ესე არს მსგავსი სხლის ხისა და ნაყოფთა ფრჩხილის მსგავსსა მოისხამს ფრიად სუნელსა“. (საბა).

**ფრჩხილი:** 5. შოთის პურის თხელი მხარე.

**ფრჩხილი:** 6. ერთ-ერთი გრაფიკული ნიშანი ან მათემატიკური ნიშანი, — შეყული ხაზი (სწორი, ბოლომოხრილი, ფიგურული). მართლწერაში გარემორთხმული (ნ. ჩუბინ.).

**ფსვენე:** 1. ბაბაჭუა, ობობა (ნ. ჩუბინ.).

**ფსვენე:** 2. პატარა, ხელიკისებური ქვეწარმავალი.

**ფსიადი:** 1. თასი (ი. აბ.).

**ფსიადი:** 2. ჭიღობი (ი. აბ.).

**ფსიტი:** 1. (ფშ., მოხ., თიან., მთიულ., გუდამაქრ., ქიზიყ.) არჩვი, გარეული თხა (ი. ქეშიკ., ო. ქაჯ., ე. ეირს.).

**ფსიტი:** 2. (ქართლ.) სწორი და თხელი თმა (ლ. ნოზ.).

**ფსკა:** 1. (გურ.) სკა, ფუტკარი (ა. ღლა.).

**ფსკა:** 2. დამდგარი წყლის ზედაპირზე მოდებული მწვანე ლორწოსებრი მასა.

**ფსლიკი:** 1. (ქსნის ხ.) ხელიკი (ე. სომხიშ.).

**ფსლიკი:** 2. (გურ.) ბავშვის ნაფსამი საწოლში (ა. სიხ.).

**ფსონი:** 1. მონაწილეთა მიერ თანაბრად გაღებული ხარჯით გამართული ნადიმი; (გურ.)

წილი, საერთო ქონების ნაწილი.

**ფსონი:** 2. ბანქოს ზოგიერთ თამაშში, — ბოლოს ასაყვანად დარჩენილი ქაღალდი.

**ფსონი:** 3. (გურ.) ანდერძი, დანაბარები, გულის ნადები.

**ფუ:** 1. „სიტყვა სანერწყველი“ (საბა); გამოფუროხებისას გამოცემული ხმის აღმნიშვნელი სიტყვა, გამოხატავს ზისღს, რისამე დაწუნებას, საყვედურს, უკმაყოფილებას, წყენას, გოკიცხვას, შერცხვენას.

**ფუ:** 2. (გურ.) ბურბუშულა, — ბალახია (ა. მაყ.); (მცენ.) ბაბუსაგზალა, ბაბუა (დ. ჩუბინ.).

**ფუ:** 3. (მინ.) მინური ლიტერატურის ჟანრი; მცირე ზომის პოემა.

**ფუა:** 1. იგივეა, რაც ფია, — „უძუძური, ჩვილის შეჭამადი“ (საბა).

**ფუა:** 2. (იმერ.) ბავშვის ენით ნატკენი (ტკივილი).

**ფუა:** 3. (ქართლ.) სენი (ი. ჭყონ.).

**ფუა:** 4. (ხევს.) ცეცხლი (ბავშვის ენით) (ა. ჭინჭარ.).

**ფუგა:** 1. (გერ.) ნაკერი ფიცრების შორის, რომლებიც მჭიდროდ არის მიდებული ერთმანეთს.

**ფუგა:** 2. (იტ.) პოლიფონიური მუსიკის რთული ფორმა; ემყარება თემის მრავალჯერად თანმიმდევრულ გაიმეორებას.

**ფუთა:** 1. (ქართლ.) ხილის ვაჭრის წინსაფარი (შ. ძიმ., ნ. კეცხ.).

**ფუთა:** 2. (გურ.) ფოტა, შეკვრა ნივთებისა.

**ფუთი:** 1. წონს სასოში ერთეული, უდრის 163 კგ-ს.

**ფუთი:** 2. ვულკანის, ცეცხლის, დუღილის ღეთაობა.

**ფუთლუხი:** 1. (მთიულ.) წყალში ან რქეში თხლად მოხარშული სიმინდის ან პურის ფქვილი, რომელსაც ერბოში მოღალულ ხახვს უმატებენ (ლ. კაიშ.).

**ფუთლუხი:** 2. (ქიზიყ., ქართლ., ფშ., ხევსურ.) უხეირო, უნდელი, არა საქმის კაცი, მკეცხარაც შეიძლება იყოს (ს. მერაუშ.); დონდლო, ლაყვ, ბოთე, ღოყლაპია.

**ფუთფუთა:** 1. რაც ფუთფუთებს, ფუთფუთით მოძრავი (მატლები, აღამიანები, ცხოველები).

**ფუთფუთა:** 2. სინამაქის ფოთოლი, კასიას

(მრავალწლოვანი ბალახის) გვირის ზოგიერთი სახეობის ფოთოლაკები, რომელსაც ხშირბუნ მელდინაში.

**ფუტა: 1.** „ესე არს ხეთაგან ნათალი; ტაბაკი, სიფლი, როგო, თეფში, პინა, კოკა და რაიცა ძელთაგან ჭურჭელია“ (საბა).

**ფუტა: 2.** შაშის თამაშის დროს: ჯარიმის სახით მოწინააღმდეგის ქვის აყვანა.

**ფუტა: 3.** „ფუტკრის სახლი. წნელით წნულსა ეწოდების სკა“ (საბა).

**ფული: 1.** ლითონის ან ქაღალდის ნიშანი, რომელიც წარმოადგენს ღირებულების საზომს ყიდვა-გაყიდვისას.

**ფული: 2.** (ქიზიყ.) ნალბანდის იარაღი (იხ. გული) (ს. მენთეშ).

**ფული: 3.** (ჰან.) წიწილი, ჭურჭელი.

**ფული: 4.** (ძე.) ნახევარკაპიკიანი.

**ფუმფულა: 1.** ძალიან რბილი, ფაფუკი.

**ფუმფულა: 2.** „მწერთა და ბუთთა მართე“ (საბა).

**ფუმფულა: 3.** (გურ.) დამწიფებელი, მოშუშებული მუწუკი (მ., ქ., თ. სიხარულიძეები, გოგოლეისუბანი).

**ფუნდრუკი: 1.** ხტუნვა, კუნტრუში; თამაში.

**ფუნდრუკი: 2.** „ფუნდრუკი“ (საბა), დიდ გზაზე გამართული სასტუმრო მგზავრების დასასვენებლად, ღამის გასათეუად.

**ფუნთუშა: 1.** ხორბლის თეთრი ფქვილის ნამცხვარი; ერთგვარი პატარა პური; იგივეა, რაც ფუნჩულა.

**ფუნთუშა: 2.** (მოხ.) ხორხოშელა; (კახ., რაჭ., იმერ.) კატბუქუ; (ლენხ.) თეთრი კინწა.

**ფუნჯი: 1.** ტარზე დაგებული ბალნისა და ჯაგრის კონა რისამე წასასმელად; ფოსი ან ბოჭკო (ნ. ჩუბინ.).

**ფუნჯი: 2.** პუნში, აღუღებენ რომისაგან, რომელსაც ურევენ წყალს, შაქარს, ჩაისა და ლიმონს ან სხვა ხილის წვენს; თბილი წყალი რომით (დ. ჩუბინ.).

**ფურჩი: 1.** ღაზური ნავის შესადები, რომელიც ხის ტარზე წამოკმულ ცხვრის ტყაეისაგან დამზადებულ საგანს წარმოადგენს (ზ. კუტაღ.).

**ფურჩი: 2.** (ქიზიყ.) ქარისაგან ნარყვეი ხის ნაპობი; აგრ. კე რკინას თუ გამოკვერვაში

ნაკეცი შუკვეა, იტყვიან ფურჩი აქვსო (ს. მენტეშ.); „ილეკროს (ლითონს) შუა ნაკეცი რომ დაჰყვება“ (საბა).

**ფუსფუსა: 1.** მოუსვენრად მოძრაი და ისე საქმიანი.

**ფუსფუსა: 2.** (გურ.) ქათმის მიგნე მწერია, წერილი, ფრთებიანი (გ. შარაშ).

**ფუსფუსა: 3.** (გურ.) ბურბუშელა, მცენარე (ა. მაც.).

**ფუტა: 1.** (მთიულ.) ფუთა, შეკერა, ქსოვილში შეკრული ფარსა ან სხვა რამ.

**ფუტა: 2.** (ჯავახ.) მამაკაცის მეტსახელი (გრ. ბერ.).

**ფუტა: 3.** (ჯავახ.) ბატი (გრ. ბერ.).

**ფუტი: 1.** „აეი კვამლი“ (საბა); (გურ.) ბოლი, კვამლი.

**ფუტი: 2.** „ხის ქერქი ანაძრობი დიდი“ (საბა); (იმერ.) ხის ქერქის ღარი; (იმერ.) ფუტურო, ფულურო, გამხმარი ხე.

**ფუტი: 3.** სიგრძის საზომი ინგლისური ერთეული უდრის 12 დიუმს (ე.ი. 30,5 სმ-ს). ერთეული. დაახლოებით გოჯი (დაეით ჩუბინაშვილი).

**ფუტი: 4.** მკედარი ქსოვილების კომპლექსი, წარმოიქმნება მცენარის ღეროს ან ფესვის ზედაპირზე (ი. ლანაშ).

**ფუტი: 5.** ბრჭყალი (გიორგი მონაზონი).

**ფუტი: 6.** (იმერ.) ძალიან გამხდარი ქათამი.

**ფუტი: 7.** კოლხთა უძველესი სახელწოდება მახლობელ აღმოსავლეთში ძვ.წ.ა. XVI საუკუნეში (აგიორგი).

**ფუტი: 8.** (კოლხ.) ფასიანე, — ასტრალური ქალღმერთი.

**ფუტი: 9.** (ძე.) ღეთის წიგნი (ბერძ. ბიბლია).

**ფუფალა: 1.** აკაცია, პალმა (რ. სურამ).

**ფუფალა: 2.** უფალი, ღმერთი (ბავშვის ენით).

**ფუფულა: 1.** (გურ.) ფუფუა, — (ქართლ. კახ.) ტიკილი, სატყეივარი, ნატყენი (ბავშვის ენით).

**ფუფულა: 2.** გართხმული მუწუკი (დ. ჩუბინ.).

**ფუფულა: 3.** მცენარე (დ. ჩუბინ.).

**ფუფუნებს: 1.** იგივეა, რაც ფუთოფუთებს.

**ფუფუნებს: 2.** ფუფუნებაში, განცხრომაში; ნებბერობს, ნეტარებს.

**ფუშვა: 1.** „მოშლა“ (საბა); წეწვა, რევა, შლა.

**ფუშვა:** 2. (იმერ.) სატრელი იარაღის ნაცემა, ტაკება (მუცელში).

**ფუში:** 1. (აჭარ., გურ.) ფაში (შ. ძიძ., შ. ნიქარ.).  
**ფუში:** 2. (ჯავახ.) თიაქარი, ავადმყოფობა (გრ. ბერ.); ქუში (ცხენისთვის).

**ფუნფუნა:** 1. (ქართლ.) იგივეა, რაც ფუნფუნი, – რბილი, ფაფუკი, ფუნჩულა.  
**ფუნფუნა:** 2. ერთწლოვანი მცენარე რთულ-ყვავილოვანთა ოჯახიდან.

**ფუნფუნი:** 1. (ქართლ.) რბილი, ფაფუკი, ფუნჩულა.  
**ფუნფუნი:** 2. (კახ.) ნიფნიფი.

**ფუცუნი:** 1. (თუშ., ფშ.) ფუსფუსი; ფაცაფუცი.  
**ფუცუნი:** 2. „ქვანი დაბზარული“ (საბა).

**ფუჭი:** 1. უგულო, ჭიანი (კაკალი და მისთ.); ცარიელი; ტყუილ-უბრალო, უნაყოფო, უშინა-არსო, უქმი.  
**ფუჭი:** 2. (აჭარ.) ფიჭა უთაფლოდ (ა. ჯაჯანი).

**ფშანი:** 1. (ჯავახ.) კლდეებიდან გამოსული, ბალახით დაფარული პატარა წყაროები (ეაჟა, საბა).  
**ფშანი:** 2. ხის ფესვებიდან ახლად ამოყრილი მცენარე; ფესვით ამოსული ნერგი.

**ფშეიერი:** 1. „მშრალი, წერილი... მიწა“ (საბა); უხეიერი.  
**ფშეიერი:** 2. რაც ფშეის, სურნელებას აფრქვევს.

**ფშტიერი:** 1. (გურ.) სიმღერის ხმაა ერთგვარი (გ. შარაშ.).  
**ფშტიერი:** 2. კოდიანი წისქვილის მილი, რომლისგანაც ბორბალს წყალი ესხმება (ს. ჟღ.).

**ფშუკე:** 1. ორღობე (რ. ვერ; გ. მეგრ.)  
**ფშუკე:** 2. იგივეა, რაც ფშუკურა (გურ.) (კარიული, უეარგისი (თხილი, ნიგოზი...), (ა. სიხ.).

**ფხანა:** 1. სახელი ჰფხანს, იფხანს ზმნათა მოქმედებისა.  
**ფხანა:** 2. მუნი (ი. აბ.).

**ფხაჭა:** 1. „ფხაჭას გააღენს“, – ერთბაშად მოსწყდება ადგილს და სწრაფად გაეჭანება, მოკურცხლაგს.  
**ფხაჭა:** 2. „თეუზო ლაყუზო ასო(ნი) ხერხებრი-

ვი“ (საბა).

**ფხეჭი:** 1. (გურ., მესხ.) კაკლის, თხილის, ნუშის, კვერცხისა და მისთ. გარსი, ნაჭუჭი, ქერკტი (ი. მაისურ.).

**ფხეჭი:** 2. გამხდარი ადამიანი, რომელიც არ სუქდება.

**ფხიჭო:** 1. „ზურგმწვანე ჭუა“ (საბა); ნეხვის ჭია.  
**ფხიჭო:** 2. (იმერ.) უხორცო, ხორცშუშხმელი, ხიოჭი; გამხდარი.

**ფხოველი:** 1. (ქართლ., ლეჩხ.) ფხიანი, ძალიან ყონალი, მარჯვე (თ. რაიიკ.). მამაცი (გ. ალაუ).  
**ფხოველი:** 2. (ქართლ.) ჭკვიან, გამჭრიახ და ენამეტყველ კაცზე იტყვიან (გ. შატბერ.).  
**ფხოველი:** 3. (ძე.) ფხოვის (დღევანდელი ფშავ-ხევსურეთის) მკვიდრი.

**ფხოწი:** 1. (ზ. იმერ.) წყლისაგან ჩამორეცხილი ფერდობი (ქ. ძოწ.).  
**ფხოწი:** 2. (ზ. იმერ.) მარდი, დაუსარელი (ქ. ძოწ.).

## ქ

**ქა:** 1. (შემოკლ.) ქალო.  
**ქა:** 2. (გურ., მეგრ.) რქა (მ. ჯანაშ., ა. ლღ.).

**ქაბაბი:** 1. დაკეპილი ხორცი, მოგრძო გუნდებად შემწვარი, ხახვითა და სახელებლებით შეკაზმული.  
**ქაბაბი:** 2. თამამი, დოყებიანი მცენარე (ქლღ).  
**ქაბაბი:** 3. „ფუნთუში“ (საბა).

**ქადა:** 1. ნამცხვარი, რომელსაც გულად აქვს ცხიმში ასერმილი მოხალეული ფქვილი.  
**ქადა:** 2. ამიყობა, კეხნა (ქართული ენის ქრესტ.).

**ქაფი:** 1. (ხევსურ.) ვიხე, გალაენი (ა. შან.).  
**ქაფი:** 2. (თუშ.) საქსელო, სადაც ტოლებს (შინ-მოქსოვილი შალი, სანოხე) ქსოვენ (ა. შან.).  
**ქაფი:** 3. (ხევსურ.) კორა, თოფის გასანიშნებელი (ა. შან.).

**ქათქათა:** 1. რაც ქათქათებს, – ძალიან თეთრი.  
**ქათქათა:** 2. (ქიზიყ.) ვისაც ქათქათი სწევია.

– ებელი, ჭარტალა.

**ქათქათი:** 1. თეთრად ეღვარება, ბრწყინვა, კრი-  
ალი.

**ქათქათი:** 2. (ქიზიყ.) ებელობა, ჭარტალი (ს.  
მენიეშ.).

**ქალა:** 1. თავის ჩონჩხი (აღამიანის ან სხვა-  
თა); ქონრის ბრტყელი ნაწილი, თხემის ბრტყე-  
ლი ნაწილი, რომელიც თითქოს თეფშივით  
ადევს თავს; (ქიზიყ.) ქულის ცა; კარსარკმლის  
ჩარჩოს ზემოთა ნაწილი.

**ქალა:** 2. (ენინ.) ქალი; (ქიზიყ.) ქალური ქცე-  
ვის ვაჟი.

**ქალა:** 3. გაუთხოვარი ქალი; ქალიშვილი;  
გოგონა 9-10 წლამდის (ლ. კაიშ.).

**ქალაბანი:** 1. (ხევსურ.) კაცის ტალავარია (ა.  
ჭინჭარ.).

**ქალაბანი:** 2. (მოხ.) მესტიელები ყელზე ამო-  
კერებული ქვედა ნაწილი ფეხსაცმლისა. სა-  
ერთოდ ეწოდება ყოველგვარ ადგილობრივ გა-  
კეთებულ ფეხსაცმელს გარდა ბანდულებისა  
(აქაზბ.).

**ქალაბანი:** 3. (გურ.) იგივეა, რაც ქალბანა, –  
მცენარის ზეთი თუ წებოა ერთგვარი. (ა. ღლა).

**ქალიშვილი:** 1. აღამიანის შვილი მდებრო-  
ბითი სქესისა, – ასული; ახალგაზრდა, გაუთხო-  
ვარი ქალი, ქალწული.

**ქალიშვილი:** 2. (ქართლ., კახ.) ქალის (ასუ-  
ლის) შვილი (ქალიცა და ვაჟიც).

**ქალშაგა:** 1. მრავალწლოვანი თეთრყვავილა  
მცენარე ლაშქარასებრთა ოჯახისა.

**ქალშაგა:** 2. (მოხ., ფშ.) საბრალო, საწყალი,  
უბედური ქალი.

**ქალშაგა:** 3. შაჟი, შავგერეშანი ქალი. საა-  
ლერსო სახელწოდება ქალიშვილისა.

**ქალშაგა:** 4. შავებით მოსილი ქალი, შავოსა-  
ნი.

**ქალწული:** 1. ქალი უბიწო, უმანკო (დ. ჩუ-  
ბინ.).

**ქალწული:** 2. ვაჟი უბიწო (დ. ჩუბინ.).

**ქამი:** 1. „კარის ხმის ამოდება“ (საბა).

**ქამი:** 2. ნესტი, სისველე.

**ქანდა:** 1. დარიჩინი, კინამო (დ. ჩუბინ.).

**ქანდა:** 2. „ოქროს ვარაყი“ (საბა); ძალიან

თხელი ოქროსფერი ფურცლები, რომლებსაც  
იყენებენ როგორც ლითონის, ისე არალითო-  
ნური ნაკეთობის მოსაპირკეთებლად.

**ქანდა:** 3. კალის სულფიდი.

**ქანი:** 1. ქართული ანბანის ოცდამეორე ასოს  
სახელწოდება.

**ქანი:** 2. დედამიწის წიაღისეული შრე, ფენა;  
მიადანი.

**ქანი:** 3. (ქიზიყ.) საჩეხის (სახლის კარისპირა  
დერეფნის) სვეტების დასაყრდენი ან თავზე  
გადებული დირე (ს. მენთეშ.).

**ქანი:** 4. (რაჭ.) მარჯვე, მოხერხებული ადგი-  
ლი (ე. ბერ.).

**ქანი:** 5. გამორბენით სინქარის განვითარება  
(შორს გადასახტომად).

**ქანი:** 6. შეკრული კარის გული.

**ქანობი:** 1. დაღმართი, დაქანებული ადგილი.

**ქანობი:** 2. ქანის ნაშალი.

**ქანქარი:** 1. რხევა, რწევა, ქანაობა.

**ქანქარი:** 2. წონისა და ფულის ერთეული  
ძველ საბერძნეთსა და ზოგ მის მეზობელ ქვე-  
ყანაში, კერძოდ, საქართველოში; ტალანტი, წო-  
ნა ან თეთრი რომაელთა (დ. ჩუბინ.).

**ქანჩიანი:** 1. ქანჩის (ჭანჭიკის მოსაჭერის)  
მქონე.

**ქანჩიანი:** 2. (გურ.) ცბიერი, ეშმაკი, ხერხიანი  
(გ. შარაშ.).

**ქანცი:** 1. ძალღონე, არაქათი; „მეტად დამაშ-  
ვრალი“ (საბა).

**ქანცი:** 2. წვეტიანი ბუნიკის მქონე ჯოხი, რო-  
მელსაც ხმარობენ ალკინისტები, მთასველედუ-  
ბი მალაღ მთებზე, მყინვარზე ასასველელად;  
მუჯირა.

**ქაოსი:** 1. (ბერძნ.) სრული უწესრიგობა; არე-  
ულ-ღარეულობა.

**ქაოსი:** 2. წესრიგი; მოწესრიგებული მასა, რის-  
განაც შემდგომ სამყარო წარმოიშვა (ძველი  
ფილოსოფოსების აზრით).

**ქარა:** 1. „ნაჟაჟი ხისა“ (საბა); (გურ.) წვეტიან-  
ი ჩხირი ქაჭკივით (გ. შარაშ.); (ოკრიბ.) ზღმარ-  
ტლის, ზაძგრის, ასკილის, ტყემლის, ქაცვის ეკა-  
ლი (მ. ალავე).

**ქარა:** 2. „უეწურო ცხოვარი“ (საბა).

**ქარა:** 3. (ქართლ.) დოღის ხის ნაწილი, ღო-

ლის რკალი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.); (აჭარ.)  
კეცის კიდე, ამოწეული გვერდები (შ. ნიუ).  
**ქარა:** 4. „უსახო, სადა ოქრო-ქსოვილი“ (საბა).

**ქარაფი:** 1. „დიდი კლდე“ (საბა); ფრიალო,  
ციცაბო; (ხევს., ფშ.) დიდი ლოდი.

**ქარაფი:** 2. (იმერ.) თხელი, მენხერი (ტყე, ვენახი-  
ნი).

**ქარაფშუტა:** 1. არასერიოზული, ზერულე (ა-  
ღამიანი), თავქარიანი, ცერცეტი.

**ქარაფშუტა:** 2. (ლენხ.) ბაბუაწვერა (მცენარე)  
(ა. ამყ.).

**ქარგა:** 1. მოწეობილობა მოსაქარგავი ქსოვი-  
ლის გადასატიმად.

**ქარგა:** 2. (გადატ.) ნონჩხი, ამბავი მხატვრული  
ნაწარმოებისა.

**ქარგალი:** 1. ხელოვანი, რომელმაც შეგირ-  
დობა დაამთავრა, მაგრამ ჯერ ოსტატად არ  
ღალოცვილა და დაქირავებულ შრომას ეწე-  
ვა.

**ქარგალი:** 2. (არქ.) ფიცრებისაგან დამზადე-  
ბული რკალისებრი მოხაზულობის მოწეობი-  
ლობა ქვის ან აგურის კამარების დასაწეობად  
ანდა ბეტონის ჩასასხმელად.

**ქარგალი:** 3. (ჯაეახ.) დურგლის იარაღი, ხმა-  
რობენ წრის შემოსაელებად (გრ. ბერ.).

**ქარსი:** 1. უფერო ან მოყვითალო რთული  
შემადგენლობის გამჭვირვალე მინერალი, ნეუ-  
ულაბრიე, თხელი ფენებისაგან შემდგარი; (ვის-  
ნატეხი, ანუ ქვა დანაკი (ნ. ნუბინ)).

**ქარსი:** 2. მცენარეა (დ. ნუბინ).

**ქარსლა:** 1. (ფშ.) შილიფად ჩაცმული, პერან-  
გი (ა. ჭინჭარ).

**ქარსლა:** 2. (კახ.) სპარსული ღვარძლა (ა.  
მაყ.).

**ქარსლი:** 1. (მთიულ., მოხ.) ყოპყი, მსუბუქი  
თოელი; ყაპყი (ა. შან).

**ქარსლი:** 2. (მოხ., ხევსურ.) გაყქლუფილი ტყავი  
თხისა ან ხბოსი (ა. შან).

**ქარსლი:** 3. კვერცხის აპკი.

**ქასვი:** 1. დვინის სასმელი ჭურჭელი.

**ქასვი:** 2. (ლენხ.) ბრკეალი, გრძელი ეკალი (მ.  
ნიქ).

**ქაფი:** 1. წვრილი ბუშტების თეთრი გაუმჭვირეა-

ლე მასა, სითხის დუღილით, ნჯღრევით ზედა-  
პირზე მოგდებული ღუჭი, ღორბლი; საანის  
სითხეში გაქნით მიღებული თეთრი ბუშტების  
მასა; თეთრ ბუშტებად ქცეული ოფლი.

**ქაფი:** 2. აბჯრის ნაწილი, – „ჯაეშანო სამ-  
ხარილილი“ (საბა); ჯაჭუთ შესაკრავი ზონა-  
რი (ნ. ნუბინ); მხარ იდლიე გარდასაკიდებელი  
ძეწკეი (დ. ნუბინ).

**ქაფი:** 3. (ძე.) პური (თეიმურაზ მიბნეანი).

**ქაფი:** 4. (არაბ.) ზღაპრული მთები, რომელიც  
არაბების გადმოცემით გარს არტყია მთელ  
სამყაროს.

**ქაფური:** 1. ერთგარი ბალახი, წყალში ქაფ-  
თება საპონივით (ნ. მაისურ., ა. მაყ., ა. ღლ.).

**ქაფური:** 2. ძლიერი სპეციფიკური სუნის მქონე  
უფერული გამჭვირვალე ნივთიერება (იყენე-  
ბენ მედიცინასა და ტექნიკაში).

**ქაქია:** 1. (ინგილ.) ასკილი (ა. მაყ.).

**ქაქია:** 2. (გურ., იმერ.) ფაფა, რძისა და სველის  
(წაქის); ფაფა (ს. ულ., ა. ღლ., ე. ბერ.).

**ქაშანი:** 1. „შამბსა და თოელზედ გაქელილი  
გზა“ (საბა).

**ქაშანი:** 2. მოტიქული ჭურჭელი.

**ქაშანი:** 3. გამოკაფული, ცარიელი ადგილი  
ტყეებში, – ველიანი.

**ქაჩალი:** 1. კაცი, რომელსაც თავზე თმა არ  
ამოსდის; მელორტი.

**ქაჩალი:** 2. საკალატოზო ხელსაწყო; (ხეე-  
სურ.) ქვის დასამუშავებელი იარაღი.

**ქაჩია:** 1. (თერბ.) შუაკვეცხლთან გაკეთებუ-  
ლი ხარისხა ტანისამოსის გასაშრობად (ე. ბერ.).

**ქაჩია:** 2. (მოხ.) კაცი, რომელიც ხიარულის  
დროს ფეხსაცმელს ამრულებს (თ. ქაჯ.).

**ქაჯი:** 1. ავისელი, ეშმაკი.

**ქაჯი:** 2. (ურგ.) ჩამორწყნილი, ხალხში გამო-  
უსვლელი (ლ. ბრეგ).

**ქაჯი:** 3. მხნე (ი. აბ.).

**ქაჯური:** 1. ქაჯების დამახასიათებელი, – ჯა-  
ღოსნური, ეშმაკური.

**ქაჯური:** 2. (ურგ.) უგემოილო, უნიჭო (ლ. ბრეგ).

**ქება:** 1. ვისიმე ან რისიმე მოწონებით მოხსე-  
ნიება, ხოტბის შესხმა; სახოტბო ღუქსი, –  
ოღა, ხოტბა.

**ქება:** 2. (თათრ.) ექესი შაური (დ. ნუბინ).

**ქელაგს 1.** ფეხით სრესს, – თელაგს.

**ქელაგს 2.** (იმერ., გურ.) მძიმედ, ძლივს სუნთქავს, – ქშინავს, ქაქანებს.

**ქელგა 1.** ფეხით სრესა, – თელგა.

**ქელგა 2.** (იმერ., გურ.) მძიმედ, ძლივს სუნთქვა, – ქშინვა, ქაქანი.

**ქენქერი 1.** (ლენხ.) ქენო (მ. ალაგ).

**ქენქერი 2.** (ლენხ.) მიაგარი (მ. ალაგ).

**ქენქერი 3.** (გურ.) ცანცარა, აჩქარებული, ამნატებულ კაცზე იტყვიან.

**ქეშელა 1.** ადამიანი ან პირუტყვი, რომელმაც ქეშელი, ქლოშინი (აჩქარებული სუნთქვა) იცის.

**ქეშელა 2.** (ხეეს.) ციკნის ბეწვგაცლილი ტყავისაგან გაკეთებული გუდა; ახალი მომცრო რუმბი (დ. ჩუბინ).

**ქეშელი 1.** (იმერ., გურ.) ქოშინი, ქოქინი (ე. ბერ.).

**ქეშელი 2.** (ლენხ.) მოუკუპრავი ტიკი, შიგთაფლს ან მაჭარს მოათავსებენ სადმე წასადებად (მ. ალაგ); „მოუკუპრავი თხიერი“ (საბა).

**ქეში 1.** „კონა ისართა“ (დ. ჩუნიბ).

**ქეში 2.** ირიბი (ქეშად – ირიბად).

**ქეში 3.** (ყარგ.) ნარკოტიკის მწვეული (ლ. ბრეგ).

**ქეჩჩო 1.** (რაჭ.) სიმინდის მამრობითი ყვაეული, ქოჩოჩი, კატარი.

**ქეჩჩო 2.** (გურ.) საოლაღი, ქაჩაჩის ზევით სახსარი, სადაც ცხენს ბორკილს ადებენ.

**ქეცი 1.** კანის ერთგვარი ავადმყოფობა.

**ქეცი 2.** „თუეზის ქიცი“ (საბა).

**ქეაბი 1.** ლითონის ჭურჭელი, ცილინდრული ფორმისა, საჭმლის მოსახარშად ან წყლის გასაცხელებლად.

**ქეაბი 2.** (ძე.) კლდისა ნაპრაღი (პლატონ იოსელიანი).

**ქეე 1.** (ფშ., ხეეს., რაჭ.) მტკიცებითი ნაწილაკი (იგივეა, რაც გურულ-იმერული ქე; რაჭული ქეე; მეგრული ქო; სეანური ჩუ); კი, ჰო, ღიახ; კიდეუაც; (რაჭ.) აბა.

**ქეე 2.** იგივეა, რაც ქემითი; (თუშ.) ქეეშ, დაბლა, ძირს.

**ქეელი 1.** (ძე.) მოწვადე, კეთილი.

**ქეელი 2.** (ჯავახ.) მარჯვე, ყონალი.

**ქეეჭერი 1.** (ქართლ., იმერ.) ჩიჩვირი, ცხენის ქეელა ტუჩი.

**ქეეჭერი 2.** კეციის ხმა (შ. ძიმ., პ. ხუბ., ლ. ლეონ.).

**ქეეშნა 1.** (ჯავახ.) უგრეხელი, – ერთწლოვანი მცენარე პარკოსანთა ოჯახისა, ითესება ხარძროხის საკეებად (ლორისათვის საწამლადაც).

**ქეეშნა 2.** (იმერ., გურ., მეგრ.) ალუბალი.

**ქილა 1.** პირფართო, უმუცლო ჭურჭელი თიხისა, მიწისა; (ქართლ., იმერ., გურ.) იგივეა, რაც მასრა; (გურ., იმერ.) მარცვლეულის, ფქვილის საწყო, უდრის ერთ ფუტს.

**ქილა 2.** (ლენხ.) ქილი, – იგივეა, რაც ეშვი.

**ქილერი 1.** (აჭ.) სურსათის შესანახი ადგილი (ნ. გურგ.). საკუჭნაო.

**ქილერი 2.** დაქირავებული მკვლელი.

**ქილიკი 1.** ხუმარა, ოხუნჯი, შემაქცეარი; (თუშ., გუდამაყრ.) სხვისი დამძრახავი (პ. ხუბ.).

**ქილიკი 2.** „ფიცარი, დაჭლობილი ერთმანეთში გასაწყოზლად“ (საბა).

**ქილიკი 3.** (აჭარ.) პროდუქტების (მარცვლეულის, რძის, ყველის...) შესანახი ხის ჭურჭელი, ქილა (შ. ნიუ).

**ქიმერა 1.** (ბერძნ.) ბერძნულ მითოლოგიაში: ცაცხლისმფრქვეველი ურჩხული, რომელსაც აქვს ღომის თაღი, თხის ტანი და გველის თაღით დასრულებული კუდი.

**ქიმერა 2.** ხელოვნებაში: ფანტასტიკური არსების (ურჩხულის) სკულპტურული გამოსახულება.

**ქიმერა 3.** (გადატ.) განუხორციელებელი ოცნება; ფანტაზია.

**ქიმერა 4.** (ზოოლ.) ხრტილოვანი ზღვის თევზი ერთგვარი.

**ქიმი 1.** გამომწვერილი, წაწვეტებული ნაწილი რისამე.

**ქიმი 2.** მსხმოიარე ხის ტოტის შესაყენებელი ორკაპა ხე.

**ქიმი 3.** წილი (ი.აბ.).

**ქიმი 4.** ლაყუჩი (ი.აბ.).

**ქირი 1.** (ხეესურ.) ძაღლის ენა, ოსერო (ი. მაყ.).



**ქირა:** 2. (ფშ.) სათივის ძირში ჩარჩენილი თივის ნაფუშენი, თივის ბურღო.

**ქირა:** 3. (თუშ.) წვინტლი, ცხვირიდან რომ უნებურად ჩამოუყვას კაცს სიცვიეში (ა. შან.).

**ქირმანი:** 1. „ქირმანის შალი“, – ძვირფასი მატყლის ქსოვილი, სახიანი.

**ქირმანი:** 2. (ხევს.) ახალმომკილი მინდორი.

**ქირქილი:** 1. (გურ.) ქარის, ნიავის, გინდ სიოს ხელი ქროლა (ი. ჭყონ.).

**ქირქილი:** 2. ჩუში სიცილი, – დამცინავე სიცილი (ა. სიხ.).

**ქისტა:** 1. ჩენების და ინგუშების საერთო სახელი თუშების, ფშაველებისა და ხევსურების მეტყველებაში.

**ქისტა:** 2. მუშტი, მჯილი.

**ქისტა:** 3. დაგრეხილი ძაფისაგან გაკეთებული ფონი, ყაბალახის წვეტზე კვიდებენ ხოლმე.

**ქიქა:** 1. „წბილი“ (საბა); „უკუწბილების ბჭე, უკუწბილებული, რცხენილი“ (საბა).

**ქიქა:** 2. (ხ. იმერ.) წვრილი მატლი.

**ქიქა:** 3. (ხევს.) სათამაშო კოჭის უკანა, წაგრძელებული მხარე (ა. ჭინჭარ.).

**ქიში:** 1. (სპ. – თურქ.) ჭადრაკის თამაშში, – ისეთი მდგომარეობა, როდესაც მეფეს მოწინააღმდეგის რაიმე ფიგურით ან პაიკით თავდასხმა ულის. „ჭადრაკის მღერისა, წადი“ (საბა).

**ქიში:** 2. უძველესი შუმერული ქალაქი. წარღნის შემდეგ აქ პირველად აღდგა მეფობა და ცივილიზაცია. P.S. ამ ამბავთან უნდა იყოს დაკავშირებული საჭადრაკო ტერმინი „ქიში“. და, არა სპარსულ-თურქული. საძიებელი!

**ქლესა:** 1. თლა, ნაპირების გაგლეუება.

**ქლესა:** 2. ქიმებშემოთლილი სათამაშო კოჭი.

**ქლესა:** 3. ფლიდი, ფარისეველი.

**ქლესა:** 1. (ქიზიყ.) იგივეა, რაც ქლესა, თლა, ნაპირების გაგლეუება.

**ქლესა:** 2. (ქიზიყ.) ქიმებშემოთლილი კოჭი.

**ქლიაფი:** 1. საშუალო ტანის ხეხილი ვარდისებრთა ოჯახისა; ნაყოფი კურკოვანი.

**ქლიაფი:** 2. (ყარგ.) შტერი (ლ. ბრეგ.).

**ქნარი:** 1. სიმებიანი სამუსიკო საკრავი;

**ქნარი 2.** (ქიზიყ.) კეერის ბრტყელი მხარე, რასაც სცემენ რკინას გასაბრტყელებად და გასაწველად.

**ქნარი 3.** ვარსკელაი (ი. ლოლაშ.).

**ქნარი 4.** ტეინის კორძიანი სხეულის ქვემო ზედაპირზე გაკრული თაღის ფეხები.

**ქობინა:** 1. „კარაუთა... სვეტის თაეთა ზედა, გინა ეტლისა კამარათა ზედა და მისთანათა თაეზე დაგებული მოოქრული ბუროთ“ (საბა).

**ქობინა:** 2. სარტყხის სასრესი ძელაქი, – საჯანდრავი, საზეპელი; (ქიზიყ.) კრამიტის მოსატრევი ყალიბი.

**ქობუნა:** 1. (ლენჩ.) ქეაბული (მ. ალაე.).

**ქობუნა:** 2. (ფშ.) ჯობინი, – ავადმოყვის მომჯობინება (მ. ჩიქ.).

**ქოთება:** 1. სახელი აქოთებს (მიყრის-მოყრის, აურ-დაურეკს, აშლის) ზმნის მოქმედებისა.

**ქოთება:** 2. (ძე.) შიში, შფოთი (ზ. სარჯ.); (ძე.) მღელვარება, შფოთი, არეულობა (ჩ. მელიქ.).

**ქოთი:** 1. (მთიულ., ფშ.) ჩხუბი, აურზაური (ლ. კაიშ.); ხმაური.

**ქოთი:** 2. (რაჭ.) კეერცხის ბოლო (ე. ბერ.).

**ქომოლი:** 1. (ჭან.) ქმარი (იე. ჯაეახ.).

**ქომოლი:** 2. (ჭან.) მამაცი, გმირი (იე. ჯაეახ.).

**ქონა:** 1. იგივეა, რაც ქონება, – ფლობა; ავლადილება, დოვლათი.

**ქონა:** 2. ერთწლოვანი ყვითელყვავილა მცენარე ბაიასებრთა ოჯახისა.

**ქონა:** 3. (ენინ.) ქონი, „ხორც(თ) სიოხე“ (საბა); ცხოველის ცხიმი.

**ქონდარა:** 1. დაბალი ტანისა (მცენარე); ტანდაბალ კაცზე იტყვიან.

**ქონდარა:** 2. (რაჭ.) ონჭო; (მთ., მოხ.) ურცი, – მრავალწლოვანი მცენარე ტუქოსანთა ოჯახისა.

**ქონი:** 1. ცხოველის სხეულის ცხიმი.

**ქონი:** 2. (ძე.) მმოსავი, საფარი (იე. ჯაეახ.).

**ქორა:** 1. ( შ.) თეთრი ხარი (თ. რაზიკ., ი. ჭყონი.) რქათეთრი ხარი.

**ქორა:** 2. რუმინული და ებრაული ცეკვა.

**ქორაფი:** 1. ფოთლოვანი ხემცენარე ნეკერ-ჩხლისებრთა ოჯახისა: (რაჭ., ლენჩ.) ოათაბო, –

მცენარეა (ა. მაყ.); (ხე) ბოკეი (ნ. ჩუბინ).

**ქორაფი:** 2. (ბალ.) „ტეგანი, - ტარხუნა“ (საბა).

**ქორაფი:** 3. (გუელამაყრ.) მთაზე გადმოკიდებული კლდე (ა. შანი).

**ქორდა:** 1. (მათემ.) ნაკვეთი სწორი ხაზისა, რომელიც აერთებს რომელიმე მრუდის (მაგ. წრის რკალის) ორ წერტილს.

**ქორდა:** 2. ზოგიერთ ცხოველთა დრეკადი, ელასტიკური, ძელოვანი ნონჩხი, - ხერხემლის სიმი.

**ქორი:** 1. მტაცებელი ფრინველი.

**ქორი:** 2. „სახლზედ სახლი აგებული“ (საბა); სუდა სართული.

**ქორი:** 3. ბრმა (დ. ჩუბინ.); ბრუციანი.

**ქორი:** 4. მთავარი ან უპირველესი (დ. ჩუბინ.).

**ქორი:** 5. (ძე.) ეზო (ნ. მელიქ).

**ქორი:** 6. (თუშ.) მეომრის ეპითეტია (თ. უთურგ.).

**ქოფე:** 1. (იმერ.) ღაფი.

**ქოფე:** 2. (ლენხ.) ხემირა, მარცვლის ჩასაყრელი წისქვილში (მ. ჩიქ).

**ქოფე:** 3. (ინგილ.) ალატი, გრძელი, სწორი ჯოხი, ჭოკი (ა. შანი).

**ქოქავს:** 1. წყევლის, ღანძღავს.

**ქოქავს:** 2. ქოქავს, - მართავს (საათს, ავტომანქანას).

**ქოქავს:** 3. (ქარგ.) აქეზებს (ლ. ბრეგ.).

**ქოქვა:** 1. მართვა, მომართვა (საათისა, ავტომობილისა...).

**ქოქვა:** 2. იგივეა, რაც წყველა.

**ქოქი:** 1. (გურ., ზ. აჭარ., ქიზიყ.) ძირი, ჯიში (ს. ელ.); მოდგმა (ა. ღლა.) ფესვი.

**ქოქი:** 2. „ეკალი ჩირგვიანი“ (საბა). ეკლიანი ჯოხი.

**ქოქი:** 3. წეკლა, შოლტი (ც. ქურც.).

**ქოშა:** 1. (მოხ.) ა. ყაზბეგის განმარტებით: ტარიანი ხის ჯაში, საიდანაც ცხელ წვეწს სვამენ (ა. ღლა.); (მთიულ.) ქაჭქირი, საწინე (ლ. კაიშ.).

**ქოშა:** 2. (მესხ.) ორი კედლის შეერთების გარე კუთხე.

**ქოში:** 1. მადალქუსლიანი, ჰვინტიანი ფეხსაცმელი. უპირატესად საშინაო.

**ქოში:** 2. „კაციკი, წლის ბოტი“ (საბა); თხის ერკემალი.

**ქონი:** 1. (ხეესურ., გურ., მეგრ., ჯაეახ.) ქუჩი, წმინდა, უპირატესად მზისპირას ბოლქვად ამოსული ბალახი (ა. ჭინჭარ.). ველის წივანა (ბალახია).

**ქონი:** 2. (გურ., მეგრ.) ხბოს გასადენი შეძახილი (ა. ღლა., ა. სიხ.).

**ქონი:** 3. (ხეესურ., გურ., ჯაეახ.) ბარგი, სოაჯახო ნიეთები, ავეჯი.

**ქონი:** 4. ბუნქი; „შებარდული ხე“ (საბა).

**ქრთილი:** 1. შემოდგომის ქერი (კ. დან.).

**ქრთილი:** 2. (გურ.) ნამცეცი, პაწაწინა ნაწილი (გ. შარაშ.).

**ქრონოგრაფი:** 1. (ბერძ.) დროის უმცირესი მონაკვეთების გასაზომი ან, ამა თუ იმ მოვლენის დროის ცალკეული მომენტების სარეგისტრაციო ხელსაწყო.

**ქრონოგრაფი:** 2. ძველი წერილობითი ძეგლი, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო ისტორიის ზოგად მიმოხილვას ბიბლიური ლეგენდებისა და ბიზანტიური წყაროების გამოყენებით.

**ქსელი:** 1. საფეიქრო დაზგაზე სიგრძე გამოული საქსოვი ძაფები, რომლებშიც მისაქსელი ძაფი გადის გარდიგარდმო და მატერია იქსოვება; ერთობლიობა რაიმე ტერიტორიაზე, რაიმე სივრცეში განლაგებული გზებისა, ხაზებისა; ერთობლიობა სადმე განლაგებული ერთგვაროვანი დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა.

**ქსელი:** 2. (რაჭ.) დიდი ჭურის საზიდი მარტივი და მაგარი ურემი (აღ. კობახ.).

**ქსენია:** 1. (ბერძნ.) სტუმართმოყვარე.

**ქსენია:** 2. (ბერძნ.) უცხო, უცხოელი.

**ქსენონი:** 1. (ბერძ.) სააუადმყოფოებში: სპეციალურად გამოყოფილი სადგომი, სადაც იღებენ აუადმყოფებს და პალატაში აწვენენ; სააუადმყოფო (მ. ჭაბ.); ძველ საქართველოში: სააუადმყოფო; „სასნეულო სახლი“ (საბა).

**ქსენონი:** 2. (ბერძ.) ქიმიური ელემენტი, პელიუმის ჯგუფის გაზი, იყენებენ ელექტროტექნიკაში (მ. ჭაბ.).

**ქსი:** 1. (ქიზიყ.) ცხერისა და ღორის შერისხვა, გაწყრომის ხმა (ს. მენთუშ.).

**ქსი:** 2. ბერძნული ასოს სახელწოდება.

**ქუბა:** 1. (გურ.) წულის ტყავის ნაპირების გადა-

კეცვა და ძაფით დამაგრება ან უფრო თხელი ტყაყის მიკერება ნაპირების გასამაგრებლად (ა. ლღ.).

**ქუბა:** 2. ხორბლის ჯიში ყოფილა, მაღალი იზრდებოდა, მსხვილი ღერო ჰქონია და მაღალი თაველი (აღ. კობახ.).

**ქუბა:** 3. წვიმისაგან პურის მარცელის დაავადება.

**ქუბი:** 1. „ღორი დედალი“ (საბა); ნეზვი.

**ქუბი:** 2. იგივეა, რაც ჭკაევი.

**ქუბი:** 3. (მოხ.) იგივეა, რაც უოლო.

**ქუბი:** 4. (თიან.) ქვაბი.

**ქუბი:** 5. (ქართლ.) ზომიერად მსუქანი ხორცი (მ. მესხ.).

**ქუეშდებარე:** 1. არსება, საგანი.

**ქუეშდებარე:** 2. დაგდებული ძირს (ი.აბ.); ძირს, დაბლა მდებარე, დაბლა არსებული.

**ქულა:** 1. გაპენტილი ბამბის ფთილა; ახალგამონეკილი, ნაზუმბულიანი წიწილა, ბარტყი; „ბაზთა მართე“ (საბა); ქორის ბარტყი.

**ქულა:** 2. მოგების აღმნიშვნელი საოვალაევი ერთეული შეჯიბრებაში.

**ქულა:** 3. ბაზრის ღუქნები (დ. ჩუბინ.).

**ქულა:** 4. (ბერძ.) კოჭლი.

**ქუმელი:** 1. (ქართლ., გუდამაყრ., ქსნის ხ.) შაქარწყალში ან თაფლის წყალში აზეულილი მოხალული წმინდა ფქვილი (შძოდ, ნკეცხ, მხუბ); გადამხმარ პანტას დაფქვავენ, ტბილ წყალში აურევენ და ჭამენ (ე.სომხ.).

**ქუმელი:** 2. (ფშ., თუშ.) ჩეულებრივი სელი (ა. მაც.).

**ქურა:** 1. საბერეველიანი სამკედლო; თიხის ჭურჭლის, აგურ-კრამიტის... გამოსაწევი ნაგებობა; მოწყობილობა ცეცხლის გასაჩაღებლად ან რაიმე სხვა სახით სიმხურვალის მისაღებად.

**ქურა:** 2. (ქართლ.) დაბადებით პატარაყურებიანი თხა (გ. შატბერ.); ურქო ცხვარი.

**ქურა:** 3. რასხი, წაბლის ფერი ცხენი (დ. ჩუბინ.).

**ქურთი:** 1. ქურთები, ირანული მოღმის ხალხი.

**ქურთი:** 2. წივა; (მთიულ.) საქონლის ნაკელი, რომლითაც მიწური სახლების კედლებს ღესავენ და მიუვალ სოფლებში ზამთარში ცეცხლშიაც წევენ (ლ. კაიშ.).

**ქურთი:** 1. მანქანის ან სხვა მოწყობილობის გრძივი ნაწილების (მილის, ლილეის...) შემავრთებელი ნაწილი, - მუფთა.

**ქურთი:** 2. (თუშ.) ხელთათმანი (ს. მაკალ., კ. ჭრელ.); არს ორთავე ხელთა შესაყოფევი ფართო ბეწვიანი სითბოსათვის“ (საბა).

**ქურთი:** 3. შუმერები გარდაცვლილ სულთა სამკვიდროდ საიქიო ქვეყანას მიიჩნევენ, რომელსაც „ქურთ“ ეწოდებოდა.

**ქურუმი:** 1. წარმართულ რელიგიაში: კულტის მსახური, ასრულებდა მსხვერპლის შეწირვის რიტუალს, მოვეი.

**ქურუმი:** 2. (მეგრ., ჭან.) დაუცეცხვაეი ღომი (არნ. ჩიქ.).

**ქურუმი:** 3. (ჯავახ.) წყაროზე მოწყობილი ხის ან ქვითიერთ აშენებული ნაგის ის ნაწილი, რომელშიც საქონლისათვის სასმელი წყალი გროვდება (ა. მარტ.).

**ქუში:** 1. მწყრალი, მოღუშული, პირქუში.

**ქუში:** 2. „ქველი ხველა“ (საბა); ცხენის სასუნთქაე ორგანოთა სნეულება.

**ქუში:** 3. თვალ-ულამი, მარღი (მარღი, - თვალთური ან მცირედ ელამი) (დ. ჩუბინ.).

**ქუში:** 4. (ქსნის ხ.) სქელღეროიანი ბალახი, ამოდის ჯფუფ-ჯგუფად.

**ქუში:** 5. ღრმა ძილი (ქღღ).

**ქუნა:** 1. ქალაქებში (დაბებში...) სახლების ორ მწკრივს შორის გაყვანილი გზა.

**ქუნა:** 2. (მოხ.) გროვა, შეკრება; ერთად, ერთიანად (ი. ქაუთ.).

**ქუნი:** 1. (ფშ., მოხ., თუშ.) მთის ბალახი (ა. შან., ო. ქაჯ., თ. უთურგ.).

**ქუნი:** 2. (მესხ.) წინახევი (ი. მისურ.); საქონლის კუჭის ზემო პარკუჭი, სადაც კუჭში მონელებამდე გროვდება, ქუნდება ჩაყლაპული საკვები (გ. შატბერ.).

**ქურული:** 1. „ყვეთ დამათრობელი წამალი“ (საბა).

**ქურული:** 2. (ხეუს.) ერთმანეთზე მიყულებული სამი ძნა.

**ქუსი:** 1. მელოტი, თმა ან ბუმბულ დაცვიენული (დ. ჩუბინ.).

**ქუსი:** 2. ღორთ მოწოდების ხმა (ნ. ჩუბინ.).

**ქუნა:** 1. (გურ.) ჭკვა, ქუხილი (ა. ლღ.).

**ქუნა:** 2. (გურ., მეგრ.) განცალკევებით მდგარი სამზარეულო სახლი (ა. სიხ.).

**ქცევა:** 1. დაქცევა, დარღვევა.

**ქცევა:** 2. მიმოსვლა, ანუ მოძრაობა (ნ. ჩუბინ.).

**ქცევა:** 3. სხვა სახის მიღება; თავის დატერა.

**ქცევა:** 4. მიწის საზომი ერთეული საქართველოში; იმერეთში საზომი მიწის სახნაისა, რომელსა აქვს 30 მხარი ან საუენი სიგრძე და ეკლავნივე სიგანე, ვითარცა ქართლში დღიური ან საქცევი (დ. ჩუბინ.).

**ქცევა:** 5. ზმინის ფორმა, რომელიც გამოხატავს კუთვნილებითს ურთიერთობას სუბიექტსა და ობიექტს ან ობიექტებს შორის.

## ღ

**ღაბო:** 1. (იმერ., რაჭ.) საამოდ თბილი.

**ღაბო:** 2. (იმერ.) ღაბაბი.

**ღაბუა:** 1. „ქათამი ულვაშიანი“ (საბა); ფრინველი, რომელსაც ნისკარტქვეშ, ყელზე ბლომად აქვს ბუმბული; იტყვიან ჩასუქებულ, ღაბაბიან საქონელზე ან ადამიანზე.

**ღაბუა:** 2. (აჭარ.) ებაყურა (პ. ჯაჯან.).

**ღადარი:** 1. „წერილი... ნაკვერცხალი“ (საბა).

**ღადარი:** 2. „კაცი დაუნდობელი“ (საბა); დაუნდობელი, მოღალატე (ნ. ჩუბინ.); ფიცის გამტეხი.

**ღადო:** 1. „ზღვის დელეის ჩქრევა“ (საბა); ტალღა.

**ღადო:** 2. ოღრო-ოღრო, უსწორმასწორო ადგილი.

**ღადო:** 3. მოქალაქე.

**ღადო:** 4. მიუებალი მთა; კლდოვანი მთა (ზ. სარჯ.).

**ღადო:** 5. კარგი იუმორის მქონე ადამიანი.

**ღადუნე:** 1. (ფშ.) კატუნი, გარეული კატა (თ. რაზიკ., ი. ჭყონ.).

**ღადუნე:** 2. (თუშ.) უთაებოლო ლაპარაკი მთვრალისა (ა. შინ.).

**ღადღადი:** 1. ძლიერი ნათება; ელვარება, კაშკაში, ბრღღეივანი.

**ღადღადი:** 2. (გურ., იმერ.) ბევრი და ხშირადღადი ლაპარაკი, — ხშირანობა.

**ღაზო:** 1. (ქიზიყ.) უნარი, ფხა, გამჭრიახობა, დარდი, ზრუნვა (ს. მენთეშ.).

**ღაზო:** 2. (ძე.) ძლიერი სურვილი, ძნელად მოსათმენი გრძობა (ს. ცაიშ.); შურიანი, ბოროტი; „შურით აღსაესე მოუთმენლად“ (საბა); მწუხარება.

**ღალა:** 1. (ისტ.) „ყინის ბეგარა“ (საბა); გადასახადი მიწის სარგებლობისათვის (უპირატესად ჭირნახულის ან ფულის სახით იხდიდნენ); გამოსავალი, ბარაქა (მიწისა, ჭირნახულისა და მისთ); ნაწველი; წველის ბარაქიანობა და ცხიმიანობა, ჩადები, ცხიმი; თაფლისათვის საჭირო ნექტარი, რასაც ფუტკარი ყვავილებიდან წუწინის.

**ღალა:** 2. (იმერ.) გლახა, მდარე, ცუდი.

**ღალავს:** 1. დღის, ღონეს უღევს, ღონეს უმცირებს, ქანცავს.

**ღალავს:** 2. (იმერ.) თითქოს ავი თვალთ ზიანს აყენებს, თვალს ჰკრავს, — გათვალავს.

**ღალვა:** 1. „სამკალი“ (საბა).

**ღალვა:** 2. (იმერ.) თვალის კერა, გათვალვა.

**ღამე:** 1. დროის მონაკვეთი საღამოდან დღამდე.

**ღამე:** 2. ბნელი („ჯვართ ენაზე“).

**ღამურა:** 1. პატარა მფრინავი ძუძუმწოვარი ცხოველი.

**ღამურა:** 2. ერთგვარი მათრობელა ბაღახი.

**ში:** 2. (ჩინ.) სიტყვა, რომელიც ზოგადად პოეზიას აღნიშნავს; ჩინური პოეტური ჟანრი, რომელიც აერთიანებდა ერთ სტრიქონში ერთნაირი რაოდენობის მარცვლების – იეროგლიფების მქონე ლექსებს (ჩვეულებრივ 5 ან 7 მარცვალი).

**შიბი:** 1. (მოხ.) წყლის ტალღისაგან ერთად მიყრილი ქვის გროვა (ი. ქაეთ).

**შიბი:** 2. (ხეუსურ., ფშ., მთიულ.) ფენა კლდისა (ა. შან.); შრე, რომელიც ფენებად ეოფს ქვას ან კლდეს (ა. ჭინჭარ.). კლდის წიბო.

**შიბი:** 3. ძეწკეი (ვაჟა, ა. შან.); (ფშ., თუშ.) წერილი ძეწკეი (ქ. ჭრელ., პ. ხუბ.); სამაჟულასხიშული ეერცხლის ძეწკეი (ვაჟა). „ყელის ჯაჭვი თვალმარგარიტისა“ (საბა). შარელის დასაჭერი ზონარი. (მით.) ცისა და მიწის შემაერთებული ოქროს ჯაჭვი.

**შობი: 4.** (ქიზიყ.) ლასტისა და გოდრის ნაპირი, ჭაპანივით ხეუელად შემოწნული, რომ არ დაიშალოს (ს. მენთეშ.); (ინგილ.) წრე ქსოვიაში (მ. ჯან.); ნითების პირისა და გარემოს ერთმანეთთან დასამაგრებელი შემოკერებული მობრტყო ნაქსოვი (პ. ხუბ.). „ნაქსოვია ერთი“ (საბა).

**შობი: 5.** თვალთმარგალიტებიანი ნაქსოვი (ი. გრიშაშ.).

**შილა: 1.** „წითელი სამოსელი“ (საბა); (ფშ.) ბამბის წითელი ქსოვილი (ი. ქეშიყ).

**შილა: 2.** ბრინჯის ან ფეტვის შეჭამანდი ერთბოთი და მწვანელით შეზავებული; გათქვეფილი წვენი.

**შილა: 3.** ხარახის იარაღია ერთგვარი. ყუნწიანი სადგისი.

**შილინგი: 1.** „ესე არს სასიხარულოსა საქმესა ზედა ზარბაზანთა და თოფითა სროლანი...“ (საბა); საღუტი; „...როკეთა ფერხთა სწრაფად რამ ხმარებანი“ (საბა).

**შილინგი: 2.** ინგლისური ფულის ერთეული.

**შინ: 1.** თავის სახლში, თავის ბინაზე.

**შინ: 2.** ზმინისართი.

**შინ: 3.** ქართული ასოს სახელწოდება.

**შინაბერა: 1.** გაუთხოვრად დარჩენილი ქალი.

**შინაბერა: 2.** ძველ საქართველოში სამსახურებრივი მდგომარეობის აღმნიშვნელი ტერმინი ყოფილა... საფიქრებელია, შინაბერა დედოფლის ამალის წვერის, – შიმუნვარის მოვალეობის აღმნიშვნელი ტერმინი იყოს (გ. შატბერ.).

**შინაბერა: 3.** ცოლმოყუევანლად დარჩენილი კაცი.

**შინაგანი: 1.** რისამე შიგნით არსებული, – შიგნითა; (გადატ.) იგივეა, რაც საშიანო.

**შინაგანი: 2.** (ძე.) შეგნება, სეინდისი (ნ. მელიქ.).

**შობი: 1.** (ლენხ.) ხის ნაჭდევი ( გ. ნიქ)

**შობი: 2.** (კახ.) ნაწნავის მსგავსი ნაკერი (შ. ძიძ.).

**შირა: 1.** ხის წებო; (ქიზიყ., ინგილ.) შესქელებული წვენი რამისა.

**შირა: 2.** მეცხვარის ბინა (ქდლ).

**შირიში: 1.** საფლაღი (ი.აბ.).

**შირიში: 2.** „ბუშტისა და თირკმლის ქვა“ (საბა). (ქიზიყ.) თეთრი კენჭი ცარცივით, თუ ჭურჭელს შეტყევა, გამოწევაში სიცხოვლისაგან გაფუფუნება და ჭურჭელს გახეთქაქს (ს. მენთეშ.).

**შიშაგი: 1.** დედალი ცხვარი ერთიდან ორ წლამდე; „წლისაზე მეტის ზაქი“ (საბა); „ცხოვარი წელიწადს უკან“ (საბა).

**შიშაგი: 2.** შუშის ჭურჭელი.

**შიშაგი: 3.** მამალი საკლაღი ცხვარი (დ. ჩუბინ.).

**შიშეელი: 1.** ეისაც არაფერი აცვია, – ტირქული.

**შიშეელი: 2.** შავი ყურძნის ჯიში, შაეშეთ-კლარჯეთში.

**შიში: 1.** მოსალოდნელი (ან თავსდატეხილი) საფრთხის განცდით გამოწეული წუხილი.

**შიში: 2.** (აჭარ.) შამფური (ნ. გურგ.).

**შიში: 3.** მგონია ცხენის ფაფარია (კორნელი დანელია).

**შიშლიგი: 1.** (თუშ.) მწყემსობაში მეცხვარეების მიერ ცხერის დაკვლის რიგის დაცვა; ამ რიგით დაკლული ცხერის მწეადი.

**შიშლიგი: 2.** (თუშ.) გაყიდულ ცხერებზე ერთი ცხერის საჩუქრად დამატება (პ. ხუბ.).

**შკაფი: 1.** კარადა.

**შკაფი: 2.** (ეარგ.) დიდი ტანის ადამიანი.

**შლეფი: 1.** ქალის კაბის გრძელი უკანა კალთა, რომელიც ძირს მისთრევეს.

**შლეფი: 2.** (ტექ.) გალქანომეტრში: ლითონის ძალიან თხელი ლენტისაგან დამზადებული მსუბუქი მარყუევი; ოსცილოგრაფში: ძალიან წერილი მათულის მარყუევი.

**შლეფი: 3.** გეომორფოლოგიაში: ფხვიერი ნალექების გროვა, რომელიც შეიქმნა გამოზიდვის კონუსების შეერთებით და ზოლად გასდევს მთის ძირს.

**შლილი: 1.** გეომეტრიაში: წირის შლილი, – სწორხაზოვანი მონაკვეთი, რომლის სიგრძე ამ წირის სიგრძის ტოლია; მრავალწახნაგას შლილი, – სიმრავლე მრავალკუთხედებისა, რომელთათვის მითითებულია, თუ როგორ უნდა დაუკავშირდნენ ისინი ერთმანეთს გვერდებისა და წვეროების მიხედვით, რომ მივიღოთ მოცემუ-

ლი მრავალწახნაგა; შილილის ცნებას იყენებენ მრუდი ძედაპირის მიმართაც.

**შლილი:** 2. (ფშ.) ფერადი ღაურთოველი ყაჭი (თ. რაზიკ.).

**შლუ:** 1. (ძე.) „ჭკუანაკლები“ (საბა); (გურ.) ჭკუანაკლები კაცი (ს. უდ.); სულელი, რეგენი.  
**შლუ:** 2. მელოტი; „შლუ ეწოდების, რომელსა არა აქერდეს შუბლთა და საფეთქელთა თმანი“ (საბა).

**შოთი:** 1. (ფშ., მითიულ.) ფიჭა (ვაჟა); ფიჭისა და გოლის თითო ნახერტი.

**შოთი:** 2. ეცეში ან თონეში გამომცხვარი გრძელი პური (ლ. კაიშ.).

**შოლტა:** 1. ფამფალაკში გაყრილი ხე, რომლის მეორე მხარეზე უდელია და შიგ ბუთნისათვის ხარება შებრული.

**შოლტა:** 2. (ფშ., ხეეს.) ბაღანგაცლილი გუდა.

**შოლტა:** 3. აშოლტილი, მადალი და ტანადი.

**შოლტა:** 4. (ჯავახ.) მცენარე (გრ. ბერ.).

**შორვა:** 1. შორს ყოფნა, არსებობა.

**შორვა:** 2. თხელი შილაფლაევი, ღაბა (დ. ჩუბინ.).

**შორი:** 1. დიდი მანძილით დაცილებული, შორეული; გრძელი, დიდი (გზაზე ითქმის).

**შორი:** 2. (ჯავახ.) გაზაფხულით ჩუქმას (მაწენისაგან გაკეთებული ნაღები) ასხამენ, მერე შედღებამენ, შორი ჰქვია (გრ. ბერ.).

**შორტი:** 1. (მოხ.) ცხავის თავი; ფშუტე მარცვალი გადარჩეულ ხორბალში (ლ. კაიშ.).

**შორტი:** 2. მოკლე შარვალი, მოზრდილი ადამიანები იცვამენ (მ. ჭაბ.).

**შორშორი:** 1. ერთმანეთსზე მოშორებული ან უგვეანი (დ. ჩუბინ.).

**შორშორი:** 2. მოთრეული მხალი გაუწურავად შემსაღებული (დ. ჩუბინ.).

**შპეტი:** 1. უმარილი (დ. ჩუბინ.).

**შპეტი:** 2. ზედამხედველი, მაგალ., ცხერებისა (დ. ჩუბინ.).

**შპიკი:** 1. (პოლონ.) დამარილებული ღორის ქონი (მ. ჭაბ.).

**შპიკი:** 2. (პოლონ.) პოლიციის აგენტი; ჯაშუში (მ. ჭაბ.).

**შპიცა:** 1. (გერმ.) ხშირბეჭვიანი პატარა მადლი.

**შპიცა:** 2. (გერმ.) იგივეა, რაც შპილი, – მადალი პირამიდის ან კონუსის ფორმის სვეტი შენობის თავზე.

**შრატა:** 1. შედედებულთა წველათა და ხატოთაგან გარდანაწერი თხელი წვენი (ნ. ჩუბინ.).

**შრატა:** 2. ცხოველისა და ადამიანის სისხლისაგან მიღებული პრეპარატი, რომელიც შუიცავს ინფექციური დაავადების აღმძვრელის ან ცხოველმოქმედების პროდუქციის საწინააღმდეგო ანტისხეულს.

**შრატა:** 3. (მითიულ., გუდამაყრ.) შარდი.

**შრომა:** 1. ადამიანის მიზანშეწონილი ფიზიკური თუ გონებრივი მოქმედება. – გარჯა; რამე მოღვაწეობის შედეგი.

**შრომა:** 2. (ძე.) ტანჯვა (ნ. მელიქ.).

**შროშანი:** 1. თეთრყვავილა ბოლქვიანი მცენარე; ამ მცენარის ყვავილი.

**შროშანი:** 2. იგივეა, რაც შროშანი (ფრინველი).

„ყნოსა შროშანთა, მღერა შროშანთა“. (იოანე შათელი, „აბღულუმესიანი“).

**შტანგი:** 1. „...ნიშანი რამე შორით დასანახავი, საცნობი“ (საბა).

**შტანგი:** 2. (სპორტ.) შტანგა – სიმძიმის აწევაში – ლითონის ზრო, რომელსაც ბოლოებზე წყვილ-წყვილად უკეთდება სხედასხე სიმძიმის დისკოები; (სპორტ.) კარის ძელი; (ტექ.) დედამიწის მაგარი ფენის (ქვანახშირის...) საბურღავი იარაღი – ლითონის (ან ხის) ზრო, რომელსაც ბოლოში მოხრახნილი აქვს საბურღავი ტურევი.

**შტანგი:** 3. საბელი (ი. აბ.).

**შტილი:** 1. წყნარი, უქარო ამინდი ზღვაზე.

**შტილი:** 2. იგივეა, რაც სტილი, – ენობრივი თავისებურებანი, რომლებიც ახასიათებს ამ თუ იმ მწერალს, ლიტერატურულ მიმდინარეობას, ჟანრს.

**შტილი:** 3. (ლენხ., იმერ.) ჩრდილი (მ. ჩიქ.).

**შტიფი:** 1. (გერმ.) დიდი ბოთლი (დაახლოებით სამი ლიტრის ტევადობისა) (მ. ჭაბ.).

**შტიფი:** 2. (გურ.) აბრეშუმის მძიმე დეკორატიული ქსოვილი, იყენებენ კედლებზე გასაჯ

რავად, რბილ ავეჯზე გადასაკრავად, ფარდებად და სხვა.

**შუა 1.** „არცა ერთ(ი) კერძო მოზიდული“ (საბა); რისამე ნაპირებთან თანაბარი მანძილით დაშორებული; შუაზე, — შუა ადგილას, შუაში.

**შუა 2.** „შუანი, — მხეცთა და ძაღლთა მაგარნი და დიდნი კბილნი“ (საბა).

**შუა 3.** (თუშ.) ტერხო, — ზემო სართული (საცხოვრებული) (ა. შან).

**შუკა 1.** (გურ., იმერ., ლეჩხ.) სასოფლო გზა, ორღობე (ა. ღლ., მ. აღავე). ვიწრო ქუჩა.

**შუკა 2.** (ჯან.) კიტრი.

**შუმი 1.** წმინდა, ხალასი, ნამდვილი; თავანკარი.

**შუმი 2.** უსაბუთო, დაუსაბუთებლად ღაპარაკი ან უპასუხისმგებლო საქმე (ი. გრიშაშ).

**შუნი 1.** (ხევის, ფშ., თუშ.) დედალი ჯიხვი, ფურჯიხვი (ა. შან., ვაჟა).

**შუნი 2.** (ჩინ.) ჩინურ მითოლოგიაში ერთერთი ბრძენი მმართველი.

**შური 1.** „მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა“ (საბა).

**შური 2.** (სპ.) მძიმე შანგის სახელია.

**შუშა 1.** იგივეა, რაც შინა. შინის პატარა ჭურჭელი.

**შუშა 2.** (იმერ.) ახალი, ნორჩი, თოთო (ვ. ბერ.).

**შუშუტი 1.** (ჯაფახ.) ქარაფშუტა, მსუბუქი ჭკუის კაცი (გრ. ბერ.).

**შუშუტი 2.** (ქიზიყ., თუშ., მესხ.) მილი, გულდრუჯოხი, ძეალი, მასრა და მისთ. (ს. მენოეშ.); მილი (ი. ბუქურ.); წისქვილის დარის შევიწროებული ბოლო წყლის შესამჭიდროებლად (ი. მაისურ.).

**შუშხი 1.** (ფშ.) შიში, მორიდება (ი. ქეშვიკ.) გაწყრომა და დაშინება.

**შუშხი 2.** (იმერ.) ძლიერ შავი, დამწვარი (ვ. ბერ.).

**შქერი 1.** მარადმწვანე მორჩილი ბუჩქი, იკეთებს წითელ ყვავილს.

**შქერი 2.** (რაჭ.) წყავი (მარადმწვანე მცენარე, იკეთებს თეთრ მტვერებად შეკრებილ ყვავილებს, ისხამს კურკიან, წვნიან ნაყოფს, იჭმევა) (აღ. კობახ.).

**შხუნა 1.** (გურ.) ბარდიანი ბუნქნარი (ი. ჭყონ.); ახალგაზრდა ხშირი ტყე.

**შხუნა 2.** ორ ან მეტანძიანი ირიბიალქნიანი პატარა ხომალდი.

## ჩ

**ჩააბნეეს 1.** რამეში დააბნეეს, — ჩაყრის, ჩაფანტავს.

**ჩააბნეეს 2.** რამეში გაყურის, ჩარჭობს (ნემსს, ქინძისთავს...); დააბნეეს.

**ჩააწიკწიკებს 1.** წერილი ასობით მჭიდროდ და ღამაზად (ზედმიყოლებით) დაწერს; კოხტად ჩამწკრივებს.

**ჩააწიკწიკებს 2.** წიკწიკის ხმას გამოაცემინებს.

**ჩააჭიკჭიკებს 1.** სხაპა-სხუპით წაიკითხავს ან ზეპირად იტყვის, — ჩააბულბულებს.

**ჩააჭიკჭიკებს 2.** ჩააწიკწიკებს. — წერილი ასობით მჭიდროდ და ღამაზად დაწერს; კოხტად ჩამწკრივებს.

**ჩაბალახი 1.** (ძე.) ჯაჭვის ქული; მუზარადი. „თავს სახურავი ლიტონი ჯაჭვი“ (საბა).

**ჩაბალახი 2.** იგივეა, რაც ყაბალახი, — რბილი ქსოვილის წოწოლა გრძელტოტებიანი თავსაბურავი, ჩეეულბერიე, მამაკაცისა.

**ჩაბნევა 1.** ჩაფანტვა.

**ჩაბნევა 2.** რამეში გაყრა, ჩარჭობა (ნემსის...), დაბნევა.

**ჩაბნეული 1.** რაც ჩააბნიეს ან ჩაიბნა, — ნაცვენილი. ჩაფანტული.

**ჩაბნეული 2.** რაც ჩააბნიეს, — რამეში გაყრილი, ჩარჭობილი. (მაგ., ბალიშში ჩაბნეული ნემსი).

**ჩაგვრა 1.** „ღამაგვრა“ (საბა); შევიწროება, დაჯაბნა, დაბრიყვება; დაბნევა.

**ჩაგვრა 2.** „ჩაგურა, — დაბლა ჩაყენა“ (საბა).

**ჩადენა 1.** (იმერ., გურ.) ქვეით გადენა, ჩაყენა, ჩარეკვა; იგივეა, რაც წადენება.

**ჩადენა 2.** გაკეთება, ქმნა, შესრულება (უპირატესად ცუდი რამისა).

**ჩადენილი 1.** რაც ჩაედინა.

**ჩადენილი:** 2. რაც ჩადინეს (მაგ., ჩადენილი დანაშაული).

**ჩაესმება:** 1. ყურში ჩასწვდება, – მოესმება.

**ჩაესმება:** 2. იგივეა, რაც ჩაესობა.

**ჩათალა:** 1. მოწყობილობა ურმის ბორბლის სწორი დაცენტრების შესამოწმებლად – ხის ორფეხა, რომელსაც ზემო ნაწილში, გვერდის კოტა აქვს გაკეთებული ბორბლის ჩამოსაცმელად; იგივეა, რაც ხობორკალი, – სამფეხა დაზგა, რომელზედაც ჩამოდებულია ხარის ფეხების გასაკერელი უღელი (დაჭედვის დროს).  
**ჩათალა:** 2. ჭდე, დაჭედული, ნიშანი (ი. გრიშაშ.).

**ჩათქმა:** 1. ნანატრის ახდენის დაკავშირება რამის შესრულებასთან.

**ჩათქმა:** 2. ჩანთქმა; (თუშ.) წყლის, ღუდის, საზოგადოდ სითხის ჩაყლაპვა (პ. ხუბ.).

**ჩათქმა:** 3. ჩასუნთქვა.

**ჩაიფეფება:** 1. ამოიხოცება, ამოიფლიტება.

**ჩაიფეფება:** 2. იგივეა, რაც ჩაიფუტება.

**ჩაისვამს:** 1. ჩასვამს თავისაში, – შიგ დაისვამს; დაისვამს, ჩაიყენებს.

**ჩაისვამს:** 2. ქვევითკენ დაისვამს (ხელს...), ჩაომოისვამს.

**ჩაისხამს:** 1. ჩაასხამს თავისაში. ან თავისთვის.

**ჩაისხამს:** 2. ჩაისვამს ბევრს.

**ჩაიტანს:** 1. ადგილს გადაუნაცვლებს ზევიდან ქვევით; ჩაზიდავს. მიიტანს ზევიდან ქვევით.

**ჩაიტანს:** 2. მოიქცევს შარვალში, ქვედატანში (ზედა ჩასაცმელის კალთებს...), ჩექმებში, წინდებში და მისთ. (შარვლის ტოტებს).

**ჩაიფარცხება:** 1. ფარცხით მიწაში მოექცევა; მიწა წაყურება, ჩაფარცხავენ.

**ჩაიფარცხება:** 2. (ქარაულ.) იგივეა, რაც დაიფურცხება, – კვერცხის მდებელი ქათამი გაბერწვდება.

**ჩაიწვება:** 1. შიგ დაიწვება; ბოლომდე დაიწვება; გველეისაგან ჩახმება.

**ჩაიწვება:** 2. (ვარგ.) წახდება, გაფუჭდება, განადგურდება (ლ. ბრეჯ.).

**ჩაიხევეს:** 1. ქვემოთკენ დაიხევეს.

**ჩაიხევეს:** 2. ჩაიხევეს თავისას, – სიგრძივ (ზევიდან ქვევით) გაიხევეს.

**ჩაკუნე:** 1. (გურ., იმერ.) ნელა, სუსტად სიარული (ს. უღ.).

**ჩაკუნე:** 2. (ქიზიყ.) ცულის ცემის ხმა, შუშის ჭრისა ან ტყის ჭრის დროს რომ გამოდის (ს. მენთეშ.). ნაჯახით უხეიროდ თლა.

**ჩალა:** 1. სიმინდის, ღომის, ბრინჯის და მისთ. ღერო და ფოთლები, მეტწილად ხმელი; ჭაობის ან წყლის ნაპირის მაღალი ბალახითა და მტწილად ერთლებლიანთა კლასისა; კაპრაში.

**ჩალა:** 2. „ყვითელმოწითალო“ (საბა). მოწითალო საქონელი.

**ჩალა:** 3. იტყვიან უმარილო და უგემურ საჭმელზე (ა. სიხ.).

**ჩალა:** 4. ვაშლის ჯიშია აჭარაში.

**ჩალიჩი:** 1. თასების, თივისა და მისთანათაგან დაგრეხილი თოკი; ლახტი, ლახტობა.

**ჩალიჩი:** 2. (ქიზიყ.) გაჭირვებით, ვაი-ვაგლახით რისაზე გაკეთების მცდელობა (ს. მენთეშ.); (ჯავახ.) საქმის ნელ-ნელა კეთება შეძლების მიხედვით (ს. მენთეშ.).

**ჩალუმი:** 1. (გურ., აჭარ.) თავმომწონე, ამპარტავანი, ამაყი (ა. ლლ.).

**ჩალუმი:** 2. (გურ., აჭარ.) მოხერხება, უნარი, შრო, მარიფათი (შ. ნიჟარ.).

**ჩალხი:** 1. იგივეა, რაც ჩარხი, – საბრუნებელი მანქანა (ლითონის, ხის და მისთ. დასამუშავებლად); (ქიზიყ.) საკირის გუმბათის გარშემო შემოსაყრელი ნამტვრევი კირქვა.

**ჩალხი:** 2. (ქართლ.) ცახი, – ბალახეულის კონა ან ფოთლებიანი ფიხი, რომელსაც უდებენ აბრეშუმის ტიას პარკის გასაკეთებლად.

**ჩალხი:** 3. (ხევსურ., მოხ.) საღულე ქვების გვერდებზე ჩაკერებული სპილენძის ფურცლები (ა. შან.).

**ჩამომხტარი:** 1. ვინც ან რაც ჩამოხტა, – ხტომით ჩამოსული.

**ჩამომხტარი:** 2. ძირს ჩამოსული (ცხენიდან...); დაქვეითებული; დროებით დამდგარი, გაჩერებული ბინად.

**ჩამოსმა:** 1. ძირს ჩამოყვანა და დასმა; საერთოდ, ჩამოყვანა (მადლიდან).



**ჩამოსმა:** 2. ზევიდან ქვევით დასმა (ხელი-სა...).

**ჩამოსხმა:** 1. სახელი ჩამოსახამს (ჩაახამს დიდი ჭურჭლიდან პატარაში), ზმნათა მოქმედებისა; ბოთლებში ჩასხმა.

**ჩამოსხმა:** 2. სახელი ჩამოსხამს (ჩამოსვამს ბერს; დასხამს მწკრივად, რიგზე) ზმნათა მოქმედებისა.

**ჩამოსხმული:** 1. რაც ჩამოსახეს.

**ჩამოსხმული:** 2. ვინც, რაც ჩამოსხეს.

**ჩამოყრის:** 1. ჩამოაგდებს ბერს.

**ჩამოყრის:** 2. (ჟარგ.) მოუთხრობს, ეტყვის (ლ. ბრეგ.).

**ჩამოსტება:** 1. ხტომით ჩამოვა, – გადმოხტება.

**ჩამოსტება:** 2. გადმოვა (ცხენიდან...), დაქვეითდება; დროებით ბინას დაიდებს, გაჩერდება.

**ჩამშვები:** 1. ვინც ჩაუშვებს.

**ჩამშვები:** 2. (ჟარგ.) დამბებულბელი, დამსმენი (ლ. ბრეგ.).

**ჩამწყობა:** 1. ვინც (რაც) ჩააწყობს, ვინც (რამაც) უნდა ჩააწყოს, – ჩამლაგებელი; მუშა, რომელიც რასმე აწყობს.

**ჩამწყობა:** 2. (ჟარგ.) საიდუმლო გარიგებით საქმის მომკვარახტინებელი (ლ. ბრეგ.).

**ჩანა:** 1. ქვედა ყბა (აღამიანისა, საქონლისა).

**ჩანა:** 2. მარხილი, ცოგა (დ. ჩუბინ.).

**ჩანა:** 3. კიბის საფეხურების შემაერთებელი გვერდითი ძელი ხისა.

**ჩანა:** 4. სიმებანი საქრავის ტანი, მუცელი.

**ჩანადენი:** 1. რაც ჩაედინა (წყალი და მისთ).

**ჩანადენი:** 2. რაც ჩაიდინეს, – ჩადენილი (მაგ., ჩადენილი დანაშაული).

**ჩანახი:** 1. გულამოდებული ხის ცილინდრული ჭურჭელი მარცვლეულისათვის, იყენებენ საწყაროდაც (დაახლოებით ნახევარი ფუთი).

**ჩანახი:** 2. თარის მუცელი (რეზინატორი).

**ჩანახი:** 3. ცხერის ხორციით, ბადრიჯნითა და პომიდვრით გაკეთებული საჭმელი, ამზადებენ ცალკე უღუფებად თიხის ჯამებში.

**ჩანგა:** 1. ჩანა, – ქვედა ყბა (ს. მენთეშ).

**ჩანგა:** 2. ყბამოქცეული აღამიანის მეტსახელი.

**ჩანგა:** 3. (ინგილ.) ხელეური, მჭელეული, რაც ცალ ხელში დაიჭირება (თივა, პურეულის დეროები) (გრ. ბერ.).

**ჩანგალა:** 1. ჩანგალივით მოხრილი, მოკაუჭებული რაიმე; (ქართლ.) რქამოკაუჭებული (კამენი).

**ჩანგალა:** 2. (გურ.) გასახმობად ხეზე მიყუდებული ჩალა.

**ჩანი:** 1. (მოხ.) ქვეწარმავლის კანი, ტყავი, ჭარი (ო. ქაჯ.).

**ჩანი:** 2. დიდი კასრი, როფი (ქ. ძოწ.).

**ჩანი:** 3. ცუდად დაკოდილი.

**ჩანჩახი:** 1. (გურ.) ქათმისა და ინდაურის გასასუქებლად მოხარშული სიმინდის მარცვალი (გ. შარაშ).

**ჩანჩახი:** 2. (აჭარ.) წისქვილის ნაწილი (შ. ნიე).

**ჩანჩხური:** 1. ჩანჩხარი, ჩხარუნი; ხმამაღლა, უთავბოლოდ ლაპარაკი. (თ. რასიკ.).

**ჩანჩხური:** 2. ასხმული მძივი (დ. ჩუბინ.).

**ჩაო:** 1. (გურ.) მუდმივი ჩრდილი. ჩრდილი, უმზეო, დაბურული ადგილი.

**ჩაო:** 2. (ჟარგ.) გამარჯობს!

**ჩაო:** 3. ნახვამდის!

**ჩარა:** 1. ილაჯი, ძალა, ღონე.

**ჩარა:** 2. „კათხასავით სასმისია ყურინი“ (საბა).

**ჩარბი:** 1. (ლენხ.) ტუჩი, ბაგე, ლაში; მტაცებელი ფრინველის ნისკარტი.

**ჩარბი:** 2. (მოხ.) განსხვავებული ფერის თმა წარბში (ი. ქავთ.).

**ჩარგა:** 1. ზურნის მეოთხე თვალი.

**ჩარგა:** 2. სპარსულ-აზერბაიჯანული ხალხური მუსიკის კილო.

**ჩარეცხილი:** 1. რაც ჩარეცხეს ან ჩაირეცხა; რეცხვით ჩაწმენილი, ჩასუფთავებული; წაღუკილი.

**ჩარეცხილი:** 2. (ჟარგ.) ხელიდან წასული, მოთავებული (ლ. ბრეგ.).

**ჩართავს:** 1. განსაზღვრულ ადგილზე რამე-

ში ჩაამაგრებს; ელექტროწრედის შეკერით აამოქმედებს.

**ჩართაფს:** 2. (ჯარგ.) ბევრს ილაპარაკებს (ლ. ბრეგ.).

**ჩარჩი:** 1. ქორვაჭარი, სპეკულანტი.

**ჩარჩი:** 2. (ფშ.) თოფიდან ძონძის ამოსაღები ხრახნილი (ი. ჭყონ).

**ჩარჩობა:** 1. ქორვაჭრობა, სპეკულანტობა.

**ჩარჩობა:** 2. (გურ.) იგივეა, რაც ჩახხობა, — რამეში ჩახხრობა.

**ჩასადენი:** 1. იგივეა, რაც ჩასადინებელი.

**ჩასადენი:** 2. რაც უნდა ჩაიღინონ, გასაკეთებელი, საქნელი ჩადენის მიზნით.

**ჩასადენი:** 3. რაც უნდა ჩარეკონ.

**ჩასახხმელი:** 1. რაც უნდა ჩაახხან რამეში; რაშიც უნდა ჩაახხან რამე.

**ჩასახხმელი:** 2. რაც უნდა ჩაიხხან ან ჩაუსხან.

**ჩასხმა:** 1. სახელი ჩაახხამს (ჩაუშვებს, მოათავსებს რამეში მაგ., სითხეს) ზმნათა მოქმედებისა.

**ჩასხმა:** 2. სახელი ჩასხამს (ჩახეამს ბევრს), ჩაიხხამს (ჩაიხეამს ბევრს) ზმნათა მოქმედებისა.

**ჩაუსხამს:** 1. ჩაახხამს მისაში ან მისთვის.

**ჩაუსხამს:** 2. ჩაუხეამს ბევრს.

**ჩაუშვებს:** 1. რაიმე სიღრმეში დაუშვებს; დააეღლებს ან საშუალებას მისცემს ჩაეიდეს.

**ჩაუშვებს:** 2. (ჯარგ.) დააბუღებს, დაასმენს (ლ. ბრეგ.).

**ჩაუწევს:** 1. ჩასწევს მისას ან მისთვის; ზევიდან რამეში გადაუადგილებს, — დაუშვებს, ჩაუშვებს (მისას); პატრუქს დაუღაბლებს.

**ჩაუწევს:** 2. ისე ისვრის, რომ ჩააღწიოს, — ჩაუწვდენს.

**ჩაფარი:** 1. (თურქ.) დაბალი წინის პოლიციელი.

**ჩაფარი:** 2. (ძე.) შიკრიკი.

**ჩაფარი:** 3. (კუთხ.) მცველი.

**ჩაფარი:** 4. (ინგილ.) ყაერის ლასტი (მ. ჯან.).

**ჩაფი:** 1. მოსრდილი ცაღყურიანი ჭურჭელი თიხისა, დაბალყელიანი და ფართოპირიანი; ღვი-

ნის საწყო, დაახლოებით ერთი ფუთის ტევადობისა.

**ჩაფი:** 2. (ხეეს., მოხ.) გრძელი დაბალყელღვიბიანი მოწნული ლასტი, საწოლად ხმარობენ; (ხეეს., ფშ.) ქალთა საწოლი; წნელებისაგან დაწნული გრძელი ჯინი, რომელშიც ჩაღვია ჩაფენილი (ს. მაკალ., ა. ჭინჭარ.).

**ჩაფურა:** 1. (იმერ.) ჩაფურა, — პატარა ჩაფი. (რაჭ.) ფართოტუნებიანი ღოქი (ვებერ.).

**ჩაფურა:** 2. „ფურხის საცმელი“ (საბა); (მეგრ.) წულა.

**ჩაფჩაფი:** 1. (მოხ.) ჩაქჩაქი, უხიერო რყევით სიარული ცხენისა; ფუნფუნლით სიარული (შ. ძიძ.).

**ჩაფჩაფი:** 2. (მესხ.) სავსედ, ჩქაფუნით, ჩქრივლით დენა (ი. მაისურ.).

**ჩაქი:** 1. ამოუკერავად დატოვებული ადგილი სულა სამოსლის გვერდით კალთებზე; (ქიზიყ.) ქიმი, ჩოხისა და ახალუხის უკანა კალთების გაღანაკერებში, წელთან, გამოყვანილი ქიმი, ცოტათი მაღლა რომ არის ამოწეული (ს. მენტეშ.); კალთის შენახევი (საბა).

**ჩაქი:** 2. (ძე.) სიგელი, საბუთი (ზ. სარჯ.).

**ჩაქურა:** 1. გურულების, აჭარლებისა და მესხების ძველებური ტანსაცმელი, — მოკლე წელზევით ჩოხა და ვიწროტოტებიანი, თაგვანიური ხეანჯრიანი შარვალი.

**ჩაქურა:** 2. ღომის ერთ-ერთი ჯიში დასაფლეთ საქართველოში.

**ჩაქცეული:** 1. რაც ჩააქციეს ან ჩაიქცა, ჩანგრეული.

**ჩაქცეული:** 2. (ჯარგ.) ძალიან მდიდარი (ლ. ბრეგ.).

**ჩაღი:** 1. (ქიზიყ.) ნათელი, სინათლიანი (ს. მენტეშ.).

**ჩაღი:** 2. (ფერეიდ.) მსუქანი (არნ. წიქ., შ. ძიძ.).

**ჩაშვება:** 1. რაიმე სიღრმეში ჩასვლა; რამეში დაშვება.

**ჩაშვება:** 2. (ჯარგ.) დასმენა, დაბუსლევა (ლ. ბრეგ.).

**ჩაჩა:** 1. (იმერ.) ჩოჩილა ურემი; გოგრაჭა (ვ. ბერ.).

**ჩაჩა:** 2. (ხეეს.) ბუდე, რომელშიაც თაგვითავე მოთავსებული (ა. ჭინჭარ.).

**ჩანანაკი:** 1. სიბერიო დაუძღურებული, მიხრწილი.

**ჩანანაკი:** 2. აეშარის ნაწილი, – საბღის გამოსაბმელი რკინის რგოლი, – ჩანჩიკი; (ოკრიბ.) საღტეში თავისუფლად მბრუნავი რკინა (მ. ალაგ); წისკელის ხელსაწყო.

**ჩანანაკი:** 3. აბესარი (ა. ნიმი).

**ჩანანი:** 1. დაბალი ტანის ბაეშეებზე იტყვიან.

**ჩანანი:** 2. ცუდად ჩამცმელი; ულაზათოდ ჩამცმელი. ჩანწურა.

**ჩანანი:** 3. ჩეჩნეთის მკვიდრი (ა.ს.ხ.).

**ჩაჩი:** 1. (ფშ.) ნაბღის ან ტყეის უხვირო ქული (ვაჟა, ა. შანი); გრძელი ქული (საბა); მოგრძო და ცუდი ქული (ნ. ჩუბინ., დ. ჩუბინ.).

**ჩაჩი:** 2. (ლენხ.) თოფის საწმენდი ზუმბა (მ. ნიქ.).

**ჩაჩია:** 1. (ქიხიყ.) იგივეა, რაც ჩანწურა.

**ჩაჩია:** 2. (იმერ.) სიმინდის ხმელი ღერო, – ჩალა; ჩალის ღეროებისაგან შეკრული ჩელტი, აბრეშუმის ჭიისათვის (ს. ჟღ.).

**ჩაძახვა:** 1. ჩაძახება.

**ჩაძახვა:** 2. რამესთან ერთად დაძახვა.

**ჩაწიქწიქება:** 1. წიქწიქის ხმის გამოცემინება; კარგად დაკერა (გარმონისა).

**ჩაწიქწიქება:** 2. წერილი ასოებით, მჭიდროდ და ლამაზად (ხედმიყოლებით) დაწერა.

**ჩაჭრილა:** 1. (მოხ.) რძეში მოხარშული კარტოფილი.

**ჩაჭრილა:** 2. (რაჭ., იმერ., ლენხ.) მთლიანი ხისაგან გაკეთებული პატარა საწნახელი (ე. ბერ.).

**ჩახჩახა:** 1. კაშკაშა, მოელვარე, მბრწყინავი.

**ჩახჩახა:** 2. ჩხრილა, ხმაურა; (მესხ.) მხიარული, ცოცხალი, მუდამ ხალისიანი და მოლაპარაკე ადამიანი (ი. მათსურ.).

**ჩახჩახა:** 3. (ჯავახ.) ჭიოტა მცენარეა (ა. მაყ.).

**ჩახჩახებს:** 1. ჩახჩახი გაუღის, ბრწყინავს, კაშკაშებს, ელვარებს.

**ჩახჩახებს:** 2. ჩახჩახი გააქვს; ჩუხჩუხებს.

**ჩახჩახი:** 1. კაშკაში, ბრწყინვა, ელვარება.

**ჩახჩახი:** 2. ჩხრიალი, ხმაური; იგივეა, რაც ჭახჭახი.

**ჩეთე:** 1. საქართველოში გავრცელებული სამხედრო ხომალდი აფრებითა და ნიშებით ურთიდროულად. ეს ჩაეები მდინარეებშიც აღვილად შედიოდნენ და მოხერხებული იყვნენ მოქნილი მანევრებისათვის (ს. კუტაღ.).

**ჩეთე:** 2. (გურ.) ადგილობრივ მცხოვრებთაგან შემდგარი მეომარი რაზმი აჭარაში (გ. შარაშ.).

**ჩეკა:** 1. კვერცხებზე ჯდომა (ფრინველისა), დათბობა, რომ ჩანასახი განვითარდეს და (წიწილა, ბარტყი...) ნაჭუჭიდან გამოვიდეს.

**ჩეკა:** 2. წვერის წათლა (სარისა...).

**ჩეკა:** 3. (ქსნის ს., მოხ.) ნაბღის ნაგლეჯი (ე. სომხ.).

**ჩეკა:** 4. სახელწოდება სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიისა.

**ჩეკი:** 1. „ცეცხლის საჩხრეკელი“ (საბა); პატარა თოხი (ქ. ძოწ.); ტალახის საფხეკი, რკინისა (მომცრო ნიშბის ფორმის მქონე); (თიან.) ბარულა, – პატარა ბარისებრი იარაღი.

**ჩეკი:** 2. გარკვეული ფორმის წერილობითი განკარგულება ბანკისადმი ამა თუ იმ თანხის გაცემის შესახებ; წერილობითი მოთხოვნილება სამზარეულოსადმი; ქეთარი გარკვეული თანხის გადახდის შესახებ.

**ჩეკი:** 3. სარი (ი. გრიშაშ.).

**ჩეკს:** 1. გამოწევა, – კვერცხებზე იჯდება (ფრინველი), რომ გათბობით ჩანასახი განვითარდეს და (ბარტყი, წიწილა) ნაჭუჭიდან გამოვიდეს.

**ჩეკს:** 2. დაწევა, – წვერს წაუთლის, წამახეავს (ჭიგოს, სარს...).

**ჩელტი:** 1. ლასტი, ჩალის ღერებისაგან შეკრული ლასტი, – ჩაფარა; (გურ.) მოწნული ფარცხი; (რაჭ.) წნელისაგან მოწნული ნაპირებშემალლებული განიერი ჭურჭელი რისამე გადასაზიდლად (იღვამება ურემზე).

**ჩელტი:** 2. ლახტივით (ნ. ჩუბინ.); საომარი გრძელი უტარო მათრახი თასმისა ან მეტალი-სა (დ. ჩუბინ.).

**ჩემება:** 1. „დაიმისოს“ (საბა); „თავისად დათქმა“ (საბა).

**ჩემება:** 2. (ძე.) ნილაბი (ნ. მელიქ.).

**ჩვირი:** 1. (ინგილ.) ბალახია ერთგვარი.

**ჩვირი:** 2. (გურ.) იგივეა, რაც ცხენისა და მისთანათა ქვედა ტუჩი.

**ჩვირი:** 3. „სპილოს ხორთუმი“ (საბა); ბიბი-  
ლოსებრი წინაწარდი ინდაურის ნისკარტსე.

**ჩიბა:** 1. „ასაკმცირე ძაღლი“ (საბა); (მთიულ.,  
გუდამაყრ.) ციბა, პატარა ძაღლი (ყ. ვირსაღ.).

**ჩიბა:** 2. (ზ. იმერ.) წისქვილის ნაწილია საფ-  
ქვილე. — ალა (ქ. ძოწ.).

**ჩიბე:** 1. „ღორთა და თახვთა საწოლი“ (საბა).

**ჩიბე:** 2. (ზ. იმერ.) წისქვილის ფქვილის ამო-  
საღები (პ. ჯაჯან.); (ოკრიბ.) ალატი, წისქვი-  
ლის ყუთი, რომელშიაც ფქვილი ცვივა (ე. ბერ.).

**ჩიბუხა:** 1. ღაღდის ჯიშის მოზრდილი სანა-  
ღირო ფრინველი, ბინადრობს ჭაობიან ადგი-  
ლებში.

**ჩიბუხა:** 2. იტყვიან კაცსე, რომელსაც მუდამ  
ჩიბუხი აქვს პირში განრილი.

**ჩიბუხა:** 3. (ფშ., მოხ., მთიულ.) ყვავილია.

**ჩიბუხი:** 1. თამბაქოს მოსაწვევი მოწყობილო-  
ბა.

**ჩიბუხი:** 2. (იქ.) ხაშარი, — „ფალანგთ სვეტნი,  
რომელსა თურქნი ჩიბუხს უწოდებენ“ (საბა).

**ჩიბუხი:** 3. აზღოტი, პურანგის გვერდებზე ჩა-  
საყენებელი ნაჭერი სიგანისა და ირიბობის  
მისაცემად (ს. მენთეშ.).

**ჩიბუხი:** 4. ტყავის კალათა (ს. მენთეშ.).

**ჩითა:** 1. დაზღის სქელი წინდა, ორპირად მოქ-  
სოვილი (თუშები ფეხსაცმელად ხმარობენ).

**ჩითა:** 2. ჩითიეთს ჭრული.

**ჩითვა:** 1. ბეჭდვით სახეების გამოყვანა (სადა  
ქსოვილზე); გაწმენდა ეენახისა (ვაზისა) ზედ-  
მეტი ყლორტებისა და ფოთლებისაგან.

**ჩითვა:** 2. (ქარგ.) მიღებული კარტის ნელ-  
ნელა, ერთი წვერიდან სინჯვა (ბანქოში); ცქე-  
რა, ყურება; სინჯვა.

**ჩითი:** 1. (თუშ.) მატყლის ძაფისაგან მოქსიეი-  
ლი უყველო ფეხსაცმელი (თ. უთურგ.).

**ჩითი:** 2. ბამბის თხელი, სახეებიანი ქსოვილი.

**ჩიკი:** 1. გუთნის საფხეკი.

**ჩიკი:** 2. პატარა სამფეხა სკამი (თ. უთურგ.).

**ჩიკრიკი:** 1. ერთგვარი ფრინველია.

**ჩიკრიკი:** 2. მარჯვე, გამრჯე.

**ჩილა:** 1. (ფშ.) სანთლის გული; ბამბის ნართი  
პატრუქისათვის; (მთიულ.) შალის ქსოვის დროს

მორსენილი ძაფი.

**ჩილა:** 2. (იმერ., გურ.) რბილი, მკლე ხორცი;  
(იმერ.) წინანაღები, ქათმის მკერდის ანაჭერი.

**ჩილა:** 3. (გურ., ლეჩხ., მეგრ.) ჩირი (ს. უღ., მ.  
ჩიქ.).

**ჩილი:** 1. (იმერ.) ჩირი, — საგანგებოდ გამხმა-  
რი ხილი.

**ჩილი:** 2. (გურ.) ჩაღა, ძენძი.

**ჩილი:** 3. სანათი, ლამპარი, კანდელი.

**ჩილი:** 4. (ჭან., მეგრ.) ცოლი (არნ. ჩიქ).

**ჩილი:** 5. (ჯავახ.) ყვავილით დაკეცილი (გრ.  
ბერ.).

**ჩიში:** 1. (მოხ.) ჩაღის ან თივის ნამწვი (ო.  
ქაჯ.).

**ჩიში:** 2. (იმერ.) ჩრჩილი (ი. ქავთ.).

**ჩინება:** 1. (ძე.) დანიშნვა (სიმ. ყაუხნ.).

**ჩინება:** 2. (ძე.) მითითება; ნება (სიმ. ყაუხნ.).

**ჩინება:** 3. გამოჩენა, გამოვლენა.

**ჩინი:** 1. ქართული ანბანის ოცდამეექვსე ასოს  
სახელწოდება.

**ჩინი:** 2. ხედვის უნარი, — მხედველობა; თე-  
ლის ჩინი.

**ჩინი:** 3. სამხედრო პიროთა და სამოქალაქო  
მოხელეთა სამსახურებრივი ხარისხი.

**ჩინი:** 4. ჩინური (მოჭიქული) ჭურჭელი.

**ჩინი:** 5. „ზეთისხის ფოთლის ფერი“ (საბა).

**ჩინი:** 6. აკაური, — ასიდა, ურუნი მფრინ. (დ.  
ჩუბინ.).

**ჩინი:** 7. შემოკლებით: ჩინეთი.

**ჩინი:** 8. სასმისია ერთგვარი (ი. გრიშაშ.).

**ჩინური:** 1. ჩინელების დამახასიათებელი, ჩი-  
ნელების კუთვნილი, ჩინეთიდან მომდინარე.

**ჩინური:** 2. თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშის ერ-  
თგვარი.

**ჩინური:** 3. (ჯავახ.) ლაქიანი თიხის ჯამი  
(გრ. ბერ.).

**ჩინჩა:** 1. (იმერ.) ჩრჩილი (ა. ღღ.).

**ჩინჩა:** 2. (გურ.) თხილის ჯიშია (ა. ღღ.).

**ჩინჩი:** 1. ჯანჯლობა, ღიჯინი (ვაჭრობაში).

**ჩინჩი:** 2. (იმერ.) ჩრჩილი, — პატარა, ვიწროფ-  
რთიანი პეპელა შალის ქსოვილებისა და ბეწ-  
ვეულის, აგრეთვე ფუტკრისა და მცენარეულო-  
ბის მავნებელი, მღილი.

**ჩინჩილი:** 1. ჩანჩალი.

**ჩინჩილი:** 2. (ლენხ.) ჩუმაღ, ფეხაკრეფით სიარული.

**ჩინჩილი:** 3. (ქართლ.) ქატო.

**ჩინჩხალი:** 1. ნაპერწკალი; (გურ., იმერ., ლენხ., ფშ.) ნაპერცხლებიანი მუგუსალი (ა. ღლა); ნაპერწკლები, წინწკლები, რომლებსაც ღვინო ისერის (ი. ჭყონ).

**ჩინჩხალი:** 2. (კახ.) ტოტებიანი ნარიყი ხე (ა. მარტ., გრ. იმნ.).

**ჩინჩხვარი:** 1. წერილი, ხმელი ტოტები, წერილი ფინხი. ნაფოტი.

**ჩინჩხვარი:** 2. (ჯგუჯ.) ანხილა, — მცენარეა.

**ჩინჩხი:** 1. პატარა ზედა ჩლიქები საქონლისა; (ქართლ.) ჩუნჩხა; (ხევს.) მახორიკა; (მთიულ.) ქუცუცა; (იმერ.) ნეკი.

**ჩინჩხი:** 2. (მთიულ.) იგივეა, რაც გრაკლა, — დაბალი ტანის ფოთლოვანი ბუჩქი, დეკორატიულია და ფოთლოვანი.

**ჩინჩხი:** 3. (გუდამაყრ.) რძის საწურავე, ბალახისაგან აკეთებენ (ა. ბექ.).

**ჩინჩხილი:** 1. (კახ.) ჩინჩხალი, — ტოტებიანი ნარიყი ხე (გ. იმნ.).

**ჩინჩხილი:** 2. (ქიზიყ.) ჩუხჩუხი, ცეცხლის გასადევებლად მუგუსლების გაწვე-გამოწვევა ან სანხრეკით ჩხრეკა (ს. მენოეშ.).

**ჩინჩხილი:** 3. დაბალი, გაუვალი ტყე, — ბუწქნარი.

**ჩირაღდანი:** 1. ჯოხი, რომელზედაც ნავთში ამოვლებული ჩვარი ახვევია (ხმარობენ გასანათებლად).

**ჩირაღდანი:** 2. კაბის საკერკელა, — მცენარე (ა. მაყ.).

**ჩირაღი:** 1. ილაჯი, ძაღა, ჯანი, არაქათი (ნ. ჩუბინ., ნ. მარი, შ. ნიჟ.).

**ჩირაღი:** 2. სანთელი, სანათი (გრ. ბერ.); (მოხ., ზ. აჭარ., მესხ., ფერეიდნ.) კვარი (ა. ყაზბ., შ. ძიძ.).

**ჩირბული:** 1. (მოხ.) ცხენის თავზე ჩამოცმული მორთულობა (ო. ქაჯ.).

**ჩირბული:** 2. (ზ. აჭარ.) შუჭამადი: ნიგვითა და ხახვით შესაყებელი ერბოში შემწვარი მთელ-მთელი კვერცხი (შ. ნიჟარ.).

**ჩირეხი:** 1. (ფშ.) ჩირაღი, — კვარი (ა. ყაზბ.).

**ჩირეხი:** 2. (თიან.) ხმელი შუშა (შ. ძიძ.).

**ჩირქი:** 1. სითხე, რომელიც გამოიყოფა ცხოველური ორგანიზმის სისხლისა და ქსოვილუბის ელემენტთა დაშლის შედეგად მიკრობების შემოქმედებით, — ბაღდაში, თხრაძლი; (ძე.) ჭუჭყი, სიბინძურე.

**ჩირქი:** 2. ცარცია ერთგვარი, რომელსაც ფერუმარილის მაგივრად ხმარობენ (ი. გრიშაშ.).

**ჩიტა:** 1. პატარა გარეული ფრინველი (ბელურა, ბულბული...).

**ჩიტა:** 2. (ქარგ.) გულუბრყვილო, იოლად მოსატყუებელი ადამიანი (ლ. ბრეგ.).

**ჩიტაბურა:** 1. (ქართლ.) მალშა, — მცენარეა; მარტივლა, ბალბა (ა. მაყ.).

**ჩიტაბურა:** 2. (ლენხ.) საგანგებო ნამცხვარი ბაეშეებისათვის, ჩიტის ფორმა აქვს (მ. ალაყ.).

**ჩიქვი:** 1. ერთგვარი თევზი, აქვს ფხიანი, ეკლიანი ფარფლები (რ. სურმ.).

**ჩიქვი:** 2. ჩიქვის ბალახს უწოდებენ ყვავისკუდას, ფასმანდუქს.

**ჩიქვი:** 3. (აჭარ.) პატარა ჩირგვი, კუნძი (შ. ნიჟარ.).

**ჩიქჩიქი:** 1. (იმერ.) ჩაქჩაქი, — უხეიროდ რყევით სიარული ცხენისა.

**ჩიქჩიქი:** 2. (ლენხ.) გაურკვეველი ლაპარაკი (მ. ალაყ.).

**ჩიჩვირა:** 1. (გურ.) დიდტუნა, დრუნა ადამიანი; (გურ.) უშნო, დიდი ბაგეკბილის ადამიანი (გ. შარაშ.).

**ჩიჩვირა:** 2. ჩიჩვი.

**ჩიჩვირა:** 3. (იმერ., გურ., მებრ.) გლახა, ჩია, უეარგისი, საწყალი (ე. ბერ., ა. ღლა).

**ჩიჩილაგა:** 1. (ძე.) „ჭუნჭის საცხები ჩხირი“ (საბა).

**ჩიჩილაგა:** 2. (იმერ.) ქათმის მკერდის თეთრი ხორცი; მჭლე ხორცი.

**ჩიჩქვი:** 1. (მესხ.) მჩეჩაეი, ჩრჩილი; (გურ., ზ. იმერ., აჭარ.) ჩრჩილი, — ჭიაა (ა. ღლა); მატლი (ბ. წერეთ., შ. ნიჟარ.).

**ჩიჩქვი:** 2. (ქართლ., გურ.) რბილი, ჩვილი (გ. შატბერ.); ქორფა (გ. შარაშ.); ჩორჩი, ახალგაზრდა (ა. ღლა).

**ჩიჩქი:** 1. სულ მცირე, ერთი ბუწვა, ერთი ციცქნა; პაწაწინა ნაჭერი (ხორციისა).

**ჩინქი:** 2. (ქართლ.) მაგრისა და ჩვილის სა-  
შუალო (ცომი); (ხეეს.) რბილი (ა. ჭინჭარ).

**ჩინქი:** 3. იგივეა, რაც ჩრჩილი – „ბეწვის გა(-  
ნ)მრყენელი ჭუა“ (საბა).

**ჩინხანი:** 1. (ჯავახ.) ჟინიანი ლაპარაკი (გრ.  
ბერ.).

**ჩინხანი:** 2. ცეცხლის არევა, მუგუზლების  
ჩხრეკა, ცეცხლის გასადეივებლად ჩხრეკა (ბ.  
იმნ., ა. ლლ.).

**ჩიხი:** 1. გზა, ერთი მხრიდან ჩაკეტილი; (ზ.  
იმერ.) ფარეხი, საჩიხე, საჩიხი ქართა (ვ. ბერ.).

**ჩიხი:** 2. (ქიზიყ.) მასრა; ჭიტის მაქოში დებუ-  
ლი ძაფის დასახვევი (ს. მენთეშ.).

**ჩიხი:** 3. (კახ.) იგივეა, რაც ჩალა; (კახ.) ლელი,  
– მცენარეა (ა. მაყ.).

**ჩიხი:** 4. თვალთ სახიჩარი (დ. ჩუბინ.).

**ჩიხი:** 5. კოშკი (გრ. ბერ.).

**ჩიხტა:** 1. (ქიზიყ., თიან.) ჩიხტი, ქალის თავსა-  
ბურავის ნაწილი.

**ჩიხტა:** 2. (ფშ., მთიულ., გუდამყრ.) უხეირო,  
უეარგის ცხვარი, საერთოდ, საკლავი (ვაჟა, ა.  
შან., ლ. ლეონ., ლ. კაიშ.).

**ჩლა:** 1. ნაძენძი, ანუ ნაწიბური სკლატისა (მა-  
უდი), ხოლო მსხვილი ლანდრა და ნიმი, სა-  
მოსლისა და სხვ. (ნ. ჩუბინ.); სანთლის გული;  
ბამბის ნართი პატრუქისათვის; (მთიულ.) შა-  
ლის ქსოვის დროს მორჩენილი ძაფი; დვიმი  
(ს. მენთეშ.).

**ჩლა:** 2. საფეიქრო იარაღი (დ. ჩუბინ.).

**ჩლიქი:** 1. სქელი რქოვანი წანაზარდი (სა-  
ხეცველილი ბრჭყალი) ზოგიერთ ძუძუმწოვარა  
ცხოველის (ძროხის, ღორის, ცხენის...) ფეხზე.  
**ჩლიქი:** 2. (თუშ.) ენაბლუ (პ. ხუბ.).

**ჩმახავს:** 1. ტყუილს მოიგონებს, შეთხზავს;  
როშავს, – უჭკუოდ ლაპარაკობს.

**ჩმახავს:** 2. (ძვ.) ცუდად კერავს.

**ჩობალი:** 1. „მუცლის ქონბადე“ (საბა); ბადე-  
ქონი.

**ჩობალი:** 2. დგუშის, ონკანის და მისთ. რბი-  
ლი საფენი სითხის ან აირის გადინების წინა-  
აღმდეგ.

**ჩოგა:** 1. (თუშ.) გაზელილი, ახალი ყველი, მა-  
რილით შეზაგებული (ქუმელს ატანენ); საგან-  
გებოდ დაყოფილი უმარტილო ყველი, რო-

მელსაც ერთი-ორი კვირის შემდეგ ახელენ,  
მარილს მოაყრიან და გუდაში ჩადებენ (პ. ხუბ.).

**ჩოგა:** 2. მოკლე ყვანჯი, – რაკეტა (მოგანი).

**ჩოთქი:** 1. ჯავგრისი.

**ჩოთქი:** 2. საანგარიშო, – სპეციალური მოწყ-  
ობილობა არითმეტიკულ მოქმედებათა საწარ-  
მოებლად.

**ჩონჩხი:** 1. ძელების ერთობლიობა, რომელიც  
წარმოადგენს ადამიანისა და ცხოველის სხე-  
ულის მყარ საფუძველს.

**ჩონჩხი:** 2. (მოხ., ხევსურ.) ოდრო-ჩოდრო კლდე,  
ზოგან მწვეტებია, ზოგან ჩაზნექილი-ამოზნექი-  
ლი (ა. შან.).

**ჩოტი:** 1. (ზ. იმერ.) გამოცვლის შემდეგ სა-  
ქონლის მეორედ ამოსული კბილი (ქ. ძოწ.).

**ჩოტი:** 2. (ზ. იმერ.) აქანდაზი; ასტამი (ქ. ძოწ.);  
(იმერ.) ნაცრის ასალები პატარა ნინაბსაეთი,  
ხისა (ი. ჭყონ).

**ჩოტი:** 3. (ლენხ.) ღომის ამოსალები, ჩინაბი (მ.  
ჩიქ.).

**ჩოფი:** 1. წარბ-წამწამებზე საღებავის წასაცხ-  
ები ჩხირი; დაბეგვილი თრიმლის უფოთლო  
ტოტები (ს. მენთეშ.).

**ჩოფი:** 2. (კახ., თუშ.) სიცხიანი, ცხელი ადგი-  
ლი.

**ჩოფი:** 3. (იმერ.) ძალიან პატარა (კოვზზე უფ-  
რო მცირე) სარწყავი ჭურჭელი (პ. ჯაჯან.).

**ჩოქელა:** 1. (ქართლ.) ადრეული სიმინდის ჯიში  
(. შატბერ.).

**ჩოქელა:** 2. (ოკრიბ.) კალიის მონათესავე მწე-  
რი სწორფრთიანთა რიგიდან (მ. ალავე).

**ჩოქელა:** 3. დამოქილად, დამოქილ მდგომარ-  
ეობაში.

**ჩოყი:** 1. (ქართლ.) ხბოშუბლა, ხორშუბლა, მცე-  
ნარე (ა. მაყ.).

**ჩოყი:** 2. (ფშ.) მალლა აზრდილი უშნოდ, –  
აჩოყილი (ი. ჭყონ).

**ჩოჩია:** 1. (აჭარ.) ვირი, ჩონორი, მუტრუკი (შ.  
ნიჟარ.).

**ჩოჩია:** 2. (გურ.) ერთგვარი თევზის სახელია  
(ს. უდ.).

**ჩოჩიკა:** 1. (რაჭ., ლენხ.) ჩონორი, ვირი.

**ჩოჩიკა:** 2. (გურ.) ლასტი ანუ ჩელტი, კიდე-  
ბენ შუაცეცხლს ზემოთ და ზედ ალაგებენ

თუესს, ყველს, ღორს და სხე., რათა აღრე გახმეს (ა. ღლ.).

**ჩოჩორო:** 1. „მწყ(ე)რის მართე“ (საბა).

**ჩოჩორო:** 2. მუტრუკი ვირისა.

**ჩუდკეცი:** 1. „საპირიან-სარჩულიანი წამოსასხამი მღვდელთა“ (საბა).

**ჩუდკეცი:** 2. ორკეცი ტანსაცმელი.

**ჩუთქი:** 1. (მთიულ.) ხოწი, კოვზის ამოსახევეწი მოხრილი რკინა (ა. შან).

**ჩუთქი:** 2. (ფშ.) ღუწი (ა. შან).

**ჩული:** 1. (ქიზიყ., თუშ.) გაოფლიანებული ცხენის სახურავი (ს. მენოშ.). თოფის ბუდე (ი. ქეშიკ.).

**ჩული:** 2. (ღენხ.) კურტანი (გ. აკლავე).

**ჩუმა:** 1. (ქიზიყ.) ჩუმი, წყნარი ქცევის ადამიანი.

**ჩუმა:** 2. უკეთოდ ჩაწოდილი რძე (ქარაქის შესადღვებად); „უმი ერბო“ (საბა); (ქართლ.) ქარაქის შედღვეების შემდეგ დარჩენილი სითხე.

**ჩუმი:** 1. დაბალი ხმიანობისა, — ხმიადბალი; ხმაამოუღებელი, სიტყვაძვირი, უსიტყვეო.

**ჩუმი:** 2. მოძრავი საცხოვრებელი „სახლი“ ნენებსა და ციმბირის ხალხებში.

**ჩურთი:** 1. სანურთავი მასალა (ძენძი და სხე.).

**ჩურთი:** 2. (ქართლ.) თონის თავი.

**ჩური:** 1. თოშსა და ყინულს რომ მიაყრის ერთად (კირიონი).

**ჩური:** 2. იხ. გრიშაშვილი.

**ჩურჩი:** 1. (ხეეს., მთიულ.) ნაგულას კიდევ გაჩენის შემდეგ საჩენელის კბილებში დარჩენილი მატყელი, რომელიც აღარ ჩამოირთვის. (ა. ჭინჭარ.).

**ჩურჩი:** 2. (მოხ.) ქატო, ჩენხო (ო. ქაჯ.).

**ჩურჩური:** 1. (გურ.) ჯოხით ან სხვა რითიმე ცეცხლის სწორება (ი. ჭყონ).

**ჩურჩური:** 2. ბუზღუნით თხოვნა, ეედრებასავით (ა. ღლ.).

**ჩქერი:** 1. მდინარის სწრაფი დინება კალაპოტის დაქანებულ ქვიან ადგილას.

**ჩქერი:** 2. (ქართლ.) წყავი, — მცენარეა (ა. მაყ.).

**ჩქიფი:** 1. იგივეა, რაც ჩანგალი; იგივეა, რაც

პინცეტი; (ღენხ.) პატარა ტოტი ხისა.

**ჩქიფი:** 2. ჭეილთი, — სათუქსაო ბარჯი (ზ. კუტალ.).

**ჩხაკი:** 1. (გურ., იმერ.) კედელზე იარაღის დასაკიდი (ე. ნინ.). კედელზე მიკრული კაკვი, რომელზეც საოჯახო ნივთებს ან ტანსაცმელს კიდებენ (ა. ღლ.).

**ჩხაკი:** 2. (გურ.) ხილის საკრეფი კალათა (პ. ჯაჯან.).

**ჩხაკი:** 3. (იმერ.) წვრილი ტკეჩებით ან წნელით მოწნული, საცრის მოყვანილობის ჭურჭელი, რომელშიაც მოხარშულ ტყემაღს წუწრავენ (პ. ჯაჯან.). ხახალი, ცხრილი.

**ჩხამა:** 1. (მთიულ., მოხ.) შხამა, — მთის შხამიანი მრავალწლოვანი ბალახი (ა. მაყ., ე. სომხ.).

**ჩხამა:** 2. წითელფოროვანი თუქსია ერთგვარი (მ. აღღავ.). წვრილი თუქსი საზოგადოდ (გ. აღღავ.).

**ჩხართი:** 1. იგივეა, რაც ჩხაკი, — ბადის საქსოვი ჩხირი, ფართხა.

**ჩხართი:** 2. (ღენხ.) იგივეა, რაც ჩლარტი, — ძველი და უხეირო საშინაო ფეხსაცმელი.

**ჩხარი:** 1. არამჭიდრო, მენხერი, ფარღალაღა.

**ჩხარი:** 2. აბრეშუმის უვარგისი პარკი; მხოლოდ საყაჭედ ვარგა.

**ჩხარი:** 3. (თუშ.) იგივეა, რაც ჭირხლი (ი. ბუქურ.).

**ჩხარი:** 4. ჩხრიალი, ჩხარანხური.

**ჩხარი:** 5. კოჭაობის თამაშის დროს, როცა ყველა კოჭი (ერთის გარდა) ერთნაირად ჯდება, ჩხარიაო იტყვიან (გ. შატბერ.).

**ჩხერი:** 1. (იმერ.) არახშირი (ე. ბერ.).

**ჩხერი:** 2. ბაჭტი, — მცენარეა (ა. მაყ.).

**ჩხერი:** 3. (მოხ.) ჩხატი, ჩანქერი (ი. ქავთ.).

**ჩხერი:** 4. (ხევსურ.) ოღრო-ოიღრო კლდე; დაბალი კლდიანი ადგილი, შიგა და შიგა საძოვრიანი (ა. შან).

**ჩხერვა:** 1. (ფშ.) ხარის რჩოლა რქებით (ი. ჭყონ.).

**ჩხერვა:** 2. (ქიზიყ.) უხეიროდ ქსოვა (ს. მენტუშ.).

**ჩხერვა:** 3. „მუცლის გერემა“ (საბა).

**ჩხიბვა:** 1. (გურ.) ბღაჯნა, ულამაზოდ და გაურჩევლად წერა (გ. შარაშ.).

**ჩხიბგა:** 2. (ქიზიყ.) ერთმანეთში გაცმა, გახლართვა (ს. მენთეშ.).

**ჩხმეტი:** 1. (იმერ.) ხის ხმელი ტოტი, ეკალბარდის ბურღო (პ.ჯაჯან.).

**ჩხმეტი:** 2. (ოკრიბ.) ქვიანი ადგილი, კეჭინარი, ქვარნალი (ე. ბერ.).

**ჩხოტო:** 1. (გურ.) უფოთლო მცენარე (ს. უღ.).

**ჩხოტო:** 2. (გურ.) ციცაბო სახურავი.

**ჩხრიალა:** 1. რაც ჩხრიალებს; ჩხრიალით მომდინარე.

**ჩხრიალა:** 2. (ხეესურ.) ჩხაროვი, – ფრინველია.

**ჩხუტყა:** 1. (იმერ., გურ.) რისამე წერილის (მაგ. ნემსის) შესობა (ე. ბერ.).

**ჩხუტყა:** 2. (ინგილ.) ჭიგოსა და სარის ჩეკვა, ჩათლა, – ჩამწვეტიანება (გ. ჯან.).

**ჩხუტი:** 1. (თუშ.) ერთგვარი ვიწრო კასრი; (ხეეს.) სალუდე ქვაბით გაკეთებული (ა. შან.); (ფშ.) დასადგმელი სადღეებელი, შიგ ბარნულას ურევენ და ისე დღეებავენ; (ხეეს.) ღუდის გადასასხმელ-გადმოსასხმელი ჭურჭელი; რძის სადღეები კასრი.

**ჩხუტი:** 2. (ინგილ.) წაწვერებული, წვეტიანი; (ქიზიყ.) ხის ჭურჭლის გულის გამოსაღები იარაღი, მოხრილპირიანი (ს. მენთეშ.).

**ჩხუში:** 1. (აჭარ.) ერთგვარი ხეწვი, – იარაღი.

**ჩხუში:** 2. (აჭარ.) ეაზის ჯიშია ერთგვარი.

## ც

**ცა:** 1. დედამიწის ზემოთ არსებული სივრცე, ზეცა.

**ცა:** 2. (გურ.) სასა (ი. შილაკაძე).

**ცა:** 3. (ზ. იმერ.) თეუხის საჭერი ბადის მრგვალი ნაწილი.

**ცა:** 4. (გურ.) ციცა (გოგო). (ს. უღ.)

**ცა:** 5. გარდასაფარებელი საეკლესიო ჭურჭელზე.

**ცა:** 6. (ქიზიყ.) დღე-ღამის ნახევარი. მიღებულია რწყვისას დროის სათვალავ ერთეულად (ს. მენთეშ.).

**ცალარქა:** 1. (ფშ., ხეეს., მთიულ., გუდამაყრ.,

მოხ.) ცალარქიანი (ვაჟა, ა. შან., ლ. ლეონ., ლ. კაიშ.).

**ცალარქა:** 2. (თუშ.) ღუდის სასმელი ჭურჭელი.

**ცალი:** 1. ორიდან, წყვილიდან ერთი.

**ცალი:** 2. (ქიზიყ.) ღვინის საწყაო, ზოგი 20 ჩაფს ანგარიშობს (ს. მენთეშ.).

**ცამცამი:** 1. (ხეეს.) პირამდე საესე (ა. შან.).

**ცამცამი:** 2. (გურ.) ციმციმი, განათება, გაციმციმება (ა. ლლ.).

**ცანდი:** 1. (გურ.) წვივის უკანა მხარე ქუსლებს ზემოთ (ს. უღ.). (გურ.) საქონლის უკანა ფეხის ნაწილი კოჭთან.

**ცანდი:** 2. (გურ., იმერ.) მსხვილი თოკი, რომლითაც ცხენის კავს გამართავენ (ა. ლლ., პ.ჯაჯან.).

**ცანდი:** 3. (მესხ.) ურმის ნაწილია, ხის რგოლი, შიგ უღლის თოკს ან ჯაჭვს გაატრებენ, რომ ძირს არ ეთრეოდეს (ი. მაისურ.).

**ცაცა:** 1. (ინგილ.) ცაცი (მ. ჯან.).

**ცაცა:** 2. (ინგილ.) დიდი ტორი (მ. ჯან.).

**ცაცა:** 3. (ალურს.) კატა (ა. სიხ.).

**ცდა:** 1. მოქმედება რამის შესასრულებლად; მოვლენის გამოკვლევა ხელოვნურ პირობებში, ექსპერიმენტი.

**ცდა:** 2. (ფშ., ხეეს., თუშ., მთიულ.) მტერთან შებმა, ეაუკაცობის გამოჩენა (ა. შან.).

**ცდა:** 3. ლოდინი.

**ცეზიუმი:** 1. ძალიან რბილი ვერცხლისფერი ტუტოვანი ლითონი.

**ცეზიუმი:** 2. ხორბლის ერთ-ერთი ჯიში.

**ცემა:** 1. „არგნით გეემა“ (საბა).

**ცემა:** 2. „საბოძვარის მიცემა“ (საბა).

**ცენტი:** 1. (ინგლ.) წერილი ფული; 1ც = 0, 01 დოლარს.

**ცენტი:** 2. (ლათ.) კერძო ინტერვალის ერთეული აკუსტიკაში, რომელიც ოქტავის 1/1200 უდრის.

**ცერა:** 1. იგივეა, რაც ცერი.

**ცერა:** 2. აღმაცერი; ირიბი; იგივეა, რაც ცერობი.

**ცერა:** 3. სკამის ნაძვრწი; ცერა, ბორბლისებური, თიქნისყურა, ხუთა (ა. ჭინჭარ.).



**ცერა:** 4. კარგი, მართალი ისარი (კ. ჩოლო-  
ყაშვილი).

**ცვარი:** 1. მცენარეთა ზედაპირზე განჩენილი  
წელის წერილი წვეთები ტენიანი პაერის გა-  
ციეების შედეგად. ნამი.

**ცვარი:** 2. (რაჭ.) ძვირფასი ქვა (შ. ძიძ.).

**ცვარი:** 3. (მოხ.) გახლენილი სფეროს ფორ-  
მის პატარა სამკაული ვერცხლისა (თ. ტყემალ,  
ა. ჭინჭარ).

**ცვეთა:** 1. ხმარებით დაძველება, გაღვევა; (გურ.)  
გაცეოთა; უცებ, მოულოდნელად სიკვდილი (ა.  
ლლ.).

**ცვეთა:** 2. (იმერ., გურ.) ხმარობენ გაქცევის  
აღსანიშნავად (ე. ბერ.).

**ცია:** 1. (თუშ.) თეთრი ცხეარი.

**ცია:** 2. (ქართლ.) ცუცხლი (კირ.); ცუცხლი  
(ბავშვის ენაზე).

**ცილი:** 1. იგივეა, რაც ცილისწამება; (ძე.) ტყუ-  
ილი (ზ. სარჯ.).

**ცილი:** 2. (ზ. იმერ.) გოგრის, საზამთროთა და  
მისთანათა კანის თეთრი ნაწილი (ბ. წერეთ.).

**ციმცამი:** 1. (გურ.) განუშება, სულის გატრუნ-  
ვა შიშის გამო.

**ციმცამი:** 2. (ლენხ.) სწრაფად მიხედ-მოხედ-  
ვა იქით-აქეთ, ახლომახლო (მ. ალავე).

**ცინცილი:** 1. (გურ.) ნელი დუღილი დასაწყ-  
ისში (გ. შარაშ.).

**ცინცილი:** 2. (გურ.) მოშივება (გ. შარაშ.).

**ცირა:** 1. (მეგრ.) ქალიშვილი. გასათხოვარი  
ქალი.

**ცირა:** 2. მცირე (საეკლესიო კალენდრის მი-  
ხედვით).

**ცირკი:** 1. მრგვალი შენობა, სადაც იმართება  
საგანგებო წარმოდგენები, — ჯამბაზობა, ასპა-  
რეზობა, კლოუნადა, გაწვერონილი ცხოველე-  
ბის ჩვენება და სხვა.

**ცირკი:** 2. (გეოლოგ.) მრგვალი ჯამისებური  
ღრმული მთის ფერდობზე.

**ცირკი:** 3. (უარგ.) ოინი, სეირი (ლ. ბრეგ.).

**ცისარტყელა:** 1. შეიდეგური რკალი ცაზე.

**ცისარტყელა:** 2. (თიან.) შრიალა ბალახი, —  
მცენარეა (ა. მაც.).

**ციტო:** 1. (ლათ.) სასწრაფოდ, ჩქარა (მითითე-  
ბა წამლის რეცეპტზე).

**ციტო:** 2. (ბერძ.) უჯრედი; მიუთითებს მათ  
მიმართულებას ციციხალ უჯრედებთან (მაგ.  
ციტოგენეტიკა).

**ციცა:** 1. (გურ.) გოგო, ახალგაზრდა ქალი.

**ციცა:** 2. ფისო, კატა.

**ციცა:** 3. „ნიგოსთა და თხილთა მჭადა“ (სა-  
ბა); ნიგოსთა და თხილთა მჭადა ყვაეილი (ნ.  
ჩუბინ.).

**ციცა:** 4. (ინგილ.) მშიშარა, გაუბედავი (მ. ჯან.).

**ციცა:** 5. (აჭარ.) მდგნალი, მცენარე ტირიფის  
გეარისა (ა. მაც.).

**ციცაგი:** 1. (ფშ.) მოწმენდილ უღრუბლო ცა  
(ი. ქეშიკ.).

**ციცაგი:** 2. მოღრუბლული, ღრუბლიანი.

**ციცანა:** 1. (ქიზიყ., ლენხ.) კატის ან ძაღლის  
ცხვირის დაცემინებაზე უპასუხებენ ხოლმე;  
ზოგჯერ ადამიანის ცხვირის დაცემინებაზეც  
უპასუხებენ ხუმრობით; კატისა და ძაღლის  
ცხვირის ცემინების სენი (ს. მენთეშ.); ღორის  
ავედმყოფობა (მ. ალავე).

**ციცანა:** 2. ღომია ერთგვარი (დ. ჩუბინ.).

**ციცინათელი:** 1. მწერი ერთგვარი, სიბნელე-  
ში ანათებს.

**ციცინათელი:** 2. (იმერ.) ოთახის უკადრისა,  
— მცენარეა (ა. მაც.).

**ციცუნა:** 1. (კინი., — მოფ.) კატა.

**ციცუნა:** 2. (ფშ.) დგნალის ყვაეილი (თ.რა-  
ზიკ.).

**ციცუნია:** 1. (კინი. — მოფ.) კატა.

**ციცუნია:** 2. (იმერ.) ფუნთუშა, მცენარეა (ა.  
მაც.).

**ციცუნია:** 3. (ლენხ.) ბუმბული, რომელსაც ტი-  
რიფი ისხამს გაფოთლებამდის (გ. ალავე).

**ციცქნა:** 1. სახელი ციციქნის (თითო ციციქნას  
აცლის და ისე ჭამს) ზმინის მოქმედებისა.

**ციცქნა:** 2. იგივეა, რაც ერთი ციციქნა, — სულ  
პატარა, ნამცეცა, ერთი ბეწვა.

**ციცხვი:** 1. „დიდი კოვზი“ (საბა); დიდი კოვზი  
ხისა, ჩამჩა, ლაპოტი (ნ. ჩუბინ.); ლითონის დი-  
დი ჭურჭელი სხვადასხვა მუქანიზმში. წარმო-  
ებაში.

**ციცხუი 2.** „ციცხეთ-უხუცესის ქვეშ მოხელე“ (საბა).

**ცმა: 1.** „შემოსასაიო“ (საბა); შემოსა ტანი-სამოსისა (ნ. ნუბინ).

**ცმა: 2.** „ლესმროთ მიკერა“ (საბა).

**ცმა: 3.** ცობა, ღაცმა (ნ. ნუბინ).

**ცრიალი: 1.** (გურ.) ავღრის შეწერება, გამო-ღარების დასაწყისი (გ. შარაშ).

**ცრიალი: 2.** (გურ.) გულზე ცრიალი, – მოში-ეება.

**ცუგა: 1.** პატარა ტანის ძაღლი, – ფინია.

**ცუგა: 2.** წიწვოვან მცენარეთა გვარი ფიჭვი-სებრთა ოჯახისა.

**ცუნდრუკი: 1.** (ძე.) აენა (ი. აბ.).

**ცუნდრუკი: 2.** უგანოდ ხტუნვა; (იმერ.) აჩ-ქარებულობა, ბუნდრუკი (მ. ალაფ., დ. კლდ.).

**ცუნცულა: 1.** პატარა ნაბიჯებით, სწრაფად და მსუბუქად მოსიარულე.

**ცუნცულა: 2.** (გურ.) ახალი ყველის პატარა კვერი, რომელსაც აკეთებენ ბავშვებისათვის.

**ცუცა: 1.** (ფშ.) იგივეა, რაც ცუცუნა, – მეტად პატარა, – ერთი ციცქნა.

**ცუცა: 2.** (ფშ.) ციცა, კატა, ფისო.

**ცუცუნა: 1.** „მეტად პატარა“ (საბა); ერთი ციცქნა.

**ცუცუნა: 2.** (რაჭ.) ციცა, კატა.

**ცუცუნა: 3.** (ხეც.) ფხვიერი მიწა.

**ცუცქი: 1.** კუკი, – საჯდომი ცხოველისა.

**ცუცქი: 2.** (ჯავახ.) ნერწყვი, დორბლი (ი. მა-ისურ.).

**ცუხი: 1.** (ქე. იმერ., მეგრ.) ცუღლუტი, გაიძვერა, თაღლითი, მატყუარა.

**ცუხი: 2.** ფუტკრის სანთლის ნარჩენი, რომელსაც ხსნადი ნივთიერება არ ურეკია.

**ცქაფი: 1.** სწრაფი, მარჯვე, ჩქარი, მარდი, მკვირ-ცხლი.

**ცქაფი: 2.** წუნწელი, წუეთი წელისა (დ. ნუ-ბინ).

**ცქაფი: 3.** მატყუარა.

**ცქვიტი: 1.** მარდი, მკვირცხლი; სხარტი, მოს-წრებულე.

**ცქვიტი: 2.** სუსხიანი დილა.

**ცქვრინი: 1.** (ქართლ., კახ.) დედოფალა.

**ცქვრინი: 2.** ზუთხის ერთ-ერთი სახეობა.

**ცხაური: 1.** ცხაეის მაგვარი; გისოსის მსგავ-სი აგებულებისა.

**ცხაური: 2.** ხურდა ფულის ერთ-ერთი მხარე.

**ცხედარი: 1.** მკედარი ადამიანის სხეული, გვა-მი.

**ცხედარი: 2.** (ძე.) საწოლი.

**ცხედარი: 3.** (ქსნის ხ.) კუბო (ე. სომხიშ).

**ცხემლა: 1.** (გურ., აჭარ.) რცხილა, ჯაგრცხი-ლა, – მცენარე (ი. ჭყონ., ს. უღ., ა. მაყ.).

**ცხემლა: 2.** (ფშ., გუდამაყრ., ქსნის ხ.) საქსო-ვი იარაღი, რაზედაც ძაფს გააბამენ და ქსელ-ში გააქეთ და გამოაქეთ (თ. რაზიკ., ი. ჭყონ.). ჭალაჭა.

**ცხემლა: 3.** (ხეც.) ჭრელი, სხედასხეა ფერი ზოლებად რომ გასდევს (ა. ჭინჭარ.).

**ცხვირი: 1.** ადამიანისა და პირუტყვის ყნოს-ვის ორგანო.

**ცხვირი: 2.** წინ წამოშვერილი ნაწილი გემი-სა.

**ცხოველი: 1.** ცოცხალი არსება, სულდგმული (ჩვეულებრივ, ადამიანის გამოკლებით); პირუტყვი, ოთხფეხი.

**ცხოველი: 2.** გაცოცხლებული, ცხოველმყო-ფული, ძლიერი (ცხოველი ხატი).

**ცხრილი: 1.** თხელი ფიცრის რკალზე ამოკ-რული ტკეის ბადურა ხორბლეულის გასაწ-მენდად; წერილთვლებიანი საცერი (ს. მენთეშ., შ. ნიქ.).

**ცხრილი: 2.** გარკვეული წესით ჩამოწერილი რისამე ჩამოთელა ან განაწყისი.

**ცხრო: 1.** „ციცხუების სენი“ (საბა); სიცხიანი დაავადება, ციებ-ცხელება; (თუშ.) კანკალი, ცახ-ცახი; (ზ. აჭარ., მთიულ.) მალარია.

**ცხრო: 2.** მცენარე (დ. ნუბინ).

ძ

**ძაბრა: 1.** ძაბრის მსგავსი;

**ძაბრა: 2.** იგივეა, რაც ძაბრალე (ერთგვარი

ხალხური (ვეკვა-თამაში სიმღერითურთ).  
**ძაბრა:** 3. (კახ.) იგივეა, რაც აყირო, – გრძელ-  
 ყელიანი გოგრა; (ქიზიყ.) მწარე გოგრა.  
**ძაბრა:** 4. სუსქა, მცენარეა.

**ძაგუნი:** 1. (მესხ., აჭარ.) დარტყმის ყრუ ხმა  
 (ი. მისიერ.).

**ძაგუნი:** 2. ტარტარი, ყბედობა, ღაქლაქი (შ.  
 ნიჟარ.).

**ძაგუნი:** 3. (გურ.) თავის ქანება თანხმობის ან  
 ქადილის ნიშნად (გ. შარაშ.).

**ძალი:** 1. იგივეა, რაც ძალა; მდაბიურად: ძალა,  
 ღონე, ძლიერება; ძალადობა; მძლავრობა (დ.  
 ჩუბინ.).

**ძალი:** 2. ცხერის ნაწლაგებისაგან დაგრეხი-  
 ლი ძაფი, იყენებენ ღარად; (ფშ.) ჩონგურის,  
 ფანდურის სიმი, ალყა.

**ძალი:** 3. სასწაული (ზ. სარჯ.).

**ძალი:** 4. აზრი, მნიშვნელობა (კ. დანელია).

**ძალიანი:** 1. ძალის მქონე, ძლიერი; მუქარიანი,  
 ძნელი.

**ძალიანი:** 2. (იმერ., გურ., ლეჩხ.) ძალიან კარ-  
 გი; იგივეა, რაც ძალიან.

**ძანძალი:** 1. (ლეჩხ.) ძენძალი, – ზოგიერთი  
 ცხოველის ნელი, მძიმე სირბილი.

**ძანძალი:** 2. (რაჭ.) დიდძალი (თოვლი...).

**ძარძაყი:** 1. უნაგირის შუა მოსართავე (ლ.  
 ლეონ.); (გურ.) ისლის სახურავის კოჭებზე გარ-  
 დიგარდმო გადადებული ხე (ი. ჭყონ.).

**ძარძაყი:** 2. ანკესზე ჩამოგებული ჭიჭყინა  
 (სატყუარად).

**ძაღლი:** 1. მგლის მოდგმის გაშინაურებული  
 ცხოველი.

**ძაღლი:** 2. (ეარგ.) მილიციელი, პოლიციელი  
 (ლ. ბრეგ.).

**ძაძა:** 1. სამგლოვიარო სამოსელი; უხეში ქსო-  
 ეილი; ტომარა (ასეთი ქსოვილისაგან); (მთი-  
 ულ.) სადა, უარშიო ლენაქი; მანდილი, ჩიქილა.

**ძაძა:** 2. წერილმარცვლიანი, შაეკუჭიანი პარ-  
 კოსანი მცენარე; იგივეა, რაც სოია.

**ძაძა:** 3. (გურ., მეგრ.) ღობის თავის შესახევეი  
 ფიხი; ძეძვი; ძაღლანიორა, ცხენის კბილა (დ.  
 ჩუბინ.).

**ძაძა:** 4. ღაზლის შალი (საბა).

**ძახილი:** 1. ხმამაღლა ხმოვა, მოწოდება; ხმა-

მაღლა, ყველას გასაგონად თქმა, შემოძახება  
 (სიმღერის).

**ძახილი:** 2. იგივეა, რაც ღაძახული.

**ძე:** 1. ვაჟიშვილი.

**ძე:** 2. (აჭარ.) რძე (ა. ღლ.).

**ძე:** 3. დედა, დაეარდნა (ი.აბ.).

**ძეგლი:** 1. ნაგებობა ან ქანდაკება ვისიმე ან  
 რისამე სამახსოვროდ; წარსული მატერიალუ-  
 რი კულტურის ნაშთი; ძველი მწერლობის ნა-  
 წარმოები.

**ძეგლი:** 2. განანინი; დადგენილება; განწესე-  
 ბა. „კანონმდებელი კრება სასამართლო წიგნს  
 აღგენდა ხოლმე... ამისთანა კრების ნაღვაწსა  
 და დაღებულს „ძეგლი“ ეწოდებოდა“ (ივ. ჯა-  
 ვახ.).

**ძეგლი:** 3. (თუშ.) ღეთის სამადლობელი ზე-  
 დაშე (თ.უთურგ.).

**ძელი:** 1. (ძე.) ხე; მორი; მსხვილი ღარტყა  
 ხისა (აგრეთვე ლითონისა ან სხვა მასალი-  
 სა); ფეხბურთის კარის ჩარჩოს ხარხია.

**ძელი:** 2. (ძე.) ვაისი ღერწი (ივ. ჯავეხ.).

**ძენძი:** 1. სელისა და კანაფის დამუშავებისას  
 მიღებული მსხვილბოჭკოვანი ნარჩენი; (იმერ.)  
 ნახნავეში აკრეფილი ბალახ-ბულახი; (რაჭ.) იგი-  
 ვეა, რაც ძონძი.

**ძენძი:** 2. ძეწნა, – ტოტეზჩამოშეებული ტირი-  
 ფი.

**ძერა:** 1. დიდი მტაცებელი ფრინველი, შავარ-  
 დნისებროა რიგისა.

**ძერა:** 2. მცენარე, – ანისული (დ. ჩუბინ.).

**ძერანა:** 1. ანისული, ცერეცო.

**ძერანა:** 2. (იმერ.) სოკოა ერთგვარი.

**ძეძგვა:** 1. ჩეჩქვა, ნაყვა, ბეგვა, ბეჟვა.

**ძეძგვა:** 2. (იმერ.) მორტყმა.

**ძეირო:** 1. დიდი ფასის მქონე.

**ძეირო:** 2. არახშირი.

**ძეირო:** 3. ცუდი.

**ძეირო:** 4. ძუნწი.

**ძიგვა:** 1. ტანდაბალი მარცვლოვანი მცენარე;  
 (აჭარ.) ქისრიბა; (რაჭ.) ვაციწვერა.

**ძიგვა:** 2. (ზ. აჭარ.) ძიქვა, – შარვალი, შეკერი-  
 ლი ოჯახში მოქსოვილი უხეში შალის ნაჭრი-  
 საგან (შ. ნიე).

**ძიგვა:** 3. (რაკ.) წმინდა ბალახი, სათივე (ე. ბერ.).

**ძიღგუდა:** 1. მომცრო ტანის მღრღნელი ღამის ცხოველი ერთგვარი.

**ძიღგუდა:** 2. (რაკ.) მცირე ზომის მრგვალი სოკოა, ჭრილობის მოსაშუშებლად ხმარობენ (აღ. კობახ.).

**ძილი:** 1. ქართული ანაბანის ოცდამერვე ასოს სახელწოდება.

**ძილი:** 2. ფიზიოლოგიური მდგომარეობა, რომლის დროსაც ცნობიერება მოდუნებულია და ორგანიზმი ისვენებს.

**ძილი:** 3. (გურ.) ჩონგურის უმოკლესი სიმი.

**ძილი:** 4. იგივეა, რაც ზილი, – საშუალო ხმა სამხიან სიმღერაში.

**ძილიგუდა:** 1. (ქვ. იმერ., ფშ.) ხაშხაში, ფშუკურა, მცენარე (ა. მავ.).

**ძილიგუდა:** 2. (ქიზიყ.) ერთგვარი მწერი, ტყეში ხის ტოტზე კვერცხებს დადებს და გარშემო პარკსავით შემოაკრავს, ამ პარკს ძილიგუდას ეძახიან, თუ ეს პარკი ადამიანს შეუმჩნეველად დააკრეს, ძილად იქცევაო (ს. მენაუშ.).

**ძილისგუდა:** 1. ბეერი ძილის მოყვარული.

**ძილისგუდა:** 2. (ქართლ.) ტყაპუნა (ღამის) პეპლის ჭუპრი, ეს პეპელა ფრთების ტყაპუნით დაფრინავს, მისი ჭუპრი გამძლე და უხეშია, მოყვანილობით გუდას ჰგავს (გ. შატბერ.).

**ძილისბირი:** 1. ღაძინების წინა ხანი, – საღამო.

**ძილისბირი:** 2. ძილისპირი, – პირველი საექლესიო საგალობელი საგალობელთა ჯგუფში; მის კილოზე უნდა შესრულდებულყო მისი მიმყოფი საგალობლები; სასულიერო სიმღერა, რომელიც ეკლესიაში არ სრულდებოდა (იკოდნენ იმერეთში).

**ძილისბირი:** 3. (გურ.) მხიარული ხალხური სიმღერა (ა. ღლ.).

**ძიმი:** 1. (იმერ.) მიძი (ა. ღლ.).

**ძიმი:** 2. (იმერ.) ნალის გასახვერეტი რკინის იარაღი (ა. ღლ.).

**ძირა:** 1. ქვედა, ქვემოთა, ქვეითა.

**ძირა:** 2. იგივეა, რაც ზირა, – (ქოლგოსანთა ოჯახის ერთწლოვანი მცენარე), მისი სურნელოვანი ნაყოფი საჭმლის საკაზმად იხმარება.

**ძირეული:** 1. ძირფესვიანი, არსებითი.

**ძირეული:** 2. ქვემო, პირველადი, მასებთან უშუალოდ დაკავშირებული.

**ძირეული:** 3. (ლინგვ.) ძირთან დაკავშირებული, ძირისა.

**ძირეული:** 4. (ზაპარ.) სიმინდის ეანის პირველი დახვნა და გათოხნა, სიმინდის ძირის გაწმენდა, – გათოხნა (შ. ნიჟარ.).

**ძირი:** 1. დასავლეთი (ნ. შარაშ.).

**ძირი:** 2. ქვედა ნაწილი; იგივეა, რაც ფესვი.

**ძირკვა:** 1. ძირკვების ამოთხრა, ამოღება მიწიდან.

**ძირკვა:** 2. (კახ.) ჩასკენილი, ჯმუხი.

**ძირმაგარა:** 1. მტკივნეული მუწუკი (გაჩინილი თმის ბუდისა და მის ირგვლივ ცხიმოვანი ჯირკვლის ანთებით).

**ძირმაგარა:** 2. (იმერ.) მეკენძალა, მცენარე (ა. მავ.).

**ძირწითელა:** 1. (მესხ.) ბალახია ლაშქარის სებრთა ოჯახიდან. წამლად ხმარობენ.

**ძირწითელა:** 2. (იმერ., გურ.) წითელძირა მსუქანა, – მცენარე (ა. მავ.).

**ძირხვენა:** 1. „ყოველთა მხალთა და მოლთა ძირები“ (საბა).

**ძირხვენა:** 2. (ხევსურ.) ბოსტნეული, – ძირხვენა გულის ამრევია (გ. თევდორაძე).

**ძიძო:** 1. ორწლიანი მცენარე პარკოსანთა ოჯახისა.

**ძიძო:** 2. (ქიზიყ.) თრინილის თაია; დატრილი თრინილის ტოტები ზეინივით დაწყობილი (ს. მენაუშ.).

**ძღვევა:** 1. მიცემა.

**ძღვევა:** 2. მორევა, ჯობნა, დამარცხება (ნ. ჩუბინ.).

**ძღიერი:** 1. დიდი ძალის მქონე, – ღონიერი; ჩვეულებრივზე მეტი, ძალიან დიდი; (იმერ.) სასულიერო სიმღერა, რომელიც ეკლესიაში არ სრულდებოდა.

**ძღიერი:** 2. ქაფურა, – (მესხ.) სუსამბარი, მცენარე (ა. მავ.).

**ძღისბირი:** 1. საგალობლის ჭაწნიკი; პირველი საექლესიო საგალობელი საგალობელთა ჯგუფში, მისი კილოზე უნდა შესრულდებულყო

ყო მისი მიმყოფი საგალობლები.

**ძლისბარი:** 2. დაძინების წინა ხანი, — საღამო.

**ძმა:** 1. ერთი დედ-მამის ვაჟიშვილი სხვა შვილების მიმართ.

**ძმა:** 2. ახლობელი, თვისტომი; მოძმე („ჯვართ ერთ“)

**ძობანი:** 1. შენახული საზრდო.

**ძობანი:** 2. (ფშ.) ღვასტია, რომელსაც საბოლესი ცეცხლის თავზე ჰკიდებენ და ზედ ხაჭოს კეერებს აწყობენ (ა. ჭინჭარ).

**ძომანი:** 1. (იმერ.) ზარმაცი, ზანტი (ი. ჭყ).

**ძომანი:** 2. (გულდამაყრ.) წნელისაგან დაწნული ღვასტია (ა. ბექ).

**ძონძები:** 1. ძალიან ძველი, დაფლეთილი ტანისამოსი, კონკები.

**ძონძები:** 2. (ქარგ.) მოღური, ძვირფასი ტანსაცმელი (ღ. ბრეგ).

**ძოწი:** 1. მარჯანი; ძოწისფერი, — წითელი.

**ძოწი:** 2. (იმერ., რაჭ.) სწორი და მაღალი.

**ძრავს:** 1. დაძრავს, შესძრავს; აამოძრავებს, წაიყვანს.

**ძრავს:** 2. დაზრავს.

**ძრობა:** 1. ყინვით დაწვა, დასუსხვა; (ფშ.) გაყინვა (კაცისა, ცხოველ-ფრინველისა, მცენარისა).

**ძრობა:** 2. ძრობა, დაძრობა (ნ. ჩუბინ).

**ძრომი:** 1. (ქართლ.) დაძველებული ხორცი (მ. მესხ).

**ძრომი:** 2. (ქიზიყ.) ძროხის სატკივარია (ს. მენთეშ).

**ძუკნა:** 1. ძუ ძაღლი; იგივეა, რაც ძუ; საკუთრად ეწოდების ძუსა ძაღლსა (ნ. ჩუბინ).

**ძუკნა:** 2. (გურ.) იგივეა, რაც ძუკეა, — მაწანწაღა ძაღლი (ი. გრიშაშ.); ძაღლის წანწაღი საკბილოს საშოვნელად; (გადატ.) ადამიანსუც იტყვიან (ი. შილაკაძე).

**ძუძგი:** 1. ძუნწი; სხვის ხელში შემყურე (ქ. ძოწ).

**ძუძგი:** 2. (ზ. იმერ.) ნაგავი (ქ. ძოწ).

**ძუძგური:** 1. (გურ.) ლოდინი, ცდა, ყურყუტი

(ა. ღლა).

**ძუძგური:** 2. (ღენჩ.) ხელში შეყურება, სათხორრად თვალთვალი (გ. ჩიქ).

**ძლომა:** 1. სწავლა, ძლოლა.

**ძლომა:** 2. სახელი ძლება ზმნის მოქმედებისა, — შიმშილის მოკვლა.



**წააყრის:** 1. ზედ წაყრის, დააყრის, მოაყრის რასმე ფხვიერს.

**წააყრის:** 2. (ქარგ.) ბევრს დააყრის, დაუშენს მუშტებს (ღ. ბრეგ).

**წაბიძგვა:** 1. ხელის ან მხარის წაკერა. (გადატ.) წაქეშება.

**წაბიძგვა:** 2. (ღენჩ., რაჭ.) ოღნაე შეხმობა, ცოტათი გაყინვა (გ. ალაე). დიდი თოვლი, რაზედაც სიარული შეიძლება (ი. თავგაძე).

**წაბლა:** 1. იგივეა, რაც წაბლისფერი ცხენი.

**წაბლა:** 2. (ზ. აჭარ.) ხაპი, — თეთრი ჯიშის გოგრა (შ. ნიჟარ).

**წაგება:** 1. სახელი წააგებს (ზარაღს ნახავს; დააკლდება რამე; დამარცხდება) ზმნათა მოქმედებისა.

**წაგება:** 2. სახელი წაუგებს (წაუფენს, დაუგებს) ზმნათა მოქმედებისა.

**წადება:** 1. დადება, გადება (თავის წადება, — წაძინება).

**წადება:** 2. იგივეა, რაც წადილი, სურვილი, ნდომა.

**წაველა:** 1. პაწია კოლო, რომელიც მწვევედ იკბინება.

**წაველა:** 2. წყლის ცხოველია, მელიას ჰგავს; მისი ბეწვი კარგ ფასებში იყიდება (ი. გრიშაშ).

**წაკიდება:** 1. მოკიდება (ცეცხლისა).

**წაკიდება:** 2. წანხუბება.

**წაკიდება:** 3. გადაყრა, შემოხვევა, შეყრა.

**წალა:** 1. ნარწყევი კუჭის წენი და ნაღველი, — ბაღლაძი; იგივეა, რაც ზალა (“ზალა, — წყლულის ნაღენი სითხე, წყალსავეთ თხელი”) (საბა).

**წალა:** 2. (ლენჩხ.) მაგარი, ძნელად დასამუშავებელი მერქანი.

**წალა:** 3. წალი, — თიკანმოგებული თხა; ურწანი თხა (ურწანი საქონელი, რომელიც არ მაკდება), უზეი.

**წალა:** 4. კარვის დასაბმელი თოკი (დ. ჩუბინ.).

**წალაგ:** 1. (იმერ., გურ.) ცოტათი ხარშავს.

**წალაგ:** 2. (ფშ.) შიგნავს, წელავს, წლავს.

**წალამი:** 1. (ქართლ., ფშ.) ვაზის ნასხლევი. „ვაზის ნასხლევი“ (საბა).

**წალამი:** 2. (ფშ.) ქარისაგან წალეული ნისლის ზოლი (ი. ქეშიკ.).

**წალი:** 1. თხა, რომელსაც ჯერ თიკანი არ მოუგია; თიკანი, ჩუბინი (დ. ჩუბინ.); ორი წლის დედალი თხა (ლ. ლეონ).

**წალი:** 2. კარავთ დასაბმელი თოკი (დ. ჩუბინ.).

**წალი:** 3. ობლად ამოსული წერილი ხე.

**წალი:** 1. კედელში დატანებული უკარო განჯინა, ლოგინის შესანახად.

**წალი:** 2. (თუშ.) იგივეა, რაც წალური, — (ხეცს.) მარცვლეულის მოსახალაეი ფეხებიანი მოგრძო ტაფა.

**წამება:** 1. დამოწმება.

**წამება:** 2. მარტვილობა (ქრისტიანული სარწმუნოებისათვის ტანჯული, — მოწამე); სახელი აწამებს ზმნათა მოქმედებისა (მწეავე ფიზიკური ტკივილის მიყენებით დატანჯვა).

**წამება:** 3. თქმა (გ. შატბერ.).

**წამებული:** 1. „მარტვილი“ (საბა); ვინც აწამეს, ვინც ეწამა.

**წამებული:** 2. (ძვ.) დამოწმებული (ნ. მელიქ).

**წამი:** 1. წუთის მესამოცედი ნაწილი; დრო, მომენტი; რკალის მონაკვეთი, — გრადუსის ერთი სამას მესამოცედი.

**წამი:** 2. (ძვ.) წუთი (ი. აბ.).

**წამი:** 3. თვალის ქუთუთოთა მოსაკეცსა ზედა, გრძლად მოვლებულნი ბეწუნი, ან თვით ქუთუთონი (ნ. ჩუბინ.); თვალის ქუთუთოს ბალანი, წამწამი (დ. ჩუბინ.).

**წამი:** 4. (ძვ.) სასწორის უღლის შუაზე აღმართული ისარი (ი. აბ.).

**წამი:** 5. „თვალის ქუთუთოთ ნიშნება“ (საბა).

**წამოსხამს:** 1. წამოიყვანს, გამორუკავს, გამოლაღავს.

**წამოსხამს:** 2. ზედ მოასხამს, მოახურავს.

**წამოსხამს:** 3. ზემოდან გადმოასხამს, ზევიდან გადმოსხმება.

**წამოსხამს:** 1. მოახურავს რასმე (მხრებზე, ბუჭებზე), მოისხამს.

**წამოსხამს:** 2. წამოისევამს ბევრს, დაისხამს. თაგზე წამოისხამს, — თაგზე დაისევამს, გაითამამებს ბევრს.

**წამოსმა:** 1. წამორტყმა; წამოაელებს (ხელს...).

**წამოსმა:** 2. მწოლიარეს წამოაყენებს და დასევამს; წამოჭიმავეს, წამოასეკუქებს.

**წამოსხმა:** 1. გამორუკევა, გამოლაღევა.

**წამოსხმა:** 2. ზედ მოსხმა, მოხურევა.

**წამოსხმული:** 1. რაც წამოსხმეს ან წამოისხმეს, — მოხურული, მოსხმული (მხრებზე, ბუჭებზე).

**წამოსხმული:** 2. რაც, ვინც წამოსხმეს, გამორუკილი, წამოყვანილი.

**წანწალი:** 1. მდინარეზე გასასვლელად გადებული ხე, ლატანი; საცაღფეხო ხიდი.

**წანწალი:** 2. ძალიან ცხარე (მაგ. წანწალი ძმარი) (ა. სიხ.).

**წანწარი:** 1. (კახ.) ნელ-ნელა ტოკება, რხევა, რქევა (გ. იმნ.). კანკალი.

**წანწარი:** 2. „წკრილით დინება“ (საბა).

**წანწკარა:** 1. წანწკარით მომდინარე.

**წანწკარა:** 2. ბოლოქანქარა, — გრძელბოლოანი, მონაცრისფერო ჩიტი.

**წარბი:** 1. თმის ზოლი თვალის ფოსოს ზემო ნაპირზე.

**წარბი:** 2. (არქ.) სამშენებლო დეკორი; გათლილი ხის წიბო (ქლდ).

**წარბი:** 3. წამი (ი. აბ.).

**წარი:** 1. (ფშ.) რიგი, წესი (ი. ქეშიკ.).

**წარი:** 2. გარეწარი.

**წარმართი:** 1. წარმართობის მიმდევარი, — კერპთაყვანისმცემელი.

**წარმართი:** 2. (ძვ.) მორწმუნე; ქრისტიანი.

**წარმო:** 1. (გურ.) კვირის დღეებია: ახალ მთვა-

რესე, — ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი, კვირა (ა. წულ.).

**წარმო:** 2. (გურ.) კვირის დღეებია: ძველ მოთარესე, — ხუთშაბათი და შაბათი (ა. წულ.).

**წარნაგო:** 1. (ქიზიყ.) საღებავი თიხა (ს. მენტუშ.).

**წარნაგო:** 2. (ქიზიყ.) მცენარეთა პარაზიტი, მუწუკებივით აყრის (ს. მენტუშ.).

**წარრევა:** 1. (ძე.) როშვა (ზ. სარჯ.).

**წარრევა:** 2. (ძე.) შერევა; შეერთება (ზ. სარჯ.).

**წარუგებელი:** 1. (ძე.) დაუხარჯავი (ზ. სარჯ.).

**წარუგებელი:** 2. (ძე.) უბრალო; უსასყიდლო (ზ. სარჯ.).

**წარწი:** 1. (ქიზიყ., თიან.) ძალიან თხელი ჩითი ცუდი ხარისხისა (ს. მენტუშ.).

**წარწი:** 2. (თიან.) წერწა; იგივეა, რაც კეჭკეჭა, — მცენარეა (ა. მაც.).

**წარწყმედილი:** 1. (ძე.) იგივეა, რაც წაწყმედილი, — ვინც, რაც წაწყმდა, დაღუპული.

**წარწყმედილი:** 2. (ძე.) დამპარგველი (ნ. მელიქ.).

**წასკუჯვა:** 1. (აჭარ.) წაღლუტა, წაგლუჯვა, დატყუება (შ. ნიჟ.).

**წასკუჯვა:** 2. (გურ.) თავის წაკერა ულაზათოდ (გ. შარაშ.).

**წატანა:** 1. გაყოლება; (გურ.) თან წაყვანა. (ენინ.).

**წატანა:** 2. (ხეეს.) წაღება.

**წატანება:** 1. (გურ.) თან წაყოლება, თან გაყოლება ვისიმე.

**წატანება:** 2. (გურ.) ხელის ჩაღება (ს. ჟღ.).

**წაღმართი:** 1. პირდაპირი, სწორი; მართალი, სწორი.

**წაღმართი:** 2. საღხინო დიდი სუფრა, ნიშნობა, ქორწილი და სხვა (გიორგი ხორგუაშვილი).

**წაწყაბვა:** 1. (ქიზიყ.) წაწაბნა, წართმევა (ს. მენტუშ.).

**წაწყაბვა:** 2. (გურ.) მწკრივად, სწორად დაწყობა, დალაგება ნივთისა ან მწკრივში ჩადგომა ადამიანის, ცხოველის ან ფრინველისა (ა. ღლ.).

**წახევა:** 1. (ინგილ.) შეხევა (ნ. როსტ.).

**წახევა:** 2. (ინგილ.) პატარა ნაჭრის ჩამოხევა.

**წახურული:** 1. რაც წაახურეს ან წაიხურეს.

**წახურული:** 2. ერთ-ერთი კავკასიური ენათოგანია.

**წბილი:** 1. სათაკილო; უვარგისი, ცუდი ზნის ვინმე; იგივეა, რაც გაწბილებული.

**წბილი:** 2. წერილი და მაღალი მარცვლოვანი მცენარე; წერილი და გრძელი ღერო, უპირატესად მარცვლოვანთა და ისლისებრთა ოჯახის წარმომადგენლებისა.

**წბოლა:** 1. სირცხვილის გრძნობის განცდა; შერცხვენა, დარცხვენა, დამორცხვება; თქელუფა, სეღეკა.

**წბოლა:** 2. (იმერ.) თხელი ჩირქის დენა მუწუკიდან.

**წდოლა:** 1. „აყრა... და სხვაგან დასახლება... პატივითა და ნებეურად“ (საბა).

**წდოლა:** 2. ჟრუოლა, თროლა, ტანში ჟრუანტელის დაღლა (დ. ჩუბინ.).

**წედა:** 1. „... ყოველივე ღვინის შესასმელი ჭურჭელი“ (საბა).

**წედა:** 2. გამომწვარი შირიმის ქვა (კირ.).

**წეკვა:** 1. (ხეეს.) თამბაქოს ფოთლების კონა.

**წეკვა:** 2. (გურ.) წყვეტა, მოწყვეტა; (ინგილ.) ღანაკუწება, დაქუცმაცება.

**წეკვა:** 3. (მესხ.) ჩხელტა (ი. მიახურ.).

**წეკო:** 1. (ზ. აჭარ.) შავშურა ღობიოს ჯიში ერთგვარი (შ. ნიჟარ., ა. მაც.).

**წეკო:** 2. მწარე თუთუნის (დ. ჩუბინ.).

**წელაღვერა:** 1. (რაჭ.) წელმოწყვეტილი, უღონო, სუსტი (ვ. ბერ.).

**წელაღვერა:** 2. (იმერ.) მანჭია, მეტიჩარა (ი. ქავთ.).

**წელი:** 1. ადამიანის სხეულის ნაწილი, — ნექნების დასასრულისა და თემოს ძველებს შორის; იგივეა, რაც ნაწლაევი.

**წელი:** 2. დრო, — თორმეტი თვე (წელიწადი). „წენ გაგვიშვია ქვეყანა თურამეტ-ცხრამეტი წელია, სამსახურითა თქვენითა გატკივა ზურგი და წელია.“

(დ. გურამიშვილი, „დავითიანი“).

**წერა:** 1. ასოების გამოყენება ქალაქებზე ან სხვა საწერ მასალაზე; აზრის წერილობითი გამოხატვა; თხზვა; შემოქმედება.

**წერა:** 2. ადამიანის ბედ-იღბალი, ხეივანი.

**წერა:** 3. (მთიულ., ფშ.) 6-8 ძნა, გამოშრობის მიზნით ერთმანეთზე მიყუდებული.

**წერა:** 4. (ძვ.) ჭრა, კეეოა (შ. ძიძ.).

“მოგესხენებათ, რა ძნელია პოემის წერა! არა ერთი და ორი გახდა ამ საქმის წერა”. შ. შაჰავერიანი, „ეპიტაფი წყალი ისურვა“) „არ დამიკლია ფორმებით მე რეკლამების წერაო, მაგრამ, ეტყობა, ყოფილა თვითვე სიკვდილის წერაო“. (აკ. წერეთელი, „გლეხური სიმღერა“).

**წერა:** 1. (ხევს.) ჭეაეის ძნის ოთქუთხედი ზეინი, შეიცავს 63 ძნას; (ზ. აჭარ.) სარზე ასხმული რამდენიმე ჩაღის კონა.

**წერა:** 2. (ლენხ., რაჭ., იმერ., გურ.) კაკლის ხის ქერქის გამონახარში საღებავი, მოყავისფრო, შავად ღებავს.

**წერა:** 3. (გურ.) ქარიყლაპია.

**წერა:** 4. (ზ. იმერ.) მწერია ერთგვარი; (გურ.) იგივეა, რაც ბუზი.

**წერა:** 5. (ხევს., ფშ.) ნეთობი; კუპრი.

**წერნაგა:** 1. (ქიზიყ.) საღებავი თიხა, თიხის ჭურჭელს უსვამენ, წერნაქი (ს. მენთეშ.).

**წერნაგა:** 2. (ქიზიყ.) მცენარეთა პარაზიტი, მუწუკებით აყრის (ს. მენთეშ.).

**წერტილი:** 1. სასვენი ნიშანი, იხმარება თხრობითი წინადადების ბოლოს, აგრეთვე სიტყვის შემოკლებისას.

**წერტილი:** 2. ჩხვლეტა (ი.აბ.).

**წესი:** 1. გარკვეული ქცევის ნორმა, რიგი, ჩვეულება; მეთოდი, ხერხი.

**წესი:** 2. (ძვ.) რაზმი (ს. მელიქ.).

**წესი:** 3. ბუნების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი (ჰაერი, წყალი, მიწა ან ცეცხლი).

**წესი:** 4. (დედაკაცისათვის) თვიური.

**წვართი:** 1. (გურ.) სწორი; გაჭიმული.

**წვართი:** 2. გრძელი სუფრა, ღხინი.

**წველი:** 1. პურეულის ღერო თავთავამდე, — წბილა; „კანის ფხა არის“ (ვახტანგ VI).

**წველი:** 2. (ანატ.) ზურგის ტენის განშტოება (მაგ. სიმპათიური წველი).

**წველი:** 3. (წველისა) (ძვ.) რძის ნაწარმი (ილ. აბულ.).

**წვლილი:** 1. წილი, შენატანი, დამსახურება.

**წვლილი:** 2. (ძვ. ეკლ.) მცირე შეწირულობა, შესაწირავი.

**წვრილა:** 1. ტანწერილი, თხელი. (რაჭ.) ბავ-შვი.

**წვრილა:** 2. ტყის თივიქასრა (მრავალწლოვანი მცენარე მარცვლოვანთა ოჯახისა).

**წვრილა:** 3. (ხევსურ.) ხმლის ეპითეტია (ა. კინჭარ.).

**წია:** 1. (ქართლ.) წიწილა (კირ.).

**წია:** 2. (ქართლ.) თამაშის დროს შეცდომა, შეცდენა (ფუწი).

**წია:** 3. აქვს „წითელი ფერის“ გაგება, მაგ. წია-ფერი.

**წია:** 4. აქვს „ცეცხლის“ გაგება, მაგ. წია-კოკონა.

**წია:** 5. აქვს „სისხლის“ გაგება, მაგ. „მამა-წია-თ“ იყიდება (ქ. ძოწენ.).

**წიაკოკონა:** 1. (ქიზიყ.) ჭიაკოკონა (ს. მენთეშ.).

**წიაკოკონა:** 2. (იმერ.) ჩხუბი, მიწვე-მოწვევა, აყალმაყალი (ვ. ბერ.).

**წიაძა:** 1. (ფშ.) წიწილა (ი. ჭყონ.).

**წიაძა:** 2. ტანდაბალი ერთწლოვანი ბალახი მიხაკისებროა ოჯახისა.

**წიალი:** 1. შიგნითა ნაწილი, სიღრმე რისამე.

**წიალი:** 2. (ძვ.) მომწვანო, მოყავისფრო.

**წიალი:** 3. უბუ, კალთა.

**წიალი:** 4. (ქართლ.) გაღვივების უნარი (თ. საღარ.).

**წივა:** 1. მსხვილფეხა, რქოსანი პირუტყვის ნეხვი, კეერებად ან ბრიკეტებად გამხმარი (ურჯეო მხარეებში ხმარობენ საწეავად).

**წივა:** 2. (მოხ.) ქვის ჯიში, სხვადასხვა ფერის ნაერთები აქვს, უმეტესად რუხი, შიგადაშიგ ოქროსნაირი წინწკლები გამოჩანს (ი. ქავთ.).

**წივი:** 1. (გურ.) წივი (ს. ვლ.).

**წივი:** 2. (მოხ., მთიულ.) პატარა ნაღვერდალი (ო. ქაჯ.); პატარა ნაკვერჩხალი (ლ. კაიშ.); (მოხ.) ნაპერწკალი (ვ. ბერ.).

**წივილა:** 1. (ქართლ., ფშ.) იგივეა, რაც შერი-უკა.

**წივილა:** 2. ვინც (რაც) წივის.

**წივილა:** 3. ფრინველია ერთგვარი.



**წიგწიგა:** 1. გულეყითუელა, გრძელბოლოიანი ჩიტი ერთგვარი.

**წიგწიგა:** 2. კიბის საფეხურების საყრდენი კოჭი.

**წითელი:** 1. სისხლის ფერის მქონე.

**წითელი:** 2. (ძვ.) ოქროს ფული (ს. ცაიშ).

**წიკო:** 1. (ინგილ.) თიკანი, ციკანი (მ. ჯან); ნაშიერი ერთ წლამდე.

**წიკო:** 2. (თუშ.) სამი თითით აღებული ფხეიერი რამ (თ. უთურგ).

**წიკო:** 3. (ფშ.) წიკო, წივილ-კივილი; წიწილის ხმიანობა.

**წიკწიკა:** 1. კეკელა, კეკლუცობის მოყვარული ქალი (ს. მენტეშ).

**წიკწიკა:** 2. ჭრელია ერთგვარი.

**წიკწიკა:** 3. (იმერ.) გაწიკწიკებული; წერილი და გრძელწიკიანი (ვ. ბერ.).

**წილი:** 1. ქართული ანბანის ოცდამეცხრე ასოს სახელწოდება.

**წილი:** 2. იგივეა, რაც ნაწილი; ხვედრი, არჩივი, კერძი.

**წილი:** 3. ტილის კვერცხი.

**წილი:** 4. (მოხ.) კანის ავადმყოფობა.

**წილი:** 5. (მუს.) რიტმის ერთეული.

**წილობა:** 1. იგივეა, რაც წილი, ნაწილი; გასანაწილებელი ნაჭერი ხორცისა, ქადისა...

**წილობა:** 2. (რაჭ.) ყანის ბაია.

**წილობა:** 3. (ფშ., ხევს.) ჩამომავლობა, ახლო ნათესავეობა.

**წინამო:** 1. შუბლის კიდიდან ღოყის გასწვრივ ჩამოშვებული კაეი თმისა; წინა მხარე; „ესე არს თმა ღაწეთ მაშეენებელი“ (საბა).

**წინამო:** 2. (ძვ.) ნაყოფი უმწიფარი (ი. აბ.).

**წინწიბური:** 1. „ბალანთ საგლეჯი მშვილდაკი“ (საბა).

**წინწიბური:** 2. იგივეა, რაც მწვერვალი; (იმერ.) იგივეა, რაც კიდე.

**წინწილა:** 1. იგივეა, რაც წინწილი (საკრავი, ლითონის თეფში).

**წინწილა:** 2. (იმერ.) მეტად ცივი, გამყინავეი ქარი.

**წინწილა:** 3. წერილი, პატარა.

**წინწილი:** 1. სამუსიკო საკრავი, ლითონის

ორი თეფში, ერთიმეორის შემოკერით საეღერელი (ნ. ჩუბინ).

**წინწილი:** 2. მდაბიურად, – წერტილი ნაწერთა შინა (ნ. ჩუბინ).

**წინწკალა:** 1. ბალახოვანი მცენარე მიხაკისებრთა ოჯახისა.

**წინწკალა:** 2. იგივეა, რაც წანწკარა; (ლენჩხ.) ფიცხი, გულფიცხი.

**წინწრიქი:** 1. (გურ.) წვეთვა.

**წინწრიქი:** 2. (გურ.) წინწრიხი, მწვირე, ჭუჭყი, ტალახი, უსუფთაობა (ვ. ბერ.).

**წიო-წიო:** 1. ზოგიერთი ფრინველის (ძერის, ინდაურის...) მიერ გამოცემული წივილისებრი ხმა.

**წიო-წიო:** 2. (ქართლ., კახ.) ნაწილ-ნაწილ; თანდათანობით; ცოტცოტაობით.

**წიორა:** 1. (ქსნის ხ.) ძალიან გამხდარი ადამიანი (ვ. სომხიშე).

**წიორა:** 2. (ლენჩხ.) ღარიბი; ცუდი (მ. ალავე).

**წიორა:** 3. (ქიზიყ.) პატარა ჩიტი, იხსენება ზღაპრებში (ს. მერთეშ).

**წიბი:** 1. (მოხ., ხევს.) ცერისა და სანეენებელი თითის შეერთება (ა. ღლ.).

**წიბი:** 2. (გურ.) ჩეილი ბაეშვის გასართობად აქანაებენ ყუნწით მის წინ ეაშლს, მსხალს და იტყვიან „წი.პი, წი.პი, წი.პონია“...

**წიბი:** 3. (მთიულ.) წიფლის ნაყოფი, წიწიბო.

**წიბრანა:** 1. ჭიკჭიკი.

**წიბრანა:** 2. ნალის ნახერეტის გასადიდებელი ლითონის ღერო.

**წიბწიბა:** 1. (გურ.) მიკერა, მიწებებასავეთ (ა. ღლ.).

**წიბწიბა:** 2. (ლენჩხ.) კანაფის ბოჭკოს ხეუფლი (მ. ალავე); „წიბრანი სანეხიანი“ (საბა).

**წიბწიბა:** 3. (რაჭ.) ძალიან პატარა, – პაწაწინა.

**წიბრავს:** 1. მსხვერპლად მოაქვს.

**წიბრავს:** 2. ქრისტიანულ მღვდელთმსახურებას ასრულებს.

**წიბი:** 1. იგივეა, რაც ხაზი; წრფე, – სწორი ხაზი.

**წიბი:** 2. მოჩვენება, მირაჟი; „არს ვაკოვანთა შინა არარაი მყოფსავეთ რამე ჩენა მიხედვა-

რეობასა შინა, ანუ დახატული, რომელი მსგავს, ცხოველისა ჩნდეს და მისთანანი... წირი ეწოდების ეაკუთა შინა ამართულად უწეუნოს რამე და არა იყო" (საბა).

**წიტი:** 1. (ქართლ.) ახალამოვლებული ჩურჩხელის ჩამონალევითი თათარა.

**წიტი:** 2. (იმერ., მთიულ.) ქათმის ფადარათი; (ფშ.) პატარა ბავშვის ან ხბოს განავალი.

**წიტი:** 3. (გურ.) მუწუკი. მსხმო (ებერ.).

**წიფური:** 1. (კან., მეგრ.) აღმოსაეღური წიფელი.

**წიფური:** 2. (გურ.) მოწითალო თმა-წვეერის მქონე მამაკაცი; აგრეთვე, მოწითალო სახის კანის მქონე ადამიანი (ა. სიხ.).

**წიფხა:** 1. (ლენხ.) ცაცხვის ხის ქერქის ჭურჭელი (კალათივით) (ი. ჭყონ.).

**წიფხა:** 2. (იმერ.) მადალი, აწოწვილი (პ. გან.).

**წიქარა:** 1. წითელი ხარის სახელია. მოწითალო ფერი.

**წიქარა:** 2. (მთიულ.) ორი წლის ღეკეული.

**წიწაკა:** 1. ბოსტნის კულტურული მცენარე. ისხამს მოგრძო წითელ ნაყოფს, ცხარეა; ხმარობენ საჭმლის შესანელებლად.

**წიწაკა:** 2. (ქიზიყ., ქართლ.) ქათმის ბუმბულის ძირები, კანში რომ რჩება და არ სძერება (ს. მენთეშ., პ. განენ.).

**წიწახა:** 1. ხის პატარა ჯამი (ე. ბარნ.).

**წიწახა:** 2. პირველად მიღებული არაყი (ერთლიტრამდე).

**წიწვა:** 1. (გურ.) ჭიმვა, წევა, ზიდვა (ი. ჭყონ.).

**წიწვა:** 2. კრძალვა, მორცხეობა (ნ. ჩუბინ.).

**წიწვა:** 1. (ქიზიყ.) წინდა (ბავშვის ენით) (ს. მენთეშ.).

**წიწვა:** 2. (გურ.) ხორცი (ბავშვის ენით) (ს. ელ.).

**წიწვით:** 1. წიფლის ნაყოფი.

**წიწვით:** 2. (ქართლ.) საბავშვო თამაშობა ერთგვარი, დამალობანას მსგავსი (თ. ბეროზ., მ. მესხ., ლ. ნოზ.).

**წიწვილა:** 1. ახლად გამონეკილი ქათამი ვარიობამდე.

**წიწვილა:** 2. (ქიზიყ.) პატარა ხარეუნი, ხენის

დროს კეალსა და კეალს შუა დარჩენილი მოუხნავე ადგილი, ნაგული. ხორცში დარჩენილი მოუხარშავე გული, ღორში გამოუყვანელი სისხლიანი გული (ს. მენთეშ.).

**წიწვილა:** 3. კოწოლი, დალალი, ჭაველი, კავები (ე. ჯან.).

**წიწვილი:** 1. გეულისა და სხვა ქვეწარმავლის ნაწიერი.

**წიწვილი:** 2. (ქართლ.) კეალსა და კეალს შუა დარჩენილი პატარა მოუხნავე ნაკეუთი, ხარეუნი (ბ. ძიძ., ნ. კეცხ.).

**წიწვინა:** 1. რაც (ეინც) წიწინებს, რასაც (ეისაც) წიწინი სწევია; წიწინის მაგარი; წრიპინა.

**წიწვინა:** 2. (მოხ.) წიწახი, — ხის პატარა ჯამი.

**წიწვინი:** 1. (იმერ.) კოხტად და მსუბუქად სიარული (ი. ქავთ.).

**წიწვინი:** 2. (ფშ., მოხ.) ჭიეჭაეის ხმა (ა. შან); ბეერი ლაპარაკი წერილი ხმით (შ. ძიძ.). ფრინველის მიერ გამოცემული წერილი ხმა.

**წიწკანა:** 1. მესკია, — პატარა ჩიტი, სკეინჩასა ჰგავს.

**წიწკანა:** 2. (კახ.) ანჩხლი, კაპასი, ავი.

**წიწკვი:** 1. (მთიულ.) ხის წერილი ტოტი (ლ. კაიშ.).

**წიწკვი:** 2. (ვარგ.) გოგონა (ლ. ბრეგ.).

**წიწკვი:** 1. (გურ.) გულწიწკი, გულაზიზი (ა. ლლ.).

**წიწკვი:** 2. (ხევს., მოხ., თუშ.) წკირი, ხის გამხმარი ტოტი; წერილი ჩხირი.

**წიწკვი:** 3. (მოხ.) საფეიქროს, საქსოვი მოწყობილობის ნაწილი; ჭაღაჭაში (საქსოვი მოწყობილობის ნაწილი), ჩანსული მრგვალი, მაგარი ჩხირი (ა. ლლ.).

**წიწკლიკა:** 1. (ქართლ.) მადალი გამხდარი (თ. ბეროზ., მ. მესხ., ლ. ნოზ.).

**წიწკლიკა:** 2. (ქართლ.) პატარა, დაბალი დაღეული ადამიანი (თ. ბეროზ., მ. მესხ., ლ. ნოზ.).

**წიწმარტი:** 1. (ლენხ.) წიწმარტი, ბოსტნეულია (მ. ჩიქ.).

**წიწმარტი:** 2. (გურ.) ტკივილის გამო მუცელის გერემა, ტანის გრეხა, ტკივილი (ა. ლლ.).

**წკანწკარა:** 1. ნაკადულის ეპითეტი.

**შკანშკარა: 2.** იგივეა, რაც წყალწყალა, — უხეირო, მდარე.

**შკანშკარა: 3.** ნიტი ერთგვარი.

**შკაბი: 1.** (იმერ., გურ.) მწერი, რიგი, წყება; ენახის მწერი, შაკი, რიგი (ი. ქაეთ.); (ლენხ.) წყვილული სმის დროს (მ. ჩიქ.); (ქიზიყ.) ერთბაშად მოწყვეტილი ხმა შუათანა სიმაღლისა (ს. მენთეშ.).

**შკაბი: 2.** იგივეა, რაც წინწყალი, — წერილი წეთი, შხევი; ფერადი წერტილი ერთფერ მიწაზე (ფონსე).

**შკაბი: 3.** ფუტკრის ტილი.

**შკენტა: 1.** (მოხ.) ჩხელეტა, ჩქმეტა (ი. ქაეთ.).

**შკენტა: 2.** (მოხ.) წეულა (ი. ქაეთ.).

**შკენტა: 3.** (იმერ.) ცქინთი, წკვერტი (ვ. ბერ.). სათამაშო ქაღალდში ერთი ოთხ სახეობათაგანი, რომელსედაც გამოხატულია ქიმზე დამღარი კვადრატი წითელი ფერისა.

**შკებლა: 1.** ფოთლებგაცლილი წერილი ტოტი ხისა.

**შკებლა: 2.** (მოხ.) სოლიანი (ი. ქაეთ.).

**შკებარტი: 1.** ნამგლის ერთი გამოკვრით გამოშვებული პატარა ხელეური, რომელსაც პატივისცემის ნიშნად მიართმევენ სამკალში მოსულ საპატიო კაცს, მებატონეს, ან ახლოს გამაულ მგზავრს, რომელიც მომკვლებს თავის მხრივ ხევიან მოსაუფლს, ბარაქას უსურვებდა და ფულით ასანიუქრებდა (გ. შატბერ.).

**შკებარტი: 2.** „თითის კურა“ (საბა); ერთი თითის მეორეზე დასხლევით შემოკერა (ნ. ჩუბინ.); თითის წაკერა (დ. ჩუბინ.).

**წკიპარტი: 3.** (ოკრიბ.) ორივე თავით წვერწამახული გამძლე ჯოხი, რასაც ნედლი ტყეის გადასატვირთად იყენებენ (გ. ალავე).

**წკიპარტი: 1.** იგივეა, რაც წკიპარტი, — „თითის კურა“ (საბა).

**წკიპარტი: 2.** (გურ.) მატლის თესლები (რ. ბერ., გ. მებერ.).

**წკიპურტი: 1.** ცურიდან შუა ან სალოკი თითის ასხლევით მორტყმა.

**წკიპურტი: 2.** (ქიზიყ.) ხელეურის შესაკერელი პურის ღეროები (ს. მენთეშ.).

**წმინდა: 1.** წმინდანი; ღმერთთა, სარწმუნოებასთან დაკავშირებული, ღვთაებრივი ძალის მქონე.

**წმინდა: 2.** სუფთა.

**წმინდა: 3.** ძალიან წერილი; წერილი, რბილი და ნაზი (ძფი, მატყელი...).

**წმინდანაანი: 1.** (იმერ.) წარმოდგენით, ღამის ფრინველია, ფრენის დროს ცოტათი ანათებს; სადაც ის ჩაფრინდება იქ თითქოს უთუოდ ეინმე გარდაიცვლება (ვ. ბერ.). ფრინველი რომელსაც ღამით ცეცხლის სახე აქვს, — ჯვარისძალი.

**წმინდანაანი: 2.** იგივეა, რაც წმინდანი, — ღვთისმოსავე, ღვთის მსახური.

**წოვა: 1.** სახელი წოვს (ძუქუდან სვამ რძეს) ზმნის მოქმედებისა.

**წოვა: 2.** (ი. მერხ.) რძის პროდუქტია.

**წოთი: 1.** (ლენხ.) ზარნაშო, ღამეძახია ფრინველი.

**წოთი: 2.** (გურ.) დადუღებული ტყემლის წენი (ს. ულ.).

**წოწოლა: 1.** მადალი და წაწერილებული.

**წოწოლა: 2.** მოდილო ბუ (დ. ჩუბინ.); „მოდილო წოტი, — პატარა ბუ“ (საბა).

**წრიალი: 1.** მოუსვენრად მოძრაობა (სიარული...); მოუსვენრად ყოფნა, შფოთვა.

**წრიალი: 2.** მოქნეულისაგან პაერის გაობის ხმა, — წული, შხული; „მახვილის ხელზე წამის ხმა“ (საბა); (ხევს.) ძალიან წერილად ჩამომდინარე სითხის ხმა.

**წრიაბა: 1.** (ქართლ.) წერილი მუწუკები (შ. ძიძ., ნ. კეცხ.).

**წრიაბა: 2.** (გურ.) ბედურაზე პატარა ჩიტია (ი. შილაკაძე).

**წრიაბა: 3.** პატარა წიწილა.

**წრიაბი: 1.** „ესე არს რკინა შემზადებული კბილებიანი ტურფთა ამოსაკრავად, რათა ფრიალოთა მავალსა კაცსა ფერხი არ მოუცურდეს“ (საბა).

**წრიაბი: 2.** (ზ. იმერ.) ციცაბო კლდე.

**წრიაბი: 3.** „სადედლე ვარია“ (საბა).

**წრიაფი: 1.** იგივეა, რაც წრიალი, მოუსვენარი მოძრაობა; შფოთვა.

**წრიაფი: 2.** (ლენხ.) კრიახი (ქათმებისა).

**წრტიალი: 1.** ღეზი.

**წრტიალი: 2.** „ტკივილთ ნამეტნაობა“ (საბა).

– დიდი ტკივილი.

**წრუწუნა: 1.** თაგვის (ვირთაგვას) ნაშიერი, – ღლაპი.

**წრუწუნა: 2.** (ქართლ.) ჩასაბერი სასტეენი, ნედლი ხის ქერქისაგან გაკეთებული (პ. გაჩეჩ.).

**წუა: 1.** გათუთქული ტყემლის, ღოდნოშოს და მისთ. მოდუღებული წვენი; მკაეე წვენი ნედლი ხილისა (დ. ჩუბინ.); (ფშ.) ხილის გამოწურული წვენი (ი. ჭყონ).

**წუა: 2.** პატარა ჩიტია, წოია (ს. იორდ.).

**წუა: 3.** (მოხ.) ცხელი, – ბავშვის ენაზე (ი. ქაეთ.).

**წუკწუკი: 1.** (ქიზიყ.) იგივეა, რაც წუწუნი.

**წუკწუკი: 2.** (იმერ.) წანწალი, ძუბძუგი.

**წუმი: 1.** (გურ.) ყურძნის მტვეანი (ი. ჭყონ).

**წუმი: 2.** კრინტი.

**წუმი: 3.** წუმს ინახავს, – ვეპიკეერას ჭამს.

**წუმწუმა: 1.** იგივეა, რაც ასანთი.

**წუმწუმა: 2.** წურწუმა, ეიწროყელიანი ჭურჭელი წყლისათვის.

**წუმწუმა: 3.** (კახ.) ცახცახა; ქრისტესისხლა, – ბალახია (ა. მავ.).

**წურწუმა: 1.** ეიწროყელიანი ჭურჭელი წყლისათვის, – კუმკუმა.

**წურწუმა: 2.** ერთგვარი ბალახია, – ნემსით გაუელის ცხეარს ეს ბალახი (რ. ერ.).

**წუწკი: 1.** სულწასული (ჭამაში...), მსუნაგი; წუნკალი.

**წუწკი: 2.** (ქართლ.) ცუდი, უვარგისი.

**წყალი: 1.** უფერული, გამჭვირვალე სითხე; იგივე სითხე მდინარის, რუს, წყაროს... სახით.

**წყალი: 2.** სახე, ელვარება (ძვირფასი თვალისა) (ზ. სარჯ.).

**წყევა: 1.** „საწყეოდ წევა“ (საბა).

**წყევა: 2.** „წყეველა“ (საბა).

**წყეული: 1.** (ქართ., მესხ., გურ.) გველის შეფარებითი სახელი, უხსენებელი (ნ. კეცხ.).

**წყეული: 2.** (ქიზიყ.) ეშმაკი. მუხანათი, შეჩვენებელი.

**წყეული: 3.** ეინც დაწყეულეს, – დაწყეულილი.

**წყვილი: 1.** ორი ცალი ერთად; ორი (განსხვავებული) ეგზემლარისაგან შედგენილი (კომპლექტი); ქალ-ვაჟი.

**წყვილი: 2.** მენჯი, ბარძაყი; წელი (კ. დანელია).

**წყლაეს: 1.** ჭრის, კოდაეს.

**წყლაეს: 2.** (ხევს.) იგივეა, რაც რწყავს.

**წყობა: 1.** სახელი აწყობს ზმნის მოქმედებსა; განლაგება; აგებულება, სტრუქტურა.

**წყობა: 2.** ბრძოლა.



**ჭა: 1.** „ჯურღმული წყალთა“ (საბა); ღრმა და ეიწრო ორმო (ქეთ ან სხვა მასალით ამოშენებული), რომელშიც მიწისქვეშა წყალი გროვდება.

**ჭა: 2.** (ძვ.) მიწაში ამოთხრილი ორმო საპერობილედ, – ხარო; სადგომი (ზ. ქაფიანიძე).

**ჭაბუკი: 1.** ახალგაზრდა, ყმაწვილი; ჯერ დაუეპაცებული, ყმაწვილი.

**ჭაბუკი: 2.** ძალიან მოხუცებული და არ კვდება (თ. სალარ.).

**ჭაბუკი: 3.** (ქართლ.) ეშმაკი, ქაჯი, კუდიანი.

**ჭაფლი: 1.** წელის ზედაპირის მცირე რიტმული რხევა.

**ჭაფლი: 2.** იგივეა, რაც ჭალი, – (ურმის მესერი).

**ჭაფლი: 3.** (თუშ., ფშ.) ბანჯგელი, ხაო, ბეწვი; იგივეა, რაც ჭაერილი.

**ჭაფლი: 4.** (მთიულ.) ფერად-ფერადი ძაფები, რომლითაც სახეები გამოჰყავთ ქსელზე.

**ჭაფლი: 5.** (გურ., აჭარ., ზ. იმერ.) ღერწი; ვაზის ახალ ამოყრილი ტოტი.

**ჭაფლი: 6.** ყურის ნიჟარის კიდე.

**ჭაფლი: 7.** „სხეილი ნაწნაეი თმა“ (საბა); დალალი, გრძლად დაწნული თმა ქალთ მოსართაეად (ნ. ჩუბინ.).

**ჭაკენი: 1.** (გურ.) კაკუნი (ა. ღლა).

**ჭაკენი: 2.** (გურ.) ბურთის თამაშია თაემოკაუჭებელი ჯოხით (ი. ჭყონ).

**ჭაკენი: 3.** იგივეა, რაც ჩოგანი.

**ჭალა: 1.** „წყლის პირი ნაყოფიერი“ (საბა);

ვაკე ადგილი; კორომი.

**ჭალა:** 2. (იმერ.) მომცრო ღვარი, სილაშიაისთვის ჩასმული ჭიშკრის კარებში; (ზ. იმერ.) მანკო, ფინილა; (ქვ. იმერ.) ურმის ხელნებში ჩასობილი ბოძი (პ. ჯაჯან).

**ჭალაკი:** 1. „წყლის პირი ნაყოფიერი“ (საბა).

**ჭალაკი:** 2. კუნძული.

**ჭამა:** 1. საკვების, საჭმლის პირში მოქცევა, ლეჭვა და ყლაპვა.

**ჭამა:** 2. (ქარგ.) მოტყუედა (ლ. ბრეგ).

**ჭანაპარა:** 1. (გურ.) უნაგირის ბალიშის დასამაგრებელი.

**ჭანაპარა:** 2. (ქსნის ხ.) ფიზიკურად ძალიან სუსტი და ავადმყოფი ადამიანი (ვ. სომხ.).

**ჭანარი:** 1. საშუალო ზომის თევზი, გაერცვლებულია საქართველოში.

**ჭანარი:** 2. სისეულე; ნახევრადნედლი; ნესტიანი, ნოტიო.

**ჭანარი:** 3. (ქიზიყ.) ნახევრად ხმელი (ს. მენსე).

**ჭანგი:** 1. ბრჭყალი, კლანჭი; ფეხზე დასამაგრებელი ნამგლისებრი, კბილებიანი ლითონის მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ბოძზე აღიან; რკინის კაუჭი (ღუზის მსგავსად).

**ჭანგი:** 2. სიმეავე, ჭმახი; მეავე.

**ჭანგი:** 3. (ძე.) „უანგი“ (საბა).

**ჭანი:** 1. ცუდად დაკოდილი ცხოველი; ცველანი.

**ჭანი:** 2. კანტი, გამხდარი; ჭნაეი, ნალევა, მღივი (დ. ჩუბინ.). „უძღური“ (ბროსე. ქც.).

**ჭანი:** 3. ჭანები, — ერთ-ერთ ქართველური ტომი, — ლაზები.

**ჭანჭიკა:** 1. პატარა ჭანჭიკი, — პატარა ხრახნიანი მოკლონი; ხის ან რკინის პატარა კოტა.

**ჭანჭიკა:** 2. (მთიულ.) ჭრელი პინდის ქსოვის სახე (ლ.კაიშ.).

**ჭაბი:** 1. „ბანდულთა და წაღათ შესაკრავი“ (საბა).

**ჭაბი:** 2. (მესხ.) ტაში (შ. ძიძ.).

**ჭაბი:** 3. (ლაზ.) ფესვი.

**ჭარი:** 1. ქართული ანბანის ოცდამეათე ასოს სახელწოდება.

**ჭარი:** 2. ტყავზე, ადამიანის ტანზე ანაძრობი, ანაფხეკი (პ. ხუბ.); განაძრობი კანი გველისა, აგრეთვე ფრინველის ფეხისა (ი. ქეშიკ.).

**ჭარი:** 3. (იმერ., რაჭ.) დაბალი, ნოტიო ადგილი, ღუნჭვი, ჭუნჭვი (ვ. ბურ., შ. ძიძ.).

**ჭარი:** 4. მფრინ. (დ. ჩუბინ.); ყვაეი (ივ. ჯავახ.).

**ჭარი:** 5. მხალი (ივ. ჯავახ.).

**ჭარი:** 6. (ხევსურ.) ზაქათალის მხარე (ა. შან.).

**ჭარი:** 7. ადგილი ხევში.

**ჭარმაგი:** 1. (ქიზიყ.) ხაერთოდ, ბაცი ფერი (ს. მენსე).

**ჭარმაგი:** 2. (მთიულ.) ბედაური (ს. მაკალ.); თრთვილა (თეთრზე შავად დაწინწკლული) ცხენი.

**ჭარმაგი:** 3. ხანში შესული ეაქაცური იურის მქონე (მამაკაცი).

**ჭარო:** 1. თოლიის მსგავსი ფრინველია.

**ჭარო:** 2. წყლიან-ბალახიანი ველი; (ღუნხ.) შემოუსვლელი, უმრწავარი სიმინდი, პური; ნოტიო ადგილი (მ. ალავე).

**ჭარტალი:** 1. მკეთერი უსიამოვნო, ჭრელი.

**ჭარტალი:** 2. ყურძნის ჯიშია ერთგვარი (ივ. ჯავახ.).

**ჭარტალი:** 2. (ქართლ.) ქაცვი (ა. მაყ.).

**ჭარტალი:** 1. გაუთავებელი და უადგილოდ ლაპარაკი, — ტარტალი; ზედმეტისა და უადგილოს მოლაპარაკე.

**ჭარტალი:** 2. მაგარი, ძნელად დასამუშავებელი ხე.

**ჭარტალი:** 3. მადნის გამოღობის შემდეგ დარჩენილი უვარგისი მასა (პ. განყ.).

**ჭარული:** 1. (ინგილ.) თხილის ჯიშია (ა. შან.).

**ჭარული:** 2. (ზეგს.) ხმალია ერთგვარი (ს. მაკალ.).

**ჭაჭა:** 1. ყურძნის ჩენო; ჭაჭისაგან გამოხდილი არაყი; (ქიზიყ.) ფიჭის ნარჩენი.

**ჭაჭა:** 2. (გურ., იმერ.) იგივეა, რაც თირკმელი; (იმერ.) თირკმელი ან სუკი (ნ. ჩუბინ.).

**ჭაჭანი:** 1. (ფშ.) ერთი ბევო, მცირე, იორტისოდენა რამ; ჭაჭანება.

**ჭაჭანი:** 2. (ქართლ.) ბევრი, განუწყვეტელი ლაპარაკი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

**ჭაჭი:** 1. (მოხ.) ასპიდის ფიქალი; კლდის ნატეხი ბრტყელი ქვა (შ. ძიძ.).

**ჭაჭი:** 2. (ხეეს., ფშ., თუშ.) ჭურჭლის ტუჩი; (თუშ.) ნიკაპი.

**ჭაჭი:** 3. (ხეეს.) შარვლის შუა ნაწილი (ა. ჰინჭარ.).

**ჭაჭუა:** 1. (გურ.) პატარა წველა ყველი.

**ჭაჭუა:** 2. „გველი“ (საბა).

**ჭახანი:** 1. (მოხ.) თოფის მჭეხარე ხმა (ა. ყაზბეგ.). გატეხის, დაჯახების და მისთ. მკეუთრი ხმა.

**ჭახანი:** 2. (აჭარ.) ცუდი ამინდი.

**ჭახჭახა:** 1. ხმაურიანი, ტაკუნა; ერთგვარი წითელფრთიანი ხოჭო, რომელიც ხმას გამოსცემს მუცლის ნაწილის ხახუნით ფრთის საფარზე.

**ჭახჭახა:** 2. იგივეა, რაც ჩახჩახა, კაშკაშა, მოელვარე, ბრწყინვალე.

**ჭახჭახებს:** 1. ჭახჭახის ხმას გამოსცემს, ჭახჭახით გალობს; ჭახანის, ჭახუნის ხმას გამოსცემს.

**ჭახჭახებს:** 2. ჩახჩახებს.

**ჭახჭახი:** 1. ზოგი ფრინველის მაღალი და მკეუთრი ხმიანობა; ჭახჭახუნი.

**ჭახჭახი:** 2. ჩახჩახი.

**ჭედილა:** 1. დაკოდილი მაძალი ცხვარი; დაკოდილი ხეასტაგი, უფროსი საკლაეი (ნ. ჩუბინ.).

**ჭედილა:** 2. სატირი, წონა (დ. ჩუბინ.); წონის ერთეული.

**ჭეო:** 1. „კლდის ნაწილი“ (საბა), ფიქალი;

**ჭეო:** 2. (იმერ.) ბოლქვის წილაკი, კბილი; იგივეა, რაც ბლუჯა; (ზ. იმერ.) ნივრის თავის ცალკე კბილი (ბ. წერეთ.).

**ჭეო:** 3. ფიჭის უჯრედში დაგროვილი ყვავილის მტვერი, ფუტკრის საკეობა.

**ჭერეხი:** 1. რიყის ქვა; რიყე.

**ჭერეხი:** 2. თეწია ერთგვარი.

**ჭერი:** 1. ოთახის ზედა ნაწილი.

**ჭერი:** 2. ოთახის იატაკი.

**ჭერი:** 3. (ფშ.) მოჭრილი, დაუმუშავებელი მრგვალი ხე (ვაჟა).

**ჭეშმარიტი:** 1. მართალი, ნამდვილი, უტყუარი.

**ჭეშმარიტი:** 2. ხუცესი, რომელიც ჯერის მსახურია („ჯვართ ენაზე“).

**ჭვანკი:** 1. ფრინველის ფეხის თითი ბრჭყალით.

**ჭვანკი:** 2. ღვინის სიმუავის მოკიდება, დამარებისაკენ წასვლა.

**ჭვინტი:** 1. (კახ., გურ.) ქალამნის, ფეხსაცმლის ცხვირი (გ. იმნ., ა. ღლა).

**ჭვინტი:** 2. (ქვ. იმერ.) ვიწრო ბილიკი (მ. ალავე).

**ჭვინტი:** 3. ღობის კუთხე.

**ჭვინტინი:** 1. მაღვით ცქერა, ჭვრეტა, ტიტინი.

**ჭვინტინი:** 2. (გურ., იმერ.) იგივეა, რაც ჭვეტიანი.

**ჭი:** 1. (რაჭ.) შემოკლებული; ჭირიმი; გენაცვალე (ე. ბერ.).

**ჭი:** 2. ჭრიჭინასი და ზოგი სხვა მწერის ხმიანობა.

**ჭიანი:** 1. რასაც ჭია აქვს განეწილი, – დაჭიანებული; (გადატ.) ავადმყოფი სუსტი.

**ჭიანი:** 2. (გურ.) ჭენება (რ.ბერ., გ.მეგრ.).

**ჭიანური:** 1. ხემიანი საკრაეია ერთგვარი.

**ჭიანური:** 2. (გურ.) მაღალი ხმით, ხმამაღლა ტირილი (ა.ღლა).

**ჭიკა:** 1. შეიღობის ცნების გამომხატველია (იე. ჯაფახ.).

**ჭიკა:** 2. სათამაშო კოჭის მუცელი, ჭუტი (ე. ბერ.).

**ჭიკარტი:** 1. ერთწლოვანი მცენარე შავწამლასებრთა ოჯახისა.

**ჭიკარტი:** 2. იგივეა, რაც კნოპი; (იმერ.) ლურსმანი.

**ჭიკარტი:** 3. ფრინველი.

**ჭიკვა:** 1. (ხეეს.) მოსართაეების მოჭერა (ა. ჰინჭარ.).

**ჭიკვა:** 2. (ფშ.) პატარა ბორა, – ძერაა (თ. რაზიკ., ი. ჭყონ.).

**ჭიკი:** 1. (ქართლ.) თითისტარი.

**ჭიკი:** 2. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე, ზეჭური, ჭუკი (ა. სიხ.).

**ჭიკნა:** 1. (ქართლ.) ძალიან გავსება, ტენა (შ. ძიძ., ნ.კეცხ., პ. ხუბ.).

**ჭიკნა:** 2. (გურ., იმერ.) ჭრა, უხეირო ჩეხვა ბლაგვი დანით (ა. ღლა); მსუბუქად ჩეხა, ოდნავ კეაღის დანწევა ამოკენკილივით (ი. ქავთ).

**ჭიკო:** 1. (იმერ.) იგივეა, რაც სათუთუნე.

**ჭიკო:** 2. (ფშ., ხევს.) ჯაჭვის რგოლი.

**ჭიკო:** 3. (ქართლ.) პატარა ბიჭი (შ. ძიძ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.).

**ჭიკჭიკა:** 1. რაც ჭიკჭიკებს, მოჭიკჭიკე.

**ჭიკჭიკა:** 2. ჩაწიკჭიკებული, წიკჭიკა; რამეზე გამოყვანილი სახე, ჭრელი.

**ჭილი:** 1. ტენიან ადგილში გავრცელებული მრავალწლოვანი მცენარე; პაპირუსის ქართული შესატყვისი.

**ჭილი:** 2. თესლისაგან მიღებული ხახვის პატარა ბოლქვი; მეორე წელიწადს რგავენ მსხვილი ბოლქვების მისაღებად.

**ჭილი:** 3. (ქართლ.) ღვარეული.

**ჭილო:** 1. ბოლქვის წილაკი; კბილი; მზესუმზირისა და მისთ. ჩენჩო; ნიორის ერთ კონაზე ითქმის (ი. გრიშაშ.).

**ჭილო:** 2. ჭდე, თითისტარზე ძაფის მოსადუბად.

**ჭილო:** 3. ერთი მიმართულებით დახეული ძაფი მორგეზე.

**ჭიმა:** 1. მიწისეაშლასავით (ა. შან., ა. მაყ.); (ხევსურ., მოხ.) ღიმი, ატოლი, მცენარეა (ა. მაყ.); ჩილაჩიბარა (სტაფილოს უგავს ფოთლები) (ივ. ჯაქაძ.).

**ჭიმა:** 2. „გაჭიმა, აჭიმა, გაჭიმივა“ (საბა).

**ჭიმი:** 1. „ქანაფის აეშარა“ (საბა); (ლენხ.) აღვირი; ფოლადის ბაგირი, მავთული, რომელიც გარკვეულ მდგომარეობაში აჩერებს შესაერთებელ ნაწილებს; მრგვალი ჯოხი, სიგრძეზე ორად გაყოფილი, მეუნაგირენი ხმარობენ ტყავის გადასაჭიმად (ვ. ბერ.).

**ჭიმი:** 2. (ინგილ.) ბარით ბალახიანად მოჭრილი მიწა, — ბელტი.

**ჭიმი:** 3. (თუშ.) ჭყიმი, — მრავალწლოვანი ბალახი ქოლგისებრთა ოჯახისა.

**ჭიმჭია:** 1. (ლენხ.) ასფურცელა, — მცენარეა; მცოხნაეი საქონლის კუჭის ერთ-ერთი განყოფილება, რომლის ღორწოვანი გარსიც მრავალკეცია და ფურცლებივით არის ჩაწყობილი.

**ჭიმჭია:** 2. (იმერ.) წიპწი.პა, ყურძნის კურკა (მ. ალაფ.).

**ჭინჭილი:** 1. (გურ.) წუნწინი, თხოენა, ხეწნა (ე. ნინ.). დაბალი ხმით ტირილი, მოთქმა (ა. ღლა).

**ჭინჭილი:** 2. იგივეა, რაც ჭინჭილა, — პატარა ღოქი საღვინე.

**ჭიოტა:** 1. (თუშ.) ჩიტია, ბელურას კგავს (ა. შან.).

**ჭიოტა:** 2. ერთწლოვანი შხამიანი მცენარე მიხაკისებრთა ოჯახისა.

**ჭიოტა:** 3. (ძე.) პატარა, წერილი (დ. ჩუბინ.).

**ჭიპჭიპი:** 1. (გურ.) კერა, მიკერა (ა. ღლა).

**ჭიპჭიპი:** 2. (აჭარ.) ტარტარი, ლაქლაქი, ჭარტალი (შ. ნიქარ.).

**ჭირი:** 1. საერთო სახელწოდება ცხოველთა მწვავე გაღამდები დაავადებისა, რომელთაც იწვევს სხვადასხვა ვირუსი; იგივეა, რაც შავი ჭირი; რაიმე მიძმე გაღამდები დაავადება; გაჭირება, უბედურება, გასაჭირი.

**ჭირი:** 2. ჭია, შატლი (კ. დან.).

**ჭიტა:** 1. (ფშ.) ვარსკვლავი.

**ჭიტა:** 2. ბავშვების გასართობი სიტყვა; დამალულ შესძახებენ და ნიშნავს, — გიოქენეო, დაგინახეო.

**ჭიტა:** 3. (მეგრ., ჭან.) მცირე, პატარა.

**ჭიღვა:** 1. (იმერ., ზ. იმერ.) პატარა ხარდანი, წერილი სარი; წნელი, შემოვლებული ხარდანის ირგვლივ, ვაზის დასამაგრებლად (ვ. ბერ.).

**ჭიღვა:** 2. (მოხ.) მხარ-ბეჭის ძეალი (ი. ქავთ).

**ჭიღვი:** 1. (ლენხ., თუშ., ქიზიყ., ხევსურ., ლენხ.) მხარ-ბეჭის სახსარი (ს. მენიუშ.); ცხოველის უკანა ფეხის ბოლო ნაწილი მუხლისაკენ (მ. ალაფ.).

**ჭიღვი:** 2. (აჭარ.) ზრდადაუმთავრებელი ნაყოფი გოგრის, კიტრისა და ნესვისა, რომელიც აღარ მწიფდება (შ. ნიქარ.).

**ჭიჭი:** 1. ლუდის ფუიდის დროს მოხვედრილი ქაფი, საფუერად ინახავენ (ს. მაკალ., ა. ჭინჭარ.).

**ჭიჭი:** 2. (ქახ., ქიზიყ.) ხაჩაობის სათამაშო კოჭური (ს. მენიუშ.).

**ჭიჭი:** 3. (მთიულ.) ძალიან წერილი ქვა.

**ჭიჭილა:** 1. (ქართლ.) ჭინჭილა, ხელადის მსგავსი.

სი თიხის ან ყელწერილი პატარა სასმისი ღვინისა; თიხის პატარა ჭურჭელი, ლიტრის ან ხელადის მსგავსი, ცალყურა (ა. ღლ.).

**ჭაჭილა:** 2. (ქინის ხ.) ტილი (ა. ღლ.).

**ჭაჭინა:** 1. (ინგილ.) იგივეა, რაც ჭრიჭინა (ა. შან.).

**ჭაჭინა:** 2. (გურ., აჭარ.) თეალი, ნახერუტი საწნახლისა (თ. სახ.).

**ჭაჭინა:** 3. მსხვილფეხა რქიანი საქონლის გადაძღები დააეაღება.

**ჭაჭიტა:** 1. (იმერ.) ვარსკელაფი (ვაფა, ა. შან.).

**ჭაჭიტა:** 2. (ხევს.) ნამცხეარი (ს. მაკალ.).

**ჭაჭკვი:** 1. (იმერ.) აყვავებული, აყვერებული ჭარხალი (ვ. ბერ.).

**ჭაჭკვი:** 2. (რაჭ.) პატარა და დაზარალებული ნეღლი ტარო.

**ჭაჭო:** 1. (გურ.) დაზოგვით, ცოტა-ცოტათი (გ. შარაშ.).

**ჭაჭო:** 2. (მთიულ., გუდამაყრ.) ორ ბოძს შუა გადადებული გათლილ ხეში გარჭობილი სოლი, ტანისამოსის და სხვა საგნების დასაკიდებლად (ლ. კაიშ.).

**ჭაჭო:** 3. (მთიულ.) ქათმის ნისკარტი (ლ. კაიშ.).

**ჭაჭყინა:** 1. ზოგი თევზის ნაშიერი (წყურასი, მურწასი, კობრისა...); იგივეა, რაც ქარსალა.

**ჭაჭყინა:** 2. ჭიჭყინა აღამიანი; იგივეა, რაც ზურნა.

**ჭკა:** 1. (ხევსურ., მოხ.) ჭილყეაფი (ო. ქაჯ.); „პატარა ჭილყეაფი“ (საბა).

**ჭკა:** 2. შაფი ყურძნის ჯიშია.

**ჭკუტა:** 1. (ლენხ.) პანტა (ა. მაყ.) მივალო.

**ჭკუტა:** 2. (გურ.) უმწიფარი წერილი ხიდი (გ. შარაშ.).

**ჭლაკვი:** 1. ხახვის ერთ-ერთი სახეობა.

**ჭლაკვი:** 2. ჩლიქი (ზ. სარჯ.).

**ჭლოკი:** 1. იგივეა, რაც ჩლიქი; ფეხის წვერი.

**ჭლოკი:** 2. (მოხ.) ნატრის ბურთი ან ბურთივით დამრგვალებული კოლოფი (ი. ქაეთ.).

**ჭმევა:** 1. საზრდოს მიცემა, რამეთი დაპურება; რჩენა.

**ჭმევა:** 2. (ყარგ.) მოტყუება (ლ. ბრეგ.).

**ჭნაფი:** 1. ცირცელი, — მცენარეა.

**ჭნაფი:** 2. გამხდარი, მჭლე.

**ჭოგრი:** 1. „წერილი ლატანი“ (საბა). იგივეა, რაც ჭოკი; (იმერ.) კაკლის საბურტყი გრძელი ჯოხი.

**ჭოგრი:** 2. ხელში დასაჭერი ოპტიკური ხელსაწყო მილის სახისა შორს მყოფი საგნების დასანახად, — ღურბინდი.

**ჭოდი:** 1. გური-აჭარაში გაერცვლებული ეაზის ჯიში, აქვს შაფი სქელკანიანი მარცველი.

**ჭოდი:** 2. (თუშ.) გაყინული თოვლი, ზედ სიარულისას არ ტყდება (პ. ხუბ.).

**ჭოთი:** 1. ნაჭერი, ნაკუწი.

**ჭოთი:** 2. თხელი ტილო (დ. ჩუბინ.).

**ჭოლო:** 1. (ზ. აჭარ.) ჭაობი, ჭაობიანი ადგილი (შ. ნი არ.).

**ჭოლო:** 2. (კახ.) დიდი, მსუქანი.

**ჭოლოკი:** 1. (ქართლ., გურ.) მოკლე ჯოხი (ა. ღლ.). მოკლე კეტი სასროლად.

**ჭოლოკი:** 2. გრძელი ჯოხი (ს. უღ.).

**ჭორი:** 1. მონაგონი, ტყუილი ამბავი; მითქმა-მოთქმა.

**ჭორი:** 2. (იმერ.) კესანე, ციციხო, მცენარე (ა. მაყ.).

**ჭორიკანა:** 1. ჭორების მოქმელი და გამაერცვლებელი.

**ჭორიკანა:** 2. ჭორტანა, — დეკორატიული ბალახოვანი მცენარე (ა. მაყ.).

**ჭოტა:** 1. მაღლა ამართული წერილი და გრძელი რქების მქონე ხარი; რქაჩანგალა, რქაფსოტა.

**ჭოტა:** 2. (მთიულ.) ჩაჭუტულთვალეებიანი (ლ. კაიშ.).

**ჭოტი:** 1. ბუს მსგავსი მომცრო ფრინველი ღამისა.

**ჭოტი:** 2. პარკოსან მცენარეთა ნაყოფი, — პარკი; „ლობიოთა და ცერცვთა გრძელი ქერქი“ (საბა).

**ჭოტი:** 3. ბრტყელი, სახელურიანი რქინა, იხმარება ნაკეურჩხლის გამოსაღებად, საღადრე.

**ჭოტი:** 4. წვეტი, წვერო (გ. შატბერ.).

**ჭოჭი:** 1. ძირს დამდგარი წყალი.



**ჭოჭი:** 2. (თუშ.) გარას ასაწეე-დასაწეე ხის ჯონი.

**ჭოჭი:** 3. წეეტი, კუთხე; ჭურჭლის ტუნი; (მოთულ.) ნისკარტი.

**ჭოჭი:** 4. იგივეა, რაც ღორღი.

**ჭოჭი:** 5. ჩეილო სატარებელი ფეხის ასაღმელად; ანუ საწოლი მათი, დაკიდებული ხოჭიტი (დ. ჩუბინ.).

**ჭოჭი:** 6. დამატებითი (მიწისზევითა) ფესვები (სიმინდისა).

**ჭოჭინა:** 1. ჩეილო სატარებელი ფეხის ასაღმელად (დ. ჩუბინ.); ოჭივარი; ჰამაკი.

**ჭოჭინა:** 2. შარვლის მხრებზეგადაკიდებული სამაგრი (ი. გრიშაშ.).

**ჭოჭყი:** 1. წერილი ქვა, ღორღი.

**ჭოჭყი:** 2. იგივეა, რაც ჭოჭი, — ძირს დამდგარი წყალი. წვიმის შემდეგ დამდგარი ტალახი.

**ჭოჭყი:** 3. (ხევს., გუდამაქარ.) მოხუერი (ლ. ლეონ.). ხბო ორ წლამდის.

**ჭოჭყი:** 4. (თუშ.) კალთა (თ. უთურგ.).

**ჭრაქი:** 1. უშეშო გასანათებელი მოწყობილობა, შედგება ნაეთის (ქონის...) ჩასასხმელი ჭურჭლისა და პატრუქისაგან.

**ჭრაქი:** 2. ვაზისა და ზოგი სხვა კულტურული მცენარის დააუღება, გამოწვეული პარაზიტული სოკოებით.

**ჭრელი:** 1. ბასრი (ნ. შარაშ.).

**ჭრელი:** 2. რასაც სხვადასხვა ფერის სახეები, ზოლები აქვს. ჭროლა, მარნხი.

**ჭრიანტელა:** 1. (კახ., ქართლ., ლანჩხ.) წითელი ჯიჯილაყა (ა. მაყ.). ბალახია ერთგვარი მხალეული (გ. ჩიქ.).

**ჭრიანტელა:** 2. (მესხ.) ჭროლა თვალებიანი ადამიანი (ი. მისსურ.).

**ჭრიანტელა:** 3. ტყემლის ან სხვა რამ მქავე ხილის გამონაწერი შეკაზმული სანელებლებით.

**ჭრიჭინა:** 1. რაც ჭრიჭინებს; მწერი ეროგუერი, ფრთებით გამოსცემს ჭრიჭინს.

**ჭრიჭინა:** 2. (მოხ.) მხალია (ი. ქაეთ.); ყაზახა, მცენარე (ა. მაყ.).

**ჭრიჭინა:** 3. (მოხ.) ცხოველთა ავადმყოფობა (ი. ქაეთ.).

**ჭუა:** 1. წერილი მწერი, ჰია-ღუა; იგივეა, რაც ტილი.

**ჭუა:** 2. (იმერ.) ჭუეა, ჭუევა, მრავალფერად ბრკილავს, ელვარებს (გ. ბერ.).

**ჭუეი:** 1. (ქიზიყ., გურ.) ინლაურის ჩაშვირი; ჭუჭული.

**ჭუეი:** 2. ქურის უკანა კედლის ზემოთ დატოვებული საკვამლე.

**ჭუეი:** 3. (მოხ.) ტყის ხილეულია (შ. ძიძ.).

**ჭუეი:** 4. (ლაზ.) მოზრდილი ქებაი.

**ჭუეი:** 5. ბაეშეების სათამაშო კოჭის ერთ-ერთი (ჩაღრმავებული) მხარე, — ჭიკი (ა. სიხ.).

**ჭუეი:** 6. (ქარგ.) შტერი, ჩერნეტი (ა. სიხ.).

**ჭური:** 1. იგივეა, რაც ქვეერი.

**ჭური:** 2. საჭურველი ან აბჯარი; საომარი იარაღი.

**ჭური:** 3. (თუშ.) ჭორი (თ. უთურგ.).

**ჭურჭელი:** 1. საერთო სახელი ისეთი ჩიეთებისა, რომლებიც იხმარება საჭმელისათვის (ქვაბი, ჯამი, თეფში და მისთ.) ან სასმელისათვის (ჭიქა, კოკა და მისთ.).

**ჭურჭელი:** 2. (ძვ.) ყოველგვარი ავეჯი, იარაღი, ძვირფასი განსუელობა (ივ. ჯაეახ.).

**ჭუჭული:** 1. ჭუჭული.

**ჭუჭული:** 2. (რაჭ.) ყვავილი.

**ჭყანა:** 1. (გურ.) მხალეული ბალახია (ა. ღლ.).

**ჭყანა:** 2. (გურ.) ჭრელი (ა. ღლ.). ჭროლა.

**ჭყაბი:** 1. გამდნარი თოვლისაგან ან წვიმისაგან დაყენებული ტბორები.

**ჭყაბი:** 2. (გურ., აწარ.) ჩეილი, ქორფა (გ. შარაშ.). ჭყინტი.

**ჭყარა:** 1. (მოხ.) თავ-ქონრიანი ფრინველია (ა. შან.).

**ჭყარა:** 2. (ფშ.) ჭროლა ძროხა (ხარი და ფური) (ა. შან.).

**ჭყარტალა:** 1. მკეთერი უსიამოვნო, ჭრელი.

**ჭყარტალა:** 2. (ქართლ.) ქაცვი, კატაფშაბა (ა. მაყ.).

**ჭყარტალა:** 3. ქართული ყურძნის ჯიშია ერთგვარი.

**ჭყენა:** 1. (გურ.) ჭყანაი, — მხალეული ბალახია (ი. გეარ., ა. ღლ.).

**ჭყენა:** 2. (ლენხ.) წყენა (მ. ალაე.).

**ჭყინტი:** 1. ჩეილი, უმწიფარი ნაყოფი; ახ-

ლად ამოყვანილი, ჯერ გაუფუჟებელი (ყველი).  
**ჰყინტი:** 2. უნდილი, — მოუხერხებელი ადამიანი.

**ჰყინტი:** 3. ხმელი.

**ჰყინტი:** 4. (გადატ.) გაუხარელი, უხალისო.

**ჰყიბავს:** 1. ჰყეპს, — ძალიან ბევრს ასმევს, ბერავს (სასმელით).

**ჰყიბავს:** 2. (გურ.) იგივეა, რაც ჰყელეპავს, ხელით ჯდელემს, ჰყელეტს (მიხალს, ჰყინტ ლობიოს და სხე).

**წყლობინი:** 1. (ლენხ.) ქალ-ვაჟის ღაპარაკი.

**წყლობინი:** 2. შაშვის ბარტყების ხმა (გ. ჩიქ). ბარტყის ხმიანობა, — ჰყიპინი, ჟღურტული.

**ჰყორი:** 1. (იმერ., რაჭ.) იგივეა, რაც ბაძგი; მარადმწვანე ბუჩქი (ი. ქავთ).

**ჰყორი:** 2. (ფშ.) წერილი ქვა, ღორღი, კედლის შენების დროს შუაში ჩასაყრელი; ხურდა (თ. რაზიკ., ი. ჰყონ.).

**ჰყორი:** 3. (მეგრ.) მწვერი.

**ჰყორიალი:** 1. ჰკრიალი, ჰკრიჭინი, ჰკრატა-ჰკრუჭი; ჰახტახი, ჰყივილი. როჭოს ხმა; ჟივილ-ხივილი.

**ჰყორიალი:** 2. ბრჭყეული, ბრწყინვა, კაშკაში; ბზინვარება.

**ჰყურტი:** 1. შაქრის ავადმყოფობა, — დიაბეტი წყურტი.

**ჰყურტი:** 2. (გურ.) ადგილობრივი ენის უცოდინარი (გ. შარაშ).

**ჰყურტი:** 3. (ზ. აჭარ.) უზრდელი, ენაწაყარდნილი, ენაჭარტალა (შ. ნიჟ.).

## ბ

**ხაბაკი:** 1. (იმერ.) რისამე ძებნა (გ. ბერ.).

**ხაბაკი:** 2. ბარგი.

**ხაბარი:** 1. (მოხ., მესხ., ინგილ.) ამბავი (ა. ყაზბ., შ. ძიძ., ო. ქაჯ.).

**ხაბარი:** 2. (ზ. იმერ.) გონი, აზრი (ქ. ძოწ.).

**ხადა:** 1. „ღმერთს მოუწოდა, გინა უადრესსა“ (საბა); „ხადილი, — უადრესთ მოწოდება“ (საბა).

**ხადა:** 2. (რაჭ.) ცხენის ერთ-ერთი ჯიში.

**ხადა:** 3. (ძე.) წოდება (ზ. სარჯ.).

**ხადა:** 4. (ხადილი) დარქმევა სახელისა.

**ხადილი:** 1. (ძე.) ჩათელა, მიწნევა, შერაცხვა რადმე.

**ხადილი:** 2. (გურ.) მიწის გადასახადი, წილი მოსაელისა (პ. ჯაჯან.).

**ხადილი:** 3. (რაჭ., ზ. იმერ.) სარძლოს დანიშვნა და ღხინი; ნიშნობა (ქ. ძოწ.).

**ხადილი:** 4. (მესხ.) გართობა, დროის ტარება; წვეულება (ი. მაისურ); „იმერულად სამასპინძლო“ (საბა); წარჩინებულთა მოწვევა (ი. გრიშაშ.).

**ხაზარულა:** 1. (გურ.) მცენარე, აღნაგობით სიმინდს წააგავს, ცოცხის საკეთებლად იყენებენ (გ. შარაშ.); ცოცხის სორგო (ს. ჟღ., ა. მაყ.).

**ხაზარულა:** 2. (გურ.) საზამთრო ვაშლის ჯიში (ს. ჟღ., ი. მეგრ.).

**ხაზარულა:** 3. ლობიოს ჯიშია, მომსხო მარცვლები აქვს ჭრელი (ი. შილაკაძე).

**ხაზი:** 1. ეწრო ზოლი რისამე ზედაპირზე, სწორი; რისამე (ან ვისამე) განლაგება ერთ რიგად, ერთ მწკრივად, წარმოსახვითი ზოლი, რომელიც აღნიშნავს რისამე მიმართულებას, საზღვარს, დონეს; ზოლის სახის მქონე ტექნიკური ნაგებობა; მამა-პაპათა ან ჩამომავალთა თანამიმდევრული რიგი; გრადუსის მეთოდის აღმნიშვნელი დანაყოფი თერმომეტრზე; (გურ.) ჯოხი, რომელსაც ერთ ბოლოზე ლურსმანი აქვს; იხმარება კაწარას, საფხაჭის მაგიერ; ძველი რუსული ზომის ერთეული, უდრის მეთოდ დიუმს; ღრამი უსიერცო, წარზიდული უგანოდ (ზ. ჩუბინ.).

**ხაზი:** 2. დანაყოფი ცმელი (დ. ჩუბინ.). (ცმელი, — გადაუმდნარი ქონი).

**ხათა:** 1. (ფშ.) ცოდვა, ბრალი, ხათაბალა (ა. შან.).

**ხათა:** 2. (მოხ.) არყის გამონახადი (ო. ქაჯ.).

**ხაკი:** 1. სქელი, უხეში, ქსოვილი; (თუშ.) ტომარა, საცალო.

**ხაკი:** 2. ერთგვარი გოგრა.

**ხაკი:** 3. მოყავისფრო მწვანე; ასეთი ფერის ქსოვილი.

**ხაკი:** 4. მარილიანი ტაფობები თიხოვანი მკერვი ქერქით წლის მშრალ დროს, წვიმების პერიოდში ივსება წყლით და იქცევა ტალახად.

**ხაკი:** 5. (ფშ., თუშ.) რძის საწური. ლუდის საწური პარკი (ს. მენთეშ.).

**ხალა:** 1. (აჭარ.) დეიდა.

**ხალა:** 2. კაკლის საბურტყი ჯოხი, ხალხა, ჭოკი, თივის ბულულს ამოაკრავენ ხოლმე.

**ხალა:** 3. (რაჭ.) მოხარშული მარცვლეული-საგან მოხეული ცომი.

**ხალაგს:** 1. ცეცხლზე ოდნავ წეავს, შუშავს.

**ხალაგს:** 2. ხალით ბურტყავს.

**ხალათი:** 1. აღმოსავლური გრძელი და ფართო სედა ჩასაცემელი; ბლუზი.

**ხალათი:** 2. (არაბ.) თოკი (ნ. გურგ.).

**ხალვა:** 1. მარტო ყოფნა; მარტობით მოწყენილობა; მარტობა, თავის უფლობა, მოცილობა (დ. ჩუბინ.); „თავისწინა მარტო“ (საბა).

**ხალვა:** 2. ცეცხლზე ოდნავ წეა, შუშეა, დიდი სიცხე, თაქარა; სახელი ხალავს (მოხალავს, ოდნავ მოწეავს) ზმნის მოქმედებისა.

**ხალვა:** 3. პალვა, — ერთგვარი ტკბილეული.

**ხალთა:** 1. (ლენხ.) ტყაეის ტომარა, გუდა; თოფზე (ან დროშაზე) ჩამოსაცემელი ტყაეის ბუდე.

**ხალთა:** 2. (ლენხ.) უსახელო წამოსასხამი თხის ტყაეისა (მ. ალავე).

**ხალთა:** 3. ფოთლის ქვედა, ღარივით ან მილივით გაფართოებული ნაწილი, რომელიც ცოტად თუ ბევრად ღეროზეა შემოხეული.

**ხალთა:** 4. მანვი.

**ხალი:** 1. წერტილივით შავი ღაქა კანზე, ჩვეულებრივ, ოდნავ ამობურცული; ტანზედ ან პირზედ შავი ფოლაქი; ვითარცა კალმახის წითელი წინწკალი (დ. ჩუბინ.).

**ხალი:** 2. ხაოიანი, სახიანი მძიმე ქსოვილი, ნოხი; ხალიჩა.

**ხალი:** 3. (ფშ.) იგივეა, რაც ქუმელი, — „მოხალული ფქვილი“ (საბა).

**ხალი:** 4. „გალატოზთ საზომი ხე“ (საბა); „შიშა“ (საბა).

**ხალი:** 5. (გურ.) ჭოლოკი, თხილის, წიფლის ან რცხილის ხის გრძელი ჯოხი, რომელსაც კაქლის საბურტყავად ხმარობენ (ა. ღლ.).

**ხალი:** 6. (ძე.) ხალისი, ნლომა (ეახტანგ VI).

**ხალი:** 7. „სიძე-სიძელთ მამა-დედანი“ (საბა).

**ხალიკი:** 1. (რაჭ.) წერილი ქვა, ხურდა, ხიჭი.

**ხალიკი:** 2. (მო.) დაწყობილი შეშის დიდი გროვა (ქ. ძოწ.).

**ხამანწკა:** 1. ბრტყელი ლოკოკინა ერთგვარი.

**ხამანწკა:** 2. (რაჭ.) პატარა სასმისი; პატარა კოეზი თიხისა (ალ. კობახ.).

**ხამი:** 1. დაუმუშავებელი, გამოუყენელი, მოუქნელი, ბამბის შეუდებავი ქსოვილი, შინ ღართული მსხვილი ძაფისაგან.

**ხამი:** 2. (რაჭ., მეგრ.) დანა (არნ. ჩიქ).

**ხამი:** 3. (ხვესურ.) მწვანე ბალახი (ა. ჭინკარ.).

**ხამი:** 4. გამოუცვლელი, შეუწვეველი; რისამე უცოდინარი.

**ხამი:** 5. (ქიზიყ.) ერთნაყოფი ცხეარი, ორი წლისა (ს. მენთეშ.).

**ხამსა:** 1. ქაფშია, — თევზია ერთგვარი.

**ხამსა:** 2. (იმერ.) ტარო, მარცვალა ძალიან ნელლი აქვს, არ ეფუშენება.

**ხამსა:** 1. ჯეროვანი; ღირსეული.

**ხამსა:** 2. დაქარული, დაფხაჭნილი, ნაკაწრი.

**ხამხამი:** 1. ხურვა-გადება (ქუთუთო-წამწამბისა), ხუჭკუ-გახელა (თვალისა), ფახური.

**ხამხამი:** 2. „ბეჭდთ საშუალო“ (საბა).

